ევროკავშირი
საქართველოსთვის
Human Rights 4All

unicef
for every child

ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვები საქართველოში

World Vision

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვები საქართველოში

2018

© გაეროს ბავშვთა ფონდი
ივლისი, 2018 წელი
tbilisi@unicef.org
www.unicef.ge
http://data.unicef.ge

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადებულია გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორთა ჯგუფი და პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის ან გაეროს ბავშვთა ფონდის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.

გარეკანის ფოტო: დავით ხიზანიშვილი

სარჩევი

წინასიტყვაობა v
მადლობა vii
რუკები ix
აკრონიმები x
ძირითადი დასკვნები xi

1. შესავალი 1
საქართველო და აზერბაიჯანი: ქუჩის აქტივობები, ბავშვები და კანონი 5
ვინ არიან ისინი? „ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების“ განმარტება 7
ეთნიკური იდენტობა და უმცირესობების საკითხი 8
მიდგომა 11
ქუჩასთან კავშირის განზომილებები და ნაშრომის თავების გეგმა 12
კვლევის მეთოდი და ტექნიკა 13
სპეციალური შენიშვნა მიკერძოებისა და ემპირიული შეზღუდვების შესახებ 17
ეთიკური მოსაზრებები 18

2. ქუჩაში ბავშვთა ცხოვრების გარემოებები 20
ქუჩაში ყოფნა და ქუჩაში მოხვედრა 20
მშობლების იძულებითი მიგრაცია და ქუჩაში ცხოვრება მეგობრებთან ერთად 21
მშობლების თანხლებით ქუჩაში სიარული და კომუნალური გადასახადებისთვის ფულის შეგროვება 21
სახლისთვის თავის არიდება 25
წესების თავის არიდება 26
მშობლებთან ბავშვების ურთიერთობებისა და უფროსების თანხლებით ქუჩაში ყოფნის სხვადასხვა ვარიანტი 27
საქართველოში ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვების ქვეკატეგორიები 28
ქუჩის უსახლკარო მოზარდები/ბავშვები 28
უფროსის თანხლების გარეშე მყოფი ქუჩის ბავშვები/მოზარდები, რომლებიც ღამეს სახლში ათევენ 29
მობილური ოჯახების ქუჩის ბავშვები 29
უსახლკარო ოჯახების ქუჩის ბავშვები 30
ეთნიკურ წარმომავლობასთან დაკავშირებული თავისებურებები 30

3. ქუჩაში ცხოვრება: საქმიანობა, საშუალებები და საერთო დინამიკა 31
ეკონომიკური საქმიანობა და გადარჩენის საშუალებები 31
ცხოვრება სასოფლო ცენტრებში და მიმდებარე ტერიტორიებზე 33
გადაადგილება და სეზონური მიგრაცია 34
წვრილმანი დანაშაული 37
თანამშრომლობის და დახმარების ჯგუფები 40
რანგთან, ასაკთან და სასიცოცხლო ციკლთან დაკავშირებული საკითხები 42
ქუჩაში ცხოვრების, დაძინების და უფლებების დარღვევის სხვა ასპექტები 45
დასკვნა 46

4. კავშირები: სერვისები, ოჯახები და ბავშვები 47
ბავშვთა ქვეჯგუფები, სხვადასხვაგვარი გარემოებები და საჭიროებები 47
ამჟამად აზერბაიჯანში და საქართველოში არსებული სერვისების მიმოხილვა 48
სოციალური დახმარება 48
ბავშვებისთვის განკუთვნილი სერვისები 49
საიდენტიფიკაციო დოკუმენტები, სერვისებზე წვდომა 51
მშობლები და ოჯახები 51
მობილობის კულტურა: წარსული წარმატება და ამჟამინდელი გაუარესება ... 53
„ჩვენ ვიცით, თქვენ რაც გინდათ“: ბავშვების დაცვა ბავშვთა დაცვისგან 55
კავშირი სერვისებს, მზრუნველებს, ოჯახებსა და ბავშვებს შორის 56

5. დასკვნები და რეკომენდაციები 58
მიღებული გაკვეთილები 58
ბავშვების დიფერენცირება: მშობლების თანხლებით მყოფი ბავშვები და ეთნიკური წარმომავლობა 58
ქუჩაში ბავშვების ცხოვრების სოციალური ორგანიზება 60
ფაქტორები, რომლებიც ბავშვებს ქუჩაში ცხოვრებისკენ უბიძგებს და ქუჩებში ახალი ბავშვების გამოჩენას უწყობს ხელს 61
ძირითადი უფლებების დარღვევა 62
ძნელად მისაწვდომი აზერბაიჯანელი ბავშვები საქართველოში 63
სერვისების მხრივ არსებული საჭიროებები 63
არსებული სერვისები 66
რეკომენდაციები 67
პრევენციული ზომები 67
რეაგირების ზომები 69

გამოყენებული ლიტერატურა 72

დანართები 73

წინასიტყვაობა

გასული თვეების განმავლობაში მედიაში მომრავლდა სტატიები, რომლებიც საქართველოში ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების მდგომარეობას აშუქებდა. საზოგადოებრივი ინტერესის გაზრდის ფონზე, ქუჩის ბავშვების პრობლემის მნიშვნელობა სულ უფრო აქტუალური ხდება - განახლებული ძალით ისმის მოწოდებები არსებული მდგომარეობის სასწრაფოდ გამოსწორების აუცილებლობის შესახებ. 2011 წლიდან ქუჩაში მცხოვრები/მომუშავე ბავშვებისთვის რამდენიმე სახის მომსახურება დაინერგა. ბავშვების იდენტიფიკაცია და მათთვის თავშესაფრის, დაცვის, ძირითადი მომსახურებებისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის შესაძლებლობების შეთავაზება სპეციალისტების მობილური ჯგუფების (სოციალური მუშაკების, თანატოლი დამრიგებლების, ფსიქოლოგების მონაწილეობით), დღის ზრუნვისა და კრიზისულ სიტუაციაში დახმარების სერვისების მეშვეობით ხდება. ამის მიუხედავად, მომსახურების მიმწოდებლები სულ უფრო ხშირად მიუთითებენ იმ შეუსაბამობებზე, რომელიც შეთავაზებულ მომსახურებებსა და სხვადასხვა კატეგორიის ქუჩის ბავშვების განსხვავებულ საჭიროებებს შორის არსებობს.

სწორედ ამის გამო, გაეროს ბავშვთა ფონდმა და მისმა პარტნიორებმა, ამ კვლევის ფარგლებში, სიტუაციაში უკეთ გასარკვევად და პრევენციის/რეაგირების ქმედით მექანიზმებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესამუშავებლად, შეისწავლეს საქართველოსა და აზერბაიჯანის ქუჩებში მცხოვრები/მომუშავე ბავშვების მდგომარეობა და სიღრმისეულად გააანალიზეს საქართველოში ბავშვების ქუჩის ცხოვრება. კვლევა ქუჩაში მცხოვრები/მომუშავე ბავშვების, მათი ოჯახების, მომსახურების მიმწოდებლების და პოლიტიკის განმსაზღვრელი პირების გამოკითხვის შედეგებს ეფუძნება. მასში საუბარია ქუჩის ბავშვების მრავალფეროვან წარმომავლობაზე და აღწერილია ბევრი ისეთი ფაქტორი, რომელიც ბავშვებს ქუჩაში ცხოვრებისა და მუშაობისკენ უბიძგებს.

ამ კვლევის შედეგების საფუძველზე მთავრობისა და სამოქალაქო ორგანიზაციებისთვის შემუშავებული რეკომენდაციები მიმართულია პრევენციისა და რეაგირების ზომების გაძლიერებაზე, ბავშვის უფლებათა კონვენციის „ზოგადი კომენტარი 21-ის“ პრინციპებისა და რეკომენდაციების შესაბამისად. ძირითადი რეკომენდაციები ითვალისწინებს: ერთიანი ხედვისა და ეროვნული პოლიტიკის შემუშავებას ქუჩის ბავშვებისა და ქუჩაში მოხვედრის რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების საჭიროებებთან დაკავშირებით; რისკებზე რეაგირების სისტემის შემუშავებას, რისკის ქვეშ მყოფი ოჯახებისთვის დახმარების აღმოჩენის ჩათვლით; არსებული მომსახურებების გაუმჯობესებას და გეოგრაფიული დაფარვის არეალის გაფართოებას; აგრეთვე, ბავშვებისთვის ჯანდაცვისა და განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, პროფტექნიკური განათლების ჩათვლით.

დაბოლოს, კვლევამ დაგვანახა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია, რომ მოქალაქეებმა ხელი არ შეუწყონ ქუჩის ბავშვების მარგინალიზაციასა და სტიგმატიზაციას, მეტი თანაგრძნობით მოეკიდონ მათ პრობლემებს და ბავშვის მიმართ სასტიკი მოპყრობისა ან უგულებელყოფის ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში, მათ შესახებ შესაბამის ორგანიზაციებს აცნობონ.

მსურს მადლობა გადავუხადო ჩვენს პარტნიორებს, რომლებმაც ამ კვლევაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და სოციალური მომსახურების სააგენტოს; იუსტიციის სამინისტროს; შინაგან საქმეთა სამინისტროს; განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს; სახალხო დამცველის

ოფისს; შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას; ღია საზოგადოება საქართველოს, “Save the Children International”-ს და “კარიტას საქართველოს“. აგრეთვე მინდა მადლობა გადავუხადო FAFO კვლევით ფონდს, მაღალი ხარისხის კვლევისა და ბრწყინვალე ანგარიშისთვის. სწორედ ყველა ამ პარტნიორის მონაწილეობის შედეგად გახდა შესაძლებელი ამ უაღრესად მნიშვნელოვანი და დროული კვლევის განხორციელება, რომელიც, ვიმედოვნებთ, მიმართულებას მისცემს საქართველოში ქუჩაში მცხოვრები/ მომუშავე ბავშვების სიტუაციაზე რეაგირებისა და პრევენციის ქმედით ღონისძიებებს, ამ ბავშვების ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით.

პატივისცემით,

ლეილა ომარ გადი

გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი საქართველოში

მადლობა

2017 წლის დასაწყისში Fafo-ს სამეცნიერო-კვლევითმა ფონდმა გაეროს ბავშვთა ფონდის დაკვეთით მონაწილეობა მიიღო კვლევაში საქართველოს და აზერბაიჯანის ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების შესახებ. აღნიშნული სამეცნიერო-კვლევითი პროექტი საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლობის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, აზერბაიჯანში გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლობის და არასამათავრობო ორგანიზაციების („ვორლდ ვიჟენ საქართველო“, ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“ და „საქართველოს კარიტასი“) თანამშრომლობით განხორციელდა. გვსურს მადლობა გადავუხადოთ ყველა მონაწილე მხარეს მათი ჩართულობისთვის.

ჩატარებული სამუშაოს მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო საქართველოში და აზერბაიჯანში ქუჩაში მცხოვრებ ბავშვებთან და ოჯახებთან, ისევე, როგორც მომსახურების პროვაიდერების პერსონალთან და ადგილობრივ მცხოვრებლებთან გასაუბრებას. მადლობას ვუხდით ყველას, ვინც დადებითად გამოეხმაურა ჩვენს თხოვნას ინფორმაციის მოწოდებასთან დაკავშრებით. ჩვენ შეგნებულად არ მივუთითეთ რესპონდენტთა სახელები და გვარები და ტექსტში მოხსენიებისას შევცვალეთ ისინი.

საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლებმა ჯაბა ნაჭყებიამ, პიერ ფერიმ და ქეთევან მელიქაძემ ფასდაუდებელი დახმარება გაგვიწიეს მთელი პროცესის განმავლობაში. კვლევა გულისხმობდა ფართომასშტაბიანი საველე სამუშაოს ჩატარებას საქართველოში, რომელიც მაია მგელიაშვილის და თამარ შარაშიძის ხელშეწყობით წარიმართა. საკუთრივ საველე სამუშაოები განხორციელდა სოფიო ბედოშვილის, ქეთევან ისაკაძის, მარიამ გოგოლაურის, მაია მინიაშვილის, ინგა გაბაძის, ირა ბოლქვაძის, რატი მიხანაშვილის, თორნიკე აბულაძის, ქრისტინე გიგიაშვილის და თინა ასანიძის მიერ. აღნიშნული ჯგუფის რამდენიმე წევრი ასევე ჩართული იყო საველე სამუშაოების სახელმძღვანელოების და ინსტრუმენტების ხარისხთან და ხელნაწერის პროექტთან დაკავშირებით გამოხმაურების უზრუნველყოფაში.

აზერბაიჯანში სამუშაოს კოორდინირებას ახორციელებდნენ გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლები ტამერლან ვერაჯაბოვი და სევინჯ ტოფჩუბაშოვა. საველე სამუშაოები აზერბაიჯანში ჩატარდა სევინჯ ტოფჩუბაშოვას, სანუბერ ჰეიდაროვას და ტარანა ჯაფაროვას მიერ. ოჯახის, ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო კომიტეტის კონსულტანტმა ფარვიზ ალიევმა მთავრობის და რაიონების წარმომადგენლებთან გასაუბრებების საფუძველზე კონტექსტუალური ინფორმაცია მოამზადა.

ანგარიში შეადგინა და მისი რედაქტირება უზრუნველყო Fafo-ს წარმომადგენელმა ტონე სომმერფელტმა ენნ ჰეთლოის დახმარებით. ინსტიტუციურ კვლევებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოში „იუნისეფის“ თანამშრომლებმა ნანა ჩაფიძემ და ჯაბა ნაჭყებიამ, ხოლო აზერბაიჯანში „იუნისეფის“ დამოუკიდებელმა კონსულტანტმა სევინჯ ტოფჩუბაშოვამ.

Fafo-ს მკვლევართა ჯგუფი ზედამხედველობას უწევდა კვლევის პროცესს. ანგარიშის პროექტები განხილული იქნა საქართველოში და აზერბაიჯანში „იუნისეფის“ წარმომადგენლების, საქართველოს ადგილობრივი პარტნიორების და ბოლოს „იუნისეფის“ მიერ დაქირავებული დამოუკიდებელი რეცენზენტის მიერ.

გვსურს კიდევ ერთხელ გადავუხადოთ მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც ნებისმიერი ფორმით მიიღო მონაწილეობა კვლევაში. Fafo პასუხისმგებელია ანგარიშის დასკვნითი ტექსტის შინაარსზე.

ტონე სომმერფელტი და ენ ჰეთლოი

სამეცნიერო-კვლევითი ფონდი Fafo

ოსლო, 2018 წლის ივნისი

რუკები

საქართველოს რუკა[1]

GEORGIA
National capital
Autonomous republic capital
Town, village
Major airport
International boundary
Autonomous republic boundary
Main road
Secondary road
Railroad
RUSSIAN FEDERATION
BLACK SEA
TURKEY
ARMENIA
AZERBAIJAN
ABKHAZETI (ABKHAZIA)
AJARA (AJARIA)
T'bilisi
Batumi
Sokhumi
Kutaisi
Poti
Gori
Kars
Yerevan
Sevan
Lake Sevan
Lake Tabatskuri
Lake Paravani
Mingachevir Reservoir
Sevana Lich
Baku
Gyumri
Vanatzor
Ganja
Mtskheta
Telavi
Rustavi
Marneuli
Bolnisi
Kazreti
Akhalkalaki
Ninotsminda
Akhaltsikhe
Vale
Khulo
Keda
Akhalgori
Tskhinvali
Dusheti
Mleta
Pasanauri
Kurta
Vladikavkaz
Mozdok
Prokhladnyy
Nal'chik
Karachayevsk
Derbent
Khudat
Khachmaz
Gusar
Guba
Shabran
Siyazan
Khyzy
Shuraabad
Sumgayit
Mashtaga
Khyrdalan
Lokbatan
Absheron Peninsula
Baky Bay
Chilov Is.
Pirallakhi Is.
Shamakhy
Maraza
Aghsu
Kurdamir
Saatly
Sabirabad
Shirvan
Alat
Hajygabul
Imishli
Salyan
Bank
Neftchala
Bilasuvar
Jalilabad
Masally
Yardymly
Lerik
Lankaran
Astara
Zardab
Aghjabadi
Goychay
Ismayilly
Ujar
Yevlakh
Barda
Tartar
Aghdash
Gabala
Oghuz
Shaki
Konakhkend
Gadabay
Dashkasan
Goygol
Ganja
Shamkir
Mingachevir
Nabiaghadi
Goviar
Tovuz
Gazakh
Aghstafa
Ichevan
Vanatzor
Sevan
Martouni
Kalbajar
Aghdam
Khojaly
Khojavend
Beylagan
Fizuli
Khankandi
Lachyn
Hadrut
Jabrayil
Horadiz
Gubadly
Zangilan
Goris
Angekhakoth
Karkhi
Ararat
Heydarabad
Shahbuz
NAKHCHYVAN (AR)
Nakhchyvan
Babak
Julfa
Ordubad
Ghapan
Shaur
ISLAMIC REPUBLIC OF IRAN
CASPIAN SEA
Kur Lowland
Kur (Kura)
Mtkvari (Kura)
Aragvi
Iori
Alazani
Ingri
Rioni
Kvaisi
Ambrolauri
Tqibuli
Chiatura
Zestaponi
Khashuri
Borjomi
Bakuriani
Abastumani
Atskuri
Akhmeta
Qvareli
Lagodekhi
Gurjaani
Tsnori
Dedoplis Tsqaro
Zaqatala
Balakän
Ganja
Aghstafa
Mingachevir Reservoir
Kur (Kura)
Zod
Hrazdan
Gyumri
Ardahan
Çıldır Gölü
Artvin
Ozurgeti
Bakhmaro
Kobuleti
Lanchkhuti
Chokhatauri
Samtredia
Senaki
Khobi
Tskhaltubo
Zugdidi
Tsalenjikha
Pichori
Anaklia
Gali
Ochamchire
Tqvarcheli
Ivari
Lentekhi
Khaishi
Mestia
Omarishara
Otap
Lata
Gulripshi
Akhali Atoni
Gudauta
Bichvinta
Gagra
Pskhu
Lake Ritsa
Bzyb'
Kodori
Inguri
Rioni
Supsa
Khrami
Alazani
Iori
Ingri
Kura
Aras
Arpa
Araz
Gorayil
Gekchay
Tovuz
Ichevan
Vanatzor
Sevan
Yerevan
Ararat
Karkhi
Heydarabad
Shaur
Angekhakoth
Goris
Shahbuz
Nakhchyvan
Babak
Julfa
Ordubad
Ghapan
Zangilan
Gubadly
Jabrayil
Horadiz
Fizuli
Khankandi
Lachyn
Khojavend
Beylagan
Khojaly
Aghdam
Kalbajar
Martouni
Mingachevir Reservoir
Sevana Lich
Lake Sevan
Lake Tabatskuri
Lake Paravani
Çıldır Gölü
Artvin
Ardahan
Kars
Vanatzor
Gyumri
Ganja
Sevan
Hrazdan
Zod
Akhalkalaki
Ninotsminda
Akhaltsikhe
Vale
Khulo
Keda
Batumi
Kobuleti
Ozurgeti
Bakhmaro
Lanchkhuti
Chokhatauri
Samtredia
Senaki
Khobi
Poti

აკრონიმები

AZN	აზერბაიჯანული მანათი (ვალუტა)
CRC	გაეროს კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ
GEL	ქართული ლარი (ვალუტა)
IDP	იძულებით გადაადგილებული პირი
ILO	შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია
IOM	მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
MoLHASA	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
SSA	სოციალური მომსახურების სააგენტო
TSA	მიზნობრივი სოციალური დახმარება
UN	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
UNICEF	გაეროს ბავშვთა ფონდი
UNOHCHR	გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი
USD	აშშ დოლარი (ვალუტა)

ძირითადი დასკვნები

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია ის ძირითადი ფაქტები, რომლებიც საქართველოში ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების მდგომარეობის კვლევის პროექტის შედეგად გამოვლინდა. მასში მოცემულია აზერბაიჯანში არსებული სიტუაციის გარკვეული ასპექტების ხედვაც. პროექტი განხორციელდა „იუნისეფ თბილისის“ მიერ გამოცხადებული ტენდერის საპასუხოდ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, „ვორლდ ვიჟენ საქართველოსთან“ და „ღია საზოგადოება საქართველოსთან“ თანამშრომლობით. აღნიშნულ საქმიანობაში ჩართული იყო „საქართველოს კარიტასიც“. ამასთან ერთად, პროექტის შემუშავების პროცესი „იუნისეფის“ აზერბაიჯანის ოფისთან თანამშრომლობით წარიმართა. კვლევის ადრეულ ეტაპზე სამუშაო ჯგუფს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო შემოუერთდა და სრულად დააფინანსა საქართველოში მიმდინარე საველე სამუშაოები ევროკავშირის მიერ გამოყოფილი დაფინანსებით.

კვლევას საფუძვლად დაედო საქართველოში სოციალური მუშაკების დაკვირვებები ქუჩაში მცხოვრებ/მომუშავე ბავშვებს შორის გარკვეული ცვლილებების შესახებ. ამ დაკვირვებების შედეგად დაგეგმილი კვლევა ითვალისწინებდა თვისებრივი შესწავლის მიზნით საქართველოსა და აზერბაიჯანში საველე სამუშაოების განხორციელებას, რომელთა სამიზნე ჯგუფს ბავშვები, მშობლები, ოჯახები, სოციალური მუშაკები და რესურს-პერსონალი წარმოადგენდნენ.

კვლევის მიზანი იყო ინფორმაციის შეგროვება ქუჩაში მცხოვრებ ბავშვებთან დაკავშირებული პრობლემის პრევენციის და აღმოფხვრის სტრატეგიების უკეთ შემუშავების მიზნით. მეორე მიზანი იყო მიმდინარე ინსტიტუციური ღონისძიებების განსაზღვრა სათანადო რეაგირების პოლიტიკის შესამუშავებლად და არსებული სერვისების გაუმჯობესება საქართველოსა და აზერბაიჯანის სოციალურ-ეკონომიკური რეალობების და ინსტიტუციური გარემოს გათვალისწინებით. აუცილებელია, მხედველობაში მივიღოთ, რომ ინსტიტუციური ღონისძიებების განსაზღვრა Fafo-ს მიერ არ შესრულებულა და, ამრიგად, სრულ ინსტიტუციურ ანალიზს არ წარმოადგენს.

კვლევამ გვიჩვენა, რომ როგორც საქართველოში, ასევე აზერბაიჯანში ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების პოპულაცია ძალიან მრავალფეროვანია. ქუჩაში ცხოვრების წესისა და ბავშვების მახასიათებლების მრავალფეროვნების მიუხედავად, მათ გარკვეული მსგავსი კანონზომიერებები ახასიათებთ. ბავშვების წინაშე მდგომ გამოწვევებზე რეაგირების შეფასება ამ კანონზომიერებების შესაბამისად უნდა მოხდეს. შედეგები შეიძლება შემდეგნაირად შევაჯამოთ:

1. საქართველოში ქუჩაში მცხოვრები/მომუშავე ბავშვების პოპულაცია შეიძლება ქვეკატეგორიებად დავყოთ იმის მიხედვით, ახლავთ თუ არა მათ მშობელი და აქვთ თუ არა მშობელთან კონტაქტი.

უსახლკარო (ქუჩაში მცხოვრები) ბავშვები და მოზარდები

მოზარდები/ბავშვები, რომლებიც ქუჩაში ცხოვრობენ და მუშაობენ, ქუჩაში ყოფნისას არ ახლავთ მშობელი და არ არიან მშობლის დაცვისა და მზრუნველობის ქვეშ. ასეთ ბავშვებს შეიძლება ზოგჯერ კონტაქტი ჰქონდეთ მშობლებთან.

ბავშვები, რომლებიც ქუჩაში მშობლების გარეშე არიან, მაგრამ დასაძინებლად სახლში მიდიან

ბავშვები, რომლებიც დღის უდიდეს ნაწილს ქუჩაში ატარებენ - ისინი მუშაობენ ან სხვა სახის ეკონომიკური აქტივობით არიან დაკავებულნი, არიან მშობლის თანხლების გარეშე, მაგრამ მშობლები რეგულარულად უზრუნველყოფენ მათ საკვებით და/ან რესურსებით, ხოლო ბავშვებს თავიანთი წვლილი შეაქვთ ოჯახის შემოსავალში.

ქუჩის მობილური ოჯახების ბავშვები

ბავშვები, რომლებიც ქუჩაში მომუშავე უფროსის თანხლებით არიან, ქუჩაში მუშაობენ, მაგრამ იქ არ სძინავთ.

უსახლკარო ოჯახების ბავშვები

უსახლკარო ოჯახების ბავშვების სიტუაცია ქუჩის მობილური ოჯახების ბავშვების სიტუაციის მსგავსია, მაგრამ ისინი ღამით სახლში არ ბრუნდებიან.

2. ქუჩაში მცხოვრები/მომუშავე ბავშვების პოპულაცია მრავალფეროვანია ლინგვისტური და ეთნიკური თვალსაზრისით.

საქართველოში ქუჩაში მცხოვრები/მომუშავე ბავშვების ჯგუფში ყველაზე მეტად ჭარბობენ ეთნიკური ქართველები, ბოშები და აზერბაიჯანელი ქურთები. უმცირესობათა ინტეგრაციის პოლიტიკა და რეგულაციები შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი ბავშვთა სპეციფიკურ საჭიროებებთან და რისკებთან. ზოგიერთ წრეში ფართოდ არის გავრცელებული ბოშების სტიგმატიზაცია. სტიგმა კიდევ უფრო დიდია აზერბაიჯანელი ქურთების მიმართ, რაც ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია, რომ ეს უკანასკნელნი სოციალურ მომსახურებებს ვერ იღებენ.

3. მშობელთა თანხლებით და მათ გარეშე ქუჩაში მცხოვრები/მომუშავე ბავშვების ჯგუფები ერთმანეთისგან ეთნიკური შემადგენლობითაც განსხვავდებიან, თუმცა ყველაფერს მხოლოდ ეთნიკური სპეციფიკით ვერ ავხსნით.

სხვადასხვა კატეგორიას შორის არსებული განსხვავებები გარკვეულწილად ეთნიკურ განსხვავებებს ასახავს. ჯგუფში *„უსახლკარო ახალგაზრდები / ქუჩის ბავშვები“* ყველა ეროვნების ბავშვებს ვხვდებით. ჯგუფში *„უფროსის თანხლების გარეშე მყოფი ბავშვები / ქუჩის ახალგაზრდები“* აგრეთვე ყველა წარმომავლობის ბავშვები შედიან და ბევრმა მათგანმა განაცხადა, რომ ეროვნებით ქართველია. ამავე დროს, *„ქუჩაში მობილური ოჯახების ბავშვთა“* ჯგუფში დიდ უმრავლესობას მოლდაველი ბოშები და აზერბაიჯანელი ქურთები შეადგენენ. ამ ბავშვებს შორის არიან როგორც ბიჭები, ასევე გოგონები. იგივე შეიძლება ითქვას უსახლკარო ოჯახებზეც.

ამავე დროს, ეთნიკურ წარმომავლობასთან დაკავშირებით დასკვნების გამოტანას დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, რადგანაც ბავშვობის სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები ქუჩაში ცხოვრების ტიპების მთელ სპექტრში არიან წარმოდგენილნი. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ ქუჩის ბავშვების პოპულაციას გარკვეული ეთნიკური მახასიათებლები აქვს, ქუჩის ბავშვების ფენომენი მხოლოდ კულტურულ ფენომენად ან მენტალიტეტთან დაკავშირებულ საკითხად არ უნდა ჩავთვალოთ.

სოციალურ მუშაკებს განსაკუთრებით უჭირთ დახმარების გაწევა აზერბაიჯანელი ქურთებისთვის. ქუჩაში მცხოვრებ/მომუშავე აზერბაიჯანელ ოჯახებთან მუშაობისას ისინი ნდობასთან დაკავშირებულ სერიოზულ პრობლემებს აწყდებიან. მოხეტიალე

აზერბაიჯანელი ოჯახები აცხადებენ, რომ სახელმწიფოსგან მომსახურების მიღებას არ მოელიან და რომ სახელმწიფოსთან (ან თემთან) კონტაქტი არაფერს აძლევთ. ამის შედეგად ბევრი მათგანი სისტემატურად თავს არიდებს სახელმწიფო სერვისებს – ისინი ცდილობენ, არ დაარეგისტრირონ ბავშვის დაბადება, არ ცდილობენ პირადობის მოწმობების მიღებას და არ შემოაქვთ განცხადებები სოციალური დახმარების მოთხოვნით. ზოგი მათგანი ამ სახის მომსახურებებს იმის გამო ვერ იღებს, რომ ზოგჯერ არარეგულარულ შრომის ანაზღაურებას იღებს ან ვერ ახერხებს ბიუროკრატიული ბარიერების დაძლევას. ზოგი მალავს ან ანადგურებს პირადობის მოწმობას და სხვა დოკუმენტებს, რომ ოფიციალური პირებისგან შორს დაიჭირონ თავი.

4. ქუჩის ბავშვთა რომელიმე ქვეჯგუფისადმი ბავშვის კუთვნილებას განაპირობებს როგორც მისი ასაკი და ცხოვრების ციკლი, ასევე წარმომავლობა.

ზოგი ბავშვი ასაკის მატებასთან ერთად „უფროსის თანხლებით მყოფი ქუჩის ბავშვების“ ჯგუფიდან „უფროსის გარეშე მყოფი ქუჩის ბავშვების“ ჯგუფში გადადის. უფროსი ასაკის ბავშვები ქცევის განსაკუთრებულ კოდექსს იმუშავებენ და შიდა ურთიერთდამოკიდებულების კავშირებს ქმნიან, რის გამოც ბავშვმა შეიძლება ქუჩას თავი ვეღარ დააღწიოს და კრიმინალურ ან ძალადობრივ საქმიანობაში ჩაებას. ამ შემთხვევაშიც ეთნიკურ სტერეოტიპებთან დაკავშირებით სიფრთხილის გამოჩენა გვმართებს: უმცირესობების (მაგალითად, აზერბაიჯანელი ქურთების ან ბოშების) ბავშვები უფროსის გარეშე მყოფი ქუჩის ბავშვების და უსახლკარო ახალგაზრდების ჯგუფებშიც გვხვდებიან, რაც არღვევს ფართოდ გავრცელებულ სტერეოტიპს, თითქოს ყველა ბოშა ბავშვი მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებულ ოჯახურ სტრუქტურას ეკუთვნის.

5. მრავალფეროვნებას ქმნიან ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების დაჯგუფებებს, ბანდებს და გაერთიანებებს შორის არსებული განსხვავებებიც. ამ ჯგუფების შიდა ორგანიზაცია ნაწილობრივ ურთიერთდახმარებისა და გაზიარების პრაქტიკას გულისხმობს:

ბავშვები შეიძლება ჯგუფად შეიკრიბონ და ერთად იმოძრაონ იმისთვის, რომ ერთმანეთი დაიცვან, ღამის გასათევი ადგილი იპოვონ, დასვენებისა და გართობის სივრცეები შეიქმნან, მეგობრული ურთიერთობები დაამყარონ და ითანამშრომლონ ეკონომიკურ აქტივობებში, მაგალითად, წვრილმან ვაჭრობასა და ქუჩაში მათხოვრობაში, ასევე წვრილმან დანაშაულში.

6. ჯგუფის შიდა სტრუქტურა ხშირად ისეთია, რომ ბავშვებს ერთმანეთის ან გარეშე პირების მიმართ ვალები უგროვდებათ, რის გამოც ისინი დიდი ხნის მანძილზე ქუჩას თავს ვერ აღწევენ.

მომსახურების პროგრამაში ბავშვის ჩართვის შემდეგ, მისი ინდივიდუალური საჭიროებების შეფასებისას, გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის მიერ დაგროვებული ვალიც.

7. ბავშვთა ზოგიერთ ჯგუფს ისეთი შიდა სტრუქტურა აქვს, რომელიც ბავშვებს ხელმძღვანელის / უპირატესი სტატუსის მქონე და დაქვემდებარებულ ბავშვებად ყოფს.

ერთმანეთის დაცვის და დახმარების პროცესში ბავშვები სუბორდინაციულ სტრუქტურებს ქმნიან და დაქვემდებარებულ ბავშვებს „ფარად“ იყენებენ - დანაშაულის ჩადენას აიძულებენ და ამ გზით მიღებულ შემოსავალს ართმევენ. ხშირად ეს საქმიანობა

ისეა ორგანიზებული, რომ დანაშაულს უმცროსი ასაკის ბავშვები ჩადიან, ხოლო უფროსი ბავშვები სადარაჯოზე დგანან და უმცროსებს მათთვის ნაძარცვი მოაქვთ. ასეთი პრაქტიკა იმ გარემოებას უკავშირდება, რომ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, 14 წლამდე ასაკის ბავშვთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ გამოიყენება. შესაბამისად, უფროსი ბავშვები დანაშაულებრივი ქმედებებისთვის უმცროს ბავშვებს იყენებენ სისხლისსამართლებრივი დევნის თავიდან აცილების მიზნით.

8. როგორც ჩანს, პოლიცია იყენებს სამართლებრივი დევნისთვის დადგენილ მინიმალურ ასაკს (14 წელს), რაც ქუჩის ბავშვთა ჯგუფში „უპირატესი სტატუსის“ მქონე ბავშვებს სტიმულს უქმნის, კრიმინალური მიზნებისთვის უმცროსი ასაკის ბავშვები გამოიყენონ.

ბავშვების მონაყოლის მიხედვით, ქურდობასთან ან რაიმე სხვა დანაშაულთან დაკავშირებით ბავშვების ჯგუფის დაკავების შემთხვევაში პოლიციის ოფიცრები ასკვნიან, რომ დანაშაული 14 წლამდე ასაკის ბავშვმა ჩაიდინა ან არწმუნებენ ამ ბავშვებს, დანაშაული თავის თავზე აიღონ. მოზარდები ვარაუდობენ, რომ ამ გზით პოლიციელები დოკუმენტაციის გაფორმებას და ბავშვების პასუხისგებაში მიცემასთან დაკავშირებულ შემდგომ სამუშაოს იცილებენ თავიდან.

9. ქუჩის ბავშვებისა და ახალგაზრდების ზოგიერთი ქვეჯგუფი ბანდის ტიპის სტრუქტურას ქმნის.

ასეთი ჯგუფები შეიძლება დიდიც იყოს და პატარაც. მათი ორგანიზაციული სტრუქტურა ტერიტორიული დაყოფის პრინციპს ემყარება, ანუ ისინი ცდილობენ, ქალაქის გარკვეული უბნები აკონტროლონ იმისათვის, რომ იქ ეკონომიკური აქტივობების (წვრილმანი ვაჭრობის, მათხოვრობის და ა.შ.) შესაძლებლობა ჰქონდეთ. პერიოდულად ასეთ დაჯგუფებებს შორის ჩხუბი იწყება უბანზე კონტროლის მოსაპოვებლად. როგორც აღინიშნა, ქცევის შიდა კოდექსმა და ერთმანეთზე დამოკიდებულებამ შეიძლება დროთა განმავლობაში ხელი შეუწყოს იმას, რომ ბავშვმა ქუჩას თავი ვეღარ დააღწიოს და კრიმინალურ ან ძალადობრივ საქმიანობაში იქნეს ჩათრეული.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ არც პოლიცია და არც ქალაქის მთავრობა არ იღებს რაიმე კოორდინირებულ ზომებს ქუჩის დაჯგუფებების კრიმინალურ საქმიანობასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ თბილისში არსებობს ერთი სექტისმაგვარი დაჯგუფება (ცნობილი როგორც „მორგის“ ბავშვები). ტერიტორიულად ეს დაჯგუფება მიწისქვეშ განლაგებულ სივრცეში მოქმედებს. მისი ყოფილი წევრების მონაყოლის მიხედვით, დაჯგუფებაში ბავშვების მოზიდვა ხდება როგორც ახალგაზრდების, ასევე ზრდასრული პირების მიერ და ბავშვის მიღებისას გარკვეული რიტუალები ტარდება. ბევრ ყოფილ წევრს ფსიქოლოგიური ტრავმა აქვს. ამ დაჯგუფების ყოფილი წევრების თქმით, მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიას სახელმწიფო უწყებები და ქალაქის მთავრობა არ ეკარებიან.

10. ქუჩის ბავშვების ჯგუფების შიდა დინამიკისთვის შეიძლება დამახასიათებელი იყოს სექსუალური დაჯილდოების სისტემა, რაც გოგონებს ძალადობის რისკის წინაშე აყენებს.

თბილისში მოქმედი ერთ-ერთი დაჯგუფების ყოფილი წევრების ჩვენებების მიხედვით, გოგონები ვალდებულნი იყვნენ, სექსუალური მომსახურება გაეწიათ დაჯგუფების უფროსი წევრებისთვის (ან სექტის წევრებისთვის). სხვა დაჯგუფებების ყოფილი

წევრები ამბობენ, რომ თავიანთი შემოსავლის ნაწილს სექსუალური მომსახურების საფასურის გადასახდელად იყენებდნენ. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ, სავარაუდოდ, ქუჩის ბავშვები სექსუალური ძალადობის შედეგად ტრავმირებულნი უნდა იყვნენ. ეს არაერთხელ აღნიშნეს კვლევის ფარგლებში გამოკითხულმა ფსიქოლოგებმა. ბავშვებისა და სოციალური მუშაკების მიერ დასახელებული იყო სხვა სახის, ძალადობით და ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენებით გამოწვეული, ფსიქოლოგიური ტრავმებიც.

11. საქართველოს და აზერბაიჯანის სოციალური დახმარების პროგრამებს შორის არსებული განსხვავებების და სხვადასხვანაირი სამართლებრივი ჩარჩოების გამო ადგილი აქვს ბევრი აზერბაიჯანელი ოჯახის მიგრაციას საქართველოში.

ჩვენმა რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ვინაიდან აზერბაიჯანში მათხოვრობა აკრძალულია, ხოლო წვრილი მოვაჭრეების მიმართ სანქციების აღსრულების უფრო მკაცრი რეჟიმი გამოიყენება, ისინი რეგულარულად გადადიან საქართველოში.

12. ქუჩაში მცხოვრებ და/ან მომუშავე ბავშვთა ცხოვრება ნაწილობრივ სეზონური მიგრაციის ფორმას ატარებს.

ეს ვრცელდება როგორც ქუჩის მობილური ოჯახების ბავშვებზე, ასევე უფროსის თანხლების გარეშე მყოფ ბევრ ბავშვზეც. სეზონური მიგრაცია ნაწილობრივ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების სეზონურობას ასახავს, რადგან ბევრი ოჯახი აზერბაიჯანში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებით არის დაკავებული. თუმცა ყველაზე დიდ ზეგავლენას მიგრანტების გადაადგილებაზე ტურისტული სეზონი ახდენს. ზაფხულში ის არა მხოლოდ აზერბაიჯანელ ოჯახებს, არამედ ქუჩის ქართველ ოჯახებსა და ბავშვებსაც იზიდავს ბათუმში, ქობულეთში, ურეკსა და შავი ზღვის სანაპიროს სხვა ტურისტულ ადგილებში.

13. ძირითადი ფაქტორები, რომელთა გამოც ქუჩაში ახალი ბავშვები ხვდებიან:

- მშობელთა სიღარიბე და მათ დასახმარებლად ბავშვების ჩართვა სხვადასხვა აქტივობაში, რაც ბავშვთა შრომას იწვევს;
- მშობლების იძულებითი მიგრაცია და აქედან გამომდინარე ცხოვრების გამოწვევები საარსებო საშუალებების მოპოვებასთან დაკავშირებით;
- მშობლის გარდაცვალება, დაპატიმრება, ავადმყოფობა და/ან მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულება, რაც მშობლის მიერ ბავშვის მიტოვებას ან უგულებელყოფას და ბავშვის მიერ საკუთარ თავზე ზრუნვის საჭიროებას იწვევს;
- ოჯახში ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობა, რის გამოც ბავშვი სახლის გარეთ ცხოვრებას ამჯობინებს;
- მკაცრი დისციპლინა – ე.ი. ბავშვის სოციალური ქსელების კატეგორიული შეზღუდვა და ზედმეტად მკაცრი წესები – სარეაბილიტაციო ან მომსახურების დაწესებულებებში, მინდობით აღმზრდელ ოჯახში ან არასრულწლოვანთა დახურულ სკოლებში, რის გამოც ბავშვებს და მოზარდებს წესების დამორჩილებას ქუჩაში ცხოვრება ურჩევნიათ და მზრუნველობის დაწესებულებებიდან არაერთგზის იპარებიან;
- სოციალიზაცია ბავშვებსა და ახალგაზრდებს შორის, რის შედეგადაც ბავშვები (თანდათანობით) სულ უფრო ნაკლებ დროს ატარებენ სახლში და სულ უფრო მეტ დროს უთმობენ ქუჩის სხვა ბავშვებთან ურთიერთობას.

14. უფლებების დარღვევა

ქუჩაში მომუშავე და მცხოვრები ბავშვები განსაკუთრებით მოწყვლადები არიან როგორც მზრუნველების, ასევე ქუჩის სხვა ბავშვების მხრიდან ძალადობის წინაშე. ქუჩის ბავშვების აბსოლუტურ უმეტესობას ხელი არ მიუწვდება განათლებაზე და სამედიცინო მომსახურებაზე (გარდა გადაუდებელი დახმარებისა).

15. რეკომენდაციები

რეკომენდებული ღონისძიებები ორ ჯგუფად - პრევენციულ და რეაგირების ღონისძიებებად - არის დაყოფილი. ცალ-ცალკეა მოცემული სამთავრობო უწყებების და მომსახურების მიმწოდებლების მიერ განსახორციელებელი ღონისძიებებიც. ამჟამად ქუჩის ბავშვებისთვის არსებული მომსახურებები პრევენციულ ღონისძიებებად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა იმავდროულად ეს მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ მიმართული ზომებიცაა, რადგანაც ისინი ქუჩის ცხოვრების მომდევნო ეტაპებზე ბავშვის გადასვლის პრევენციას ახდენენ.

პრევენციული ზომები - სამთავრობო უწყებები:

1. **სკრინინგის ინსტრუმენტები,** რომლებიც რისკის ქვეშ მყოფი ბავშვებისა და მათი ოჯახების საჭიროებებზე იქნება მორგებული, გამოყენებული უნდა იყოს რისკის ქვეშ მყოფი მშობლებისთვის განკუთვნილ სახელმწიფო სერვისებში. სკრინინგის ინსტრუმენტი უნდა ითვალისწინებდეს უფროსის მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვის პირობების შეფასებას.
2. **პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები**: საქართველოში, ისევე, როგორც აზერბაიჯანში მცხოვრები ოჯახებისადმი მიმართული საინფორმაციო კამპანიების მთავარი მიზანი უნდა იყოს მოსახლეობის ინფორმირება, რომ ყველა ბავშვმა დაბადებისას პირადობის დამადასტურებელი საბუთები უნდა მიიღოს, მიუხედავად იმისა, თუ სად დაიბადა იგი - ჯანდაცვის დაწესებულებაში თუ მის გარეთ.
3. **უმცირესობების მიმართ არსებული პოლიტიკა და სტიგმის შემცირებისკენ მიმართული ძალისხმევა:** უმცირესობების საკითხების და ინტეგრაციის პოლიტიკა ბავშვების კონკრეტულ საჭიროებებსა და მათ წინაშე მდგომ რისკებს უნდა შეესაბამებოდეს. როგორც აზერბაიჯანში, ისე საქართველოში ხელი უნდა შეეწყოს კვლევას უმცირესობებს შორის ენობრივი მრავალფეროვნების საკითხებზე. საჭიროა ზომების მიღება ორივე ქვეყანაში მოსახლეობის უმცირესობათა ჯგუფების მიმართ არსებული სტიგმის შემცირების და საჯარო სამსახურების თანამშრომელთა კომპეტენციის გაუმჯობესების მიზნით.
4. **საქართველოსა და აზერბაიჯანის თანამშრომლობა წესების დაცვისა და კანონის აღსრულების სფეროში:** ქუჩაში ეკონომიკურ აქტივობებთან დაკავშირებული წესების ჰარმონიზაცია და კანონის აღსრულება მიზნად უნდა ისახავდეს ქვეყნებს შორის რეგულარული მიმოსვლის სტიმულის შემცირებას.
5. **სოციალური სამსახურები:** აზერბაიჯანის სოციალური სამსახურები უნდა გაძლიერდეს იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს ქუჩის ცხოვრებაში ბავშვების ჩართვის პრევენცია, ასევე იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობა მიმართვიანობის ერთობლივი მექანიზმების შექმნის თვალსაზრისით. ამ პროცესში კომპეტენციების გაძლიერებაში დახმარების გაწევა საერთაშორისო დონორებს შეუძლიათ.

პრევენციული ზომები - სერვისის მიმწოდებლები, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციები:

1. **მინდობით აღმზრდელი ოჯახების განათლება**, რათა ხელი შეეწყოს ალტერნატიული და ნაკლებად მკაცრი წესების არსებობას მინდობით აღსაზრდელი ბავშვებისათვის.
2. **სარეაბილიტაციო და მომსახურების გამწევი დაწესებულებების წესების ხელახლა დადგენა**, მაგალითად, არასრულწლოვანთა დახურულ სკოლებში, ვინაიდან ზედმეტად მკაცრი წესებისა და ბავშვების მეგობრულ ურთიერთობებში ჩარევის შედეგად ბავშვები და მოზარდები დაწესებულებებიდან გარბიან და ქუჩის ცხოვრებაში ერთვებიან.
3. **სკრინინგის ინსტრუმენტი:** საჭიროა სკრინინგის ინსტრუმენტის შემუშავება, რომელიც გამოყენებული იქნება დღის ცენტრებში და 24 საათიან თავშესაფრებში, ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების რისკის ქვეშ მყოფი და-ძმისა და ახლო ნათესავებისათვის.
4. **დამატებითი ეკონომიკური მხარდაჭერა რისკის ქვეშ მყოფი მშობლებისათვის**: ოჯახების დახმარებამ უნდა მოიცვას სამსახურის შოვნის მეთვალყურეობის გაუმჯობესება და შემოსავლის მომტანი საქმიანობის დაწყებაში დახმარება.
5. **ფსიქოლოგიური კონსულტაციების გაწევა მშობლებისთვის:** მშობლებთან დაკავშირებული პრევენციული სტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს ფსიქოლოგიურ კონსულტაციებს ისეთ შემთხვევებში, როდესაც საქმე გვაქვს ოჯახში ნარკოტიკული ნივთიერებების ბოროტად გამოყენების, ძალადობის და/ან ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების ისტორიასთან, რაც ბავშვებს ქუჩაში ცხოვრების რისკის ქვეშ აყენებს.

რეაგირების ზომები - სამთავრობო უწყებები და საერთაშორისო ორგანიზაციები:

1. **სერვისების ხელმისაწვდომობა**: სერვისების ცენტრებმა თვალყური უნდა ადევნონ საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის მიგრაციულ ნაკადებს, უფრო კონკრეტულად კი შავი ზღვის სანაპიროზე ტურისტულ სეზონზე ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების გაზრდილ რაოდენობას. ხელისუფლებამ უნდა გამოყოს დაფინანსება შავი ზღვის სანაპიროზე სერვისებისათვის, სადაც ეს სერვისები არ არსებობს. აზერბაიჯანის მხარეზე, საზღვრის გასწვრივ, სპეციალიზებული სერვისები არ არსებობს და მათი განვითარება აუცილებელია.
2. **სოციალური დაცვის ქსელის შექმნა ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვებისთვის:** ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ოჯახებისთვის სოციალური სერვისების გაწევასთან დაკავშირებული კვალიფიკაციის ამაღლება და დაფინანსება სამთავრობო უწყებებისა და საერთაშორისო დონორების პრიორიტეტი უნდა იყოს.
3. **არასამთავრობო ორგანიზაციების სერვისების დაფინანსება ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვებისთვის:** ბავშვებზე ზრუნვის მდგრადი და ხარისხიანი სერვისების უზრუნველსაყოფად მთავრობის მიერ გამოყოფილი დაფინანსება ისე უნდა გაიზარდოს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების დე ფაქტო ხარჯები დაფაროს.
4. **სამართლებრივი რეფორმა:** ბავშვთა სამართლებრივი დაცვის გასაძლიერებლად ბავშვის ექსპლუატაცია დანაშაულად უნდა იყოს აღიარებული. ეს საკითხი ცალკე უნდა რეგულირდებოდეს ტრეფიკინგთან მიმართებაშიც.

5. **ქალაქის მთავრობისა და პოლიციის რეაგირება კრიმინალურ აქტივობებზე:** ქალაქის მთავრობამ და პოლიციამ რეაგირება უნდა მოახდინონ და გამოიძიონ ანგარიშები ბავშვების მონაწილეობით ჩადენილი კრიმინალური ქმედებების შესახებ. გარდა ამისა, გამოძიებული უნდა იქნეს ინფორმაცია, რომ პოლიციის თანამშრომლები თავს არიდებენ 14 წელზე უმცროსი ბავშვების პასუხისგებაში მიცემასთან დაკავშირებულ შემდგომ სამუშაოს.

რეაგირების ღონისძიებები - მომსახურების მიმწოდებლები, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციები:

1. **პროგრამებში ბავშვების ჩართულობა:** ბავშვებისა და მოზარდებისათვის განკუთვნილი ყველა სახის პროგრამა იმგვარად უნდა დაიგეგმოს, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვებისა და მოზარდების მაქსიმალური ჩართულობა და რეაბილიტაციისა და დაცვის საჭიროება უნდა დაბალანსდეს ბავშვებში პირადი ხელშეუხებლობის, სოციალური უწყვეტობისა და თანამიმდევრულობის განცდის ჩამოყალიბებით.
2. **ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ოჯახებთან კომუნიკაცია** აუცილებლობას წარმოადგენს. დახმარება უნდა მოიცავდეს:
   - **გაზრდილ ეკონომიკურ დახმარებას**, ეკონომიკურ საკითხებში კონსულტაციებს, სამსახურის ძებნაში დახმარებას (მათ შორის რისკის ქვეშ მყოფი ოჯახების შემთხვევაშიც) პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს.
   - **გადაუდებელი დახმარების სპეციალური ფონდი მშობლებისთვის**: ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების მშობლებისთვის უნდა არსებობდეს გადაუდებელი დახმარების სპეციალური ფონდი, რომელიც იქნება ნაკლებად ბიუროკრატიული, ვიდრე დღეს არის; ეს ფონდი ფინანსურად უნდა ეხმარებოდეს ოჯახებსა და ბავშვებს და აკმაყოფილებდეს მათ წინაშე უეცრად წამოჭრილ საჭიროებებს ჯანდაცვის სფეროში, საცხოვრებლის დაქირავებასთან დაკავშირებით და ა.შ.;
3. **პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკე პირთა აყვანას** ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისათვის განკუთვნილ სამსახურებში. ამ ბავშვების ოჯახებთან ყველანაირი ურთიერთობისას მთავარი საკითხი უნდა იყოს ენობრივი თვალსაზრისით სენსიტიურობა;
4. **კომპეტენციების განვითარება ქუჩის ბავშვების ოჯახებთან დაკავშირებით:** ბოშების მიმართ სტიგმა ფართოდ არის გავრცელებული ზოგიერთ წრეში. ეს სტიგმა კიდევ უფრო დიდია აზერბაიჯანელი ქურთების მიმართ, რაც ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია იმისა, რომ ეს უკანასკნელნი სოციალურ მომსახურებებს ვერ იღებენ. ეს ინფორმაცია საფუძვლად უნდა დაედოს სოციალურ სამსახურებსა და ზრუნვის დაწესებულებებში კვალიფიკაციის ამაღლებას. საგანმანათლებლო პროგრამებში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს უმცირესობათა ენების ცოდნასაც.
5. **ბავშვებისთვის განკუთვნილი ტრენინგის პროგრამები, კომერციული კოოპერატივები და პროფესიული სწავლება:** საგანმანათლებლო, მათ შორის პროფესიული განათლების, პროგრამებს საფუძვლად უნდა დაედოს ბავშვების ინტერესები და სამომავლო საარსებო წყაროებთან დაკავშირებული მათი სურვილები. პროფესიული სწავლება უნდა ითვალისწინებდეს ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვის სოციალური ქსელის ძლიერ მხარეებს და ხელს უწყობდეს მას, რომ თავისი უნარები მოგვიანებით ბიზნესში ან დასაქმების შესაძლებლობებში (მაგალითად, კომერციულ კოოპერატივში) გამოიყენოს. უნდა

ჩამოყალიბდეს სასწავლო პროგრამები, რომლებშიც მენტორების სახით ადრე ქუჩასთან დაკავშირებული წარმატებული ბავშვები მიიღებენ მონაწილეობას.

6. **ბავშვების ეკონომიკური კონსულტირება**: მომსახურების პროგრამაში ბავშვის შეყვანის დროს, მისი ინდივიდუალური საჭიროებების შეფასებისას, გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის მიერ დაგროვებული ვალიც. ბავშვისთვის კონსულტაციები უნდა მოიცავდეს გეგმებს, თუ როგორ უნდა მოხდეს მისთვის დახმარების გაწევა ეკონომიკური და სხვა ვალდებულებებისგან განთავისუფლებაში.
7. **მომსახურების გაწევა 18 წლის ასაკის შესრულების შემდეგაც**: ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისა და მოზარდებისათვის განკუთვნილი სერვისები და დახმარება უნდა გაგრძელდეს ამჟამად არსებული 18 წლის ზღვრის შემდეგაც.
8. **თანატოლთა გამოცდილების გაზიარება**: ქსელის შექმნას თან უნდა ახლდეს თანატოლებს შორის გამოცდილების გაზიარების მექანიზმების ჩამოყალიბება, მაგალითად, რეგულარული შეხვედრების, სოციალური მედიის პორტალების შექმნისა და ა.შ. მეშვეობით.
9. **ფსიქოლოგიური კონსულტაცია და მომდევნო თერაპიული ღონისძიებები**: უნდა გაძლიერდეს ფსიქოლოგიური კონსულტაციისა და თერაპიული შემდგომი დახმარების გაწევის უნარები და ამ სერვისებში გათვალისწინებული უნდა იქნეს სექსუალურ ძალადობითა და ოჯახში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არსებული ძალადობით გამოწვეულ ტრავმასთან დაკავშირებული სპეციალიზებული კომპეტენცია.

1. შესავალი

თბილისის ცენტრალურ უბნებში, მეტროს სადგურებთან და ძირითად გზაჯვარედინებზე, აგრეთვე, ტურისტული სეზონის დროს - ბათუმის შავი ზღვისპირა ბულვარში, შეუძლებელია ვერ შეამჩნიოთ ახალგაზრდა ბიჭები და გოგონები, რომლებიც გამვლელებს აჩერებენ და ფულს სთხოვენ, ან ვარდებისა და ხატების ყიდვას სთავაზობენ. ზოგიერთ ბავშვს მშობელი ახლავს თან, სხვები მარტონი, ორ-ორი ან რამდენიმე ბავშვისგან შემდგარი ჯგუფებით დადიან. ზოგი მათგანი პოლიციელის ან პოლიციის მანქანის მიახლოებისას გარბის, მაგრამ უმეტესად ბავშვების მათხოვრობა ან წვრილმანი ვაჭრობა ფარული ფენომენი არ არის. პოლიციის ოფიცრები არც თუ ისე იშვიათად ჩერდებიან და ესაუბრებიან ქუჩაში მომუშავე ბავშვებს.

ამის საპირისპიროდ, ბაქოს მდიდრულად მორთულ ცენტრალურ უბნებში მათხოვარი აზერბაიჯანელი ბავშვი იშვიათობაა. მაგრამ, როგორც კი კომერციული უბნების კაშკაშა ფასადებს გავცდებით, ძირითად გზაჯვარედინებთან და სატრანსპორტო კვანძებთან უკვე გვხვდებიან ბავშვები, რომლებიც მანქანების მინებს რეცხავენ ან წვრილმან საგნებს ყიდიან. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ბავშვები მუდმივ მოძრაობაში არიან - წითელი შუქნიშნის ანთებისას უცებ გამოდიან ხოლმე პარკიდან, შესახვევიდან ან სხვა მოფარებული ადგილიდან და მერე, როგორც კი მწვანე შუქი აინთება ან პოლიციის მანქანის გამოჩნდება, ისევ ქრებიან. ქალაქის ცენტრალურ უბნებში, მდიდრულ საფეხმავლო ბულვარებში, ზოგჯერ გამოჩნდებიან ხოლმე ბავშვები, რომლებსაც მიწაზე გაშლილ გადასაფარებლებზე გასაყიდი სათამაშოები ან სხვა საგნები უწყვიათ, მაგრამ ეს დიდხანს არ გრძელდება - ბავშვები თვალის დახამხამებაში ახვევენ გადასაფარებელს და ადგილს ტოვებენ.

საქართველოში ქუჩის ბავშვების პირველი სისტემური კვლევა 2007 წლის ნოემბერში ჩატარდა (Wargan & Dershem 2009:4). კვლევის შედეგად გამოქვეყნებული ანგარიში, სათაურით *„ნუ მიწოდებ ქუჩის ბავშვს!“*, შეიცავდა ინფორმაციას საქართველოს ოთხ ძირითად ქალაქში – თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და რუსთავში - ქუჩის ბავშვების რაოდენობის შესახებ. შეფასების მიხედვით, იმ პერიოდში ქვეყანაში საშუალოდ 1049 ქუჩის ბავშვი იყო (2009:20). ანგარიშში გაანალიზებული იყო ბავშვების პასუხებიც ქუჩაში ცხოვრების მიზეზების შესახებ დასმულ კითხვებზე. მთავარ მიზეზებს შორის დასახელებული იყო უდედმამობა (მშობლის გარდაცვალების ან საცხოვრებელი ადგილის შეცვლის გამო), სიღარიბე (რაც მშობლებს ბავშვზე ზრუნვას უძნელებდა), განქორწინება ან ხელმეორე ქორწინება, კონფლიქტის ზონიდან იძულებითი გადაადგილება ან სოფლიდან ურბანულ დასახლებებში გადმოსვლა, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, ალკოჰოლიზმი ან ძალადობა ოჯახში, სოციალური დაცვის სისტემის უუნარობა და არაფორმალური სოციალური ქსელის უუნარობა (მათ შორის ახლო ნათესავების - გაფართოებული ოჯახის უუნარობა, იზრუნონ ბავშვზე მშობლების არყოფნის დროს) და სკოლაში სწავლისთვის თავის მინებება. ეს კვლევა პირველი იყო იმ თვალსაზრისით, რომ ხაზს უსვამდა მოსაზრებას: „ქუჩის ბავშვები გარკვეული უფლებების, კომპლექსური საჭიროებების და პიროვნული ძლიერი მხარეების მქონე პიროვნებები არიან და არა უბრალოდ დახმარების მიმღებნი“ (2009:8).

2007 წლის შემდეგ სოციალურმა მუშაკებმა თბილისში, რუსთავსა და ქუთაისში ქუჩის ბავშვების პოპულაციაში ცვლილება შენიშნეს. კერძოდ, მათ შეამჩნიეს, რომ ქუჩის ბავშვებს შორის აზერბაიჯანელი ბავშვების (აზერბაიჯანელი ქურთების) რაოდენობა იზრდებოდა. ეს ჯგუფი იმითაა ცნობილი, რომ მშობელი ან სხვა მზრუნველი ყოველთვის ბავშვის შორიახლოს იმყოფება, თუმცა ეს მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი უნიკალური თავისებურება არ არის: საარსებო საშუალებების მოპოვების სტრატეგია უფროსებისა და ბავშვების სისტემატურ ერთობლივ მიგრაციასა და თანამშრომლობაზეა აგებული და

ზოგჯერ ქუჩაში სამუშაოდ უფროსების მიერ ბავშვების აქტიურ გამოყენებას გულისხმობს. უფრო მეტიც, ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ყველა ბავშვი მშობლებს მოცილებული არ არის და მშობლებს იშვიათად არ ეკონტაქტება.

სოციალური მუშაკების ახალი დაკვირვების საფუძველზე გაეროს ბავშვთა ფონდმა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, „ვორლდ ვიჟენ საქართველოსთან“ და „ღია საზოგადოება საქართველოსთან“ თანამშრომლობით, ახალი კვლევის ჩატარება გადაწყვიტა, რომელიც ქუჩაში მცხოვრები ბავშვების ფენომენის უკეთ გაგების მიზანს ემსახურებოდა. კვლევას უნდა დაედგინა არსებული ინსტიტუციური რესურსებიც სათანადო რეაგირების პოლიტიკის შემუშავებისა და არსებული მომსახურებების გაუმჯობესების მიზნით, საქართველოსა და აზერბაიჯანში არსებული სოციალურ-ეკონომიკური რეალობისა და ინსტიტუციური გარემოს გათვალისწინებით. კვლევის პროცესის მონიტორინგისა და ზედამხედველობის მიზნით შეიქმნა საკოორდინაციო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენლები შევიდნენ: გაეროს ბავშვთა ფონდი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სოციალური მომსახურების სააგენტო, „ვორლდ ვიჟენ საქართველო“, „ღია საზოგადოება საქართველო“, „საქართველოს კარიტასი“, ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია და სახალხო დამცველის აპარატი. კვლევის ადრეულ ეტაპზე სამუშაო ჯგუფს შემოუერთდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროც, რომელმაც ევროკავშირის მიერ გამოყოფილი დაფინანსებით სრულად დააფინანსა საქართველოში მიმდინარე საველე სამუშაოები. აღნიშნულ საქმიანობაში აქტიურად თანამშრომლობდა გაეროს ბავშვთა ფონდის აზერბაიჯანის ოფისიც.

ზემოხსენებული დაკვირვება იმის შესახებ, რომ ზოგ ქუჩის ბავშვს უფროსი ახლავს, იმაზე მიგვითითებს, რომ თანამედროვე „ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების“ ჯგუფი ერთგვაროვანი კი არ არის, არამედ ქვეჯგუფებისგან შედგება. წარმოდგენილი კვლევის ჩატარება ბოლო წლებში შემჩნეულმა ცვლილებებმა განაპირობა და მასში დასმული იყო შემდეგი ზოგადი საკითხები: როგორ შეიძლება ქუჩის ბავშვების დივერსიფიცირების და სოციალური ორგანიზების ყველაზე კარგად აღწერა და გააზრება? როგორ უწყობენ ხელს ქუჩის ბავშვების სხვადასხვა ქვეჯგუფის ჩვევები და სოციალური ურთიერთობები იმას, რომ ბავშვი ქუჩის ცხოვრებას თავს ვერ აღწევს? როგორ რეაგირებას ახდენს სხვადასხვა არსებული სამსახური ქუჩის ბავშვების სხვადასხვა ქვეჯგუფის საჭიროებებზე და ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე? ამრიგად, წარმოდგენილ ანგარიშში მოცემული პირველადი ანალიზი ჯგუფების ტიპოლოგიის საკითხს სცდება და მიზნად ისახავს ქუჩის ბავშვების სხვადასხვა ჯგუფის შიგნით, ჯგუფებს შორის და მათ გარშემო მიმდინარე სოციალური პროცესების უფრო დეტალურ აღწერას. ამგვარად ფოკუსირებული ანალიზი გვეხმარება ძირითადი მიზნის მიღწევაში - წარმოვაჩინოთ ბავშვები, როგორც განსაკუთრებული გამოცდილებისა და საჭიროებების მქონე უნიკალური ადამიანები.

ასეთი მიდგომის არჩევისას ჩვენ ვხელმძღვანელობდით ვარაუდით, რომ ქუჩის ბავშვებს შორის თანამშრომლობისა და ურთიერთობის სქემები ერთგვარი „სოციალური წებოს“ როლს ასრულებენ, რომელიც ბავშვს ქუჩასთან ძლიერად აკავშირებს, ახალ ბავშვებს ქუჩაში იზიდავს და შეძლება ხელი შეუშალოს ბავშვისთვის სხვა შესაძლებლობების მოძებნის მცდელობას ქუჩის ფარგლებს გარეთ ან ქუჩის აქტივობების პარალელურად. ის განსხვავებები, რომლებიც სხვადასხვა ქვეკატეგორიის და ჯგუფის სოციალურ ორგანიზებას შორის არსებობს, ნაწილობრივ უკავშირდება იმას, თუ როგორ ურთიერთობენ ბავშვები უფროსებთან ქუჩაში ან მის გარეთ ყოფნის დროს. სხვა ელემენტები უკავშირდება საარსებო საშუალებების წყაროებს, სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფს შორის არსებულ განსხვავებებს (განსაკუთრებით 14 წელზე უმცროს და უფროს ბავშვებს შორის), ბავშვების თანამშრომლობას ერთმანეთთან და სხვებთან (ნათესავებთან, საჯარო მოხელეებთან)

ცხოვრებისთვის საჭირო პირობების შექმნის ან თავის დაცვის მიზნით, იერარქიის არსებობას (ასაკის ან გამოცდილების მიხედვით), რაც დაცვას და/ან ძალადობის საფრთხეს უკავშირდება, და სხვა მსგავს ფაქტორებს.

ბავშვების ქუჩაში ცხოვრების და/ან მუშაობის, ქუჩის ცხოვრებაში ჩაბმის ან ბავშვების მიერ ერთმანეთის უფლებების დარღვევის მიზეზები ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ეს მხოლოდ ბავშვთა თემში არსებული დინამიკის შედეგია: წარმოდგენილი ანგარიში გვიჩვენებს, რომ სტრუქტურულ დონეზე არსებული გარიყვის არაოფიციალური მექანიზმები, ისევე, როგორც სოციალურ-ეკონომიკური დაცვის ქსელების და ბავშვზე ზრუნვის სისტემების მუშაობის ხარვეზები, იმ პროცესების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ, რომლებიც ბავშვის ცხოვრებას ქუჩას უკავშირებენ. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენი მიდგომა იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად მიმართული ძალისხმევა მათი სამყაროსა და რთული ურთიერთდამოკიდებულებების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს და რომ არ არსებობს ერთი რეცეპტი, რომელიც ყველა ბავშვისა და ქვეჯგუფის შემთხვევაში გამოდგება.

ამ კვლევის ფარგლებში დასმულ ძირითად კითხვებზე პასუხის გასაცემად ავტორებმა სიღრმისეული თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია შეიმუშავეს. მისი მიზანი იყო ქუჩის ბავშვებისთვის (იგულისხმება როგორც ყოფილი, ასევე ამჟამად ქუჩაში მცხოვრები/ მომუშავე ბავშვები), მათი მშობლებისთვის, ნათესავებისთვის და ბავშვებთან მომუშავე პერსონალისთვის მიეცა მაქსიმალური საშუალება, გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებები და მოეყოლათ გამოცდილება (დეტალური ინფორმაცია მეთოდოლოგიისადმი მიძღვნილ თავშია აღწერილი).[1] გამოკითხვა მასწავლებლებსა და საჯარო მოხელეებსაც ჩაუტარდათ იმისთვის, რომ გაგვერკვია, როგორია დამოკიდებულება იმ ბავშვებისა და მათი ოჯახების მიმართ, ვინც რეგულარულად კვეთს საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარს და თავი ქუჩის ტიპური აქტივობებით გააქვს, როგორიცაა ყვავილებისა და ხატების გაყიდვა და მათხოვრობა. საქართველოს ქუჩებში აზერბაიჯანელი ბავშვების შემოდინების მიზეზების სწორად გაანალიზების მიზნით კვლევის ფარგლებში საველე სამუშაოები აზერბაიჯანშიც ჩატარდა. კვლევის ეს კომპონენტი კონკრეტულ ამოცანას - საქართველოს ქუჩებში მიგრანტების შემოსვლის ან ორ ქვეყანას შორის მათი რეგულარული გადაადგილების მიზეზების გარკვევას - ემსახურებოდა და მიზნად არ ისახავდა აზერბაიჯანელი ქუჩის ბავშვების მთელი კონგლომერატის მოცვას. ამის გამო საველე სამუშაოების ჩატარების ადგილად შერჩეული იქნა ბაქო და საქართველო- აზერბაიჯანის საზღვრის მიმდებარე დასახლებული პუნქტები - კერძოდ, აგსტაფა და გაზახი.

ქუჩის ბავშვების სხვადასხვა ჯგუფისთვის რეაგირების სისტემის უკეთ მორგების უზრუნველსაყოფად ეს ანგარიში ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ქუჩის ბავშვების სოციალურ კონგლომერატს ეთნიკური და ლინგვისტური ასპექტიც აქვს. საქართველოში ქუჩის ბავშვები სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ. მათგან ყველაზე დიდი ენობრივი ჯგუფებია ქართული, ორი განსხვავებული ბოშური ენა და ქურთული ენის დიალექტი, რომელზეც აზერბაიჯანელი ქურთები ლაპარაკობენ. არის სხვა, უფრო მცირერიცხოვანი ენობრივი ჯგუფებიც, რომელთა შორისაა აზერბაიჯანული, სომხური, რუსული და იეზიდური (თუმცა იეზიდურ ენაზე მოლაპარაკეთა რაოდენობა იმდენად მცირეა, რომ „ჯგუფს“ ვერ დაარქმევ). ამის მიუხედავად, შეინიშნება ლინგვისტური კომპეტენციების გასაოცარი ნაკლებობა არა მხოლოდ არაპროფესიონალთა შორის, არამედ საჯარო მოხელეებსა და სპეციალისტებს შორისაც, რომლებსაც ქუჩის ბავშვებთან ყოველდღიური ურთიერთობა აქვთ. ეს ძალიან

1 ამგვარად, ეს კვლევა განსხვავებულია 2009 წლის კვლევისაგან, რომელიც საველე მუშაკების დაკვირვებებსა და 301 ბავშვის გამოკითხვის შედეგად შევსებული, 40 კითხვისგან შემდგარი სტანდარტული კითხვარის ინფორმაციას ეყრდნობოდა (განხორციელდა 2007 წელს, იხ. Wargan & Dershem 2009:17-18).

სამწუხაროა, რადგანაც ქუშის ბავშვების ინტეგრაციის, პრევენციის ზომების შემუშავების და ქუჩიდან გამოყვანის სტრატეგიების შემუშავების ნებისმიერი მცდელობა, როგორც მინიმუმ, ქუჩის ბავშვებთან და მათ მშობლებთან კომუნიკაციას მოითხოვს. ამასთან დაკავშირებული მეორე საკითხი ისაა, რომ განსხვავებული ჯგუფების კონკრეტული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად სერვისები კულტურული თავისებურებების მიმართ სენსიტიური უნდა იყოს. დაბოლოს, ზოგიერთ ჯგუფთან, კერძოდ, აზერბაიჯანელ ქურთებთან დაკავშირებული სტიგმა მათ სოციალურ გარიყვას იწვევს – საქართველოში სოციალური მუშაკები ამ პრობლემას ნათლად ხედავენ. უფრო მეტიც, ცხადია, რომ უმცირესობების საკითხი გადაწყვეტას საჭიროებს, მაგრამ ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ქუჩის ბავშვების პრობლემა მხოლოდ ეროვნული უმცირესობებით არ შემოიფარგლება.

ანგარიშში შესული თემების დეტალური განხილვის მიზნით საჭიროა შემდეგი კითხვების დასმა:

1. როგორ შეიძლება აღვწეროთ ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების შიდა დიფერენცირება და გარემოებები ისეთ ჯგუფებთან მიმართებაში, როგორებიცაა უფროსების, ოჯახის წევრების ან ნათესავების თანხლებით ან მათ გარეშე მყოფი ბავშვები, ასევე ეთნიკური და/ან გეოგრაფიული ან ეროვნული კუთვნილების გათვალისწინებით? როგორ შეიძლება აღვწეროთ ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვები მათი ქვეჯგუფების მიხედვით, ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების, აგრეთვე ასაკის, გენდერის და სხვა შესაბამისი პარამეტრების გათვალისწინებით?

2. როგორ შეიძლება აღვწეროთ ბავშვთა სოციალური ორგანიზება – ქვეჯგუფების შიგნით და სხვადასხვა ჯგუფს შორის – განსაკუთრებით ისეთ საკითხებში, როგორებიცაა საარსებო წყაროებთან დაკავშირებული თანამშრომლობა, იერარქია და ერთმანეთზე დამოკიდებულების სტრუქტურები, ვალები და დავალიანების რაოდენობა? რამდენად ემთხვევა ეს ნარკოტიკების მოხმარების და ძალადობის ტენდენციებს ან ძალადობის საფრთხეს? რამდენად უწყობს ეს ხელს სხვადასხვა გზით, სხვადასხვა ქვეჯგუფში, ქუჩაში ცხოვრების წესის ხანგრძლივად შენარჩუნებას?

3. რა ფაქტორები უბიძგებს ახალ ბავშვებს ქუჩისკენ? რა აქეზებს ახალ ჯგუფებს უცხოეთიდან, სოფლებიდან და გარეუბნებიდან საქართველოს ქალაქების ქუჩებში საცხოვრებლად და სამუშაოდ გადმოსვლისკენ?

4. რომელია ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების ის მთავარი უფლებები, რომლებიც ირღვევა, მათ შორის ჯანმრთელობის დაცვის და განათლების მიღების, ძალადობისგან დაცვის უფლებები და ა.შ.?

5. სერვისების მიმწოდებელთა გამოცდილებით, საქართველოში მათ ყველაზე მეტად უჭირთ სოციალურ მომსახურებებში იმ ბავშვების ჩართვა, რომლებიც საკუთარ თავს აზერბაიჯანელად მიიჩნევენ (და აზერბაიჯანულად ლაპარაკობენ). რა ფაქტორები განაპირობებს ამგვარ შედარებით იზოლაციას ან წვდომის სირთულეს? რასთან არის ეს დაკავშირებული: ენობრივ ბარიერებთან, სოციალურ მოწყობასთან (მაგალითად, ბავშვების განსხვავებულ კავშირთან მშობლებთან, დამსაქმებლებთან თუ სხვებთან), დისციპლინასთან თუ რაიმე სხვა ფაქტორებთან?

6. რა განსხვავებული სერვისები სჭირდება ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების სხვადასხვა ჯგუფს?

7. როგორ რეაგირებენ არსებული სერვისები ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების სხვადასხვა ქვეჯგუფის საჭიროებებზე?

კვლევის ეს ძირითადი შეკითხვები გაეროს ბავშვთა ფონდისა და ადგილობრივი მონაწილე მხარეების მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავდა. ისინი არ ასახავს პროექტის ტექნიკურ დავალებაში შეტანილ ყველა მოთხოვნას. კვლევის საწყის ეტაპზე ტექნიკური დავალება შეიცვალა. მნიშვნელოვანი ცვლილება იმაში მდგომარეობდა, რომ კვლევა საქართველოში ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვების რაოდენობის პროგნოზირებას აღარ ითვალისწინებდა. გარდა ამისა, ინსტიტუციური ანალიზისთვის საჭირო მონაცემების შეგროვების პასუხისმგებლობა გაეროს ბავშვთა ფონდის კონსულტანტებს გადაეცათ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საველე სამუშაოების გარდა, პროექტს დაემატა ქუჩის ბავშვებთან, ბავშვის დაცვასთან და საქართველო-აზერბაიჯანს შორის მიგრაციასთან დაკავშირებული ინსტიტუციური და საკანონმდებლო საკითხების შესწავლაც. ორივე ქვეყანაში ეს სამუშაოები გაეროს ბავშვთა ფონდის კონსულტანტმა შეასრულა. ისინი ცალკე დანართებშია აღწერილი. კანონებისა და მარეგულირებელი დოკუმენტების შესახებ ძირითად ტექსტში შეტანილი ინფორმაცია სწორედ ამ კვლევების შედეგებს ეყრდნობა. მომდევნო თავში მათი მოკლე მიმოხილვაა მოცემული.

საქართველო და აზერბაიჯანი: ქუჩის აქტივობები, ბავშვები და კანონი

ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელიც 1991 წელს საბჭოთა კავშირიდან საქართველოს გამოყოფას და დამოუკიდებლობის მოპოვებას მოჰყვა, და აფხაზეთსა (1992–93) და სამხრეთ ოსეთში (2008) ომების შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა დიდმა ნაკადმა ქუჩის ბავშვების შემადგენლობა და ქცევა შეცვალა. მანამდე საქართველოში ქუჩის ბავშვები ასე თვალსაჩინოდ არ ჩანდნენ. საჭიროა საგანგებოდ აღინიშნოს, რომ მშობლებს დაშორებული და სიღარიბის გამო ქუჩებში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვები საბჭოთა კავშირშიც არსებობდნენ. მშობელთა ზრუნვას მოკლებულ ბავშვებს უპატრონო ბავშვთა დიდ თავშესაფრებში ათავსებდნენ. საბჭოთა კავშირიდან გამოყოფის შემდეგ როგორც საქართველოში, ასევე აზერბაიჯანში დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი დაიწყო, რომელიც ჯერ კიდევ გრძელდება და ობოლთა მსხვილი სახელმწიფო თავშესაფრების დაშლას გულისხმობს.

როგორც საქართველომ, ასევე აზერბაიჯანმა ხელი მოაწერეს გაეროს „ბავშვის უფლებათა კონვენციას“ - საქართველომ 1994 წელს, ხოლო აზერბაიჯანმა 1992 წელს.[2] 2003 წელს საქართველოს ეგრეთ წოდებული „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ხელისუფლებაში მოსულმა მთავრობამ დააჩქარა ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა. საქართველოს შემთხვევაში ეს გულისხმობდა თავშესაფრების ჩასანაცვლებლად ბავშვებისთვის ალტერნატიული ზრუნვის საშუალებების შემოღებას, ბავშვის ფულად დახმარებას და არასრულწლოვანთა სამართლის რეფორმას (იხ. Wargan & Dershem 2009: 10).

ზოგადად, ბავშვთა კეთილდღეობის სისტემა საქართველოში უკეთ არის განვითარებული, ვიდრე აზერბაიჯანში. საქართველოში მიზნობრივი სოციალური დახმარების სქემა დროში შეზღუდული არ არის, ხოლო აზერბაიჯანში ის მხოლოდ ორი წლის მანძილზე გაიცემა, თუმცა ვადის გაგრძელება შესაძლებელია, თუ აპლიკანტი განცხადების შემოტანის სრულ პროცესს ხელმეორედ გაივლის. საქართველოში სოციალური მომსახურების სააგენტო მოწყვლად ბავშვებთან სახლში ვიზიტებს ახორციელებს მათ მდგომარეობაზე დაკვირვების მიზნით, ხოლო აზერბაიჯანში რაიონული განყოფილებების საქმიანობა პრევენციული ზომებით შემოიფარგლება და ისინი სათანადოდ მომზადებული სოციალური მუშაკების ნაკლებობას განიცდიან (იხ. დანართები №1 და №2).

2 https://treaties.un.org/pages/ViewDetails.aspx?src=IND&mtdsg_no=IV-11&chapter=4&lang=en.

რაც შეეხება არაფორმალური ეკონომიკის, კერძოდ, ქუჩაში ვაჭრობის, წვრილმანების გაყიდვის და მათხოვრობის მარეგულირებელ კანონმდებლობას, განსხვავება საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის რადიკალურია. ამ კვლევის ფარგლებში ჩატარებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოების შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ საქართველოში მათხოვრობა აკრძალული არ არის (დანართი №1). ქუჩაში წვრილმანი ვაჭრობა საქართველოში ნებადართულია (ზოგიერთი კონკრეტული გეოგრაფიული ტერიტორიის გამოკლებით). ქუჩაში ვაჭრობისთვის ნებართვაა საჭირო, რომელსაც ადგილობრივი მუნიციპალიტეტები გასცემენ. დაუმორჩილებლობის შემთხვევაში მათ შეუძლიათ დახმარება პოლიციას სთხოვონ. მეორე მხრივ, არასრულწლოვნის ჩაბმა მათხოვრობაში ან რაიმე სხვა ანტისოციალურ საქმიანობაში (ნივთიერებების გამოყენება არასამედიცინო მიზნით, პროსტიტუცია) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით აკრძალული და დასჯადია.

აზერბაიჯანში მათხოვრობა 2000 წელს მიღებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით აიკრძალა, ხოლო 2016 წელს მიღებულმა ახალმა კოდექსმა ჯარიმები გაზარდა. 2016 წლის კოდექსი მაწანწალობას და მაწანწალობაში არასრულწლოვანთა ჩაბმას კრძალავს და მიიჩნევს, რომ მათხოვრობა იგივე მაწანწალობაა. „ლიცენზირებისა და ოფიციალური ნებართვების შესახებ“ კანონი ოფიციალური ნებართვის გარეშე ქუჩაში ვაჭრობას კრძალავს. ეს სამართლებრივი პრინციპი საქართველოში მოქმედი კანონის მსგავსია, მაგრამ, როგორც ჩანს, კანონის რეალური აღსრულების პრაქტიკა აზერბაიჯანში უფრო ყოვლისმომცველია, ვიდრე საქართველოში: მაგალითად, ბაქოს ცენტრალურ უბნებში ქუჩის მოვაჭრეებს თითქმის ვერ ნახავთ და, საქართველოსგან განსხვავებით, იმ პატარა ქალაქების ცენტრებშიც, სადაც ამ პროექტის გუნდი 2017 წლის ზაფხულში ჩავიდა, ქუჩის მოვაჭრეები არ ჩანდნენ. საქართველოს ურბანულ დასახლებებშიც ქუჩის ბავშვები უფრო მეტად ჩანან, ვიდრე აზერბაიჯანში. საქართველოში ქუჩის ბავშვები დაუფარავად მათხოვრობენ და წვრილმან საგნებს ყიდიან. შესამჩნევია, რომ თბილისში, ბათუმში, რუსთავსა და ქუთაისში ბევრი ბავშვი წარმოშობით აზერბაიჯანელია.

1993 წლის ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის უვიზო რეჟიმი არსებობს. ამ ორი ქვეყნის მოქალაქეებს საშუალება აქვთ, მასპინძელ ქვეყანაში უვიზოდ 90 დღე დაყონ. 2015 წელს ქვეყანაში ყოფნის ნებადართული პერიოდი სამი თვიდან ერთ წლამდე გაგრძელდა.[3] ქვეყანაში უვიზოდ ყოფნის ვადის გახანგრძლივებამ მიგრაციის სქემებზე იმოქმედა. კვლევის ავტორები იმ აზერბაიჯანელებს გაესაუბრნენ, რომლებიც ორ ქვეყანას შორის რეგულარულად მგზავრობენ. საუბრიდან გაირკვა, რომ რეგულარული მგზავრობის მიზეზად ისინი საქართველოდან აზერბაიჯანში სხვადასხვა პროდუქტის შეტანასა და გაყიდვას ასახელებენ - მაშინაც კი, თუ ბავშვებთან ერთად მგზავრობენ. დასახელებულ მიზეზებს შორის იყო საქართველოს მოქალაქეთა მეტი გულუხვობაც მათხოვრების მიმართ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ 2015-2016 წლებში აზერბაიჯანული მანათის ძალიან მნიშვნელოვანმა გაუფასურებამ აზერბაიჯანელებს სტიმული მისცა, შემოსავლის წყაროები საქართველოში ეძებნათ. ამასთან ერთად, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ამ ორი ქვეყანის განსხვავებული მიდგომაც წვრილმანი ვაჭრობისა და მათხოვრობის მიმართ და აზერბაიჯანის ქალაქების ცენტრალურ უბნებში ამკრძალავი კანონის უფრო მკაცრი აღსრულება.

3 აღნიშნული ცვლილება, რომელიც ვიზიტორებს ქვეყანაში ერთ წლამდე პერიოდით დარჩენის ნებას აძლევდა, საქართველოს მთავრობის ცალმხრივი გადაწყვეტილებით იქნა მიღებული. იგი არ ეხება აზერბაიჯანში ქართველების დარჩენის ხანგრძლივობას, რომელიც კვლავ 90 დღეა.

ვინ არიან ისინი?
„ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების“ განმარტება

მას შემდეგ, რაც „ქუჩის ბავშვის“ ცნება პირველად გაჩნდა, მან მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. 1980-იან წლებში ეს ტერმინი ნიშნავდა:

> *ნებისმიერ გოგონას ან ბიჭს [...], რომლისთვისაც ქუჩა (ამ სიტყვის ფართო გაგებით, რაც ცარიელ შენობას, ტერიტორიას და სხვა მსგავს ფართობსაც მოიცავს) ჩვეულებრივ საცხოვრებელ ადგილად და/ან საარსებო საშუალებების წყაროდ იქცა და რომელიც არ არის მასზე პასუხისმგებელი უფროსების სათანადო დაცვის, მეთვალყურეობის ან ხელმძღვანელობის ქვეშ (გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი, 2012:9)*

მისი შემოღებიდან ძალიან მოკლე ხანში ეს ცნება რამდენიმე ქვეკატეგორიად დაიყო. ძირითადად *„ბავშვები ქუჩაში“* ნიშნავდა ბავშვებს, რომლებიც ქუჩაში მუშაობენ, მაგრამ ღამით სახლში, თავიანთ ოჯახებში ბრუნდებიან; *„ქუჩის ბავშვები“* ნიშნავდა ბავშვებს, რომლებიც ქუჩაში ცხოვრობენ და იქვე სძინავთ, ოჯახისგან დახმარებას არ იღებენ, თუმცა მასთან კავშირი შენარჩუნებული აქვთ; და *„მიტოვებული ბავშვები“* ნიშნავდა ბავშვებს, რომლებიც სრულიად მიტოვებულნი არიან (გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი, 2012:9). 1990-იან წლებში ტერმინი „ქუჩის ბავშვები“ კიდევ უფრო დაზუსტდა და უფრო დივერსიფიცირებული გახდა იმისათვის, რომ უკეთ გადმოეცა ბავშვების უკიდურესად მრავალფეროვანი სიტუაციები და ყურადღება ბავშვთა ცხოვრების გარემოებებზე გადაეტანა:

> *ადამიანის უფლებათა საბჭოს №16/12 რეზოლუციაში გამოყენებულია ტერმინი „ქუჩაში მომუშავე და/ან მცხოვრები ბავშვები“, ხოლო „ბავშვის უფლებათა კომიტეტმა გამოიყენა ტერმინი „ქუჩის სიტუაციაში მყოფი ბავშვები“ იმ ფაქტის აღიარების მიზნით, რომ ქუჩაში ბავშვები მრავალ სხვადასხვა საქმიანობას ეწევიან და თუ საქმე გვაქვს „პრობლემასთან“, ეს ბავშვის ბრალი კი არ არის, არამედ იმ სიტუაციის შედეგია, რომელშიც ბავშვი აღმოჩნდა (გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი, 2012:10).*

ზემოხსენებული მიდგომის მსგავსად, აპტეკარმა და სტოკლინმაც (2014) გამოიყენეს *„ქუჩის სიტუაციაში მყოფი ბავშვების“* ცნება იმისათვის, რომ საზოგადოების ყურადღება იმ გარემოებებისთვის მიეპყროთ, რომელთა წინაშეც ბავშვები აღმოჩნდნენ, და ხაზი გაესვათ, რომ ბავშვი,

> *როგორც სოციალურ გარემოში მოქმედი პირი, აქტიურად ცდილობს, თავისი ქცევა სოციალურ კონტექსტს მოარგოს... ეს ბავშვები და მოზარდები მხოლოდ შეცოდების ღირსი მსხვერპლნი კი არ არიან; ისინი მოქმედი პირებიც არიან, რომლებიც სირთულეებთან განმკლავებას ცდილობენ ისეთი სამყაროს შექმნის გზით, რომელიც მათ გადარჩენაში დაეხმარება (2014:1–2).*

აპტეკარმა და სტოკლინმა ყურადღება გაამახვილეს იმ განსხვავებულ სიტუაციებზე, რომლებსაც ბავშვები ქუჩაში აწყდებიან. ამრიგად, აუცილებელი არ არის, რომ ქუჩის სიტუაციაში ბავშვებს შორის არსებული სოციალური და ტერიტორიული ურთიერთობები მხოლოდ ქუჩით შემოიფარგლებოდეს; მათი ჩამოყალიბება ხდება სხვა კავშირებთან კომბინაციაში, როგორიცაა, მაგალითად, ოჯახი, სამეზობლო და სკოლა (იხ. გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი, 2012:10). აქედან გამომდინარე, აპტეკარმა და სტოკლინმა აღნიშნეს, რომ „ქუჩის სიტუაციაში მყოფი ბავშვებისთვის საერთოა

ის გარემოება, რომ ქუჩა მათი ფიზიკური და ფსიქოსოციალური გარემოს მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს“ (2014:13). ასეთი მიდგომა ეხმიანება „ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვების“ ცნებას, რომელსაც გაერო თავის პუბლიკაციებში იყენებს:

> *ტერმინი „ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვი“ აღნიშნავს ბავშვს, რომლისთვისაც ქუჩა ცენტრალური საბაზისო პუნქტია – ადგილი, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვის ყოველდღიურ ცხოვრებასა და იდენტობაში (გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი, 2012:10).*

უფრო მეტიც, ცნების ჩამოყალიბების ისტორიის ეს მოკლე მიმოხილვა გვიჩვენებს, თუ როგორ იცვლება აქცენტები და მიდგომა - თუ თავდაპირველად ბავშვებს შედარებით მარტივ კატეგორიებად ყოფდნენ (ბავშვის ადგილმდებარეობისა და მშობლის ზრუნვის არსებობის მიხედვით), ამჟამად მთავარი ყურადღება ქუჩასთან ბავშვების კომპლექსურ კავშირებს და მათ მიერ დამყარებულ ურთიერთობებს ექცევა.

წარმოდგენილი ანგარიშის სამიზნე ჯგუფი „ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვები“ არიან. ეს ჯგუფი იმ ბავშვებისა და მოზარდებისგან (18 წლამდე ასაკის პირებისგან) შედგება, რომლებისთვისაც ქუჩა „მნიშვნელოვან როლს თამაშობს ... მათ ყოველდღიურ ცხოვრებასა და იდენტობაში“ (იხ. გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი 2012:10). ამ ჯგუფში შედიან ბავშვები, რომლებიც დღის საათებს ძირითადად ქუჩაში ატარებენ (ხოლო ზოგიერთი მათგანი ღამეც ქუჩაში რჩება), აგრეთვე 18 წლამდე ასაკის მიტოვებული, სახლიდან გაქცეული, უსახლკარო ბავშვები და ქუჩაში მცხოვრები ოჯახების ბავშვები. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი კვლევა მომუშავე ბავშვებსაც მოიცავს, იმდენად, რამდენადაც ბავშვთა შრომა ქუჩის აქტივობებს უკავშირდება (წვრილმანებით ვაჭრობა, მათხოვრობა და ა.შ.). აღსანიშნავია, რომ ბევრი მოზარდი, რომელიც ღამეს თავშესაფარში ატარებს, ხშირად ქუჩის ცხოვრებას აგრძელებს, ანუ იმ სოციალურ და ქუჩის კავშირებს ინარჩუნებს, რომლებიც თავშესაფარში მოხვედრამდე ჰქონდა. ამის გამო საველე სამუშაოების დროს ჩვენი რესპოდენტების სიაში თავშესაფრებში მცხოვრები ან პერიოდულად იქ მიმსვლელი ბავშვებიც შევიყვანეთ. ამას გარდა, გამოკითხვა ჩაუტარდათ ამჟამად თავშესაფარში მცხოვრებ ყოფილ ქუჩის ბავშვებს და იმ ბავშვებს, რომლებიც განსაკუთრებით რთულ ცხოვრებისეულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ, რის გამოც ისინი ქუჩის ცხოვრების დაწყების საფრთხეში არიან.[4]

ეთნიკური იდენტობა და უმცირესობების საკითხი

თბილისელთათვის ქუჩაში მცხოვრები ბავშვების/ქუჩის ბავშვების ცნება მჭიდროდ უკავშირდება გარკვეულ საქმიანობას, მაგალითად, ყვავილების, ხატებისა და სხვა წვრილმანი ნივთების გაყიდვას, ასევე ჯართის შეგროვებას, დღის ბოლოს ბაზარში კვების პროდუქტებისა და ბოსტნეულის ნარჩენების შეგროვებას და მათხოვრობას. ზოგიერთი ადამიანი ქუჩის ბავშვებს ნახევრად კანონიერ საქმიანობასთან აკავშირებს, როგორიცაა ფულის შეგროვება ვითომ საქველმოქმედო ორგანიზაციებისათვის, თუმცა სინამდვილეში ბავშვები ამ თანხას პირადი მოხმარებისათვის იყენებენ; ქუჩის ბავშვებს უკავშირებენ ისეთ დანაშაულებრივ ქმედებებსაც, როგორიცაა ჯიბის ქურდობა, მანქანებიდან ღირებული

4 ეს იყვნენ სკოლამდელი ასაკის ბავშვები, რომლებიც შესაბამისი ცენტრების (რომლებშიც ბავშვები დადიოდნენ ან ცხოვრობდნენ) თანამშრომლებმა რისკის ქვეშ მყოფებად მიიჩნიეს, რადგანაც პროგრამაში ჩართვამდე ეს ბავშვები ქუჩაში დიდ დროს ატარებდნენ. ამ ბავშვების უმეტესობა დაშორებული ოჯახებიდან იყო, რომლებშიც ერთი ან ორივე მშობელი ნარკოტიკულ ნივთიერებებს ბოროტად მოიხმარდა, და, ზოგ შემთხვევაში, მათ დას ან ძმას სკოლა მიტოვებული ჰქონდა ან არასდროს უვლია სკოლაში.

ნივთების მოპარვა, ბინების გატეხვა და ქურდობა, მაღაზიებიდან და ბაზრის დახლებიდან ფულისა და საქონლის მოპარვა.

აღსანიშნავია, რომ ქუჩის ოჯახებში მცხოვრებ ბავშვებს ეთნიკური ტერმინოლოგიის შესაბამისად უმეტესწილად „ბოშას“, ზოგჯერ „ციგანსაც“ უწოდებენ. აზერბაიჯანში ქუჩაში მცხოვრებ და/ან მომუშავე ბავშვებს იმავე ეთნიკური ტერმინოლოგიის საფუძველზე უმეტეს შემთხვევაში „ყარაჩის“ უწოდებენ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბავშვები, რომლებიც საქართველოს ქუჩებში ცხოვრობენ და მუშაობენ, სხვადასხვა ენაზე საუბრობენ და საკუთარი თავის იდენტიფიცირებას სხვადასხვა ეთნიკური იარლიყის მიხედვით ახდენენ. ამის მიუხედავად, ქუჩის ბავშვების უმეტესობა ეთნიკურად ქართველია. დანარჩენი ბავშვები და მოზარდები თავს „ბოშებს“ მიაკუთვნებენ. სახელდობრ, იდენტიფიცირებული იყო ორი დიდი ქვეჯგუფი - ერთი მხრივ, „მოლდაველი (ან „მოლდოველი“) ბოშები, ხოლო, მეორე მხრივ, „ლომ“, „დომარი“ ან „ბოშა“. „მოლდაველი ბოშას“ და „დომარის“ ენები ერთმანეთისაგან განსხვავდება.[5] ბაქოში, თავშესაფარში, განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში მცხოვრები ბავშვების უმეტესი ნაწილი, რომლებიც ჩვენ მოვინახულეთ (მათ შორის, ყოფილი „ქუჩის ბავშვები“), აზერბაიჯანელები იყვნენ.

ცნება „მოლდაველი ბოშა.“ ჩვენი რესპონდენტების აზრით, კულტურულ გაერთიანებას წარმოადგენს. ასეთი სახელი მათ იმის გამო დაერქვათ, რომ საბჭოთა კავშირის პერიოდში ბოშათა ზოგი ჯგუფის წევრებმა პირადობის დამადასტურებელი საბუთები მოლდავეთის საბჭოთა რესპუბლიკაში აიღეს და „მოლდაველებად“ დარეგისტრირდნენ. საბჭოთა კავშირის დაშლის და საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ მათ ეს სახელი შერჩათ. ზოგიერთი ბავშვი, რომელთაც ვესაუბრეთ, საკუთარ თავს ხან „მოლდოველს“ და ხან „ციგანს“ უწოდებდა. ამ ქვეჯგუფის სხვა მოზარდები საკუთარ ენას „რუმინულ ბოშურ“ ენად მიიჩნევდნენ. საქართველოში „მოლდოველი/მოლდაველი ბოშა“ იმ ადამიანებს ეწოდებათ, რომლებიც მუდმივად მოხეტიალე ცხოვრებას ეწევიან და ამით ირჩენენ თავს. ასეთი კულტურული წარმოდგენა არაბოშათა შორის მრავალ ვარიაციას მოიცავს.

მეორე მხრივ, „დომარ“ ან „ლომ“ ეთნიკური წარმომავლობის პირებს, რომლებიც საკუთარ თავს ზოგჯერ „ბოშად“ მიიჩნევენ, უფრო ხანგრძლივი კავშირი აქვთ მიწასთან ან საქართველოს კონკრეტულ კუთხეებთან. „მოლდოველი ბოშასგან“ განსხვავებით, ისინი თავს ხშირად „ნამდვილ ბოშას“ (ან „რომა რომას“ უწოდებენ). ბევრმა ოჯახმა, რომელიც „ნამდვილ ბოშად“ მიიჩნევს თავს, განაცხადა, რომ მათი ოჯახი საქართველოში უკვე თაობებია ცხოვრობს. საქართველოში მცხოვრებმა ხანშიშესულმა „დომარმა“ მამაკაცმა თავისი ოჯახის ისტორიის მოყოლისას ის ტრადიციული ხელობები დაასახელა, რომლებსაც ოჯახი მისდევდა. კერძოდ, ეს იყო ლითონის დამუშავება/ზეინკლობა და ცხენოსნობა. როდესაც შეკვეთას აძლევენ, იგი კვლავ ამზადებს ლითონის ისეთ ნაკეთობებს, როგორიცაა ცულის პირები, ცხენის აღკაზმულობა და შანდლები. თუმცა, როგორც მან განმარტა, მისი ოჯახის ტრადიციული ხელობა და საარსებო წყარო საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა მათ მომსახურებასა და პროდუქციაზე მოთხოვნის შემცირების გამო. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახს კვლავ ჰყავდა ცხენი, მხოლოდ ცხენების მოვლა-მოშენებით ის თავს უწინდელივით ვეღარ გაიტანდა. მოხუცის შვილები და შვილიშვილები კვლავ ლითონთან დაკავშირებულ საქმიანობას ეწეოდნენ, რაც ჯართის შეგროვებასა და ჩაბარებაში გამოიხატებოდა. მოხუცი მეტწილად ამაყობდა საკუთარი მდიდრული კულტურული მემკვიდრეობით, თუმცა მომავალს პესიმისტურად უყურებდა, რადგან მომავალში ტრადიციული საარსებო საშუალებების დახმარებით კულტურული ტრადიციების შენარჩუნების შესაძლებლობებს

5 მომსახურების ზოგიერთი მომწოდებელი მიიჩნევდა, რომ საქართველოში მცხოვრებ ქუჩის ბავშვებს შორის წარმოდგენილნი იყვნენ ბოშების სხვა, უფრო მცირე ჯგუფებიც, თუმცა საველე სამუშაოების პერიოდში ჩვენ არ შეგვხვედრიან ბოშები, რომლებიც ზემოთ აღნიშნული ორი ჯგუფის გარდა თავს ბოშათა სხვა ჯგუფს მიაკუთვნებდნენ.

ვერ ხედავდა. ქუთაისში „დომარის“ წარმომადგენლები ცალკე თემში ცხოვრობენ, სადაც ოჯახებს სახლები ერთმანეთის ახლოს აქვთ აშენებული.

როგორც ენგებრიგსტენი აღნიშნავს, სიტყვა „ბოშა“ „იმ კატეგორიის ხალხების აღსანიშნავად გამოიყენება, რომლებსაც უმრავლესობისაგან გარკვეულწილად განსხვავებული ცხოვრების წესი და მსოფლმხედველობა აქვთ... ამ ჯგუფების უმრავლესობა სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობს და ერთმანეთთან რაიმე ნათესაობას/მსგავსებას“ არ აღიარებს (2007:2). სახელი „ბოშები“ (ანუ აწინკნები) ერთ ფართო კატეგორიას აღნიშნავს, რომელიც ბევრ სხვადასხვა ბოშურ დიალექტზე მოსაუბრე ხალხებს აერთიანებს. მათ შორის არიან ვლახურ, ბოუაშისა და ჰარანგოს დიალექტებზე მოსაუბრე ხალხები (იხ. Stewart 1997: 9ff.). ბოშათა ისტორია აღმოსავლეთ ევროპაში მუდმივი დისკრიმინაციის, ბატონყმური ჩაგვრისა და მონობის ისტორიაა (Engebrigtsen 2007; Stewart 1997). 1990-იანი წლებიდან დაწყებული, ბოშათა კულტურულმა დისკრიმინაციამ მოიმატა. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში მთელ ევროპაში ახალი ანტიბოშური პოლიტიკური დებატები მემარჯვენე პოპულისტების რიტორიკის ზრდას დაემთხვა (Steward 2012).

აზერბაიჯანშიც ტერმინები „ბოშა“, „ციგანი“ და „ყარაჩი“ ერთმანეთის სინონიმებად გამოიყენება როგორც გარკვეული ჯგუფების აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი. მოსახლეობაში არსებობს ტენდენცია - ერთ ხალხად აღიქვან ყველა ის ხალხი, რომლებსაც, სავარაუდოდ, შუა საუკუნეებში ინდოეთის ქვეკონტინენტიდან გამოსული მიგრანტების შთამომავლებად მიიჩნევენ, და ყველას „ციგანი“ ან „ყარაჩი“ უწოდონ. სიტყვა „ყარაჩი“, რომელიც „ყარაჩელს, ყარაჩიდან მოსულს“ ნიშნავს და დამამცირებლად ითვლება იმ ხალხში, რომელსაც ამ სახელით მოიხსენებენ, რადგან ისინი საკუთარ თავს „აზერბაიჯანელ ქურთებად“ თვლიან. აზერბაიჯანელ ქურთებს არ მოსწონთ, როცა მათ ბოშებად აღიქვამენ. „მოლდაველი ბოშებისა“ და „დომარისაგან“ განსხვავებით, ისინი მუსლიმები არიან.[6]

აზერბაიჯანელი ქურთების მიმართ სტიგმა საყოველთაოდ არის გავრცელებული და მისთვის თავის არიდების განსაკუთრებულ სტრატეგიებს წარმოშობს. როგორც საქართველოში, ასევე აზერბაიჯანში მოსახლეობის უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ აზერბაიჯანელი ქურთების ქურთული იდენტობა ყალბია. ხშირად ამბობენ, რომ „ის არ არიან, ვინც თავი ჰგონიათ“. ტერმინი „ყარაჩი“ „ციგნის“ (ბოშის) სინონიმია და უმრავლესობა თვლის, რომ ყარაჩებიც სხვა ციგნების ან ბოშების მსგავსი ხალხია, რომლებიც თავს ყარაჩებს იმიტომ უწოდებენ, რომ ბოშის (სტიგმატიზაციის) იარლიყს თავი აარიდონ. არსებობს მოსაზრება, რომ ყველა ეს ჯგუფი ერთ „რასას“ (*racine*) მიეკუთვნება. ასეთი „რასისტული“ თვალთახედვა საკმაოდ პრობლემურია: იგი უარყოფს კულტურულ განსხვავებულობას და იმ მნიშვნელოვან ფაქტს, რომ აზერბაიჯანელი ქურთების სალაპარაკო ენა მკვეთრად განსხვავდება საქართველოში მცხოვრები როგორც „მოლდაველი ბოშების“, ასევე „ლომის“ ენებისაგან და ის ქურთულ ენასთან უფრო ახლოსაა, ვიდრე ბოშურთან. ამ ენაზე მოსაუბრე ჯგუფის ლინგვისტური კვლევა ძალიან მწირია. რუსი მეცნიერის კეროფ პატკანოვის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ მათი ენა ინდურ-არიულ ენათა ჯგუფს ეკუთვნის, იგი მაინც განსხვავებულია ბოშური ან დომარული დიალექტებისაგან, რომლებზეც რუსეთში, ბალკანეთსა და ახლო აღმოსავლეთში ლაპარაკობენ.[7]

6 მატრასი (2000) „ახლო აღმოსავლეთის ბოშათა იდენტიფიკაციაზე“ საუბრობს. მათ ყველაზე მეტი კულტურული მსგავსება აქვთ იმ ხალხთან, რომელსაც აზერბაიჯანში „ყარაჩებს“ უწოდებენ. მატრასი აღნიშნავს, რომ ეს ჯგუფები ნაწილობრივ აზერბაიჯანში ცხოვრობენ, სადაც მათ „ყარაჩის“ სახელით იცნობენ (2000:49). თუმცა აქვე აღნიშნავს, რომ იმავე ენაზე მოლაპარაკე ჯგუფს სხვა ქვეყნებში „დომარს“ უწოდებენ. ჩვენ არ ვაპირებთ დეტალური ლინგვისტური ანალიზის ჩატარებას, გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ ტერმინები „დომარი“ და „ყარაჩი“ სინონიმებად გამოყენება საქართველოსა და აზერბაიჯანში, სადაც ამ ორ ჯგუფს ცალკე თემები აქვთ და ერთმანეთისაგან განსხვავებულ ენაზე საუბრობენ. იხ. Matras (2000).

7 See https://en.wikipedia.org/wiki/Garachi.

უფრო მეტიც, მოსახლეობის უმეტესობამ არ იცის, რომ ბოშური ენა ერთი ენა კი არა, რამდენიმე ენაა. არც ის იციან, რომ ქურთულ ენასაც სხვადასხვა დიალექტი აქვს. მაგალითად, როდესაც აზერბაიჯანელთა უმრავლესობა ამტკიცებს, რომ ეს ადამიანები ქურთები კი არა, ყარაჩები არიან, ისინი სხვა ქურთულ დიალექტზე მოლაპარაკე ხალხებს იმოწმებენ (მაგალითად, თურქეთში მცხოვრებ ქურთებს), რომელთა ლექსიკონიც აზერბაიჯანელი ქურთების ლექსიკონისაგან განსხვავდება. ისტორიულად, მომთაბარე ხალხებს მასპინძელი ქვეყნის ენის ან ლინგვისტური ელემენტების გამოყენება ახასიათებთ. საქართველოსა და აზერბაიჯანში უმცირესობათა ენების მრავალფეროვნების კვლევა პრიორიტეტული უნდა იყოს და მისი შედეგები სისტემატურად უნდა მიეწოდოთ პოლიტიკოსებს, მომსახურებისა და სოციალური დახმარების სააგენტოების მუშაკებსა და, ზოგადად, მთელ მოსახლეობას.

ქუჩასთან დაკავშირებულ ბავშვებს შორის აზერბაიჯანელი ქურთები დომარისა და მოლდაველი ბოშებისგან განსხვავდებიან. ქუჩასთან დაკავშირებული აზერბაიჯანელი ქურთი ბავშვები, როგორც წესი, ქუჩის ოჯახებიდან არიან, ისევე, როგორც მოლდაველი ბოშების *ზოგიერთი* ოჯახის ბავშვები. ასე რომ, გარკვეულწილად, ქუჩაში არსებულ სხვადასხვა ქვეჯგუფში არსებობს ერთგვარი გადაფარვა ეთნიკური წარმომავლობისა და სოციალური ორგანიზების (და საჭიროებების/მისწრაფებების) თვალსაზრისით. ამ საკითხს მეორე თავში დავუბრუნდებით.

მიდგომა

ზემოთ აღნიშნული კონცეპტუალური დისკუსიის შესაბამისად, ეს ნაშრომი იკვლევს პროცესს, რომლის მიხედვითაც ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვები აწყობენ, ავითარებენ და არღვევენ ქუჩის ცხოვრებასა და კავშირებს. მოცემული კვლევა არკვევს, თუ როგორ აისახება ამ მხრივ არსებული ვარიაციები ქართველ, აზერბაიჯანელ და საქართველოში მცხოვრებ სხვა ბავშვებზე. ქუჩის კავშირების სხვადასხვა სიტუაციის აღსაწერად უფრო მეტი ფაქტორის გათვალისწინებაა საჭირო, ვიდრე გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ „ქუჩის ბავშვების“ გასასხვავებლად გამოყენებული ზემოთ აღწერილი ფაქტორებია, რადგანაც ისინი მხოლოდ ორ განზომილებას - სოციალურ და სივრცობრივ განზომილებებს - ასახავენ (იხ. Aptekar & Stoecklin 2014: 17-18). ამ მხრივ ჩვენ აპტეკარისა და შტოკლინის მიდგომას ვემხრობით, რომლებიც ცდილობენ, გასცდნენ სოციალურ (ურთიერთობები უფროსებთან) და სივრცობრივ (პირობები და ტერიტორია) ჩარჩოებს და თავის კვლევაში შეიტანონ დროის (ქუჩის ცხოვრების ხანგრძლივობა, ცხოვრების კურსი), სოციალიზაციის (ნორმები და ღირებულებები), კომუნიკაბელურობის (როგორც თანატოლების ჯგუფების შექმნა, ასევე ურთიერთობები უფროსებთან), აქტივობების ტიპების (ქუჩაში აქტივობების ტიპები, როგორიცაა მუშაობა, აზარტული თამაშები, ნარკოტიკების მოხმარება), იდენტობის (საკუთარი თავის ხედვა, ჯგუფთან იდენტიფიცირება), მოტივაციის (ქუჩის ცნება, „ქუჩის კარიერა“, ქუჩაში გასვლის მიზეზები) და გენდერული ფაქტორები (Aptekar & Stoecklin 2014: 18ff, 130, Lucchini 2007-ის და Stoecklin 2007-ის მითითებით). როგორც ეს ქვემოთ არის ნაჩვენები, ჩვენ ემპირიულ მასალას იმ მსგავსი განზომილებების მიხედვით ვაანალიზებთ, რომლებიც საქართველოს რეალობას ასახავს და მოცემული კვლევით გათვალისწინებულ სფეროს შეესაბამება.

საჭიროა მკაფიოდ განვმარტოთ, რომ ქართული და აზერბაიჯანული მასალების ანალიზის დროს ჩვენს მიერ გამოყენებული კონცეფციები განსხვავდება აპტეკარისა და შტოკლინის (2014) მიერ გამოყენებული კონცეფციისაგან. ავტორები განასხვავებენ „ქუჩის ბავშვებსა“ და „უსახლკარო მოზარდებს“. პირველ ცნებას იყენებენ მხოლოდ განვითარებად ქვეყნებთან მიმართებაში, ხოლო მეორეს - განვითარებულ ქვეყნებთან მიმართებაში. განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებად ასეთი კატეგორიული დაყოფა არ განმარტავს, თუ რას

ეფუძნება საქართველოსა და აზერბაიჯანში სოციალურ უზრუნველყოფაზე, სწავლაზე, დასაქმებასა და მომსახურებაზე არათანაბარი წვდომა, მაგალითად, უმცირესობის სტატუსს. საქართველოს მოქალაქე ბევრი ბოშა და ქურთი, სხვა მოქალაქეებისაგან განსხვავებით, სოციალურ მომსახურებას არ იყენებს. ეს გარკვეული ისტორიული და სტრუქტურული მიზეზებით არის განპირობებული, რომელთა გამოც უმცირესობები სახელმწიფოსთან და სახელმწიფო სამსახურებთან კონტაქტზე უარს ამბობენ. როდესაც საქართველოში ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვების დასახასიათებლად „უსახლკარო მოზარდების“ (და არა „ქუჩის ბავშვების“) ცნებას ვიყენებთ, რისკზე მივდივართ, რადგანაც ამის შედეგად შეიძლება გაჩნდეს სხვადასხვა ვარაუდი მშობლების მიერ ბავშვების უგულებელყოფის (ისევე, როგორც სიღარიბის დონის) შესახებ და, უფრო ზოგად ჭრილში, მიიჩქმალოს ქუჩაში მცხოვრებ და/ან მომუშავე ბავშვებს შორის არსებული განსხვავებები და ვარიაციები. გარდა ამისა, აპტეკარი და შტოკლინი, გაეროს ტერმინოლოგიის ანალიზის დროს, ყველა ბოშა ბავშვს „ქუჩის ბავშვების“ კატეგორიიდან გამორიცხავენ, რადგან თვლიან, რომ ისინი მშობლებისგან „განცალკევებული“ და არა „მშობლების თანხლების გარეშე მყოფი“ ბავშვები არიან (2014: 21f.). აპტეკარი და შტოკლინი ამ მიდგომას იმით ასაბუთებენ, რომ ბოშებს მჭიდროდ შეკრული ოჯახები აქვთ (2014:18). და მიუხედავად იმისა, რომ მათი კვლევა საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება, მთელი ეთნიკური ჯგუფის ჰომოგენურ დახასიათებას ემპირიული საფუძვლები არ გააჩნია. ამასთან ერთად, ასეთი მიდგომა ქუჩის ბავშვის მახასიათებლებს კატეგორიებად ყოფს, მაგრამ ავტორების მიერ დასახულ მიზანს - ბავშვების ქუჩის სიტუაციების, მყიფე კავშირებისა და ქუჩაზე დამოკიდებულების ანალიზს - ნაკლებად აღწევს (2014: 16). საქართველოსა და აზერბაიჯანში ჩვენი საველე სამუშაოები მშობლის თანხლების გარეშე ქუჩაში მცხოვრებ მოზარდ ბოშა ბავშვებთან შეხვედრებს ითვალისწინებდა. მშობლებთან, ნათესავებთან და უფროსებთან ბოშა ბავშვების ურთიერთობა სხვადასხვანაირად არის ორგანიზებული. ზოგიერთი ბოშა ბიჭი თბილისში არსებული ბანდის მსგავსი დაჯგუფების წევრია. ბავშვების ზოგიერთი ჯგუფი, რომელიც თბილისის ქუჩებში ცხოვრობს და მუშაობს, ისე არის ორგანიზებული, რომ ბანდების და ქუჩის ბავშვების ან უსახლკარო მოზარდების ერთმანეთისაგან ისე გამიჯვნის საშუალებას არ იძლევა, როგორც ეს აპტეკარისა და შტოკლინის მიერ არის ჩამოყალიბებული (2014: 78ff; აგრეთვე იხ. Heinonen 2011). დაბოლოს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენ ქუჩის ოჯახების ბავშვებს ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების კატეგორიას მივაკუთვნებთ, რადგანაც ისინი, ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების მსგავსად, ქუჩებში ეკონომიკურ საქმიანობას სრული სამუშაო დღის განმავლობაში ეწევიან, მშობლებს დღის საათებში (და ხშირად რამდენიმე დღითაც კი) ეპარებიან და ისეთ საშუალებებს იყენებენ, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნეს გამოკვლეული ქუჩაში მყოფი ბავშვების სოციალური სისტემის შესწავლის პროცესში.

ქუჩასთან კავშირის განზომილებები და ნაშრომის თავების გეგმა

ჩვენ ზოგადად ვიზიარებთ აპტეკარისა და შტოკლინის მიზანს, რომელიც ბავშვების მიერ ქუჩასთან კავშირის წარმოქმნისა და გაწყვეტის მექანიზმების შესწავლას ითვალისწინებს მოცემული კვლევის კონტექსტისა და მოცულობის ფარგლებში. მეორე თავში ქუჩის ბავშვების ქვეჯგუფების შიდა დიფერენცირება მათ მიერ შექმნილი სხვადასხვა სახის კავშირების საფუძველზე არის აღწერილი იმისათვის, რომ პროგრამებით გათვალისწინებული ინტერვენციები ბავშვების განსხვავებულ საჭიროებებზე იქნეს მორგებული. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვასხვავებთ:

- (ქუჩაში მყოფ) უსახლკარო ბავშვებსა და მოზარდებს
- თანმხლების გარეშე ქუჩაში მყოფ ბავშვებს, რომლებსაც სახლში სძინავთ

- ქუჩის მობილური ოჯახების (ქუჩის) ბავშვებს
- უსახლკარო ოჯახების ბავშვებს

თბილისის ქუჩებში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვებისა და მოზარდების დიფერენცირება გაკეთდა იმის მიხედვით, თუ რა ურთიერთობები აქვთ მათ უფროსებთან ან ახლავთ თუ არა მათ უფროსი ქუჩაში ყოფნის დროს (რაც „სოციალურობის“ განზომილების ერთ-ერთ ასპექტს შეადგენს (იხ. Aptekar და Stoecklin 2014 : 130ff). ასეთი დიფერენცირება იმავდროულად ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების სივრცობრივ განზომილებასაც გადმოსცემს, რადგანაც აღწერს, თუ სად ატარებენ ღამეებს ქუჩასთან დაკავშირებული სხვადასხვა კატეგორიის ბავშვები. მეორე თავში განხილულია ქუჩაში ყოფნის ან ქუჩაში გასვლის მიზეზებიც, რაც ბავშვებისა და მოზარდების ქვეკატეგორიებად დაყოფას/დიფერენცირებასაც უკავშირდება. დაბოლოს, მეორე თავში განხილულია, თუ როგორ იკვეთება აღნიშნული დაყოფა/დიფერენცირება ეთნიკურ კუთვნილებასთან.

მესამე თავში განვიხილავთ ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების საქმიანობას როგორც გადარჩენის ან ეკონომიკური საქმიანობის, ასევე მობილობის პრაქტიკის, ნარკოტიკების მოხმარების, აზარტული თამაშების და სექსთან დაკავშირებული ქმედებების კუთხით. მესამე თავში უფრო დეტალურად არის გადმოცემული ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვების სხვადასხვა ჯგუფის შიდა ორგანიზება და დინამიკა. ამ თავში აღწერილია თანატოლთა ჯგუფებში ურთიერთობის, იდენტობისა და როლების ასპექტებიც ასაკობრივ განზომილებასთან ერთად, რომელიც ნაწილობრივ გადმოსცემს ბავშვების ქუჩაში ცხოვრების გარკვეული ტიპური განვითარების ციკლებს ან „კარიერას“. მეორე და მესამე თავები ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვების ცხოვრების გენდერულ ასპექტებსაც ეხება.

მეოთხე თავში მოცემულია მშობლებისა და ოჯახების შეხედულებები, განსაკუთრებით მათი, ვისი ცხოვრებისეული სტრატეგია ტრადიციულად ქუჩის საქმიანობებსა და მობილობასთან არის დაკავშირებული. ამ თავში ასევე აღწერილია მშობელთა რეაქცია საქართველოს სოციალურ მომსახურებაში ზრუნვასთან დაკავშირებით შემოღებული ახალი პოლიტიკის მიმართ. ამავე დროს, აქ განხილულია ქუჩასთან დაკავშირებულ ბავშვებთან და მათ ოჯახებთან სხვადასხვა სამსახურისა და პროგრამის მიერ ჩატარებული ინტერვიუები. მეოთხე თავში განხილულია მრავალი ისეთი პროგრამის ფარგლებში არსებული ცნებებიც, რომლებიც ქუჩის ბავშვების იდეალურ განვითარებას ისახავს მიზნად, მაგრამ, რომლებიც, ჩვენი აზრით, ბავშვის მიერ სოციალურ ქსელებთან და ქუჩის კულტურასთან კავშირის რადიკალური გაწყვეტის მოლოდინს ემყარება. მეხუთე თავში შევეცადეთ, თავი მოგვეყარა შედეგებისთვის და წარმოვადგინეთ რეკომენდაციები.

კვლევის მეთოდი და ტექნიკა

კვლევის მთავარ კითხვებზე პასუხების მისაღებად სიღრმისეული თვისებრივი ანალიზის მეთოდოლოგია შემუშავდა. მას ბავშვებისთვის მაქსიმალური შესაძლებლობა უნდა მიეცა საკუთარი გამოცდილებისა და საჭიროებების შესახებ ღიად სასაუბროდ.[8] მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ, ერთი მხრივ, ბავშვების ცხოვრების პირობების შესახებ ინფორმაცია მიგვეღო, და, მეორე მხრივ, ქუჩასთან მათი კავშირის დინამიკა უფრო ფართო სპექტრში წარმოგვეჩინა. ამ მიზნით კვლევის სპეციალური ფორმატი შევიმუშავეთ. წინასწარ

8 ამგვარად, ეს კვლევა განსხვავებულია 2009 წლის კვლევისაგან, რომელიც საველე მუშაკების დაკვირვებებს და 301 ბავშვის გამოკითხვის შედეგად შევსებული, 40 კითხვისგან შემდგარი სტანდარტული კითხვარის ინფორმაციას ეყრდნობოდა (გამოკითხვა განხორციელდა 2007 წელს, იხ.: Wargan & Dershem 2009:17-18).

შედგენილი კითხვების გარდა ის იმ სალაპარაკო თემების სიასაც შეიცავდა, რომლებიც ინდივიდუალური და ჯგუფური გასაუბრების დროს ინტერვიუერებს რესპოდენტების ქვემოთ ჩამოთვლილ სამ სხვადასხვა ჯგუფთან უნდა განეხილათ:

i. ბავშვებთან: როგორც ყოფილ და ახლანდელ ქუჩის ბავშვებთან, ასევე ქუჩის ცხოვრების დაწყების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვებთან;

ii. ქუჩის ბავშვების მშობლებთან და ნათესავებთან (მათ შორის უფროსი ასაკის და-ძმებთან);

iii. სხვა უფროსებთან: ინტერვიუ „რესურსცენტრების პერსონალთან“ ან „ძირითად რესპონდენტებთან“ (მაგ.: მასწავლებლებთან, სოციალურ მუშაკებთან, ფსიქოლოგებთან, პოლიციის ოფიცრებთან, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან და სხვა პირებთან, რომლებსაც ქუჩასთან დაკავშირებულ ბავშვებთან მეტნაკლებად რეგულარული შეხება აქვთ).

ინდივიდუალური ინტერვიუს სტრუქტურა ისე იყო აწყობილი, რომ რესპონდენტებს ზოგიერთ წინასწარ შედგენილ კითხვაზე პასუხი გაეცათ. რესპონდენტთა სხვადასხვა ჯგუფისთვის განკუთვნილი ფორმები სპეციალურად ამ მიზნისთვის შემუშავდა (იხ. დანართი №3). წინასწარ მომზადებული კითხვები ელემენტარულ საკითხებს ეხებოდა, როგორიცაა ასაკი, წარმომავლობა, ცხოვრების ადგილი, ღამისთევის ძველი ადგილი და განათლების დონე. თუმცა ინდივიდუალური ინტერვიუს მთავარ ნაწილს *დადგენილი სტრუქტურა არ ჰქონდა* და *მოქნილობის* საშუალებას იძლეოდა იმ გაგებით, რომ ინტერვიუერებს იმ საკითხის უფრო ღრმად გამოკვლევა შეეძლოთ, რომელიც წინასწარი კითხვების შედეგად გამოვლინდა. ამასთან ერთად, პოტენციური საკითხების სია კვლევის სახელმძღვანელოში იყო შეტანილი. ბავშვების გამოკითხვისას ეს საკითხები იყო:

- ბავშვის გადაადგილების ისტორია და უფროსის ან სხვა ბავშვების თანხლებით ყოფნა;
- ეკონომიკური აქტივობები, საარსებო საშუალებების მოპოვების სტრატეგიები და დაბრკოლებები;
- მშობლებთან ან ნათესავებთან კომუნიკაციის რეგულარობა;
- ქუჩასთან კავშირის ბუნება და მიზეზები;
- თანამშრომლობისა და დახმარების მოდელები: უფროსებზე, და-ძმაზე ან სხვა პირებზე ზრუნვა და ეკონომიკური დახმარება, აგრეთვე უფროსებისგან ფინანსური ან შრომასთან დაკავშირებული დახმარების მიღება;
- უფროს და უმცროს ბავშვებს / და-ძმებს / ნათესავებს შორის თანამშრომლობა ქუჩის აქტივობებში და ურთიერთდაცვის პრაქტიკა;
- სოციალურ სამსახურებთან კონტაქტი და მათთან ურთიერთობის გამოცდილება.

რაც შეეხება ინტერვიუს ძირითად რესპონდენტებთან (რესურსცენტრების პერსონალის ჩათვლით), სასაუბრო თემები მოიცავდა ინფორმაციას მათი ორგანიზაციის მიერ გაწეული მომსახურებების შესახებ (მაგ.: ჯანდაცვის, განათლების, სოციალური მომსახურებების, ფსიქოლოგიური კონსულტაციის და სხვა სფეროებში), ქუჩის ბავშვებთან და ოჯახებთან მათი კონტაქტის ხასიათის შესახებ, მათ შეფასებას ქუჩის ბავშვების (და ქუჩის ოჯახების) წინაშე მდგომი ეკონომიკური და სოციალური გამოწვევების და ადაპტაციის შესახებ, ქუჩის ბავშვებისა და ოჯახების სპეციფიკური საჭიროებების შესახებ, რესპონდენტების შეხედულებებს იმის თაობაზე, თუ რომელი პოლიტიკა და მომსახურება მუშაობს კარგად და რომელი მთავარი დაბრკოლებები უშლის ხელს მათ ოპტიმალურ მუშაობას, აგრეთვე

ინფორმაციას ქუჩის ბავშვებთან/ოჯახებთან დაკავშირებული კონკრეტული *წარუმატებელი* შემთხვევების /ინიციატივების შესახებ. ძირითად რესპონდენტებთან ჩატარებული ინტერვიუების მიზანი იყო, გაგვერკვია მათი შეხედულებები (და მიკერძოებული დამოკიდებულება) ქუჩის ბავშვებისა და ოჯახების მიმართ.

ბავშვებთან ჯგუფური საუბარი ინდივიდუალური ინტერვიუსგან განსხვავებულ მიზნებს ემსახურებოდა. ჯგუფური ინტერვიუ გამოყენებული იყო ქუჩის ბავშვებისა და ქუჩის სხვა პოპულაციების სოციალური ორგანიზების დასადგენად. ჯგუფური ინტერვიუსთვის განკუთვნილი სასაუბრო თემები იყო:

- მათი ჯგუფისა და სხვა ჯგუფების არეალში შემავალი ქუჩები (დღისით და ღამით);
- ქუჩის ბავშვების სხვადასხვა ჯგუფის მახასიათებლები - ასაკი, სქესი, აქტივობები, საარსებო საშუალებები და ქუჩაში ცხოვრების სტილი;
- ყოველდღიურ ცხოვრებაში წარმოშობილი პრობლემები და კონფლიქტები ქუჩის ბავშვების სხვადასხვა ჯგუფს შორის;
- თანამშრომლობა და კონფლიქტები ჯგუფის შიგნით, ჯგუფებს შორის და ზოგადად ქსელში;
- ქუჩის ბავშვებისა და ჯგუფების მიერ ქუჩის სხვადასხვანაირი აღქმა; და
- ურთიერთდახმარების, სუბორდინაციისა და დომინირების ურთიერთობები.

ბავშვებისა და მოზარდების ჯგუფებთან დისკუსიის დროს ჩვენ, ჩვეულებრივ, ვცდილობდით, თავდაპირველად სხვა ბავშვების შესახებ გაგვეგო და მხოლოდ შემდეგ ვიწყებდით პერსონალური მახასიათებლების გარკვევას. სასტიკი მოპყრობის შესახებ კითხვები პირდაპირ არასდროს ყოფილა დასმული. ზოგიერთ სამიზნე ჯგუფში, განსაკუთრებით, როდესაც საქმე გვქონდა შედარებით უფროსი ასაკის ბიჭებთან, ისეთ თავშესაფრებში, სადაც საველე მკვლევარები მონაწილეებს პირადად იცნობდნენ, საუბარი ზოგჯერ ხუმრობაში გადადიოდა და ადგილი ჰქონდა ფაქტების გაზვიადების ტენდენციას, რაც თავდაპირველად დაუძაბავ ატმოსფეროდ იყო აღქმული. თუმცა ბოლოსდაბოლოს მედიატორები მონაწილეებს ახსენებდნენ, რომ საუბარში მონაწილეობა მათ ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული და მოუწოდებდნენ მოზარდებს, ფაქტების გაზვიადება და ტყუილების მოყოლა შეეწყვიტათ.

საველე მკვლევარების ტრენინგი საქართველოში 2017 წლის 14-21 აგვისტოს, ხოლო აზერბაიჯანში - 22-26 აგვისტოს ჩატარდა. საქართველოში ტრენინგში 13 საველე მკვლევარი მონაწილეობდა. ტრენინგს ჯაბა ნაჭყებია (გაეროს ბავშვთა ფონდი) და მაია მგელაშვილი („ვორლდ ვიჟენ საქართველო“) ხელმძღვანელობდნენ. საველე მკვლევარები შეირჩნენ როგორც დამოუკიდებელ კონსულტანტებს შორის, ასევე საქართველოს სოციალური სამსახურების, „ვორლდ ვიჟენ საქართველოს“ და „საქართველოს კარიტასის“ თანამშრომლებს შორის. მხედველობაში იქნა მიღებული ის გარემოება, რომ „საქართველოს კარიტასს“ ჰყავდა მობილური ჯგუფები, რომელთა წევრებს ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებთან დიდი ხნის ურთიერთობები აკავშირებდათ. ტრენინგის მონაწილე 13 საველე მკვლევარს შორის ექვსმა ინტერვიუერის მომზადების კურსი გაიარა (მანამდე მათ სოციალური მუშაკების, ფსიქოლოგების და თანატოლთა მასწავლებლების მოსამზადებელი კურსები გაიარეს); ოთხი საველე მკვლევარი ინფორმაციის დოკუმენტირების ფუნქციის შესასრულებლად, ხოლო დარჩენილი სამი ფასილიტატორის როლისთვის მომზადდა (მათ პოტენციური რესპონდენტების და კვლევის მონაწილეების გამოვლენა და თარგმნა ევალებოდათ). თბილისში ჩატარებული ტრენინგის შემდეგ თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში პირველი ინტერვიუები და დისკუსიები ზედამხედველობის ქვეშ ჩატარდა.

აზერბაიჯანში ტრენინგი სამ საველე მკვლევარს ჩაუტარდა. მათ ინტერვიუს ჩატარების ტექნიკა შეისწავლეს და ადგილობრივ თემებში, ფოკუს ჯგუფებში, უფროსებთან და ბავშვებთან დისკუსიების ჩატარება აითვისეს. ამასთან ერთად, ოჯახის, ქალებისა და ბავშვების საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო კომიტეტის კონსულტანტმა, კონტექსტუალური ინფორმაციის შეგროვების მიზნით, ინტერვიუები ჩაუტარა სამთავრობო და რაიონული ორგანიზაციების წარმომადგენლებს (ე.წ. აღმასრულებელი კომიტეტების თანამშრომლებს, მასწავლებლებს, პოლიციის ოფიცრებს და ა.შ.). საველე სამუშაოებისთვის მოსამზადებელი ტრენინგი ბაქოში, გაზახსა და აგსტაფაში ჩატარდა.

საველე სამუშაოების შემსრულებელ თანამშრომლებს სახელმძღვანელო ინსტრუქციების პროექტი ტრენინგამდე გადაეცათ, რათა მათგან სახელმძღვანელოს ფორმისა და შინაარსის შესახებ კომენტარები მიგვეღო. საბოლო სახით სახელმძღვანელო ტრენინგის პროცესში მისი ტესტირების შემდეგ შემუშავდა.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოში შერჩეული საველე მკვლევარები ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბევრ ბავშვსა და მოზარდს უკვე იცნობდნენ და რესპონდენტებმა ბევრი ნაცნობი სახე დაინახეს. საველე სამუშაოების შესასრულებლად მომსახურების მიმწოდებელთა გამოყენების აშკარა უარყოფითი შედეგი ის არის, რომ რესპონდენტებს გარკვეული სარგებლის მიღების მოლოდინი უჩნდებათ. ამის გამო ისინი ისეთ პასუხებსა და ინფორმაციას იძლევიან, რომელთა მეშვეობითაც გარკვეული მატერიალური რესურსების ან არამატერიალური სარგებლის მიღებას იმედოვნებენ. მაგალითად, ასეთი პრობლემა გაჩნდა Fafo-ს მიერ გაეროს ბავშვთა ფონდისთვის ჰაიტიზე ჩატარებული კვლევის (ბავშვების მინდობით აღზრდისა და ბავშვთა შრომის შესახებ) დროს, როდესაც დახმარების მიღების იმედით რესპონდენტებმა სიღარიბის შესახებ ინფორმაცია გააზვიადეს. ამის გამო ჩვენ ჰავაიზე აღნიშნული პრაქტიკის გამოყენებაზე უარი ვთქვით (იხ. Sommerfelt 2015).

საქართველოს შემთხვევაში სიტუაცია სრულიად საპირისპირო იყო: ქუჩის ბავშვებს მობილურ ჯგუფებთან კონტაქტის ან მათგან მნიშვნელოვანი სარგებლის მიღების იმედი ყოველთვის არ აქვთ. დიდი ხნის მანძილზე (ცოტა ხნის წინ საქმიანობის შეცვლამდე) მობილური ჯგუფები ქუჩებში ბავშვებთან კონტაქტის დამყარების (ნდობის შექმნის) მიზნით დადიოდნენ და არა აუცილებლად ბავშვების რეაბილიტაციის აქტიური ღონისძიებების განსახორციელებლად. ეს პრაქტიკა შეიცვალა, მაგრამ არა იმდენად, რომ ნდობაზე აგებული ურთიერთობები გადაეწონა. ნდობის საკითხი საველე მკვლევარების ტრენინგის დროსაც უმთავრესი თემა იყო.

საველე სამუშაოების შემსრულებელ ჯგუფებში შედიოდა ერთი წევრი მობილური ჯგუფიდან, რომელიც ინდივიდუალურ ინტერვიუებს იღებდა და ჯგუფში დისკუსიას წარმართავდა, აგრეთვე ერთი წევრი, რომელიც ინფორმაციას იწერდა/დოკუმენტურად აფორმებდა/თარგმნიდა. ამ უკანასკნელ პოზიციაზე მომუშავე ადამიანები უმეტესწილად სპეციალურად ამ სამუშაოს შესასრულებლად იყვნენ დაქირავებულნი. აზერბაიჯანში ორივე ინტერვიუერი/მედიატორი და ინფორმაციის ორივე აღმრიცხველი სპეციალურად ამ ფუნქციისთვის დაიქირავეს. ერთ-ერთ ინტერვიუერს სოციალური მუშაობის გამოცდილება ჰქონდა.

ინტერვიუებისა და ჯგუფური დისკუსიების დროს საველე მკვლევარები ნაწილობრივ უკვე ჩამოყალიბებული ქსელების მეშვეობით მუშაობდნენ და აგრეთვე ცდილობდნენ, კონტაქტი დაემყარებინათ ქუჩაში მყოფ იმ ბავშვებსა და უფროსებთან, რომლებთანაც ადრე კონტაქტი არ ჰქონიათ. რესპონდენტებისგან თანხმობის მიღების შემდეგ საველე მკვლევარები საუბარს კონსპექტის სახით ან ჩამწერი აპარატურის მეშვეობით იწერდნენ, რათა შემდეგ ეტაპზე ჩანაწერების ტრანსკრიფცია გაკეთებულიყო. ტრანსკრიფციის შემდეგ ყველა ჩანაწერი იშლებოდა და მიღებული ინფორმაცია ქართულიდან აზერბაიჯანულ და ინგლისურ ენებზე ითარგმნებოდა.

საქართველოში ჩატარდა 64 ინდივიდუალური ინტერვიუ ბავშვებთან და 48 ინდივიდუალური ინტერვიუ უფროსებთან (მშობლებთან, მზრუნველებთან, მომსახურების პერსონალთან, რესურსჯგუფების პერსონალთან და სახელმწიფო ორგანოების თანამდებობის პირებთან). ორგანიზებული იყო შვიდი დისკუსია ფოკუს ჯგუფში ბავშვებთან, მოზარდებთან და უფროსებთან. აზერბაიჯანში ორგანიზებული იყო 14 ფოკუს ჯგუფში დისკუსია, რვა ინდივიდუალური ინტერვიუ უფროსებთან და 10 ინტერვიუ ბავშვებთან. ამასთან ერთად, კონსულტანტმა ოჯახის, ქალთა და ბავშვთა საქმეების სახელმწიფო კომიტეტიდან წარმოადგინა ინფორმაცია ბავშვებთან სამი ჯგუფური შეხვედრის და ხუთი ინტერვიუს, აგრეთვე უფროს რესპონდენტებთან (მთავრობისა და რაიონული ხელისუფლების წარმომადგენლებთან) ხუთი ინტერვიუს შედეგების შესახებ.

ინტერვიუებისა და ჯგუფური დისკუსიების მოკლე ანგარიშები ქართულ ენაზე (ხოლო აზერბაიჯანში - აზერბაიჯანულ ენაზე) დაიწერა და ინგლისურ ენაზე ითარგმნა. ანალიზი ყველა ამ ანგარიშის საფუძველზე გაკეთდა და ეთნოგრაფიულ პროცედურებს ეყრდნობოდა. კვლევის მიზანი ყველა სახის მოდელის გამოვლენა იყო. მონაცემთა კოდირების რაიმე სტანდარტული პროგრამა გამოყენებული არ ყოფილა. კონკრეტული მაგალითები და შემთხვევები ისე იყო შერჩეული, რომ ყველა გამოვლენილი მოდელის საუკეთესო ილუსტრირება მოეხდინა. ინფორმაციის ყველა მომწოდებლის ანონიმურობა დაცული იყო. ამ კვლევითი პროექტის ფარგლებში შეუძლებელი იყო ბავშვებისა და უფროსების ისტორიების, ინტერვიუების და ჯგუფური დისკუსიების მთელი მრავალფეროვნების გადმოცემა. ამის მიუხედავად, წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია ინტერვიუებისა და ჯგუფური დისკუსიების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიტიკური შეფასება. ანგარიშის პროექტი განხილული იქნა საქართველოსა და აზერბაიჯანში გაეროს ბავშვთა ფონდის თანამშრომლების, ადგილობრივი ქართველი პარტნიორების და ბოლოს გაეროს ბავშვთა ფონდის დაქირავებული დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ.

სპეციალური შენიშვნა მიკერძოებისა და ემპირიული შეზღუდვების შესახებ

როგორც მეორე თავში წარმოდგენილი ანალიზი გვიჩვენებს, ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვების პოპულაცია მრავალფეროვანია. ნაწილობრივ ეს მრავალფეროვნება შესაძლოა შემდეგნაირად გამოისახოს: ზოგი ბავშვი ქუჩაში ოჯახთან ერთად - „ქუჩის ოჯახების“ ჯგუფში - გადაადგილდება, სხვები კი ძირითადად სხვა ბავშვებთან და მოზარდებთან არიან კავშირში. ამ უკანასკნელ ჯგუფში ბავშვთა ერთ ქვეკატეგორიას მშობლებთან ძალიან შეზღუდული კონტაქტი აქვს და იშვიათად ღებულობს მშობლებისაგან მხარდაჭერას ან მზრუნველობას. ჩვენს კვლევაში (იხ. თავი 2) ასეთ ბავშვებს ვუწოდებთ „ბავშვებს თანმხლების გარეშე“ ან ზოგჯერ „უსახლკარო“ ბავშვებს. უმეტეს შემთხვევაში ეს ბავშვები დაშორებული ოჯახებიდან არიან - მათ საკუთარ თავზე გამოსცადეს ავადმყოფობა, მშობლის სიკვდილი და/ან ოჯახში ძალადობა, ხოლო კონფლიქტებმა და ოჯახში უხეშად მოპყრობამ ეს ბავშვები ამჟამინდელ მდგომარეობამდე მიიყვანა. ამ კვლევის ფარგლებში მშობელთა აღნიშნულ ჯგუფთან გასაუბრება ვერ მოხერხდა, რაც ძალიან სამწუხარო ფაქტია, რადგან როგორც საქართველოში, ასევე აზერბაიჯანში სწორედ ასეთი მშობლები არიან პასუხისმგებლები ურბანულ ცენტრებში ქუჩასთან დაკავშირებული მრავალი ბავშვის არსებობაზე. აღსანიშნავია, რომ როგორც საქართველოში, ასევე აზერბაიჯანში ამ მშობლების უმეტესობა ეთნიკურ უმრავლესობას მიეკუთვნება, ანუ საქართველოში ეთნიკური ქართველია, ხოლო აზერბაიჯანში - ეთნიკური აზერბაიჯანელი.

გარდა ამისა, მშობლებთან ინტერვიუებიდან და დისკუსიებიდან მიღებული ემპირიული მასალა შეზღუდულია, განსაკუთრებით საქართველოს შემთხვევაში. რაც შეეხება აზერბაიჯანს, იქ უნებლიე შერჩევის ეფექტი იმან გამოიწვია, რომ ქუჩასთან დაკავშირებული

ბავშვების მშობელთა რესპოდენტებად შერჩევის დროს საველე მკვლევარები ექსკლუზიურად აზერბაიჯანელი ქურთების თემის წევრებს ეძებდნენ. ასეთი არჩევანი კეთდებოდა იმის მიუხედავად, რომ ბაქოს ერთ-ერთ სერვისცენტრში მცხოვრები ყოფილი ქუჩის ბავშვების უმეტესობა ეთნიკურ უმრავლესობას მიეკუთვნებოდა, ე.ი. ეთნიკური აზერბაიჯანელი იყო. შერჩევის ეს ეფექტი განაპირობებს მიკერძოებას - ქმნის მცდარ შთაბეჭდილებას, თითქოს ქუჩის ბავშვები აზერბაიჯანში ძირითადად აზერბაიჯანელი ქურთების თემებს მიეკუთვნებიან - რაც აუცილებლად მხედველობაში უნდა მივიღოთ. აღნიშნული მიკერძოების დასაძლევად ჩვენ ამ საკითხს ნაშრომის იმ თავებში ვუსვამთ ხაზს, სადაც აზერბაიჯანის მონაცემებია გაანალიზებული (იხ. „მშობლები და ოჯახები“ მე-4 თავში).

ეთიკური მოსაზრებები

კვლევის ეთიკური ასპექტების შესახებ კონსულტაციების მიღების და ეთიკური საკითხების შეფასების მიზნით ნორვეგიის ეთიკის კომიტეტს მივმართეთ (იმის გათვალისწინებით, რომ Fafo წარმოადგენს კვლევების ფონდს, რომელიც ნორვეგიაშია რეგისტრირებული).[9] ნორვეგიის ეთიკის კომიტეტის წესების მიხედვით, ეთიკურ საკითხებზე შეფასების მისაღებად განაცხადთან ერთად პროექტის დოკუმენტაცია და საველე სამუშაოების სახელმძღვანელოები უნდა ჩაგვებარებინა. იმის გამო, რომ ყველა მონაცემი ანონიმური უნდა ყოფილიყო, ნორვეგიის ეთიკის კომიტეტის დასკვნის მიხედვით, კვლევას ოფიციალური ეთიკური „განმარტება“ აღარ სჭირდებოდა.

ამ კვლევის ჩასატარებლად ჩვენ ვიხელმძღვანელეთ ERIC-ის „ბავშვებთან კვლევების ჩატარების ინსტრუქციებით“. აღნიშნული ინსტრუქციების ძირითადი პრინციპია „ზიანს ნუ მიაყენებ“ (იხ. childethics.com). კვლევის პროექტი ასევე შეესაბამება გაეროს ბავშვთა ფონდის „პროცედურას ეთიკის სტანდარტების დაცვის შესახებ კვლევის, შეფასების, მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის სფეროში“.[10]

თითოეული ინტერვიუსა და ჯგუფური დისკუსიის დროს მონაწილეებისგან ინფორმირებული თანხმობა იყო მიღებული. რაც შეეხება ბავშვებისაგან ინფორმირებული თანხმობის მიღებას, ჩვენ თანმხლების გარეშე მყოფი ბავშვების მშობლები ან მეურვეები არ გვიძებნია, რადგან მათი ადგილმდებარეობის დადგენა რთული იყო. გარდა ამისა, ბევრ ბავშვს საკუთარი მეურვისაგან/მზრუნველისაგან დაცვა სჭირდებოდა. აქედან გამომდინარე, საჭირო არ იყო, რომ საველე მუშაკებს მეურვეებთან ბავშვების შეხვედრა წაეხალისებინათ. ინტერვიუერებს მშობლების ან ნებისმიერი უფროსის თანდასწრებით ინფორმაციის მიცემა არცერთი ბავშვისაგან არ მოუთხოვიათ. რესპონდენტებს ინტერვიუს მიცემისა და დისკუსიებში მონაწილეობისთვის თანხა არ მიუღიათ. თუმცა საველე მუშაკებმა ზოგიერთ ბავშვსა და ახალგაზრდა რესპონდენტს ჰიგიენური კომპლექტები გადასცეს. აღსანიშნავია, რომ მონაცემთა შეგროვება ისე იყო დაგეგმილი, რომ ბავშვისთვის დახმარების გაწევის საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი ყოფილიყო მისი მიმართვა შესაბამისი მომსახურების პროვაიდერ ორგანიზაციაში. აზერბაიჯანში მიმართვიანობის სისტემა აზერბაიჯანის ბავშვთა კავშირთან, ხოლო საქართველოში სოციალური მომსახურების სააგენტოსთან შეიქმნა.

9 https://www.etikkom.no/globalassets/documents/english- publications/60127_fek_guidelines_nesh_digital_corr.pdf

10 https://www.unicef.org/supply/files/ATTACHMENT_IV-UNICEF_Procedure_for_Ethical_Standards.PDF.

რესპონდენტების ანონიმურობის უზრუნველსაყოფად პრეზენტაციაში მათი გვარები და სახელები შეიცვალა და პირადი ჩვენებებიდან მრავალი დეტალი იქნა გამოტოვებული. ეს გაკეთდა გამაფრთხილებელი ინსტრუქციების შესაბამისად, რომლებიც მოცემულია გაეროს ბავშვთა ფონდის ეთიკის სტანდარტების პროცედურაში კვლევის, შეფასების, მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის სფეროში (გვ. 19). საბოლოო ანგარიშის დამთავრებისთანავე საველე მუშაკებს დაევალათ, ხელნაწერი შენიშვნების ლაქებით დაეფარათ და აუდიო და ვიდეოჩანაწერები წაეშალათ. იმავე მიზეზით პარტნიორებს საქართველოსა და აზერბაიჯანში ინგლისურ, ქართულ და აზერბაიჯანულ ენაზე არსებული ფაილების ასლების წაშლა დაევალათ. Fafo-ში ფაილები ინახება სერვერზე, რომელიც პაროლით არის დაცული და რომელზე წვდომაც მხოლოდ ამ კვლევაში ჩართულ ორ მკვლევარს აქვს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში საველე სამუშაოს თანამშრომლები ნაწილობრივ სოციალური მომსახურების სააგენტოს, „ვორლდ ვიჟენ საქართველოსა“ და „კარიტასის“ თანამშრომლებს შორის შეირჩნენ. თანამშრომლების აყვანის მიზანს ინტერვიუერებისა და რესპონდენტების ურთიერთნდობის უზრუნველყოფა წარმოადგენდა. ამ ურთიერთობაში არ გამოვლენილა ინტერესთა კონფლიქტის არცერთი შემთხვევა, რომელიც დააზარალებდა საველე მუშაკების ვალდებულებებს დამსაქმებლების მიმართ, გავლენას მოახდენდა კვლევის შედეგებზე ან ზიანს მიაყენებდა უფროს რესპონდენტებსა და ბავშვ რესპონდენტებს. აზერბაიჯანში კონსულტანტს, რომელიც ოჯახის, ქალთა და ბავშვთა საქმეების სახელმწიფო კომიტეტიდან დაიქირავეს, ბავშვებისა და მათი ოჯახების შესახებ მონაცემთა შეგროვების პროცესზე წვდომა აეკრძალა, რადგანაც არსებობდა ინტერესთა კონფლიქტის რისკი: მას ამ მონაცემების გამოყენება მოგვიანებით საკუთარი მოვალეობის შესასრულებლად შეეძლო. კონსულტანტის დავალება ხელახლა განისაზღვრა და მას მთავრობისა და რეგიონების წარმომადგენლებისაგან კონტექსტუალური ინფორმაციის შეგროვება დაევალა.

მკვლევარებსა და ფინანსურ დონორებს შორის ურთიერთობაში ინტერესთა კონფლიქტი არ გამოვლენილა. კვლევაში ჩართული მეცნიერების მიერ მიღებულ სარგებელს ან შესაძლო ზიანს მოცემული კვლევის შედეგებზე არანაირი გავლენა არ მოუხდენია.

2. ქუჩაში ბავშვთა ცხოვრების გარემოებები

ამ თავში მოცემულია ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვების განსხვავებული გარემოებების - მშობლებთან მათი ურთიერთობების, ახლავთ თუ არა მათ უფროსები ქუჩაში ყოფნის დროს და ქუჩაში ცხოვრებისა და მუშაობის მოტივაციისა და მიზეზების - შეფასება. ერთი მხრივ, ჩვენი მიზანი იყო ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვების განსხვავებული გარემოებების დადგენა, ხოლო მეორე მხრივ იმ ძირითადი ფაქტორების გარკვევა, რომლებიც ბავშვებს ქუჩებში ცხოვრებისა და მუშაობისკენ უბიძგებს. ამ თავში დავინახავთ, რომ ბავშვების ქუჩებში საცხოვრებლად გასვლის ხელშემწყობი ძირითადი ფაქტორებია:

I. მშობლების სიღარიბე და ბავშვების ჩართვა საქმიანობაში მშობლების დახმარების მიზნით, რის შედეგადაც იქმნება ისეთი სიტუაციები, როცა ბავშვი შრომობს ან მშობლის მიმართ მოვალეობის დიდი გრძნობის გამო, ან იმიტომ, რომ ბავშვის მხრიდან შრომას მოითხოვენ ნათესავები;

II. მშობლების იძულებითი მიგრაცია და აქედან გამომდინარე ცხოვრების გამოწვევები, რასაც შედეგად მოაქვს სირთულეები ბავშვების რჩენაში;

III. მშობლის გარდაცვალება, დაპატიმრება, ავადმყოფობა და/ან მავნე ნივთიერებების ბოროტად გამოყენება, რასაც მოჰყვება ბავშვის მიტოვება ან უგულებელყოფა და ბავშვის მიერ საკუთარ თავზე ზრუნვის საჭიროება;

IV. ოჯახში ძალადობა – ფიზიკური ან ფსიქოლოგიური – რის გამოც ბავშვი სახლის გარეთ ცხოვრებას ამჯობინებს;

V. მკაცრი დისციპლინა – ანუ ბავშვთა სოციალური კავშირების კატეგორიული შეზღუდვა და ზედმეტად მკაცრი წესები – სარეაბილიტაციო ან მომსახურების დაწესებულებებში, მინდობით აღმზრდელ ოჯახებში ან არასრულწლოვანთა დახურულ სკოლებში, რის გამოც ბავშვებს და მოზარდებს წესების დამორჩილებას ქუჩაში ცხოვრება ურჩევნიათ და მზრუნველობის დაწესებულებებიდან არაერთგზის იპარებიან;

VI. ურთიერთობა ბავშვებსა და მოზარდებს შორის, რის გამოც ბავშვები (თანდათანობით) სულ უფრო ნაკლებ დროს ატარებენ სახლში და სულ უფრო მეტ დროს უთმობენ ქუჩაში მცხოვრებ და/ან მომუშავე მოზარდებთან ურთიერთობას.

ამ თავის დასაწყისში გადმოგცემთ ბავშვების მონაყოლს მათი გარემოებებისა და იმ მიზეზების შესახებ, რომლებმაც მათ ქუჩაში ცხოვრებისკენ უბიძგეს. ჩვენი მხრიდან, ჩვენ შევაფასებთ სხვადასხვა ქვეკატეგორიის ბავშვების ქუჩასთან კავშირის მასშტაბებს. ბავშვის და მოზარდის სოციალიზაციის ხარისხი ამ თავში ნაწილობრივ არის განხილული, ეს ძირითადად მე-3 თავის თემაა, რომელშიც ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვების ერთმანეთთან ურთიერთობის დინამიკაა შეფასებული.

ქუჩაში ყოფნა და ქუჩაში მოხვედრა

როდესაც ბავშვები და მოზარდები ყვებიან, თუ როგორ აღმოჩნდნენ ქუჩაში, ისინი მრავალ გარემოებას ასახელებენ. ხშირად ქუჩაში ყოფნის მიზეზები და ქუჩასთან კავშირის ბუნება იცვლება ბავშვის „ქუჩის კარიერის“ მანძილზე. ეს შეიძლება იყოს მიზეზების ფართო სპექტრი, დაწყებული ოჯახის სიღარიბით და დამთავრებული ნათესავებთან ერთად მიგრაციით მშობლებისგან დამოუკიდებლად საარსებო საშუალებების მოპოვების მიზნით.

ქვემოთ ბავშვებისა და მოზარდების მონაყოლ ისტორიებს წარმოგიდგენთ იმისათვის, რომ თვალნათლივ დავინახოთ იმ გარემოებების მრავალფეროვნება, რომლებიც ბავშვებს ქუჩისკენ უბიძგებს, და საწყისი წარმოდგენა შევიქმნათ ქუჩის ცხოვრების განვითარების ციკლებზე.

მშობლების იძულებითი მიგრაცია და ქუჩაში ცხოვრება მეგობრებთან ერთად

გრიგორი 13 წლის ბიჭია, რომელიც უკვე რამდენიმე წელია ქუჩაში ირჩენს თავს. მისი ორივე მშობელი რუსეთში ცხოვრობდა, მაგრამ მერე საცხოვრებლად სამხრეთ ოსეთის ურბანულ დასახლებაში გადმოვიდნენ, სადაც გრიგორი დაიბადა. როდესაც 2008 წელს რუსეთსა და საქართველოს შორის ომი დაიწყო, ოჯახი იძულებული იყო, გაქცეულიყო. ისინი ქალაქ გორში დასახლდნენ.

ოჯახს გორში თავის რჩენა გაუჭირდა და გრიგორი მშობლებთან ერთად საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა. ამ დროს გრიგორი 10 წლის იყო. ინტერვიუერი, რომელიც გრიგორის კარგად იცნობს, ყვება, რომ რამდენიმე წლის მანძილზე ბიჭი დედამისს ხილისა და ბოსტნეულის გაყიდვაში ეხმარებოდა. ამასთან ერთად, გრიგორი დამატებითი ფულის შოვნის მიზნით მათხოვრობდა.

გასული რამდენიმე წლის განმავლობაში გრიგორი დროის უმეტეს ნაწილს ქუჩაში ატარებდა, ძირითადად თავის სამ-ოთხ ახლო მეგობართან ერთად. მათ საბურთალოს რაიონში დასაძინებელი ადგილი იპოვეს. ეს შენობა არ არის, მაგრამ გადახურული და წვიმისგან დაცული ადგილია. ბიჭი ღამეს ხან მშობლების ბინაში ათევს, ხან ქუჩაში, საბურთალოს რაიონში. როდესაც ღამით სახლში არ რჩება, გრიგორი მშობლებს აფრთხილებს, რომ მეგობრებთან დარჩება. გრიგორი ამბობს, რომ მეგობრებთან ყოფნა, თამაში და გართობა მოსწონს. ბოლო დროს მას თავი იმით გააქვს, რომ ფულს მანქანებიდან იპარავს. საჭმლის ფულის საშოვნელად გრიგორი ჯერ ისევ მათხოვრობს. ხშირად მეგობრები ფულს საზიაროდ იყენებენ, რომ საჭმელი და სიგარეტი ერთად იყიდონ. ზოგჯერ მშობლები გრიგორის ფულს და საკვებს აძლევენ, როდესაც ის მათ თხოვნით მიმართავს. ამჟამად კვირაში ოთხი-ხუთი დღე გრიგორი თბილისის დღის ცენტრში დადის, სადაც სკოლის გაკვეთილებს ესწრება და პროგრამით გათვალისწინებულ სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობს (მაგ.: ექსკურსიებში, ასევე სარგებლობს კომპიუტერით).

მშობლების თანხლებით ქუჩაში სიარული და კომუნალური გადასახადებისთვის ფულის შეგროვება

ფატიმა 10 წლის გოგოა. ცოტა ხნის წინ მან თბილისის დღის ცენტრში სიარული დაიწყო. ერთ-ერთი ინტერვიუერი, რომელიც ამავე დროს სოციალური მუშაკია, ფატიმას სწორედ ამ დღის ცენტრში შეხვდა და მისი წარმოშობისა და ყოველდღიური საქმიანობის შესახებ გამოჰკითხა. გოგონა ცენტრში რეგულარულად არ დადის, რადგანაც უმეტესწილად ფულის საშოვნელად ქუჩაში მუშაობს.

მისი წარმოშობის შესახებ დასმულ კითხვაზე ფატიმამ თქვა, რომ ის აზერბაიჯანის მოქალაქე აზერბაიჯანელი ქურთია. მამამისი გარდაიცვალა. ამჟამად ფატიმა თბილისის ერთ-ერთ ბინაში ცხოვრობს დედასთან, სამ ძმასთან, უფროს დასთან (მეორე და გარდაიცვალა), დეიდასთან და კიდევ ერთ ხანდაზმულ ნათესავთან ერთად, რომელსაც გოგონა ბებიას ეძახის. დიდ საცხოვრებელ კორპუსში ოროთახიანი ბინის ქირაობა მათ დღეში 10 ლარი უჯდებათ.

ფატიმა ყვება, რომ ყოველ სამ თვეში ოჯახი საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის მოგზაურობს. აზერბაიჯანში დაბრუნებისას ისინი ფატიმას ბაბუის სახლში ჩერდებიან, რომელიც ყარაბაღში, სომხეთის საზღვართან ცხოვრობს თავის ორ ვაჟიშვილთან ერთად. ბებია რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა. ფატიმა ყოველთვის დედამისთან ერთად მგზავრობს, თუმცა მთელი ოჯახი ერთდროულად ერთად არ მგზავრობს ხოლმე: „ზოგი აქ რჩება, ზოგიც მიდის," - განმარტა გოგონამ.

ინტერვიუერსა და ფატიმას შორის დიალოგი ქუჩის ცხოვრების ერთ-ერთი ტიპის მაგალითს იძლევა, რომლის დროსაც ბავშვი მშობელს თან ახლავს და ოჯახს თავის გატანაში ეხმარება:

ინტერვიუერი: *თუ გახსოვს, გუშინ რამდენ ხანს იყავით ქუჩაში?*

ფატიმა: *დიახ, მე და დეიდა ღამის 3-4 საათამდე გარეთ ვიყავით.*

ინტერვიუერი: *ყოველთვის დეიდასთან ერთად გადიხარ ქუჩაში?*

ფატიმა: *არა, ზოგჯერ ისინი [ჩემი ოჯახის წევრები] მეუბნებიან, სახლში დავრჩე, მაგრამ მე გარეთ გასვლას დაჟინებით მოვითხოვ.*

ინტერვიუერი: *რატომ? ქუჩაში რას აკეთებ ხოლმე?*

ფატიმა: *რა თქმა უნდა, მეგობრების ნახვა მინდა ...*

ინტერვიუერი: *მაგალითად, გუშინ სად იყავით?*

ფატიმა: *მარჯანიშვილის ქუჩაზე* [თბილისის ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩა]

ინტერვიუერი: *და რა ხდებოდა გუშინ მარჯანიშვილზე?*

ფატიმა: *იქ ბევრი ბავშვი იყო.*

ინტერვიუერი: *და რას აკეთებდით?*

ფატიმა: *განსაკუთრებულს არაფერს...*

ინტერვიუერი: *და დეიდასთან ერთად რას აკეთებ ხოლმე, როდესაც ქუჩებში ერთად დადიხართ? ცდილობთ, ფული იშოვნოთ?*

ფატიმა: *დიახ, მე ფულს ვშოულობ, რომ დენის, გაზის და წყლის საფასური გადავიხადოთ.*

ინტერვიუერი: *ნაშოვნ ფულს ვინმეს აძლევ?*

ფატიმა: *დიახ, დედას და ის გადასახადებს იხდის.*

ინტერვიუერი: *მაგ ფულს როგორ შოულობ?*

ფატიმა: *მათხოვრობით.*

ინტერვიუერი: *სად? მარჯანიშვილის ქუჩაზე?*

ფატიმა: *დიახ, და შარდენზეც.*

ინტერვიუერი: *მარტო მათხოვრობ თუ ვინმესთან ერთად?*

ფატიმა: *მარტო.*

ინტერვიუერი: *ხატებსაც ყიდი?*

ფატიმა*: ადრე ხატებს და სანთლებს ვყიდიდი ხოლმე მიწისქვეშა გადასასვლელში.*

ინტერვიუერი: *რამდენს შოულობ?*

ფატიმა: *20, 30, 40 ლარს.*

ფატიმამ განმარტა, რომ თითო სანთელს 5 თეთრად (0.05 ლარად) ყიდულობდა და 1 ლარად ყიდიდა.

ინტერვიუერი: *მთელი დღე გარეთ ხარ?*

ფატიმა: *დიახ, უმეტესად.*

ინტერვიუერი: *გვიან ღამემდე?*

ფატიმა: *დიახ, შუაღამემდე ან ღამის 1 საათამდე.*

ინტერვიუერი: *რას ჭამ დღის განმავლობაში?*

ფატიმა: *ზოგჯერ არაფერს.*

ინტერვიუერი: *და მთელი დღე მშიერი ხარ? როცა მათხოვრობ, საჭმელსაც გაძლევენ ხოლმე?*

ფატიმა: *დიახ, ზოგჯერ, როდესაც რესტორნებთან ვმათხოვრობ.*

ინტერვიუერი: *როცა მათხოვრობ, რომელიმე უფროსი თან გახლავს?*

ფატიმა: *დიახ, დედა ან ბებია, ან ზოგჯერ ძმა.*

ინტერვიუერი: *და როდესაც ფულს გაძლევენ, შენ ამ ფულს მათ აძლევ?*

ფატიმა*: არა, მოგვიანებით ვაძლევ, როცა გვიან ღამით სახლში მივდივართ.*

ინტერვიუერი: *შენ თვითონ გადაწყვეტ ხოლმე სამათხოვროდ წასვლას თუ ვინმე გეუბნება, ასე მოიქცე?*

ფატიმა: *არა, გადაწყვეტილებას თვითონ ვიღებ.*

ინტერვიუერი: *შენი დები და ძმებიც მათხოვრობენ?*

ფატიმა: *დიახ, ისინიც.*

ინტერვიუერი: *ერთად თუ მარტო?*

ფატიმა: *ზოგჯერ კი, ზოგჯერ არა...*

ინტერვიუერი: *როდესაც ფულის საშოვნელად ერთად გადიხართ, დღის ბოლოს თანაბრად იყოფთ ფულს თუ მთელ ფულს დედას აძლევთ?*

ფატიმა: *დედას ვაძლევთ.*

ინტერვიუერი: *და როცა საჭმელი და ტანსაცმელი გჭირდებათ?*

ფატიმა: *დედა ყიდულობს.*

ინტერვიუერი: *ფატიმა, რამდენი და-ძმა გყავს?*

ფატიმა: *სამი და ვიყავით, მაგრამ ერთი გარდაიცვალა. ახლა ორი და და სამი ძმა*

ვართ.

ინტერვიუერი: *ოდესმე ღამე გარეთ თუ გაგითევია?*

ფატიმა: *დიახ, მხოლოდ ორჯერ.*

ინტერვიუერი: *ვისთან ერთად?*

ფატიმა: *რა თქმა უნდა, ჩემს მეგობრებთან ერთად.*

ინტერვიუერი: *რომელ ქუჩაზე?*

ფატიმა: *მარჯანიშვილზე.*

ინტერვიუერი: *კონკრეტულად სად გაათიეთ ღამე? ინტერნეტ-კაფეში თუ გარეთ, ქუჩაში?*

ფატიმა: *გარეთ, ქუჩაში.*

ინტერვიუერი: *და საერთოდ არ გეძინა თუ გეძინა?*

ფატიმა: *არა, არ მეძინა.*

ინტერვიუერი: *ჩვეულებრივ, როდის მიდიხართ ხოლმე აზერბაიჯანში?*

ფატიმა: *ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ხშირად, თითქმის ყოველ სამ თვეში.*

ინტერვიუერი: და იქ რას აკეთებ?

ფატიმა: *ის არასდროს ვმათხოვრობ, აკრძალულია.*

ინტერვიუერი: *დიახ, ვიცი, მაშინ იქ ფულს როგორ შოულობთ?*

ფატიმა: *იქ ფულის შოვნა არ გვჭირდება, ბაბუას ფული აქვს. თუ პოლიცია დაინახავს, რომ ბავშვი ქუჩაში მათხოვრობს, მაშინვე ობოლთა თავშესაფარში წაიყვანს.*

ინტერვიუერი: *შენს ბაბუას იქ მთავრობა ან რაიმე სხვა ორგანიზაცია თუ ეხმარება?*

ფატიმა: *დიახ, მალე მთავრობა გეგმავს, მას ახალი სახლი მისცეს და ჩვენ მასთან ვიცხოვრებთ, ყარაბაღში.*

ინტერვიუერი: *ამრიგად, თქვენ აზერბაიჯანში ცხოვრებას აპირებთ და საქართველოში მეტი აღარ იცხოვრებთ?*

ფატიმა: *პერიოდულად საქართველოშიც ჩამოვალთ ხოლმე.*

ინტერვიუერი: *აქ, თბილისში, ფულის შოვნის სხვა გზებიც გაქვს თუ მხოლოდ მათხოვრობ?*

ფატიმა: *არა, მხოლოდ ვმათხოვრობ.*

ინტერვიუერი: *ჩვეულებრივ, რამდენი ფულის შოვნას ახერხებ, მაგალითად, „იღბლიან დღეებში“?*

ფატიმა: *წვიმიან დღეებში მეტს მაძლევენ, მაგალითად, 30-40 ლარს.*

ინტერვიუერი: *და როდესაც ღამით ქუჩაში ხარ?*

ფატიმა: *გუშინ, როდესაც გვიანობამდე დავრჩი, 27 ლარი ვიშოვე.*

ზემოთ მოყვანილი მაგალითის მსგავს მეთოდებს, როდესაც ქუჩის აქტივობების გზით ბავშვებს ოჯახის შემოსავალში წვლილი შეაქვთ, ხშირად ბოშების ან აზერბაიჯანელი ქურთების მიერ საარსებო საშუალებების მოპოვების ტრადიციულ მეთოდად მიიჩნევენ. თუმცა ამის მაგალითები ეთნიკურ ქართველებს შორისაც აღმოჩნდა, განსაკუთრებით ისეთ ოჯახებში, რომლებსაც კრიზისის გადატანა მოუხდათ, ასევე მშობლის ავადმყოფობის ან გარდაცვალების შემთხვევაში. ასეთ დროს ბავშვები პასუხისმგებლობას გრძნობენ, რომ ოჯახს შემოსავალი შეჰმატონ, დღისით ქუჩებში წვრილმან საგნებს მარტონი ყიდიან და სახლში ღამით ბრუნდებიან.

სახლისთვის თავის არიდება

ზოგმა ბავშვმა და მოზარდმა განაცხადა, რომ სახლი მიატოვა, გაიქცა, რათა მშობლების ან ნათესავების მხრიდან ცემისა და სასტიკი მოპყრობისგან თავი დაეცვა. ინტერვიუერების მიერ ზრუნვის ცენტრებში გამოკითხულ ბავშვებს შორის იყვნენ ყოფილი ქუჩის ბავშვები, რომლებიც შორეულმა ნათესავებმა, მეზობლებმა, სოციალურმა მუშაკებმა ან მეგობრებმა ქუჩიდან ბავშვზე ზრუნვის ცენტრებში წამოიყვანეს მას შემდეგ, რაც ბავშვები სახლიდან არაერთგზის გაიქცნენ ცემის გამო. 17 წლის გოგონა მარია სწორედ ასეთი ბავშვია. ერთ-ერთი სოციალური მუშაკი, რომელიც მას კარგად იცნობს და ამ კვლევით გათვალისწინებულ გამოკითხვაში მონაწილეობას იღებდა, მარიას 24 საათიან თავშესაფარში გაესაუბრა, სადაც გოგონა ამჟამად ცხოვრობს.

მარიამ თქვა, რომ თბილისის 24 საათიან თავშესაფარში უკვე ოთხი წელია ცხოვრობს. მანამდე კიდევ სამი წლის მანძილზე სხვა 24 საათიან თავშესაფარში ცხოვრობდა. კითხვაზე, თუ როგორ მოხვდა თავშესაფარში, მარიამ თქვა: „როდესაც 10 წლის ვიყავი, მამაჩემი ყოველდღე თვრებოდა და მცემდა. ამიტომ ერთმა ჩემმა მეგობარმა თავშესაფარში წამიყვანა“. იმ დროს დედამისი ციხეში იჯდა. მარიას თქმით, თავშესაფარში მიყვანამდე ის დღედაღამე ქუჩაში იყო. შენობის სადარბაზოში ან ინტერნეტ-კაფეში ეძინა, რისთვისაც ღამეში 5 ლარს იხდიდა. ფულს ხატების გაყიდვით შოულობდა. ამ გზით იღბლიან დღეებში შეეძლო 30 - 40 ლარი ეშოვნა, ზოგჯერ 50 ლარიც კი. ის რომელიმე ერთ ადგილას კი არ ვაჭრობდა, არამედ მთელ ქალაქში დადიოდა და ხატებს მაღაზიების შესასვლელებთან, შუქნიშნებთან, ბარებთან და რესტორნებთან ყიდიდა. ფულს მათხოვრობითაც შოულობდა, მაგრამ არაუმეტეს დღეში 15-20 ლარისა. კითხვაზე, ფულს რას უშვებოდა, მან თქვა, რომ ნაწილს მამას აძლევდა, ხოლო თუ არ მისცემდა, ის სცემდა და ფულს ძალით ართმევდა.

როდესაც შვიდი წლის წინ მარია მეგობარმა 24 საათიან თავშესაფარში მოიყვანა, ის განათლების პროგრამაში ჩაერთო და თავშესაფარში ცხოვრება მოეწონა: „კარგი იყო, მე იქ ყველაფერი მქონდა, რაც ცხოვრებისა და სწავლისთვის მჭირდებოდა“. გარკვეული დროის შემდეგ მარიას დედა ციხიდან გამოვიდა. ამან მამამისს მიზეზი მისცა, რომ თავშესაფარში მისულიყო და მარია სახლში წაეყვანა. გოგონას თქმით: „არაფერი შეიცვალა. ის ისევ ყოველდღე სვამდა და მცემდა, რომ ქუჩაში ფულის საშოვნელად წავსულიყავი. სოციალურმა მუშაკმა, რომელიც რეგულარულად გვაკითხავდა, მამაჩემი გააფრთხილა, მაგრამ ის არ დაემორჩილა“.

ციხიდან გამოსვლის შემდეგ გოგონას დედა მალე გულის შეტევისგან გარდაიცვალა და მარია ისევ თავშესაფარში დაბრუნდა.

ინტერვიუმდე ორი წლით ადრე მარიამ ერთი ახალგაზრდა გაიცნო და პაემანზე სიარული დაიწყო. მასთან შესახვედრად გოგონა თავშესაფარს ტოვებდა. მარია დაორსულდა და ცხრა თვის მერე ბიჭი გაუჩნდა. მარიამ შემდეგი ისტორია მოგვითხრო:

„როდესაც ბავშვი დაიბადა, მითხრეს, რომ რადგან არასრულწლოვანი ვიყავი და ბავშვზე პასუხისმგებლობის ასაღებად და დოკუმენტების ხელმოსაწერად ჩემი ოჯახიდან არავინ მოვიდა, ბავშვი დროებით, ვიდრე 18 წლის არ გავხდები, მინდობით აღმზრდელი ოჯახისთვის უნდა მიეცათ. ახლა მუშაობის დაწყება მინდა, რომ ბავშვი მინდობით აღმზრდელი ოჯახისგან დავიბრუნო.

მარიამ თქვა, რომ კოლეჯში სწავლა უნდა და თავის თავს მოთმინებისკენ მოუწოდებს: „ბავშვზე ზრუნვაში არავინ დამეხმარება, ამიტომ თუ განათლების მიღება მინდა, 20 წლის ასაკამდე უნდა დავიცადო. სწავლის პერიოდში დამლაგებლად ან ჭურჭლის მრეცხავად ვიმუშავებ, სანამ 20 წლის არ გავხდები“.

მარიას გამოცდილება გვიჩვენებს, რომ, ერთი მხრივ, მას ქუჩაში მუშაობას მამა აიძულებდა, ხოლო მეორე მხრივ ის მთელ დროს ქუჩაში იმიტომ ატარებდა, რომ მამას არ ეცემა. თუმცა ახლა მარიას უნდა, რომ იმუშაოს და თავის ბავშვზე იზრუნოს.

იყო რამდენიმე ისტორია, როდესაც ბავშვები ყვებოდნენ რომ მშობლის პატიმრობას ან გარდაცვალებას ალტერნატიული მზრუნველის მხრიდან სასტიკი მოპყრობა ან ახალ სახლში კონფლიქტი მოჰყვა. როდესაც მშობლები ბავშვზე ზრუნვას ვერ ახერხებენ, მშობლის როლის შესრულება დედინაცვალს/მამინაცვალს, დეიდებს, ბიძებს ან ბებია-ბაბუებს ევალებათ. ბავშვები ბევრ სხვადასხვა ისტორიას ყვებიან და ალტერნატიული მზრუნველის ყოლა სულაც არ ნიშნავს, რომ ყველა ასეთი ბავშვი აუცილებლად სასტიკი მოპყრობის მსხვერპლია. თუმცა ზოგ შემთხვევაში შინამეურნეობის წევრები ბავშვს მათხოვრობას ან მუშაობას აიძულებენ და/ან ბავშვს მკაცრად სჯიან ან სცემენ და ბავშვი ქუჩას აფარებს თავს, რომ ასეთ მოპყრობას თავი დააღწიოს. ხშირად ბავშვთან მოპყრობის საკითხთან დაკავშირებულ კამათს ისეთ დონეზე აჰყავს კონფლიქტი, რომ ბავშვს სახლში ყოფნას ქუჩაში ყოფნა ურჩევნია.

წესების თავის არიდება

მინდობით აღზრდიდან ქუჩაში გაქცევის კიდევ ერთი მიზეზი, რომელიც ბავშვებმა და მოზარდებმა დაასახელეს, მკაცრი წესებისთვის თავის არიდებაა. ზოგი ბავშვი, ბუნებრივ ოჯახში უგულებელყოფისა და სასტიკი მოპყრობის გამო, მინდობით აღზრდაში ისე გადავიდა, რომ ქუჩაში ცხოვრების ფაზა არ გაუვლია, ხოლო სხვები მინდობით აღმზრდელ ოჯახში გადასვლამდე ქუჩაში ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ. 16 წლის ბიჭი ჯაბა სწორედ ამ უკანასკნელ ჯგუფს ეკუთვნის.

ჯაბა თავისი ბავშვობის შესახებ ღიად ბევრს არ საუბრობდა, თუმცა თქვა, რომ ადრე დედამისთან ერთად სამტრედიაში ცხოვრობდა. დედა გარდაეცვალა და ჯაბას კანონთან პრობლემები გაუჩნდა. როგორც მან თქვა, სამართალთან დაკავშირებული პრობლემა „სკოლის უმიზეზოდ გაცდენა“ იყო, რის გამოც ჯაბა არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა სპეციალურ სკოლაში გადაიყვანეს. ამ სკოლაში მან ორი წელი დაყო. როგორც ჯაბა ამბობს: „ბოლო წლის განმავლობაში სკოლიდან გავრბოდი, გაკვეთილებს ვაცდენდი და ქუჩებში დავხეტიალობდი“. მიზეზი, რომელიც მან დაასახელა, იყო „სკოლის ძალიან დახურული სისტემა, რომელიც ჩემთვის მიუღებელი იყო“. ბიჭი ამბობს, რომ სკოლის ცხოვრების გარკვეული ელემენტები მოსწონდა, განსაკუთრებით, როდესაც „ჩვენი სკოლა ჩვენთან საჯარო სკოლის მოსწავლეებს პატიჟებდა და ჩვენს თანატოლებთან ურთიერთობის და დამეგობრების საშუალება გვეძლეოდა“. ის თავისი მასწავლებლების მადლობელი იყო და თქვა, რომ ისინი ძალიან ეხმარებოდნენ. ამის მიუხედავად, მას სულ სკოლაში ყოფნა უწევდა და ამას ვერ ეგუებოდა. ჯაბამ სკოლიდან გაქცევა დაიწყო, მაგრამ სკოლის თანამშრომლები ეძებდნენ და პოულობდნენ. ბოლოსდაბოლოს ჯაბამ უფრო შორს, თბილისში გაქცევა გადაწყვიტა.

ინტერვიუს დროისათვის ის თბილისის ქუჩებში უკვე ერთი წელი ცხოვრობდა. მამამისი ცოცხალია, მაგრამ ჯაბას ურჩევნია, რომ მასთან ურთიერთობა არ ჰქონდეს. ბიჭი ღამეებს ინტერნეტ-კაფეებში ათევს, რისთვისაც ღამეში 5 ლარს იხდის, ან კომერციული შენობების დაფარულ ადგილებში იძინებს. ფულს ქაღალდის ხელსახოცების გაყიდვით, შუქნიშნებთან და ავტობუსის გაჩერებებთან მათხოვრობით ან მანქანებიდან ფულის მოპარვით შოულობს. მან თქვა, რომ კარგად დარბის, მაგრამ ბოლოს, როდესაც სადგომზე გაჩერებული მანქანიდან ფულის მოპარვას ცდილობდა, პოლიციამ დაიჭირა. ჯაბა იმედოვნებს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის ნაცვლად მას არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა ალტერნატიულ პროგრამაში ჩართავენ.[11] ჯაბას თქმით, ის ოცნებობს, ქუჩას თავი დააღწიოს, ელექტრიკოსი გახდეს, დაქორწინდეს და ოჯახი შექმნას.

15 წლის ირინას ისტორია ჯაბას ისტორიას ჰგავს. გოგონა ყვება, რომ რამდენიმე წლის წინ ის ობოლთა თავშესაფრიდან მინდობით აღმზრდელ ოჯახში გადაიყვანეს, საიდანაც გაიქცა. მინდობით აღმზრდელ იმავე ოჯახში კიდევ ერთი ბავშვი, ირინას მეგობარი, განათავსეს, მაგრამ ირინა მაინც გაიქცა, რადგანაც ოჯახის მკაცრი წესები მისთვის მიუღებელი იყო: „ისინი ძალიან მკაცრად მექცეოდნენ," - თქვა ირინამ და განაგრძო: „ყველაფერს მიკრძალავდნენ, არსად მიშვებდნენ. მეგობრებთან შეხვედრასაც კი მიკრძალავდნენ." ირინა გაიქცა და ქუჩაში ცხოვრება დაიწყო. ჯერ ერთ პარკში ცხოვრობდა, შემდეგ მეორეში. მერე ერთ მიტოვებულ შენობაში ათევდა ღამეს, სადაც კოცონს ანთებდა. გოგონა არ მათხოვრობდა, მაგრამ გამვლელები თავად ეკითხებოდნენ მას, კარგად თუ იყო: „ერთხელ ერთმა ქალმა ღვეზელი მომიტანა". ბოლოს ირინა 17 წლის მეგობარ გოგონას შეხვდა, რომელმაც თავის ბინაში წაიყვანა. მოგვიანებით, როცა მისი მეგობარი ბიჭი სახლში დაბრუნდა, მან ირინას თბილისის 24 საათიან თავშესაფარში მისვლა ურჩია, სადაც გოგონა ამჟამად ცხოვრობს.

მშობლებთან ბავშვების ურთიერთობებისა და უფროსების თანხლებით ქუჩაში ყოფნის სხვადასხვა ვარიანტი

ზემოთ აღწერილი ისტორიები მოწმობს, რომ ბავშვებსა და მშობლებს შორის არსებული ურთიერთობები და მათ მიერ ქუჩის აქტივობებში ერთად ან ცალ-ცალკე მონაწილეობის ხარისხი განსხვავებულია ბავშვის წარსულისა და ოჯახის მიერ გადატანილი გარემოებების მიხედვით.

ამ ფართო სპექტრის ერთ ბოლოში ის ბავშვები არიან, რომლებიც მშობლების ან ნათესავების მხრიდან მკაცრ კონტროლს ან სასტიკ მოპყრობას გამოექცნენ, ხშირად 24 საათი ქუჩაში არიან და მშობლებთან ძალიან იშვიათი კონტაქტი აქვთ. ქუჩის ბავშვების მეორე კატეგორია თავიდან ქუჩებში მშობლებთან ერთად დადის, მათხოვრობს ან წვრილმანებით ვაჭრობს. არის ბავშვების ისეთი კატეგორიაც, რომელსაც ქუჩაში მუშაობას მშობლები ან ნათესავები აიძულებენ, და ისეთიც, ვისაც მშობლების მიმართ მოვალეობის ძლიერი გრძნობა ამოძრავებს. გასაკვირი არ არის, რომ ეს განსხვავებები ბავშვებსა და უფროსებს შორის ურთიერთობების ემოციურ ასპექტს და იმ კომფორტის ხარისხს ასახავს, რომელსაც ბავშვებს უფროსები უქმნიან.

უფროსებთან ერთად ქუჩის აქტივობებში ჩართული ბავშვებისა და დამოუკიდებელი ქუჩის ბავშვების კატეგორიები ერთმანეთისგან ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვითაც განსხვავდება: ასაკის მატებასთან ერთად ბავშვები უფროსების გარეშე ქუჩაში სულ უფრო მეტ დროს ატარებენ და ნაშოვნი ფული ან ოჯახში მიაქვთ, ან თანდათან უფრო დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებენ. გაჭირვებული მშობლების წინაშე მოვალეობის გრძნობას ბევრი

11 მიმართვიანობის სისტემის შესაბამისად, ჯაბა 24 საათიან დღის ცენტრში ჩარიცხეს, სადაც მან ელექტრიკოსის დიპლომის მისაღებად სწავლა დაიწყო.

ბავშვი უფრო გვიანდელ ასაკშიც ინარჩუნებს, განსაკუთრებით, თუ მას და-ძმა ჰყავს, ხოლო მშობლებს ჯანმრთელობის პრობლემების გამო მათი შენახვა არ შეუძლიათ.

საარსებო საშუალებების საშოვნელად ყარაბაღსა და თბილისს შორის რეგულარულად მოსიარულე აზერბაიჯანელი გოგონას ოჯახის მიერ გაკეთებული არჩევანი აზერბაიჯანში არსებული უფრო მკაცრი პოლიტიკითა და პრაქტიკით აიხსნება. მის მიერ მოყოლილი ისტორია უფროსების თანხლებით ქუჩაში მომუშავე ბავშვების სიტუაციას ასახავს. როგორც უკვე აღინიშნა, ეს სისტემა, როცა ბავშვებს ოჯახის შემოსავალში თავისი წვლილი ქუჩაში მუშაობის გზით შეაქვთ, ხშირად ბოშებისა და აზერბაიჯანელი ქურთების ტრადიციულ მეთოდთან ასოცირდება. თუმცა საჭიროა კიდევ ერთხელ საგანგებოდ აღინიშნოს, რომ ბავშვების მიერ ოჯახის შენახვის შემთხვევები ეთნიკურ ქართველებს შორისაც გვხვდება, განსაკუთრებით მშობლის ავადმყოფობის ან გარდაცვალების შემთხვევაში. ამ დროს ბავშვები ხშირად თავს ვალდებულად თვლიან, რომ ოჯახის ბიუჯეტში თავისი წვლილი შეიტანონ.

საქართველოში ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვების ქვეკატეგორიები

ქუჩასთან ბავშვის კავშირის ზემოთ აღწერილი მახასიათებლების საფუძველზე ქუჩის ბავშვთა ოთხი ქვეკატეგორია გამოვყავით. აღნიშნული ქვეკატეგორიები ერთმანეთისგან ბავშვის სოციალური კავშირების, მშობლების ან ნათესავების თანხლებით ან მათ გარეშე ყოფნის და ქუჩაში ცხოვრების/მუშაობის მიზეზების მიხედვით განსხვავდება. გარდა იმისა, რომ ეს კატეგორიები, მათი განმასხვავებელი თავისებურებების საფუძველზე, ქუჩის ბავშვების ჯგუფებად დაყოფის საშუალებას იძლევა, ისინი ბავშვების ცხოვრების სხვადასხვა ფაზასაც ასახავენ. ქვემოთ ზოგიერთი საერთო ნიშან-თვისების შეფასება წარმოვადგინეთ, რაც მომდევნო თავებში ბავშვების ქუჩასთან კავშირის უფრო ღრმა ანალიზის საწყისი წერტილია.

ქუჩის უსახლკარო მოზარდები/ბავშვები

„ქუჩის უსახლკარო მოზარდები/ბავშვები“ ქუჩაში ცხოვრობენ და მუშაობენ. ქუჩაში ყოფნისას ბავშვებს უფროსი არ ახლავთ, თუმცა პერიოდულად მათ მშობლებთან კონტაქტი აქვთ. ამ ანგარიშში „უსახლკარო“ კატეგორიას მიკუთვნებული ბევრი ბავშვი დაშორებული ოჯახებიდან ან ისეთი ოჯახებიდან არის, სადაც სიღარიბეს ალკოჰოლის ან ნარკოტიკების მოხმარების პრობლემაც ემატება და ძალადობრივი ატმოსფერო სუფევს. ამ ქვეკატეგორიის ბავშვები მშობლებისგან შედარებით დამოუკიდებლად ცხოვრობენ. მათ შორის არიან გაქცეული და გაგდებული ბავშვები და არალეგალური ემიგრანტები, რომლებიც მშობლების გარეშე, და-ძმასთან ან მეგობრებთან ერთად ცხოვრობენ. ამ კატეგორიაში შედიან როგორც ბიჭები, ასევე გოგონები. ისინი ქუჩაში ფულს მრავალი სხვადასხვა ტიპის ლეგალური და არალეგალური აქტივობით შოულობენ. საქართველოში ადგილი აქვს ბევრი უსახლკარო მოზარდისა და ბავშვის სეზონურ მიგრაციას. ისინი შავი ზღვის კურორტებზე ადგილობრივი და საერთაშორისო ტურისტების ნაკადს მიჰყვებიან და ტურისტული სეზონის დასასრულს უკან ბრუნდებიან. ბევრი ასეთი ბავშვი ადრე სკოლაში დადიოდა, თუმცა მათი მცირე რაოდენობა განაგრძობს სკოლაში სწავლას.

ბავშვები და მოზარდები ხშირად სხვადასხვა ჯგუფს ქმნიან, რომლებსაც განსხვავებული საორგანიზაციო სტრუქტურა აქვთ. ზოგი ჯგუფის სტრუქტურა ბანდის ტიპისაა (იხ. Aptekar & Stoecklin 2014:79-80, Heinonen 2011) იმ თვალსაზრისით, რომ აქ მოქმედებს იერარქიული წყობა, ქცევის წესები (რომელთა დარღვევა ძნელია) და ინიცირების რიტუალები (ერთი დაჯგუფების შემთხვევაში, რომელსაც ადგილობრივად „სექტას“ უწოდებენ. ეს განსაკუთრებით გოგონებს ეხება). უსახლკარო ბავშვებისა და მოზარდების სხვა ურბანული

ჯგუფები თავისუფალი გაერთიანების ტიპის უფროა, ვიდრე დაჯგუფებისა. ამის მიუხედავად, უმეტესობას არაფორმალური თანამშრომლობის და ურთიერთდახმარების წესები აქვს. მაგალითად, ამ წესების მიხედვით ბავშვები ერთმანეთს ფულს ასესხებენ, ერთად მუშაობენ, ერთმანეთს დაჰყვებიან ეკონომიკური აქტივობის დროს და დანაშაულებრივი გზით მიღებულ შემოსავალს იყოფენ. ამ ქვეკატეგორიაში თანამშრომლობის პრაქტიკა უფრო ძლიერია, ვიდრე ოჯახთან მცხოვრები ქუჩის ბავშვების შემთხვევაში, შესაძლოა, ყოველდღიურ ცხოვრებაში თანატოლებს შორის უფრო ძლიერი სოციალური კავშირების გამო ან იმიტომ, რომ ისინი ოჯახისგან დახმარებას იშვიათად იღებენ.

უფროსის თანხლების გარეშე მყოფი ქუჩის ბავშვები/მოზარდები, რომლებიც ღამეს სახლში ათევენ

ბევრი ბავშვი დღის უდიდეს ნაწილს მშობლის თანხლების გარეშე ქუჩაში ატარებს, მუშაობს ან სხვა სახის ეკონომიკური აქტივობით არის დაკავებული, თუცა ღამის გასათევად იმ ადგილას ბრუნდება, რომელსაც „სახლად“ მიიჩნევს. წარმოდგენილ ანგარიშში ასეთ ბავშვებს ვუწოდებთ „ქუჩის ბავშვებს, რომლებიც ღამეს სახლში ათევენ“. ოჯახებს, რომლებშიც ასეთი ბავშვები ბრუნდებიან, საკუთარი ან ნაქირავები საცხოვრებელი ადგილი აქვთ, სადაც იმ მომენტში ცხოვრობენ. ამ ოჯახებში ერთი ზრდასრული წევრი მაინც არის, რომელიც თავის თავს ბავშვზე პასუხისმგებელ პირად თვლის, ბავშვს/მოზარდს ფულს ან საკვებს რეგულარულად აძლევს და ბავშვისგან შემოსავლის ნაწილს და/ან დახმარებას რეგულარულად ან რეგულარული ინტერვალებით იღებს. ამ ქვეკატეგორიის ბავშვები, ჩვეულებრივ, უფრო დიდი ასაკის არიან, ვიდრე უფროსის თანხლებით ქუჩაში მცხოვრები/მომუშავე ბავშვები. ოჯახში სასტიკი მოპყრობის შემთხვევაში ეს ბავშვები ბოლოსდაბოლოს სახლიდან მიდიან და ქუჩაში დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებენ. ამის მიუხედავად, ბევრი ბავშვი, რომელიც საარსებო საშუალებებს ქუჩაში შოულობს, საღი ურთიერთობების მქონე ოჯახიდანაა და მშობლების და/ან და-ძმების მიმართ მოვალეობის გრძნობას ინარჩუნებს. ამ ქვეკატეგორიაში ქუჩის ოჯახების უფროსი ასაკის ბავშვებიც შედიან.

თუ ამ პრობლემას სივრცითი თვალსაზრისით შევხედავთ, აღნიშნულ ქვეკატეგორიაში თავშესაფრებში მცხოვრები და მზრუნველებთან რეგულარული კონტაქტის მქონე ბავშვებიც შედიან. ამის მიუხედავად, ამ კვლევაში ყურადღება ბავშვებისა და მშობლების ან ახლო ნათესავების ურთიერთობებზეა გამახვილებული, რომელთა გაგრძელება ან გამყარება შეთავაზებული სერვისების მეშვეობით არის შესაძლებელი. 24 საათიან თავშესაფრებში მყოფი ბავშვების შემთხვევაში ასეთი შესაძლებლობა ყოველთვის არ არსებობს.

„უფროსის თანხლების გარეშე ქუჩაში მყოფი და სახლში ღამის გამთევი ბავშვების“ ჯგუფში ყველა ეთნიკური წარმომავლობის ბავშვები შედიან. ზოგიერთი მათგანის ოჯახი „პროფესიონალია“, ანუ მათ რაიმე ხელობა იციან ან სპეციალობა აქვთ, ხოლო უფროსი ასაკის ბავშვები მშობლებს ქუჩაში მუშაობით ეხმარებიან და ღამით სახლში ბრუნდებიან. ზოგი ბავშვი „დომის“ ოჯახს ეკუთვნის და, ამრიგად, აღნიშნულ კატეგორიაში ხვდება.

მობილური ოჯახების ქუჩის ბავშვები

მობილური ოჯახების ქუჩის ბავშვები, ჩვეულებრივ, ქუჩაში მუშაობენ, მაგრამ იქ არ სძინავთ. ისინი ქუჩაში მომუშავე უფროსებს დაჰყვებიან ან მათი თანხლებით დადიან. ქუჩის ოჯახები უაღრესად მობილურნი არიან და სეზონურ მიგრაციას მისდევენ. ამ ჯგუფში, ან ცხოვრების ამ ფაზაზე, მშობლების ფუნქციებს ნათესავების უფრო ფართო წრე, მაგალითად, დეიდები, ბიძები ან ბებია-ბაბუები ინაწილებენ და, ამგვარად, ბავშვები დროის გარკვეულ პერიოდს გაფართოებულ ოჯახში ატარებენ. ბევრ ასეთ ოჯახს დამატებითი საცხოვრებელი ადგილი აქვს, საიდანაც ისინი ქუჩის აქტივობებს ახორციელებენ და ამ პერიოდულად საცხოვრებელ ადგილებს შორის გადაადგილდებიან. ჩვეულებრივ, ქუჩაში მუშაობის პერიოდში მობილური

ოჯახები ასეთ დამატებით საცხოვრებელ ფართს ერთი დღით, ერთი კვირით ან ერთი თვით ქირაობენ.

უსახლკარო ოჯახების ქუჩის ბავშვები

უსახლკარო ოჯახების ბავშვების სიტუაცია ქუჩის მობილური ოჯახების ბავშვების სიტუაციის მსგავსია, მაგრამ, მათგან განსხვავებით, ისინი ღამეს მშობლებთან ერთად ქუჩაში ათევენ. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ყველა ასეთ ოჯახი მუდმივად უსახლკაროა (ანუ სახლ-კარი საერთოდ არ აქვს): მათ შეიძლება სახლი სადმე სხვაგან ჰქონდეთ და გარკვეული პერიოდულობით იქ ბრუნდებოდნენ, თუმცა საარსებო საშუალებების საშოვნელად ქალაქში ყოფნის დროს მათ სახლი ან ბინა არ აქვთ. ამის გამო ოჯახში ჰიგიენის დონე დაბალია და საკვების მოსამზადებლად მათ სათანადო პირობები არ აქვთ. ჩვეულებრივ, ამ ქვეკატეგორიის ბავშვებს მშობელთან ან მზრუნველთან ერთად გარეთ სძინავთ, უმეტესად მეტროს სადგურებში ან შენობების სადარბაზოებში, ისევე, როგორც უსახლკარო მოზარდებს/ქუჩის ბავშვებს (თუმცა, მათგან განსხვავებით, ისინი ღამისთევის ადგილს ხშირად იცვლიან).

ეთნიკურ წარმომავლობასთან დაკავშირებული თავისებურებები

სხვადასხვა კატეგორიას შორის არსებული განსხვავებები გარკვეულწილად ეთნიკურ განსხვავებებს ასახავს. ამავე დროს, ეთნიკურ წარმომავლობასთან დაკავშირებით დასკვნების გამოტანას დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, რადგანაც ბავშვობის სხვადასხვა ეტაპზე, სხვადასხვა სახის ქუჩის ცხოვრების მთელ სპექტრში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს ვხვდებით.

უსახლკარო მოზარდების/ქუჩის ბავშვების ჯგუფში ყველანაირი ეთნიკური წარმომავლობის ბავშვები გვხვდებიან. თუმცა აზერბაიჯანელ ქურთებს იშვიათად თუ შეხვდებით ამ ჯგუფის უმცროს ასაკობრივ ჯგუფში და შედარებით უფროს ასაკშიც კი ისინი ნათესავებთან არარეგულარულ კონტაქტებს ინარჩუნებენ. თუმცა, საველე სამუშაოების დროს, ჩვენ ამ ქვეკატეგორიაში აზერბაიჯანელი ქურთი გოგონები არ შეგვხვედრიან. განსაკუთრებით აღსანიშნავი ისაა, რომ ამ უსახლკარო ბავშვებს შორის ბოშა მოზარდებიც არიან, რაც არღვევს ზოგადად გავრცელებულ სტერეოტიპს, თითქოს ყველა ბოშა ბავშვი მჭიდროდ დაკავშირებულ ოჯახურ სტრუქტურას ეკუთვნის.

ჯგუფში *„უფროსის თანხლების გარეშე მყოფი ბავშვები/მოზარდები“* აგრეთვე ყველა წარმომავლობის ბავშვები შედიან და ბევრმა მათგანმა (ბიჭმა და გოგომ) განაცხადა, რომ ეროვნებით ქართველია. ამავე დროს, *„ქუჩაში მობილური ოჯახების ბავშვთა“* დიდ უმრავლესობას მოლდაველი ბოშები და აზერბაიჯანელი ქურთები შეადგენენ. იგივე შეიძლება ითქვას უსახლკარო ოჯახებზეც.

მომდევნო თავში შევეცადეთ, გამოგვევლინა იმ მეთოდებს შორის არსებული განსხვავებები, რომლებსაც ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვები თავის გადასარჩენად ან ეკონომიკური აქტივობებისთვის იყენებენ. ამასთან ერთად, აღნიშნულ თავში უფრო დეტალურად არის შესწავლილი მობილობის პრაქტიკა, ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვების სხვადასხვა ჯგუფის შიდა ორგანიზებისა და დინამიკის თავისებურებები, თანატოლთა ჯგუფებში არსებული ურთიერთობების ელემენტები და ამ ჯგუფების წევრთა იდენტობები და როლები. მომდევნო თავში აღვწერთ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფს შორის არსებულ განსხვავებებსაც, რაც გარკვეულწილად წარმოდგენას გვიქმნის ბავშვის განვითარების ციკლისა და ქუჩაში ცხოვრების „კარიერის“ ზოგიერთი ტიპური თავისებურების შესახებ (იხ. Aptekar & Stoecklin 2014: 18).

3. ქუჩაში ცხოვრება: საქმიანობა, საშუალებები და საერთო დინამიკა

ეს თავი შედარებით უფრო დეტალურად მიმოიხილავს ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვების სხვადასხვა ჯგუფის ორგანიზებასა და დინამიკას. ასევე შეფასებულია ჯგუფის შიგნით თანატოლთა ურთიერთობის ასპექტები, იდენტობა და როლები ასაკობრივ განზომილებასთან ერთად, რაც ნაწილობრივ გადმოსცემს ქუჩაში ბავშვთა ცხოვრების ტიპური განვითარების ციკლს ან „კარიერას“ (cf. Aptekar & Stoecklin 2014:18). იმედი გვაქვს, რომ ბავშვების განსხვავებულ ქვეჯგუფებს შორის სოციალური ორგანიზების შეფასებით გამოვავლენთ იმ სოციალურ მექანიზმებს, რომლებიც განაპირობებს ქუჩაში რეგულარული ცხოვრების გაგრძელებას.

ეკონომიკური საქმიანობა და გადარჩენის საშუალებები

როგორც აღინიშნა, ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვები დანარჩენი ქართველების თვალში იმ საქმიანობასთან ასოცირდებიან, რომელიც დაუნახავთ ან რომელსაც ისინი თავის წარმოდგენაში ქუჩის ბავშვებს უკავშირებენ: გოგონები სტერეოტიპულად ასოცირდებიან ყვავილების და რელიგიური ხატების გაყიდვასთან და მათხოვრობასთან, ხოლო ბიჭები წვრილმან ვაჭრობასთან და მცირე დანაშულთან. თუმცა ქუჩაში მცხოვრებ ბავშვებს სხვადასხვა გზით გააქვთ თავი - ეს დამოკიდებულია იმაზე, არის თუ არა ქუჩაში ბავშვის შრომა ოჯახის ადაპტაციური სტრატეგია თუ ბავშვი ამ საქმიანობას მზრუნველებისგან დამოუკიდებლად ეწევა; ასევე დამოკიდებულია ბავშვის ასაკზე, წელიწადის დროზე და ადგილმდებარეობაზე. ამ თვალსაზრისით ქალაქად და სოფლად ქუჩის ბავშვთა ცხოვრებას შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს.

ქალაქებში ქუჩის ბავშვთა ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი ისაა, რომ ზოგი მათგანი ქუჩაში მშობლების ან ნათესავების თანხლებით ცხოვრობს და მათგან დახმარებას იღებს, ხოლო მეორე ნაწილი ქუჩის ცხოვრებას დამოუკიდებლად ან სხვა ბავშვებთან და მოზარდებთან ერთად ეწევა, უფროსი ნათესავების დახმარების გარეშე. საქართველოს ქალაქების, მაგ. თბილისის, ქუთაისის და რუსთავის ქუჩებში მცხოვრები ოჯახების ბავშვთა გავრცელებული საქმიანობაა წვრილმანი საქონლით (სანთლები, ხელსახოცები, რელიგიური ხატები, ყვავილები) ვაჭრობა გზაჯვარედინებზე, მეტროში, რკინიგზის სადგურებში და რესტორნებთან. ამ ტიპის საქმიანობის მაგალითებს წინა თავში წარმოდგენილი, ფატიმასთან და გრიგორისთან დიალოგი იძლევა. ფულის მათხოვრობა გავრცელებულია როგორც სატრანსპორტო კვანძებში, ისე საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში, მაგ. სასტუმროების და რესტორნების მიმდებარე ტერიტორიებზე. მშობლების და ნათესავების თანხლებით ბიჭებიც გვხვდებიან, მაგრამ ისინი იმდენად თვალსაჩინოდ არ არიან ჩართულნი უფროსებთან ერთად მათხოვრობაში, როგორც გოგონები. ქუჩაში მცხოვრებ ოჯახებში ასაკით შედარებით უმცროსი ბიჭები უფროსებს წვრილ ვაჭრობაში ეხმარებიან. ისინი ასევე ბაზრებში მშობლების მხარდამხარ შრომობენ, საქონელს ყიდიან, ან მშობლებს მის გადაზიდვაში ეხმარებიან და ა.შ. გავრცელებული საქმიანობაა ჯართის შეგროვებაც, განსაკუთრებით შედარებით უფროს ბიჭებს შორის. ამ საქმიანობას ეწევიან როგორც მამაკაცი ნათესავების თანხლებით მყოფი ბიჭები, ასევე დამოუკიდებელი და უსახლკარო ბავშვები და მოზარდები.

თანმხლების გარეშე მყოფ ბავშვებსა და მოზარდებს შორის (იმისდა მიუხედავად, შეიძლება თუ არა ისინი ჩაითვალონ უსახლკაროდ, მიტოვებულად თუ მშობლებთან ჩვეულებრივი კავშირის მქონედ) ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბიჭებიც და გოგონებიც მათხოვრობას მისდევენ. უფრო მეტიც, ისინი მათხოვრობას ისეთ საქმიანობას მიაკუთვნებენ, რომელსაც თავად ბავშვები და მოზარდები *„პახაობას“* უწოდებენ, რაც „მძიმე შრომას“ ან „წვალებას“ ნიშნავს. ეს რუტინული და ყოველდღიური სამუშაოა, თუმცა მასაც თავისი პიკები აქვს, მაგალითად, კვირაობით, როცა ეკლესიაში წირვა ტარდება, აღდგომის დღესასწაულზე - სასაფლაოებზე, ან ახალ წელს - ქუჩებში და პარასკევობით - მეჩეთების ახლოს. შედარებით უფროსი ასაკის ქუჩის ბიჭებს შორის *„პახაობა“* უარყოფითად განიხილება. ბევრი მათგანი ამჯობინებს, მათხოვრობისგან თავი შეიკავოს და ეს საქმიანობა თავის უმცროს და-ძმებს დაავალოს. შრომის ასეთი განაწილება ნაწილობრივ იმის შეფასებასაც უკავშირდება, თუ ვინ შეიძლება იყოს ყველაზე შედეგიანი მათხოვარი. მიიჩნევა, რომ ასაკით უმცროსი ბავშვები სავარაუდოდ უფრო მეტ თანაგრძნობას იწვევენ, რაც უკანონო შემოწირულობის მისაღებად არის საჭირო.

თანმხლების გარეშე მყოფ ბავშვებს შორის საკმაოდ მაღალია არსებობისთვის ფულის შოვნის მოტივაცია. შემოსავლის წყაროებს შორისაა ის საქმიანობები, რომლებიც აღწერილი იყო მობილური ოჯახების წევრი ბავშვების შემთხვევაში (მათ შორის, მათხოვრობასთან ერთად, წვრილმანი საქონლით ვაჭრობა, რაც ნაჩვენები იყო ჯაბას და მარიას შემთხვევაში წინა თავში), და წვრილმანი დანაშაული (ამ საკითხს ქვემოთ დავუბრუნდებით). თანმხლების გარეშე მყოფი ბავშვები გაცილებით გრძელვადიან და უფრო პროგნოზირებად შრომით ურთიერთობებს ამყარებენ.

ლუკა

14 წლის ლუკა იხსენებს, რომ როდესაც ის ჯერ კიდევ დედასთან ერთად ცხოვრობდა, 12 წლის ასაკში იშოვნა სამუშაო ადგილი ავტოსამრეცხაოში. ის ავტომობილებს რეცხავდა როგორც გარედან, ისე შიგნიდან, სალონს. ამ სამუშაო ადგილზე მან 5 თვე იმუშავა და დღეში 10-20 ლარს შოულობდა. ეს ფული, საჭმელი და სხვა ნივთები დედისთვის მიჰქონდა. გარკვეული პერიოდის შემდეგ ლუკა უფრო მეტხანს რჩებოდა ქუჩაში, ღამეებს მეგობრებთან ინტერნეტ-კაფეებში ატარებდა და დედასთან კავშირიც არარეგულარული გახდა. ის დროდადრო აგრძელებდა დედის ფინანსურ დახმარებას, მაგრამ თან ცდილობდა, საკუთარი საჭიროებებისთვისაც დაეგროვებინა ფული. ამ მიზნით ის უშუალოდ ეხმარებოდა ერთ პირს გზის მშენებლობაზე, რომელიც ქალაქის მიერ იყო დაქირავებული: „ჩვენ ვაკეთებდით სიჩქარის შესამცირებელ ამოზნექილ ნაწილებს გზებზე და ასევე „ზებრა“ გადასასვლელებს“, - აღნიშნა ლუკამ. მოგვიანებით, როცა ეს ადამიანი დაბრუნდა სამშენებლო უბანზე, ლუკაც თან ახლდა მას: „ვეხმარებოდი, ვაწვდიდი ცემენტს, სხვა მასალებს, შემდეგ ჩვენ ჩვეულებრივ ვჭამდით ხაჭაპურს“. ანაზღაურების შესახებ კითხვაზე პასუხად ლუკამ აღნიშნა: „საკმარისად მიხდიდნენ, თვეში 100 ლარს“.

ბავშვებს შემოსავლის მიღების საკმაოდ განსხვავებული სტრატეგიები აქვთ, რაც 16 წლის ელენესთან დიალოგმაც დაგვანახა. ელენემ აგვიხსნა, რომ ის თბილისის სხვადასხვა უბანში, მათ შორის მუხიანში, გლდანში, სანზონაში და ნაძალადევში დადიოდა. მან გაიჩინა მეგობარი, რომელმაც ელენე სხვა ბავშვებს გააცნო თბილისის ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე, რუსთაველზე, სადაც ის ფულის შოვნის მიზნით ბევრ სხვადასხვა საქმიანობას ეწეოდა:

მონაწილეობას ვიღებდი კონცერტებში, ვუკრავდი გიტარაზე; ჩვენ ვაწყობდით ქუჩის კონცერტებს ფულის შოვნის მიზნით. ერთხელაც ჩვენი გიტარა გატყდა და გაგვიჩნდა პლაკატების დამზადების იდეა. თუ, მაგალითად, მეგობრის

> დაბადების დღე იქნებოდა, ვამზადებდით პლაკატს ამასთან დაკავშირებით და ფულს ვაგროვებდით. ხალხი გვაძლევდა ფულს. მე ყოველთვის ვიღიმებოდი სხვა ბავშვებისგან განსხვავებით. თითოეული ბავშვი დღეში 50 ლარს შოულობდა.

საქართველოში ქუჩის ბავშვების ცხოვრება უმეტესად ხილულია დიდი ქალაქების ხალხმრავალ ქუჩებში, ტურისტებისთვის მიმზიდველ უბნებში, საჯარო შენობების ირგვლივ, სატრანსპორტო კვანძებში და ბაზრობებზე. აზერბაიჯანის ქალაქებში ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვები მალულად მათხოვრობენ. ისინი გვხვდებიან დიდ სატრანსპორტო კვანძებში, პარკებში და სარკინიგზო სადგურებში. ისინი წმენდენ მანქანების საქარე მინებს ან ყიდიან წვრილმან ნივთებს და სანაცვლოდ ფულს ითხოვენ. ის ბავშვები, რომლებიც საქართველოში ქუჩაში გვხვდებიან, უმეტესწილად ბაზრობებზე მუშაობენ. ეს ეხება როგორც სოფლებს, ისე ქალაქებს.

ცხოვრება სასოფლო ცენტრებში და მიმდებარე ტერიტორიებზე

ბავშვების ეკონომიკური საქმიანობა სოფლად ნაკლებად ხილულია, ვიდრე ურბანულ ცენტრებში. აზერბაიჯანის სოფლებში, რომლებიც საქართველოს საზღვართან მდებარეობს, ძირითადი ეკონომიკური საქმიანობა ბაზრობებზე ხილის და ბოსტნეულის ნარჩენების შეგროვებაა. მაგალითად, რამდენიმე მოზარდი გოგონა მთელ დღეებს გაზახის ბაზარში ატარებს. საველე სამუშაოების ჩატარებისას მკვლევარები გაესაუბრნენ ერთ-ერთ მათგანს, რვა წლის წარმოშობით ქურთ აზერბაიჯანელ გოგონას.

> **ზაჰრა**
>
> ზაჰრამ საველე სამუშაოების შემსრულებელ მკვლევარებს უთხრა, რომ ის ცხოვრობდა შრომისუუნარო ბებიასთან, რომელსაც ძალზე უჭირდა ოჯახის წევრი ყველა ბავშვის რჩენა. ზაჰრას დედა ციხეშია. გოგონამ აღნიშნა, რომ ბებია მას ფულის საშოვნელად და საარსებო სურსათის მოსაპოვებლად ბაზარში აგზავნის, რომ თვითონ ტვირთი შეიმსუბუქოს. ზაჰრა დაახლოებით დილის 10 საათზე მიდის ბაზარში და იქ შუადღის 2 საათამდე რჩება, სანამ ბაზარი არ დაიკეტება. ის აგროვებს სურსათის ნარჩენებს, რომლებიც ბაზრის დახლის მფლობელებს აღარ სურთ გასაყიდად, და ბაზრის დახურვისას ნარჩენებს მიწიდან აგროვებს. შემდეგ ის საქმიანობას პარკში აგრძელებს, სადაც ბიჭები ფულის საშოვნელად სხვადასხვა საქმიანობაში არიან ჩართულნი, მაგ. ბავშვებზე სათამაშოების გაქირავებაში. როდესაც სთავაზობენ, ზაჰრა ხალხის მიცემულ ფულს იღებს და, საშუალოდ, საკუთარი გათვლებით, დღეში მთლიანობაში სამ აზერბაიჯანულ მანათს აგროვებს.

სოფლად ქუჩაში მომუშავე ბავშვების უმრავლესობა მშობლებთან ან ნათესავებთან კავშირს ინარჩუნებს და ღამეებს მათთან ატარებს. ბევრი მათგანი მობილური ქუჩის ოჯახების წევრია, რომლებსაც სოფლად სახლი აქვთ და პერიოდულად ან სეზონურად საქართველოს ქალაქებში ან სხვაგან გადაადგილდებიან. ჩვენ სახლიდან გაქცეულ უსახლკარო ბავშვებს და მოზარდებსაც შევხვდით. მათ აგვიხსნეს, რომ ბაზრობებზე ან სხვა დროებით თავშესაფარში დაძინებას ამჯობინებდნენ, ოჯახში კონფლიქტისა და/ან ძალადობისთვის თავი რომ აერიდებინათ. ბევრი ეს ბავშვი იმედს გამოთქვამდა, რომ მომავალში ქალაქში გადასვლას შეძლებდა, რადგანაც გრძელვადიან პერსპექტივაში მცირე დასახლებულ პუნქტში ოჯახისთვის თავის არიდება უფრო რთულია.

სოფლად ქუჩაში მცხოვრები ოჯახების ბავშვები ხანდახან ფულის სამათხოვროდ უფროსებს კარდაკარ დაჰყვებიან. ამასთან ერთად, ისინი ჯართის შეგროვებაშიც მონაწილეობენ. სოფლად მცხოვრები მობილური ოჯახების კიდევ ერთი გავრცელებული საქმიანობაა დაქირავებული შრომა სასოფლო-სამეურნეო მინდვრებში, კერძოდ, კარტოფილის მოსავლის აღება. ბავშვები ამ ტიპის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ისევე მონაწილეობენ, როგორც 18 წელზე ახალგაზრდა დედები, რომლებიც საკუთარი ბავშვების რჩენას ცდილობენ. ასეთი სამუშაოსთვის ჩვეულებრივი ანაზღაურება დღეში 10-12 მანათია. სადავოა, თუ რამდენად უნდა ჩაითვალოს ამ ტიპის სამუშაო „ქუჩაში შრომად“, თუმცა, სამართლებრივი თვალსაზრით, ასეთი საქმიანობა, მისი ადგილმდებარეობის მიუხედავად, ბავშვის შრომად განიხილება. და მაინც, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე დაკვირვება აჩვენებს, რომ როგორც ქალაქად, ისე სოფლად ბავშვები და მოზარდები თავიანთი კონკრეტული ეკონომიკური და პირადი გარემოებების დაძლევას ეკონომიკური საქმიანობების აქტიური კომბინირებით ცდილობენ, წელიწადის დროების მიხედვით.

ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვების ერთ-ერთი საქმიანობაა სატრანსპორტო სერვისები სატრანსპორტო კვანძებსა და საზღვარზე. საველე მკვლევარები საზღვარზე იმ ბავშვებს გაესაუბრნენ, რომლებიც ე.წ. „წითელ ხიდს“ კვეთდნენ. ერთ-ერთმა მოზარდმა აღნიშნა, რომ ის მგზავრებს ბარგის და საქონლის გადაზიდვაში ეხმარებოდა და ამ გზით დღეში 10-12 აზერბაიჯანულ მანათს შოულობდა. ის დედასთან ერთად გაზახში ცხოვრობდა, მაგრამ გასაუბრებამდე ოთხი ღამე საზღვარზე გაატარა და მკვლევარებს განუცხადა, რომ ამ დროის განმავლობაში არ უძინია. ის დამატებით შემოსავალს საზღვარზე ტრანსპორტირების ორგანიზებითაც იღებდა, მიუხედავად იმისა, რომ თავად საზღვარზე ბარგის გადატანა პირადად არ შეეძლო პასპორტის უქონლობის გამო. სამი გოგონასგან შემდგარმა ჯგუფმა განმარტა, რომ ისინი საზღვარზე რეგულარულად მუშაობდნენ - საზღვრის გადაკვეთის მსურველ მგზავრებს ტვირთის იმ გადამზიდავებთან აკავშირებდნენ, რომლებსაც საზღვრის გადაკვეთა საბაჟოს საშუალებით შეეძლოთ. გოგონები ფულად ანაზღაურებას ბარგის გადატანის ან მგზავრების სხვაგვარად დახმარების სანაცვლოდაც ითხოვდნენ. ისინი აგსტაფის მიმართულებით და უკან საზღვრისკენ გადაადგილდებოდნენ, საზღვართან დილის 10 საათზე მიდიოდნენ და „მუშაობას“ ღამის 10 საათზე ამთავრებდნენ. თითოეული მიმართულებით გადაადგილებისას მათ გზაში ერთი საათი სჭირდებოდათ. როგორც გოგონებმა განმარტეს, გარკვეულ დღეებში, როცა ცვლაში მომუშავე პოლიციის ოფიცრები მათ მიმართ კეთილად განწყობილნი არ იყვნენ, ისინი ისვენებდნენ: რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ პოლიცია ზოგჯერ აწუხებდა მათ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს საქმიანობა პოლიციის და საბაჟოს თანამშრომლების კეთილგანწყობაზეა დამოკიდებული.

ბევრმა ბავშვმა გვითხრა, რომ „რეგიონებში“, კერძოდ, სოფლად, მათი ყოფნა დროებითია. ბევრი ბავშვი წარმოშობით აზერბაიჯანელი იყო, მაგრამ საქართველოში დაბადებული. რამდენიმე ახალგაზრდა დედამ საქართველოში იმშობიარა. ისინი თან ახლდნენ მშობლებს, რომლებიც საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე ტურისტულ ზონებში გადაადგილდებოდნენ.

გადაადგილება და სეზონური მიგრაცია

აზერბაიჯანელი მობილური ქუჩის ოჯახების საარსებო საშუალებები დამოკიდებულია საქართველოდან იმპორტირებული საქონლის გადაყიდვაზე აზერბაიჯანში და მოგება მიიღება ორ ქვეყანას შორის გარკვეულ საქონელზე ფასთა სხვაობიდან. საარსებო საშუალებები ასევე დამოკიდებულია ეკონომიკური შესაძლებლობების გამოყენებაზე საქართველოში, როგორიცაა, მაგალითად, ბოსტნეულით და ხილით წვრილმანი ვაჭრობა, საბითუმო ბაზარზე შეძენილი ტანსაცმლის გადაყიდვა და მათხოვრობა. ეკონომიკური საქმიანობის შესაძლებლობები იზრდება ტურისტების ჩამოსვლისას ზღვისპირა კურორტებზე

ზაფხულში, განსაკუთრებით შავი ზღვის სანაპიროზე, და მიგრაციას მკვეთრად გამოხატული სეზონური ხასიათი აქვს. ზოგიერთი ოჯახი ასევე რეგულარული ინტერვალებით წლის განმავლობაში გადაადგილდება ტურისტული ზონებისკენ და პირიქით, როგორც აღინიშნა ფატიმას შემთხვევაში (წინა თავში), სადაც აღწერილი იყო ყოველ სამ თვეში დედასთან ერთად მიგრაცია.

ქუჩაში მცხოვრები აზერბაიჯანელი ოჯახების ბავშვები აღნიშნული მიგრაციული ნაკადების შემადგენელი ნაწილები არიან. ბევრი ბავშვი ნათესავებთან ერთად მოგზაურობს და სასაზღვრო კონტროლს უფროსებთან ერთად გადის, მშობლის ან მეურვის პასპორტში რეგისტრაციის მოთხოვნის შესაბამისად. აზერბაიჯანელმა რესპონდენტებმა, როგორც ბავშვებმა, ისე უფროსებმა, ხაზი გაუსვეს, რომ თავის რჩენა ქუჩაში წვრილმანი ვაჭრობით და მათხოვრობით საქართველოში გაცილებით იოლია, ვიდრე აზერბაიჯანში, სადაც მათხოვრობა აკრძალულია და არაოფიციალური ეკონომიკური საქმიანობის რეგულირება უფრო მკაცრად ხდება, ვიდრე საქართველოში. ბევრმა ბავშვმა და ზრდასრულმა პირმა აზერბაიჯანში აღნიშნა, რომ მათხოვრობიდან მიღებული შემოსავალი გაცილებით მაღალია საქართველოში, ვიდრე აზერბაიჯანში და ეს იმით ახსნეს, რომ საქართველოში ხალხი უფრო „გულუხვი და კეთილშობილია“.

ოჯახების მობილურ ცხოვრებაში ბავშვების ინტეგრაციის ფორმა უფროსების თანხლებით არ შემოიფარგლება. ზოგიერთ ბავშვს ბიძასთან ან დეიდასთან ან ბებია-ბაბუასთან ტოვებენ მშობლების გადაადგილების ხელშეწყობის მიზნით, ზოგიერთს კი საქართველოში, ნათესავებთან ტოვებენ, როცა მათი მშობლები აზერბაიჯანში ბრუნდებიან. რამდენიმე მშობელმა, რომლებსაც აზერბაიჯანში ვესაუბრეთ, გვითხრა, რომ ისინი ეცადნენ ბავშვების გადმოყვანას საზღვარზე აზერბაიჯანში სათანადო დოკუმენტების გარეშე (მათ არ უცდიათ ან ვერ მოახერხეს ბავშვებისთვის დოკუმენტების მიღება მას შემდეგ, რაც დედებმა საქართველოში, ჯანდაცვის დაწესებულებების გარეთ იმშობიარეს). ბავშვების საზღვარზე გადაყვანის მცდელობას აზერბაიჯანში მოჰყვა სისხლისსამართლებრივი დევნა და გასამართლება. მშობლის ციხეში მოხვედრის შედეგად ბავშვები ხანგრძლივი პერიოდით აღმოჩნდნენ ნათესავებთან. რამდენიმე აზერბაიჯანელი ქურთი მშობელი აღნიშნავდა, რომ მათი შვილები იმყოფებოდნენ „ინტერნატში“ საქართველოში, რაც, რამდენადაც შევძელით გაგვერკვია, წარმოადგენდა დაწესებულებას, სადაც ქუჩის ბავშვების სწავლება მიმდინარეობდა. მშობლები გადაადგილდებოდნენ ორ ქვეყანას შორის და ელოდნენ შესაძლებლობას, რომ თავიანთი შვილები თან წაეყვანათ ან ცდილობდნენ, განესაზღვრათ მათი ზუსტი ადგილმდებარეობა. გარდა ამისა, მშობლის როლის დელეგირების პრაქტიკა სხვა ნათესავზე ფართოდაა გავრცელებული და უკავშირდება მიგრაციას. თუმცა გადაადგილების მოდელები ყოველთვის არ ასახავს მჭიდროდ ინტეგრირებულ ოჯახებს, სადაც ზრდასრული წევრები ანაწილებენ მშობლის როლებს ან ითავსებენ ბავშვებზე ზრუნვას სისტემატური ან პროგნოზირებადი ფორმით. ამის ნაცვლად, მიგრაციული არსებობა ხასიათდება გამოწვევებით და პრობლემებით ოფიციალური დოკუმენტებისა და ადმინისტრაციული სირთულეების მხრივ.

მიგრაცია ნაწილობრივ სეზონურ ფორმას იღებს. აზერბაიჯანის სოფლების ქუჩაში მცხოვრები ოჯახების მობილობა ზამთარში იღებს საქართველოში წვრილმანი ვაჭრობის მიზნით გადაადგილების ფორმას, რეგულარულ დაბრუნებას აზერბაიჯანში გასაყიდი საქონლით, მიგრაციას შავი ზღვის კურორტებზე ზაფხულში და დაბრუნებას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების საწარმოებლად შემოდგომაზე.

აზერბაიჯანელი ქურთი რესპონდენტების უმრავლესობამ განმარტა, რომ ისინი გადაადგილდებოდნენ საქართველოში დაქირავებულ საცხოვრისს და გაზახის, აგსთაფას და ევლახის დასახლებებს შორის, რომლებსაც ისინი თავიანთ სახლად მიიჩნევდნენ. მობილური ქუჩის ოჯახები, ჩვეულებრივ, ქირაობენ საცხოვრებელს შავი ზღვის სანაპიროზე

და იხდიან საფასურს დღიურად ან ყოველკვირეულად. აზერბაიჯანში ზოგიერთს საკუთარი კერძო სახლი აქვს, თუმცა ყველას არა: ბევრი აზერბაიჯანშიც ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს ან ბრუნდება მოხუც ნათესავებთან, რომლებიც ბინას ქირაობენ. ამგვარად, აზერბაიჯანელი ქურთების მობილობის კულტურის მიჩნევა აზერბაიჯანში საკუთარ სახლს და უძრავ ქონებას და საქართველოში დაქირავებულ საცხოვრისს შორის გადაადგილებად (რაც გავრცელებული აზრია) საკითხის ზედმეტად გამარტივებაა.

სეზონურ მიგრაციულ მოძრაობას ტურისტების ნაკადების კვალდაკვალ არა მარტო აზერბაიჯანელი ოჯახები, არამედ ქართველი ქუჩის ოჯახები და თანმხლების გარეშე მყოფი ბავშვებიც ჩამოჰყავს ბათუმში, ქობულეთსა და ურეკში და შავი ზღვის სანაპიროს სხვა ტურისტულ ადგილებში. ბავშვები მოძრაობენ ბულვარში, პლაჟზე და ავტობუსის გაჩერებებზე და ძირითად გზაჯვარედინებზე ყიდიან ყვავილებს და ხილს და ითხოვენ ფულს ტურისტებისგან. თანმხლების გარეშე მოძრავი ბავშვები და მოზარდები რეგულარულად მგზავრობენ მატარებლით თბილისსა და სხვა შიდა ცენტრებს და შავი ზღვის სანაპიროს შორის.

ანა

ანა 15 წლის ქართველი გოგონაა, რომელიც ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვებისთვის განკუთვნილ ერთ-ერთ ცენტრში საცხოვრებლად ახლახან გადავიდა. ცოტა ხნის წინ ის დედას ბაზრობებზე და სხვა ადგილებში ვაჭრობის დროს თან დაჰყვებოდა. ანა კვლავ ინარჩუნებს კავშირს დედასთან და ზოგჯერ ბრუნდება მასთან სახლში. თუმცა უმეტეს დროს, ღამეების ჩათვლით, ქუჩაში ატარებს. ზოგჯერ ორკვირიანი პერიოდით სახლში ბრუნდება. ცენტრში მისვლამდე ის სხვადასხვა ადგილზე იძინებდა ღია ცის ქვეშ ან ინტერნეტ-კაფეებში მეგობრებთან ან ძმასთან ერთად. ასევე, მან სამჯერ გაატარა ღამე ე.წ. „მორგის“ ტერიტორიაზე თბილისში, რომელიც ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვების კონტროლირებად ტერიტორიას წარმოადგენს (იხ. ქვევით).

ანამ თანდათანობით შეწყვიტა დედასთან ერთად სიარული და დაიწყო ქაღალდის ხელსახოცებით, სანთლებით და ხატებით ვაჭრობა თბილისის კონკრეტულ უბნებში თავის ძმასთან ან მეგობრებთან ერთად. ის თავისი შემოსავლის ნახევრის დედისთვის მიცემას აგრძელებდა. იმ თანხის ნახევარი კი, რომელსაც ანა თავისთვის იტოვებდა, მისი თქმით, ეხარჯებოდა საკვებზე და ტანსაცმელზე. ჩამოთვლილი საქმიანობებით და მათხოვრობით ანა დღეში 30-დან 40-ლარამდე შოულობდა. მან და მისმა მეგობრებმა თავიანთი საქმიანობა კალენდარს შეუხამეს და შესაბამისად გადაადგილდებიან, მაგალითად, ძველი დედაქალაქის მცხეთობის დღესასწაულზე 14 ოქტომბერს ისინი მიემართებიან მცხეთისკენ, სადაც ანამ ერთხელ ერთდღიანი მათხოვრობით რეკორდული შემოსავალი - 950 ლარი გამოიმუშავა.

ანამ საველე სამუშაოების შემსრულებელ მკვლევარებს განუცხადა, რომ რამდენიმე ზაფხულის განმავლობაში ბათუმში ჩადიოდა. მას განსაკუთრებით კარგად ახსოვს ერთი ზაფხული, რადგან ექვსი დღე გაატარა ბათუმში უძილოდ. ეს მისი პირადი რეკორდი იყო. იმ დროს ის მეგობრებთან ერთად გაემგზავრა უფასოდ გზაზე გაჩერებული მანქანით ურეკში და გარკვეული პერიოდის შემდეგ ბათუმში. პირველ ღამეს ბათუმში ისინი ინტერნეტ-კაფეში წავიდნენ და ორი ლარი დახარჯეს, რომ თითოეული ნახევარი საათით დარჩენილიყო. მომდევნო ხუთი ღამის განმავლობაში ისინი შეუერთდნენ მეგობრებს, ბიჭებსა და გოგონებს, რომლებიც, ანას თქმით, ბათუმში ჩავიდნენ „ბულვარის მოედნის და სადგურის ტერიტორიაზე სამუშაოდ“.

> მომდევნო ზაფხულს ანა ისევ წავიდა ბათუმში, მაგრამ ამჯერად დედასთან და დედის მეზობლის ქალიშვილთან ერთად. ანას თქმით, დედამ მას ფული მისცა და მათხოვრობის ნაცვლად მან გადაწყვიტა, დაესვენა თბილისში დაბრუნებამდე.

თანმხლების გარეშე მყოფმა ბავშვებმა და მოზარდებმა ბათუმში და სხვა სანაპირო ქალაქებში წასვლის პერსპექტივა აღწერეს როგორც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გაზრდილი შემოსავლის მიღების და ასევე საკუთარი გართობის შესაძლებლობა. რეალურად ზოგიერთი ბავშვი იმ ზაფხულს, როდესაც ვერ მოახერხა ბათუმში წასვლა, განსაკუთრებულად წარუმატებლად მიიჩნევდა, რაც ასახავდა არა მარტო მათ გართობის საჭიროებას, არამედ ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვების საერთო აზრს, რომ რეგულარული სეზონური მობილობა ნორმალური მდგომარეობა იყო და არა რაიმე გამონაკლისი.

ქუჩის ბავშვების არსებობა და ტურისტულ ზონებში მათი სეზონური მიგრაცია წვრილმან დანაშაულსაც უკავშირდება. ზოგიერთმა მოზარდმა, რომელსაც ვესაუბრეთ, აგვიხსნა, რომ მუდმივი მოძრაობა, მაგალითად, ადგილმდებარეობის ცვლა ბათუმს, თბილისსა და რუსთავს შორის, პოლიციისგან დამალვის საშუალებას წარმოადგენს.

წვრილმანი დანაშაული

ანა, რომლის ბათუმში მოგზაურობაც ზემოთ იყო აღწერილი, ქუჩასთან დაკავშირებული გოგონების იმ მრავალრიცხოვან ჯგუფს ეკუთვნის, რომლებიც კანონსაწინააღმდეგო საქმიანობას ეწევიან. იმ დროს, როდესაც ჩვენ მას ვესაუბრეთ, ის ჩართული იყო ე.წ. არასრულწლოვანთა განრიდების პროგრამაში, რომელიც 2010 წელს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილების შესაბამისად დაიწყო. აღნიშნულმა ცვლილებამ დისკრეციული სისხლისსამართლებრივი დევნის ახალი წესები შემოიღო, რომელთა შედეგად კრიმინალური წარსულის არმქონე არასრულწლოვნები, ნაკლებად მძიმე დანაშულის ჩადენის შემთხვევაში, შეიძლება განრიდებულნი იქნენ სისხლისსამართლებრივი დევნისგან და მოექცნენ პროგრამაში, რომელსაც სოციალური მუშაკი ხელმძღვანელობს. ეს გულისხმობს სამოქალაქო ხელშეკრულების გაფორმებას არასრულწლოვანს, მის მშობლებს, პროკურორს, სოციალურ მუშაკს და დანაშულის მსხვერპლს შორის.[12] ეს მექანიზმი აჩვენებს, რომ საქართველოს მთავრობას ესმის კანონთან კონფლიქტის მქონე ბავშვების რეაბილიტაციის საჭიროება, ხოლო არსებული მაგალითები ცხადყოფს, რომ წვრილმანი დანაშული წარმოადგენს ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბევრი ვაჟის თუ გოგონას ყოველდღიური ცხოვრების ნაწილს.

რესპონდენტი ბიჭების და გოგონების მიერ აღწერილ საქმიანობებს შორის ყველაზე გავრცელებული დანაშაულებრივი ქმედებებია ჯიბის ქურდობა, მობილური ტელეფონების მოპარვა (განსაკუთრებით პლაჟზე), წვრილმანი ქურდობა მაღაზიებში და დახლებზე, ასევე მანქანებში და ბინებში შეჭრა და ძვირფასეულობის ქურდობა, მძღოლების და მგზავრების დაყაჩაღება მანქანებში და ქუჩებში არსებული საცობების დროს, როცა ბავშვები აიძულებენ მსხვერპლს, გადასცეს მათ ფული და ტელეფონები ძალადობის მუქარით.

12 ხელშეკრულების პირობების თანახმად, არასრულწლოვანს გაეწევა საჭირო მომსახურება და ის ვალდებული იქნება, შეასრულოს გარკვეული ვალდებულებები. სახელმწიფო და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები გაუწევენ დახმარებას არასრულწლოვან პირს. სოციალური მუშაკი აწარმოებს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგს, ე.ი. თუ რამდენად კარგად ასრულებს არასრულწლოვანი ხელშეკრულების პირობებს.

ქუჩაში მცხოვრები/მომუშავე ოჯახების ბავშვები, რომლებიც წვრილმან დანაშაულს ჩადიან, ძირითადად მაღაზიებიდან და დახლებიდან ქურდობაზე ყვებიან. ზოგიერთი ბავშვი ამბობს, რომ მის თანატოლებს ოჯახები აიძულებენ, მაღაზიაში იქურდონ, მაგრამ ჩვენ არ მოგვისმენია აღნიშნულის შესახებ პირადი აღიარება. რამდენიმე ბავშვმა ქუჩაში მცხოვრები/მომუშავე ოჯახებიდან აღნიშნა, რომ დედები მოუწოდებდნენ, არ მოეპარათ. იმავე დროს, ბევრი იხსენებდა, რომ მამები და უფროსი ძმები დაპატიმრებულნი იყვნენ ქურდობისთვის ან ფულის სხვა უკანონო გზით შოვნისთვის. ერთმა აზერბაიჯანელმა მოზარდმა აგვიხსნა, რომ ის მათხოვრობას შავი ზღვის ტურისტულ რეგიონებში სხვა საქმიანობას უხამებდა:

> *იმ შემთხვევაში, თუ ვერაფერს ვიღებ მათხოვრობით, ჩვეულებრივ, ვიპარავ, ეს საერთოდ არ მაწუხებს. მაღაზიაში ან ბაზარში ვიღებ სახრახნისს, ვაღებ ლითონ-პლასტმასის სათავსოებს, ვიღებ ფულს და მივდივარ. ან სახრახნისს ვიყენებთ მაღაზიის კარის გასაღებად, როდესაც ის ღამით იკეტება. არ მივდივართ იქ, სადაც კამერებია დამონტაჟებული და შეიძლება სიგნალიზაცია ჩაირთოს [პოლიციისთვის თავის ასარიდებლად]. მივდივართ დიდ მაღაზიებში, სადაც კამერები არ არის დამონტაჟებული.*

უფროსების თანხლების გარეშე მყოფი ბავშვები და მოზარდები მრავალფეროვან დანაშაულებრივ ქმედებებს ჩადიან, და არა უბრალოდ წვრილმან ქურდობას. ამის მაგალითია დავითი. ჩვენ ანგარიშში შევიტანეთ მასთან საუბრის შედარებით ვრცელი ჩანაწერი, რომელიც ქუჩაში ბავშვების ცხოვრების სხვა ასპექტებსაც გვიჩვენებს.

დავითი

დავითი 13 წლის ქართველი ბიჭია. მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ თავზე არ ლაპარაკობს, სოციალურმა მუშაკმა, რომელსაც მასთან გასაუბრების საშუალება ჰქონდა, გაიხსენა, რომ ის რამდენიმე წლის წინ დედამ მის ძმასთან ერთად მიატოვა. ისინი ბებიასთან ცხოვრობდნენ, მაგრამ დროის უმეტეს ნაწილს თბილისის ქუჩებში ატარებდნენ. სოციალურმა მუშაკმა განმარტა, რომ დედის მიერ მიტოვებამ დავითს ტრავმა მიაყენა.

დავითმა საველე სამუშაოების შემსრულებელ მკვლევარებს განუცხადა, რომ მამამისი ციხეში იყო და მას არ ჰქონდა ინფორმაცია დედის ადგილსამყოფელის შესახებ. როდესაც ვკითხეთ, თუ როგორ ატარებს დროს ქუჩაში, გვიპასუხა, რომ ის განსაკუთრებულს არაფერს აკეთებს და დროს მეგობრებთან ერთად ატარებს. დიალოგი შემდეგნაირად გაგრძელდა:

ინტერვიუერი: *და როცა თქვენ და თქვენს მეგობრებს ფული გჭირდებათ, სად შოულობთ?*

დავითი: *არ ვიცი... მივუახლოვდები ადამიანს და ფულს ძალით წავართმევ.*

ინტერვიუერი: *როგორ?*

დავითი: *თავდაპირველად მივუახლოვდები და ვეტყვი, ფული მომცეს, მაგრამ თუ წინააღმდეგობას გამიწევს, ვცემ და ფულს ამგვარად წავართმევ.*

ინტერვიუერი: *და ეს ხშირად ხდება?*

დავითი: *არც თუ ხშირად.*

ინტერვიუერი: *გიმათხოვრიათ ქუჩაში?*

დავითი: *არა.*

ინტერვიუერი: *მოგიპარავთ ოდესმე?*

დავითი: *კი, ძირითადად საკვები და სიგარეტი მაღაზიებიდან ან სუპერმარკეტებიდან.*

ინტერვიუერი: *ჩვეულებრივ, ვისთან ერთად იპარავთ ხოლმე?*

დავითი: *ჩვეულებრივ, მარტო ვიპარავ.*

ინტერვიუერი: *და ღამეებს მარტო ატარებთ თუ მეგობრებთან ერთად?*

დავითი: *ზოგჯერ მარტო და ზოგჯერ მეგობრებთან ერთად.*

ინტერვიუერი: *მარტო? რატომ? რატომ ატარებთ ღამეებს ქუჩაში მარტო?*

დავითი: *უბრალოდ არ მინდა სახლში მისვლა.*

ინტერვიუერი: *სახლში მოწყენილი ხართ? გაქვთ სახლში კომპიუტერი?*

დავითი: *არა, აღარ მაქვს... ჩემი პორტატული კომპიუტერი ლომბარდში დავაგირავე.*

ინტერვიუერი: *როგორ იკვებებით ან ზრუნავთ ჰიგიენაზე?*

დავითი: *მაქვს ამისთვის ფული.*

ინტერვიუერი: *და როგორ შოულობთ მას?*

დავითი: *ვიცი გზები.*

ინტერვიუერი: *როგორ ყიდულობთ, მაგალითად, ტანსაცმელს?*

დავითი: *ვთხოვ უფროს ბიჭებს და ისინი ყოველთვის მაძლევენ ფულს, მათ იციან, რომ მე ყოველთვის ვიხდი ვალს.*

ინტერვიუერი: *მოგწონს ქუჩაში ცხოვრება?*

დავითი: *კი, მომწონს.*

ინტერვიუერი: *და მაინც რა მოგწონს?*

დავითი: *თვითონ ქუჩაში ცხოვრების წესი.*

ინტერვიუერი: *ქუჩის მენტალიტეტი?*

დავითი: *კი*

ინტერვიუერი: *და რას ნიშნავს ეს?*

დავითი: *არ შემიძლია ამის ერთი წინადადებით ახსნა, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ ქუჩა ჩემი სახლია, მირჩევნია აქ ვიყო, ვიდრე ჩემს ნამდვილ სახლში.*

ინტერვიუერი: *და რას გაძლევთ ქუჩა?*

დავითი: *ქუჩა ყველაფერს მაძლევს, რაც მჭირდება.*

ინტერვიუერმა, რომელიც დავითს კარგად იცნობს, ჰკითხა მას წინა საუბრებში და სხვა ბავშვებთან დაკავშირებით წამოჭრილი ცნების შესახებ. ეს „კაი ბიჭობის“ ცნებაა:

ინტერვიუერი: *უფრო მეტი რომ ვისაუბროთ ქუჩის მენტალიტეტზე, ვინმეს ან თქვენ შეგიძლიათ საკუთარ თავს „კაი ბიჭი“ უწოდოთ?*

დავითი: *ჯერ არა.*

ინტერვიუერი: *რა არის საჭირო, რომ ეს ტიტული მიიღოთ? ვინ განიჭებთ მას?*

დავითი: *რა თქმა უნდა, „კანონიერი ქურდი“ .*

ინტერვიუერი: *და თვითონ კანონიერი ქურდი რა ეტაპებს გადის? პატიმრობა აუცილებელია?*

დავითი: *მას უნდა ჰქონდეს ქურდის ტატუ – ვარსკვლავი.*

ინტერვიუერი: *და ვის აქვს მის სხეულზე ასეთი ტატუს გაკეთების უფლება?*

დავითი: *ის უნდა იყოს ქურდი ან „კაი ბიჭი“.*

ინტერვიუერი: *ასე რომ, როგორც ვხვდები, თქვენ გსურთ და გეგმავთ, „კაი ბიჭი“ გახდეთ.*

დავითი: *კი.*

ე.წ. „კაი ბიჭის“ ან „კანონიერი ქურდის“ ცნება ატარებს პროფესიონალი ქურდის ან კრიმინალი „ბოსის“ იმიჯს, რომელიც ჩართულია ორგანიზებულ დანაშაულში.[13] მართალია, დავითი ძალიან ახალგაზრდაა, მაგრამ ასეთი ტიტულის მიღებაზე ოცნებობს. დავითის განცხადება სამომავლო გეგმების შესახებ შეიძლება გულწრფელი იყო ან ეს უბრალოდ ინტერვიუერის წინაშე თავის გამოჩენის მცდელობას წარმოადგენდა, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში „კაი ბიჭის“ ან „კანონიერი ქურდის“ ცნება ისეთი აზროვნების გამომხატველია, სადაც დანაშაული ნორმალურად არის მიჩნეული უფროსების თანხლების გარეშე მყოფ ბავშვებს შორის.

ბევრი წვრილმანი დანაშაულის ჩადენა ხდება ერთად მოქმედი ბავშვების ჯგუფების მიერ, სადაც შედარებით უმცროსი ასაკის ბავშვებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ნადავლის შენახვაზე. ასეთი პრაქტიკის დამკვიდრების მიზეზი ის არის, რომ უფროსი ბიჭები ცდილობენ სისხლისსამართლებრივი დევნისთვის თავის არიდებას, რადგან 14 წელზე უმცროსი ბავშვები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მცირეწლოვნებად არიან მიჩნეულნი. აღნიშნულს მივყავართ ბავშვთა ჯგუფების შიდა ორგანიზებამდე.

თანამშრომლობის და დახმარების ჯგუფები

განსხვავებები უსახლკარო ბავშვებს და მოზარდებს, ქუჩაში თანმხლების გარეშე მყოფ ბავშვებს (რომლებიც სახლში იძინებენ), მობილური ქუჩის ოჯახების ბავშვებს და უსახლკარო ოჯახების ბავშვებს შორის წარმოდგენილია ბავშვთა *კატეგორიების* ზოგიერთი საერთო მახასიათებლის აღსაწერად. სხვადასხვა ქალაქის ქუჩაში მცხოვრები/მომუშავე ბავშვების მრავალფეროვნება დამატებით მოიცავს იმ ბავშვთა სხვადასხვა *ჯგუფს*, მეგობრების წრეს ან ბავშვთა კლასტერებს შორის განსხვავებებს, რომლებიც ერთად ცხოვრობენ და გადაადგილდებიან. ეს ჯგუფები ცდილობენ, იპოვონ ადგილები ღამის გასატარებლად და იქ ბავშვები თანამშრომლობენ წვრილმანი ვაჭრობის, მათხოვრობის ან კრიმინალური საქმიანობის მიზნით, მოგზაურობენ ერთად და მეგობრობენ, რაც ნაჩვენებია რამდენიმე შემთხვევაში, რომლებიც აღწერილი იყო ამ თავის დასაწყისში. აღსანიშნავია ელენეს მაგალითი, როდესაც ბავშვები თანამშრომლობდნენ შემოსავლის მისაღებად.

13 ტერმინი „კანონიერი ქურდი“ შთაგონებულია ორგანიზებული დანაშულის ცნებებით, რომლებსაც საბჭოთა ეპოქაში იყენებდნენ (იხ. Tevzadze n.d.). 2005 წელს საქართველოს მთავრობამ მოახდინა „კანონიერი ქურდობის“ და „ქურდული სამყაროს წევრობის“ კრიმინალიზაცია, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით 5-დან 10 წლამდე (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 223). აღნიშნული კანონმდებლობის შედეგების განსახილველად იხ: https://old.civil.ge/eng/article.php/_print.php?id=27489 .

იმ ბავშვების ჯგუფები, რომლებიც ერთად ცხოვრობენ და გადაადგილდებიან, არა მარტო ეხმარებიან ერთმანეთს შემოსავლის გამომუშავებაში, არამედ ხანდახან ინაწილებენ კიდეც შემოსავალს, რომელსაც სხვადასხვა საქმიანობიდან იღებენ. როგორც დავითმა მიუთითა, ბავშვების ჯგუფის შიდა ურთიერთობების კიდევ ერთი ასპექტია საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთისთვის ფულის სესხება. ბავშვები ასევე იღებენ ვალს, განსაკუთრებით მაღაზიების მფლობელებისგან, და შემდეგ ეხმარებიან ერთმანეთს გარე ვალის გასტუმრებაში. მაგალითად, 14 წლის ლუკამ, რომლის არაოფიციალური საქმიანობის ამბავი ზევით იყო აღწერილი, აღნიშნა, რომ მაღაზიის მფლობელს შოკოლადის, სასმელის და სხვა პროდუქტების საფასური შრომით გადაუხადა. თავიდან მას ერთი მაღაზიის მეპატრონის ვალი ჰქონდა, შემდეგ თბილისში სხვა მაღაზიის მეპატრონისგან აიღო ვალი. გარკვეულ ეტაპზე მისმა დავალიანებამ მაღაზიის მეპატრონის მიმართ 120 ლარი შეადგინა. შემდეგ ლუკას ბიძაშვილმა გადაიხადა ეს ვალი. ეს არ მომხდარა მხოლოდ ერთხელ, ლუკამ გვიამბო:

> *როდესაც სკოლიდან მშიერი ვბრუნდებოდი, მაღაზიაში ვიღებდი გარკვეულ პროდუქტებს ჩემი მეგობრებისთვისაც, რომ მე და ჩემს მეგობრებს გვეჭამა და დაგველია. ისინი მიცნობდნენ, მე ვთხოვდი [საქონელს ნისიად] და [ისინიც] მაძლევდნენ. შემდეგ ჩემს ბიძაშვილს ვუთხარი, რომ პრობლემა მქონდა და მჭირდებოდა მისი დახმარება და მან 250 ლარი მომცა.*

თანმხლების გარეშე მყოფი ბავშვების ზოგიერთი ჯგუფი ქალაქის სხვადასხვა ტერიტორიული უბნის კონტროლს ცდილობს. ერთმა ყოფილმა ქუჩის ბავშვმა, რომელსაც კავშირი ჰქონდა ქუჩის უსახლკარო მოზარდებთან, აღნიშნა, რომ ის და მისი მეგობრები ცდილობდნენ სხვა ჯგუფების გაძევებას თავიანთი ტერიტორიებიდან: „ჩვენ მივდივართ მათთან და ვეუბნებით, რომ დატოვონ ჩვენი ტერიტორია და თუ ეს არ გაამართლებს, ვცემთ მათ.“ კიდევ ერთმა უსახლკარო ბავშვმა დასძინა: „ან საშუალებას მივცემთ მათ, დარჩნენ მათთვის ხელსაყრელ ტერიტორიებზე ფულის, მაგალითად, 20 ლარის, სანაცვლოდ.“ ხელსაყრელ ტერიტორიაში ის გულისხმობდა განსაკუთრებით პოპულარულ რესტორნებს, სადაც მათხოვრობით, წვრილმანი ვაჭრობით ან ჯიბის ქურდობით ფულის შოვნის შესაძლებლობა შედარებით მაღალია.

ქუჩის ოჯახების წევრი ბავშვები შეიძლება დაიყონ მცირე ქვეჯგუფებად ქალაქის მასშტაბით, ისევე, როგორც თანმხლების გარეშე მყოფი ბავშვები, რომლებიც ღამით შინ ბრუნდებიან. ორმა ბიჭმა უბრალოდ აღნიშნა, რომ ზევით აღწერილი ბავშვების ჯგუფები მიეკუთვნებოდნენ მოლდოველი ბოშების ქუჩის ოჯახებს და აზერბაიჯანელი ქურთების ოჯახებს, როგორც ცალკე ჯგუფებს, რომლებიც „ხელშეუხებელნი“ არიან სხვების მხრიდან. ქვევით წარმოდგენილია ნაწყვეტები მათთან საუბრიდან:

- „მათ [შიდა ჯგუფები] აქვთ, მაგრამ ზოგადად ისინი თავისიანებს იცავენ.“
- „უმჯობესია, ქურთებისგან თავი შორს დაიჭირო. ბოშებს და მოლდოველებს [ასევე] თავიანთი ჯგუფები აქვთ და მათ სხვა ჯგუფების „ბოსების“ სასარგებლოდ მუშაობას არასოდეს აიძულებენ.“
- „ქურთები მათხოვრობენ, თავისიანები აიძულებენ მათ და ისინი ამას უკვე მიჩვეულებიც არიან და თან ვალდებულებიც.“

ერთი მოსაზრება, რომელიც რამდენჯერმე გამოითქვა, იყო ის, რომ ქუჩის ოჯახების წევრ ბავშვებს თავიანთ მშობლებთან ან მეურვეებთან მტკიცე ვალდებულებები აკავშირებს და ეს უკანასკნელნი იცავენ მათ. ამგვარად, ბავშვებისა და მოზარდების ეს ჯგუფები „ხელშეუხებლები“ იყვნენ და ისინი თანატოლებთან ინტეგრაციას თავს არიდებდნენ.

ასეთი აღწერის შედეგად შეიძლება მხედველობიდან გამოგვრჩეს რამდენიმე ვარიაცია: ჩვენ გავესაუბრეთ რამდენიმე ბავშვს, რომლებიც ნაკლებად იყვნენ შებოჭილნი ვალდებულებებით თავიანთი ქუჩის ოჯახების წინაშე მას შემდეგ, რაც გაიზარდნენ და უსახლკარო მოზარდების ჯგუფებს დაუკავშირდნენ. ნებისმიერ შემთხვევაში, აღწერა გულისხმობს, რომ ქუჩის ბავშვების და მოზარდების პოპულაცია ხასიათდება შიდა განსხვავებით სოციალურ სუბიექტებს შორის, რაც ნაწილობრივ განისაზღვრება ქცევის შიდა კოდექსებით და იერარქიით. გარდა ამისა, ბავშვების ურთიერთდახმარების მონეტის მეორე მხარე სუბორდინაციის და უფროსობის სტრუქტურების შექმნაა.

რანგთან, ასაკთან და სასიცოცხლო ციკლთან დაკავშირებული საკითხები

ურთიერთდახმარების პრინციპით მოქმედი ეგალიტარული ჯგუფების გარდა, ვხვდებით სხვა ტიპის ჯგუფებსაც, რომლებიც, ეგალიტარული ჯგუფების მსგავსად, ერთად გადაადგილდებიან, მაგრამ, ამავე დროს, სუბორდინაციის არაოფიციალურ სტრუქტურებს ქმნიან. ბავშვები და მოზარდები აღნიშნავენ, რომ ასეთ ჯგუფებში დაქვემდებარებული ბავშვები იძულებულნი არიან, იმუშაონ ან დანაშაული ჩაიდინონ და შემოსავალი უფროსებს მიუტანონ. ხშირად, დანაშაულებრივი საქმიანობის დროს (მაგ. ქურდობა მაღაზიებიდან და დახლებიდან, ავტომობილებში შეჭრა და ძვირფასეულობის ქურდობა), უფროსი ბავშვები სადარაჯოზე დგანან, ხოლო პატარებს ნაძარცვი მოაქვთ. ეს ფაქტი უკავშირდება საქართველოში სისხლისსამართლებრივი დევნისთვის დადგენილ ასაკობრივ ლიმიტს, რაც 14 წელია; შედარებით უფროსი ასაკის ბავშვები უმცროს ბავშვებს იმისათვის იყენებენ, რომ კანონით განსაზღვრული პასუხისმგებლობა თავიდან აიცილონ.

თბილისის ერთ-ერთ სერვისცენტრში ყოფილ ქუჩის ბავშვებთან ჯგუფური დისკუსია მოვაწყვეთ და ვთხოვეთ მათ, თბილისის ქუჩის ბავშვთა ჯგუფებს შორის არსებული განსხვავებების შესახებ ესაუბრათ. უმეტესწილად მათ ქუჩის ჯგუფები შიდა რანგობრივი ორგანიზების მიხედვით განასხვავეს. ამ ფენომენის სირთულის დემონსტრირების მიზნით ქვემოთ ზემოხსენებული დისკუსიის ნაწილების პერიფრაზირება წარმოვადგინეთ.

> *ბავშვები იკრიბებიან კონკრეტულ ადგილებში, მაგ. ელბაქიძის ქუჩაზე, რუსთაველის გამზირზე ან შარდენზე, ინტერნეტ-კაფეებში და ღამის კლუბების და შუქნიშნების სიახლოვეს. ისინი რჩებიან ამ ადგილებში დღის განმავლობაში, მაგრამ უფრო მეტად საღამოობით, რადგან ამ ადგილებს დღის განმავლობაში პოლიცია აკონტროლებს, საღამოს კი აქ გაცილებით მეტი ადამიანი მოძრაობს.*

ჯგუფის ერთ-ერთმა მედიატორმა იკითხა, თუ რას აკეთებდნენ ბავშვები და მოზარდები ასეთ ადგილებში:

> *მმმ... ძირითადად ისინი მათხოვრობენ ან იპარავენ... ზოგიერთ მათგანს ჰყავს მშობელი და ბევრ შემთხვევაში მათ ყველაფერი აქვთ სახლში, საჭმელი, ტანსაცმელი და ა.შ. მაგრამ მათ ურჩევნიათ ქუჩაში ყოფნა, სადაც ისინი ერთმანეთს ხვდებიან თავიანთი საქმიანობისთვის ან საჩხუბრად... ამიტომ მათ უწევთ დამალვა პოლიციისგან. ისინი ჩამოშორდნენ რეალურ ცხოვრებას; მაგალითად, მათთვის ჩვეულებრივი ბიჭი არის „ცუდი ბიჭი“ ან „დედიკოს ბიჭი“... ისინი საკუთარ თავს თვითონ იცავენ და მოწინააღმდეგისთვის ჭრილობის მიყენებაც კი შეუძლიათ. ისინი ძირითადად ჯგუფებად გადაადგილდებიან, არ დადიან მარტო.*
>
> *მათი ასაკი 10-დან 16 წლამდეა. ისინი აცნობიერებენ, რომ ქუჩა მათთვის აღარ გამოდგება.... ეშინიათ პოლიციელების მიერ დაპატიმრების შესაძლებლობის.*

14 წლამდე, ჩვეულებრივ, ციხეში არ ხვდებიან, მაგრამ 14 წლის შემდეგ ცდილობენ, რომ არ მოხვდნენ პოლიციის მხედველობის არეში.

ამ საუბარში მოზარდები განასხვავებენ ერთმანეთს ჯგუფების მიხედვით და ერთ ტიპურ ჯგუფად *„ჩარჩენილებად“* მოიხსენებიან. ეს ტერმინი გამოხატავს ამ ბავშვების სკოლაში ერთსა და იმავე კლასში დარჩენის ტენდენციას: „ისინი, ჩვეულებრივ, ძალზე აგრესიულები არიან და მათი გამორჩევა უცებ არის შესაძლებელი. ისინი მოიხმარენ ნარკოტიკებს და ფსიქოტროპულ ნივთიერებებს, ხოლო გოგონები, რომლებიც ამ წრეში ტრიალებენ, მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, როგორ იშოვონ ფული, რომ იყიდონ ნარკოტიკები ან აბები „კაიფისთვის“.

ბიჭებმა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ამ დისკუსიაში, შემდგომ დაყვეს ბავშვების და მოზარდების როლები *„შნირებად“* (რუსული ქუჩური ჟარგონი) და *„ბულერებად“*, ანუ პირებად, რომლებიც გარშემო მყოფებს აშინებენ:

როდესაც „ჩარჩენილების“ მსგავსი ახალგაზრდები 16 ან 17 წლის ხდებიან, ისინი აცნობიერებენ, რომ ძველებურად აღარ შეუძლიათ გაგრძელება, რადგან შეიძლება ციხეში მოხვდნენ. ამიტომ ისინი აიძულებენ ასაკით უმცროს, 10-14 წლის ბავშვებს, რომ მათთვის ფული იშოვნონ და არა მარტო ფული. თუ ისინი ვერ აიძულებენ ბავშვებს, აკეთონ რაც მათ სურთ, ისინი მათ ითრევენ აზარტულ თამაშებში იმისათვის, რომ არ დაუტოვონ პატარებს მათგან ფულის სესხების გარდა სხვა არჩევანი.

დაქვემდებარებული პირების შექმნა აზარტულ თამაშებთან დაკავშირებული ვალის გამო არის ტექნიკა, რომელიც არაერთხელ აღინიშნა რესპონდენტი მოზარდების მიერ. თუმცა, ჩვეულებრივ, უფროს „ბულერებს“ აქვთ უნარი, შეაფასონ უმცროსი ბავშვების ნებისყოფა, მათ შეუძლიათ გამოიცნონ, თუ ვისთან შეუძლიათ ფსიქოლოგიური „მუშაობა“ იმისათვის, რომ თავისი კონტროლის ქვეშ მოაქციონ, თავის მხრივ კი ისინი სთავაზობენ ამ ბავშვებს დაცვას კონფლიქტის შემთხვევაში.

ჩვენს კვლევაში მონაწილე ბიჭებმა ასევე აღწერეს მეტოქეობა ლიდერობასთან დაკავშირებით ჯგუფური ცხოვრების სფეროში საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე. ერთ-ერთმა მათგანმა აღნიშნა:

იმისათვის, რომ ლიდერი გახდეს, [ბიჭი] უნდა იყოს ძალიან ჭკვიანი. შეუძლებელია, გახდე ლიდერი უბრალო განცხადებით - „მე ვარ ბოსი!“. როდესაც თქვენ წარმატებით და გონივრულად წარმართავთ საქმეს და არ დაგიჭერენ ამისათვის, მოიპოვებთ რეპუტაციას და როდესაც ეს ბევრჯერ განმეორდება, თქვენ თანდათანობით გახდებით ჯგუფის ლიდერი.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლიდერობა გამომდინარეობს შეძენილი უნარებიდან, რეპუტაციიდან და ავტორიტეტიდან. ერთ-ერთმა ბიჭმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ ის ჯგუფის ლიდერი იყო თბილისში. მან შემდეგნაირად აღწერა თვითკონტროლის და დაშინების საშუალებით ლიდერობის მოპოვების ნიუანსები:

უნდა იცოდე, როგორ მოიქცე. მაგალითად, თუ ვინმე შემაგინებს და მე მას აქ ვცემ, ეს არ იქნება გონივრული ქმედება. მაგრამ თუ გვერდით გავიყვან და იქ ვცემ, გავხდები მაგალითი და ასეთი ქმედებები თანდათანობით გაქცევს ლიდერად.

თავის მხრივ, ურთიერთობები სხვადასხვა ჯგუფს შორის უკავშირდება ლიდერობას: ჯგუფის ლიდერის რეპუტაცია გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორი დამოკიდებულება

ექნებათ სხვებს მის, როგორც ლიდერის, და მასთან დაკავშირებული პირების მიმართ. მოძალადე ლიდერი გავლენას ახდენს ჯგუფის წევრების რეპუტაციაზე. უფრო მეტიც, იმ შემთხვევებში, როდესაც ლიდერი თავისი სისასტიკით არის ცნობილი, ორგანიზაციული სტრუქტურა მკაცრად იერარქიულია და შიდა ქცევის კოდექსები სრულდება ძალადობის საშუალებით, ხოლო ბავშვების და მოზარდების ქვეჯგუფები მოგვაგონებენ ბანდებს (როგორც განსაზღვრულია ნაშრომში - Aptekar & Stoecklin 2014:79-80, Heinonen 2011).

როგორც ჩანს, პოლიციის ან ქალაქის მხრიდან არ არსებობს ბანდების დანაშაულებრივ ქმედებებზე რეაგირების კოორდინირებული ძალისხმევა. აღსანიშნავია ერთი სექტის მსგავსი დაჯგუფება თბილისში (ცნობილია „მორგის“ ბავშვების სახელწოდებით), რომელიც ტერიტორიულად მიწის ქვეშ მდებარეობს. ყოფილი წევრები აღნიშნავენ, რომ ამ ჯგუფში ბავშვებს იღებენ შედარებით უფროსი ასაკის მოზარდების და ზრდასრული პირების მიერ რიტუალების შესრულების გზით. რამდენიმე მოზარდმა, რომლებსაც ვესაუბრეთ და რომლებიც ჯგუფის წევრებს წარმოადგენდნენ, აღნიშნეს, რომ ჯგუფში მიღების რიტუალი ბიჭებისთვის გულისხმობდა თვითდაზიანებას. ერთი ყოფილი წევრის თქმით, ჯგუფს ხელმძღვანელობს ე.წ. *„ქურუმი“*, რომელიც გარკვეულ დროს ხარჯავს ახალ წევრებზე:

> *„ის ატარებს ბევრ რიტუალს, მაგალითად, საკუთარი თავის დაზიანებას. მათ სულის რეინკარნაციის სჯერათ. წევრებმა დაადასტურეს თავიანთი ერთგულება ეშმაკის მიმართ. როდესაც ამ სექტის წევრი ხდები, ბევრი რამ ხდება: თავდაპირველად ქურუმი ბევრს გესაუბრება, წყვეტს, ხარ თუ არა სანდო პირი და იმსახურებ თუ არა სექტის წევრობას. „ქურუმი“ იღებს გადაწყვეტილებას.“*
>
> *საველე სამუშაოების განმახორციელებელი მკვლევარი: რა არის საჭირო, რომ ნდობა მოიპოვო?*
>
> *„თუ გოგონას სურს ნდობის მოპოვება... მათზე [გოგონებზე], ჩვეულებრივ, სექსუალურად ძალადობენ ...თუ ისინი წარმატებით გაივლიან ყველა რიტუალს და გამოცდას, ისინი ხდებიან წევრები, თუ არა ... უნდა მოემზადონ უარესისთვის!. მაშინ მათ ყველაზე საშინლად ექცევიან, ზიანს აყენებენ, ფიზიკურად ასახიჩრებენ.“*

ამ ჯგუფის ერთ-ერთმა ყოფილმა წევრმა ფსიქოლოგიური ტრავმა მიიღო. როგორც ჯგუფთან დაკავშირებულმა ყოფილმა წევრებმა, ისე სხვა მოზარდებმა, რომლებიც ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ, აღნიშნეს, რომ ადგილი, რომელიც ჯგუფს უკავია, არ მოწმდება სახელმწიფოს და ქალაქის უწყებების მიერ.

„მორგის“ ბავშვებისგან დამოუკიდებელ სხვა ჯგუფებში შიდა სტრუქტურების აღწერილობა იძლევა მოდელს, რომელშიც ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების როლები და საქმიანობა ასაკის მიხედვით იცვლება; ბევრი ბავშვი, რომელიც ადრე მშობლების ან ნათესავების მხარდამხარ შრომობდა, თანდათანობით შედარებით უფრო დამოუკიდებელი გახდა. 14 წელზე უმცროს ბავშვებს ემუქრებათ დანაშაულებრივ ქმედებებში გამოყენების საფრთხე, ხოლო შედარებით უფროსი ბავშვები ცდილობენ უმცროსების კონტროლს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით. ყველა ბავშვი ვერ ახერხებს უფროსის პოზიციის მოპოვებას ასაკის ზრდასთან ერთად და ეს ქუჩის ყოფილ ბავშვებს შორის პრობლემად მიიჩნევა.

ქუჩაში ცხოვრების, დაძინების და უფლებების დარღვევის სხვა ასპექტები

ამ კვლევის განმავლობაში საველე მკვლევარებს ყოფილი ან ამჟამინდელი ქუჩის ბავშვებისთვის არ უკითხავთ სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებული გამოცდილების შესახებ. თუმცა მომსახურების გამწევი თანამშრომლები საუბრობდნენ ქუჩასთან დაკავშირებული, პროსტიტუციაში ჩართული ბავშვებისთვის კონსულტაციების შესახებ. უფროსი მეურვეების გარეშე გოგონები განსაკუთრებით დაუცველები არიან სექსუალური ძალადობის მიმართ. ბავშვების და მომსახურე პერსონალის მიერ ძალადობით მიყენებული ფსიქოლოგიური ტრავმა და ნარკოტიკების მოხმარებაც აღინიშნა.

ერთ შემთხვევაში ბიჭმა, რომელიც თბილისის ქუჩაში ცხოვრობდა, გვიამბო, რომ ის ქუჩაში ნაშოვნ ფულს თავის მეგობრებთან ერთად სექსუალური სერვისების მისაღებად იყენებდა. მან ეს მიუთითა როგორც ერთ-ერთი აქტივობა, რომელსაც ქუჩის ბავშვები გასართობად მისდევენ. გართობის სხვა წყაროები უკავშირდება განსაკუთრებით სოციალურ მედიას, კომპიუტერულ თამაშებს და ინტერნეტს. ბავშვები დიდ დროს ხარჯავენ ინტერნეტ-კაფეებში, იყენებენ Facebook-ს და სხვა სოციალურ ქსელებს ერთმანეთთან კონტაქტის შესანარჩუნებლად და ფულს იხდიან ინტერნეტთან წვდომისთვის.

ამავე დროს, ინტერნეტ-კაფე თავშესაფრის ერთგვარი ფორმაა. როგორც გოგონები, ისე ბიჭები აღნიშნავდნენ, რომ ისინი ორიდან სამ ლარამდე თანხას ინტერნეტ-კაფეში ღამის გასატარებლად იხდიდნენ. ზოგიერთ კაფეში ბავშვებს დაძინების ნებას რთავენ, ხოლო სხვებში ისინი სიფხიზლეს ინარჩუნებენ და ტოვებენ იქაურობას, როდესაც გადახდილი დრო ამოიწურება, ან როცა კაფეს თანამშრომლები ეტყვიან, რომ დატოვონ კაფე. ბავშვები ასევე იძინებენ ღია ცის ქვეშ, სადარბაზოებში, თავის მიერ ნაშოვნი გადასაფარებლის ქვეშ, ბაზრებში და ბაზრობებზე დახლების ქვეშ და სხვა ადგილებში. თბილისში ბავშვების ერთმა ჯგუფმა ფული შეკრიბა და კარავი შეიძინა, რომელიც მათ გაშალეს ქალაქის ახლოს. ქუჩის ოჯახები, როგორც უკვე აღინიშნა, ხშირად ქირაობენ დღიურად მცირე ბინებს. სხვები ქალაქის გარეუბნებში აგებენ ქოხებს. ქუთაისში ქუჩის ოჯახების ერთმა ჯგუფმა გამოხატა პრეტენზია, რომ მათ ქალაქელი მოზარდები ავიწროებდნენ, რომელთაც არ მოსწონდათ იმ ტერიტორიაზე მათი ყოფნა.

ინტერვიუერმა ბავშვებს ალკოჰოლის და ნარკოტიკების მოხმარების შესახებ ჰკითხა. ნარკოტიკებს შორის ყველაზე ხშირად ბავშვებმა მარიხუანა დაასახელეს, რომლის შოვნაც, როგორც ჩანს, მარტივია და ის იაფია, ზოგჯერ კი უფასო (ადგილობრივი ბაღებიდან). ბავშვების უმრავლესობას ძლიერი ნარკოტიკების ეშინია. ციკლოდოლი (პარკინსონის დაავადების სამკურნალო მედიკამენტი, რომელიც გავლენას ახდენს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე) ყველაზე მეტად გავრცელებული ნარკოტიკია მათ შორის, ვინც აღიარებს მოხმარებას. ზოგიერთმა ბავშვმა აღნიშნა, რომ ისინი იღებდნენ აბების ერთ ფირფიტას, როდესაც სურდათ „კაიფის დაჭერა“. ციკლოდოლის აბების შეძენა შესაძლებელია აფთიაქებში და ბავშვები ხშირად ყიდულობენ მათ მეგობრებისგან და ნაცნობებისგან. აღინიშნა ალკოჰოლის მოხმარებაც, ხოლო წებოს ყნოსვა თითქმის არ ყოფილა ნახსენები.

საკვების, ტანსაცმლის და ინტერნეტის მოხმარებასთან ერთად ბავშვები ფულს საზოგადოებრივ აბანოებშიც ხარჯავენ. მაშინ, როცა ის ბავშვები, რომლებიც კავშირს ინარჩუნებენ მშობლებთან (რომელთა განკარგულებაშია სახლი ან ბინა), შეიძლება ოჯახში ჰიგიენის დაცვის მიზნით დადიოდნენ, საქმე სხვაგვარადაა უსახლკარო ბავშვების და მოზარდების შემთხვევაში. ბევრი ფულს იხდის შხაპის ან აბაზანის მისაღებად და ინახავს კოსმეტიკურ-ჰიგიენურ საშუალებებს იმისათვის, რომ მეტ-ნაკლებად რეგულარულად ისარგებლოს საზოგადოებრივი აბანოებით. ბავშვების უმრავლესობამ იცის, თუ როგორ მიიღოს გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, მაგრამ რეგულარული სამედიცინო შემოწმება მათთვის არ არსებობს.

ქუჩასთან დაკავშირებული ზოგიერთი ბავშვი იხსენებდა, რომ თავისი ცხოვრების ზოგიერთ ეტაპზე ქუჩაში ცხოვრებას და სკოლას ერთმანეთს უთავსებდა. თუმცა ქუჩის ბავშვების შემთხვევაში სკოლაში სწავლის სრული კურსის გავლა შეფერხებების გარეშე იშვიათობაა. ქუჩის ბავშვების მიერ განათლების მიღებასთან დაკავშირებული გამოწვევები მოიცავს ფსიქიკურ და ფიზიკურ გამოწვევებს, უფრო ზოგადად კი საარსებო უნარ-ჩვევების უქონლობას. ის ბავშვები, რომლებიც ადრეულ ასაკში სკოლაში დადიოდნენ, სწავლისკენ მიბრუნების სურვილს გამოხატავენ. სამომავლო ოცნებების შესახებ საუბრისას მათ განათლების მიღება სიის დასაწყისში მიუთითეს. რაც შეეხება პროფესიას, რომლის შესახებაც ბავშვები და მოზარდები საუბრობდნენ, ბიჭებიც და გოგონებიც აღნიშნავდნენ მზარეულის პროფესიას. სხვები საუბრობდნენ ავტომობილების და მოტოციკლეტების შეკეთებაზე, ისევე, როგორც ელექტრიკოსობაზე ან სილამაზის სალონში მუშაობაზე და მასწავლებლობაზე. იდეალურ პროფესიებად მიუთითეს ხელოვნების სფეროში არსებული პროფესიები.

დასკვნა

ბავშვები ერთად იმიტომ გადაადგილდებიან ან ჯგუფებში/კლასტერებში იმისთვის ერთიანდებიან, რომ ღამის გასათევი ადგილი იპოვონ, გართობისა და დასვენებისთვის სივრცე შექმნან და ისეთი ეკონომიკური საქმიანობა აწარმოონ, როგორიცაა წვრილმანი ვაჭრობა, ქუჩაში მათხოვრობა და წვრილმანი დანაშული. ქუჩის ბავშვების ჯგუფების შიდა მოწყობა არსებობისთვის ბავშვთა ბრძოლის და თავის დაცვის საჭიროების შესაბამისია. ამავე დროს, ჯგუფები ქცევის კოდექსებს აყალიბებენ და დამოკიდებულების შიდა კავშირებს ადგენენ, რომლებიც პოტენციურად ხელს უწყობს ქუჩის ცხოვრების მუდმივ გაგრძელებას დროთა განმავლობაში. ქუჩაში ცხოვრებასთან ბავშვების კავშირს მათ მიერ დაგროვებული დავალიანებაც განაპირობებს. დამოკიდებულება და სუბორდინაციული კავშირები 14 წელზე უმცროსი ბავშვების დანაშულში ჩართვას უწყობს ხელს. ეს იმას უკავშირდება, რომ საქართველოში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრების ასაკობრივი ლიმიტი (14 წელი) დაბალია. შედარებით უფროსი ასაკის ბავშვები უმცროსებს სისხლის სამართლის პასუხისმგელობის თავიდან აცილების მიზნით იყენებენ.

4. კავშირები: სერვისები, ოჯახები და ბავშვები

ეს თავი ეხება ქუჩაში მცხოვრები ბავშვების სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებას სერვისების თვალსაზრისით. ასევე დასმულია კითხვებიც, თუ როგორ აკმაყოფილებს არსებული სერვისები ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების საჭიროებებს. ამასთან ერთად, ჩვენ ვაფასებთ კავშირებს მშობლებს და სერვისებს შორის.

ბავშვთა ქვეჯგუფები, სხვადასხვაგვარი გარემოებები და საჭიროებები

ქუჩის გარემოებებში ბავშვების სხვადასხვა კავშირის და დამოკიდებულების ჩვენების მიზნით წინამდებარე ანგარიში განასხვავებს, თუ როგორ ხორციელდება ბავშვებზე ზრუნვა, კონტროლი და/ან თანხლება მშობლების ან უფროსი ნათესავის მხრიდან. სერვისები და პრევენციული სტრატეგიები უნდა შეფასდეს კონკრეტული გარემოებების და ბავშვების კავშირების შესაბამისად.

უსახლკარო ბავშვები და მოზარდები ცხოვრობენ და შრომობენ ქუჩებში, უფროსების თანხლების და მშობლების მზრუნველობის გარეშე. ზოგიერთი უსახლკარო ბავშვი და მოზარდი ინარჩუნებს კავშირს მშობლებთან არარეგულარული ინტერვალებით. ამ კატეგორიის ბავშვებისა და მოზარდებისთვის კავშირი მშობლებთან განსაკუთრებით პრობლემურია. ამ ბავშვებიდან ბევრმა აირჩია ერთ-ერთ ან ორივე მშობელთან კონტაქტისთვის ან ოჯახში მყოფი სხვა მეურვისთვის თავის არიდება ძალადობის ან კონფლიქტის გამო. ამგვარად, არ შეიძლება იმის დაშვება, რომ ურთიერთობა მზრუნველებთან ყოველთვის იდეალურია. ბევრ შემთხვევაში ბავშვები საჭიროებენ დაცვას ყოფილი მზრუნველებისგან. ეს გათვალისწინებული უნდა იქნეს, როდესაც ადგილი აქვს ბავშვების მშობლებთან დაბრუნების მცდელობას, რაც ხშირად შეუძლებელია ან თავიდან უნდა იქნეს აცილებული.

სერვისები უსახლკარო ბავშვებისა და მოზარდებისთვის სენსიტიური უნდა იყოს იმ ფაქტის მიმართ, რომ მათი სოციალური ქსელები მოიცავს ქუჩაში მცხოვრებ ან მომუშავე *სხვა* მოზარდებს. უსახლკარო ბავშვები და მოზარდები განხილული უნდა იქნენ ფასეულ რესურსებად დახმარების პროგრამებში ახალი ბავშვების ჯაჭვური პრინციპის საფუძველზე ჩართვისთვის. ბავშვების სოციალურ ქსელებში კონკრეტული დინამიკა აუცილებლად მოიცავს როგორც რესურსებს, ისე საფრთხეებს: ქუჩის იერარქიულ სტრუქტურებში ჩართული ბავშვები, როგორც დაქვემდებარებულები, საჭიროებენ დაცვას ამ სტრუქტურებისგან მეგობრული ურთიერთობების შენარჩუნებით, რომლებიც მათ დაამყარეს და რაც შეადგენს მათი ემოციური უსაფრთხოების ქსელის ძირითად ელემენტს.

ქუჩაში თანმხლების გარეშე მყოფი ბავშვები, რომლებიც სახლში იძინებენ, დღის განმავლობაში თავიანთი დროის უმეტეს ნაწილს შრომაში ან სხვაგვარად ატარებენ უფროსების თანხლების გარეშე ქუჩაში ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილეობით. მათ საკვებს და/ან რესურსებს მშობლები რეგულარულად აწვდიან, ხოლო თვითონ ბავშვებს წვლილი შეაქვთ ოჯახის შემოსავალში. ბავშვებისთვის გაწეული სერვისები ამ კატეგორიაში შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად უნდა მოიცავდეს მშობლებს ან ამჟამინდელ მეურვეებს და მაინც უნდა ითვალისწინებდეს ბავშვების პოტენციურ საჭიროებას მზრუნველების მხრიდან დაცვის თვალსაზრისით. ბევრი ამ ბავშვთაგან მორალურად ან სხვაგვარად ვალდებულად გრძნობს თავს, წვლილი შეიტანოს მშობლების ან მეურვეების არსებობაში ან დაკავშირებულია მათთან დამოკიდებულების და/ან იძულების განსხვავებული ფორმებით. განხილული უნდა იქნეს დამატებითი ეკონომიკური მხარდაჭერა მშობლებისთვის ქუჩაში ბავშვების ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილეობის პრევენციისთვის.

მობილური ქუჩის ოჯახების ბავშვები მრავალფეროვანი ჯგუფია, რომელიც მოიცავს მშობლების ან უფროსების თანხლებით მყოფ ბავშვებს. ეს ბავშვებიც ქუჩის მშრომელები არიან და მუშაობენ, მაგრამ არ იძინებენ ქუჩაში. სოციალური მუშაკების ამჟამინდელი კონტაქტი ბევრ ოჯახთან საჭიროებს განვითარებას და ოჯახებისთვის დახმარების გაწევა წარმოადგენს ძირითად პრიორიტეტს როგორც საწყის წერტილს ბავშვების დასახმარებლად. ყველა სერვისი მიზნად უნდა ისახავდეს პარტნიორული კავშირების დამყარებას მშობლებთან, თუ ძალადობის ისტორია და/ან სხვა ქმედება არ მიუთითებს, რომ მთავარი მიზანი უნდა იყოს ბავშვების დაცვა მათი მშობლებისგან. მსგავსი შეშფოთება უკავშირდება *უსახლკარო ოჯახების ბავშვებსაც,* მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება ბავშვების სამედიცინო საჭიროებებს უნდა დაეთმოს.

ქუჩის ბავშვებს შორის ხუთი ძირითადი ენობრივი ჯგუფია წარმოდგენილი შედარებით მცირე ჯგუფების ენობრივ სპექტრთან ერთად. შედარებით დიდი ხუთი ჯგუფია ქართული, მოლდავური ბოშური, „ბოშა“ ან „ლომ“ ხალხად იდენტიფიცირებული ხალხის ბოშური ენა, ენა, რომელზეც საუბრობენ აზერბაიჯანელი ქურთები, და აზერბაიჯანული. მცირე ჯგუფებს მიეკუთვნებიან სომხურ და რუსულ ენებზე მოსაუბრე პირები. აზერბაიჯანული ქურთული და ორი განსხვავებული ბოშური ენა სხვა ჯგუფებს არ ესმით. ენობრივი ბარიერები მნიშვნელოვანია ამ ჯგუფებთან კომუნიკაციაში.

ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების აბსოლუტური უმრავლესობა მომავალთან დაკავშირებით საკუთარ ოცნებებს განათლების მიღებას უკავშირებს. როგორც Wargan & Dershem აღნიშნავენ (2009: 55), განათლების მიღებასთან დაკავშირებული ბარიერები განპირობებულია ეკონომიკური ტვირთით, რაც გულისხმობს ბავშვებისთვის სასკოლო ნივთების შეძენას, საკუთარ თავში ბავშვების რწმენის დაქვეითებას, როცა მოსწრება დაბალია, სკოლის წესებთან და რუტინასთან ადაპტაციის სირთულეებს და პირობებს, რომლებშიც რთულია საშინაო დავალებებზე კონცენტრირება. გარდა ამისა, ვალდებულება, რომელსაც ბავშვები გრძნობენ - რომ სკოლაში სიარულის ნაცვლად მშობლებს უნდა დაეხმარონ და მშობლების საჭიროება, დაიხმარონ ბავშვები შემოსავლის მიღებაში - ის ფაქტორებია, რომლებიც ხელს უწყობს სკოლიდან გარიცხვას და ჩარიცხვების დაბალ მაჩვენებელს. მოლოდინი, რომ ბავშვების განათლება ეკონომიკური თვალსაზრისით შედეგს მოიტანს, ქუჩის მობილურ ოჯახებში დაბალია. დამატებითი ფაქტორი, რომელიც გამოჩნდა მშობლებთან ინტერვიუების დროს აზერბაიჯანში, არის სტიგმა: იქაური ქურთი მშობლები თვლიდნენ, რომ მათი შვილების მიმართ მოპყრობა უსამართლო იყო მათი იდენტობის გამო. მნიშვნელოვანია განათლების პროგრამების უზრუნველყოფა ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვებისთვის განათლების პროცესში შეფერხებების შესამცირებლად.

ბავშვების განათლებასთან დაკავშირებული ეს ფაქტორები ხაზს უსვამს მშობლებთან თანამშრომლობის მნიშვნელობას. სხვადასხვა სერვისთან მშობლების შეხების მიმოხილვამდე მოგაწვდით არსებული ჩარჩოების მოკლე მიმოხილვას.

ამჟამად აზერბაიჯანში და საქართველოში არსებული სერვისების მიმოხილვა

სოციალური დახმარება

როგორც აზერბაიჯანს, ისე საქართველოს აქვს სოციალური დახმარების პროგრამები დაბალშემოსავლიანი ოჯახებისთვის. აზერბაიჯანში მიზნობრივი სოციალური დახმარება დაბალშემოსავლიანი ოჯახებისთვის შემოღებული იქნა 2006 წელს. მისი მიზანია მინიმალურ საჭიროებასა და შემოსავალს შორის დანაკლისის შევსება. 2016 წელს დახმარების თანხა ოჯახის თითო წევრზე თვეში 105 აზერბაიჯანულ მანათს (დაახლოებით

62 აშშ დოლარს) შეადგენდა, ხოლო 2017 წელს ის 116 აზერბაიჯანული მანათი იყო ოჯახის თითოეულ წევრზე (დაახლოებით 68 აშშ დოლარი). მიზნობრივ სოციალურ დახმარებას მხოლოდ ისინი იღებენ, ვისაც აქვს საიდენტიფიკაციო ბარათი, რომელიც შეიძლება გაიცეს დაახლოებით ორი წლის ვადით (განახლების შესაძლებლობით განაცხადის ხელახალი შევსების შედეგად). მიზნობრივი სოციალური დახმარება გამოითვლება ოჯახის წევრთა რაოდენობის საფუძველზე. თუმცა უცხოეთში მცხოვრები ან სახელმწიფოს ზრუნვის ქვეშ მყოფი ოჯახის წევრები (რომლებიც იმყოფებიან მაგ. პატიმრობაში, სამხედრო სამსახურში ან ხანდაზმულთათვის, ბავშვებისთვის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და ა.შ. პირთათვის განკუთვნილ დაწესებულებებში) არ არიან შეყვანილი მიზნობრივი სოციალური დახმარების გამოთვლაში.

საქართველოში გაჭირვებული ოჯახები იღებენ მიზნობრივ სოციალურ დახმარებას. ოჯახების საჭიროებებს აფასებენ სოციალური მომსახურების სააგენტოს (შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება) თანამშრომლები. დახმარება კლასიფიცირებულია ქულების შესაბამისად და მერყეობს 30 ლარიდან 60 ლარამდე თვეში ოჯახის თითოეულ წევრზე (დაახლოებით 12-25 აშშ დოლარი (იხ. დანართი 1). ისევე, როგორც აზერბაიჯანში, სპეციალურ დაწესებულებებში ზრუნვის ქვეშ მყოფი პირები მიზნობრივ სოციალურ დახმარებას არ იღებენ, მაგრამ საქართველოში არ არსებობს წლების რაოდენობის მხრივ შეზღუდვა, რომელთა განმავლობაშიც ოჯახებს შეუძლიათ მიზნობრივი სოციალური დახმარების მიღება.

ბავშვებისთვის განკუთვნილი სერვისები

ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვებისთვის ხელმისაწვდომი სერვისები განსხვავებულია საქართველოსა და აზერბაიჯანში. აზერბაიჯანში ამ სფეროში სამი ძირითადი მხარე მოქმედებს:

პირველია **სახელმწიფო სექტორის** წარმომადგენელი *განათლების სამინისტრო*. ის მართავს დახურულ დაწესებულებებს ბავშვებისთვის, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკზე უმცროს ასაკში, ასევე მათთვის, ვინც განთავსებული იქნა ასეთ დაწესებულებაში სხვადასხვა მიზეზის გამო.

რაიონულ დონეზე მოქმედებს *ბავშვთა უფლებების დაცვის* და *არასრულწლოვანთა საქმეების კომისია*, რომლის ამოცანაა პრევენციული სამუშაოების წარმოება რისკის წინაშე მდგომი ბავშვებისა და მათი ოჯახებისათვის. თუმცა რაიონულ დონეზე სოციალური სამუშაოების სისტემა არ არსებობს, არ არსებობს არც მომზადებული, კვალიფიციური სოციალური მუშაკების პერსონალი.

თითოეულ რაიონს ჰყავს *ბავშვთა საკითხებზე მომუშავე პოლიციის ორი ინსპექტორი.* მათ უფრო ბრალმდებლის და არა დამცველის როლი აკისრიათ, რამდენადაც მათი მანდატი ითვალისწინებს იმ ბავშვებთან მუშაობას, რომლებიც გამოირჩევიან დესტრუქციული ან ძნელად ადაპტირებადი ქცევით. პოლიციის განყოფილებებში არის დაკავების დროებითი იზოლატორები. ეჭვმიტანილი დამნაშავეები, ბავშვების ჩათვლით, შეიძლება დაკავებული იქნენ 48 საათამდე ვადით. ქუჩის ბავშვების დაკავება ამ იზოლატორებში ზოგჯერ წარმოებს პრევენციული მიზნებისთვის. მათხოვრები, ბავშვები, რომლებიც განზრახ თავს არიდებენ განათლებას, და ბავშვები დესტრუქციული ან ძნელად ადაპტირებადი ქცევით ჩამოთვლილნი არიან როგორც არასრულწლოვნები, რომლებიც საჭიროებენ გარკვეული პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას.

არსებობს ოჯახური მხარდაჭერის 11 ცენტრი, რომელთა ზედამხედველობას და ფინანსურ მხარდაჭერას აწარმოებს *ოჯახის, ქალთა და ბავშვთა საქმეების სახელმწიფო კომიტეტი.* ამ

ცენტრების მიზანია ღარიბი ოჯახების დახმარება, მაგრამ მათი მომსახურება არ ვრცელდება ბავშვებზე საოჯახო სტრუქტურების მიღმა.

სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტი აწარმოებს ერთი სატრანზიტო ცენტრის/თავშესაფრის საქმიანობების კოორდინაციას ბაქოში, სადაც ხდება პოლიციის მიერ იმ ბავშვების განთავსება, რომლებიც არ არიან მშობლების მზრუნველობის ქვეშ. ბავშვებს აქ აჩერებენ, სანამ არ მოხდება მათი დაბრუნება მშობლებთან/მეურვეებთან ან გადაყვანა სახელმწიფოს მზრუნველობის ქვეშ.

მეორე მხარე - **გაეროსთან** დაკავშირებული ორგანიზაციები, მათ შორის გაეროს ბავშვთა ფონდი და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია - ახორციელებენ მიმდინარე პროგრამებს ქუჩის ბავშვებისთვის. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია ფინანსურ დახმარებას უწევს აზერბაიჯანის ბავშვთა კავშირს თავშესაფრის ზოგიერთი ხარჯის დასაფარად, რათა სოციალური სერვისები გავრცელდეს მიგრანტებზე, მათ შორის იმ ბავშვებზე, რომლებიც მოწყვლადები არიან ტრეფიკინგის მიმართ. გაეროს ბავშვთა ფონდი მხარს უჭერს მთავრობას პროგრამების და სერვისების შემუშავებაში ქუჩის ბავშვების საჭიროებებზე რეაგირების მიზნით. ამასთან ერთად, „იუნისეფი“ თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან ხუთ რეგიონში ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვის უფასო იურიდიული სერვისების გაწევის მიზნით.

მესამე მხარეა **არასამთავრობო ორგანიზაციები**, რომლებიც შეიცვალნენ ბოლო წლების განმავლობაში. საერთაშორისო ორგანიზაციების უმრავლესობამ აზერბაიჯანი 2013 წელს დატოვა. ზევით აღნიშნული 11 საოჯახო ცენტრი სახელმწიფოსთვის გადაცემამდე შეიქმნა ორგანიზაციის „გადავარჩინოთ ბავშვები“ მიერ. სატრანზიტო ცენტრები/თავშესაფრები ბაქოში იმართება ადგილობრივი არასამათავრობო ორგანიზაციის მიერ. ის უზრუნველყოფს იმ ქუჩის ბავშვების დროებით განთავსებას, რომლებიც იდენტიფიცირებულნი არიან პოლიციის მიერ. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია „იმედის ადგილი“ უზრუნველყოფს თავშესაფარს და ეხმარება ქუჩის ბავშვებს. მას ერთდროულად 40 ბავშვის მიღება შეუძლია. გარდა ამისა, ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია არაპირდაპირ არის ჩართული ქუჩის ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებში და დახმარებას უწევს ტრეფიკინგის, ძალადობისა და ექსპლუატაციის მსხვერპლთ, ახალგაზრდა დამნაშავეებს დაკავების ცენტრებში, მოწყვლად ბავშვებს და ღარიბ ოჯახებს. ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია უფასო იურიდიულ დახმარებასაც უზრუნველყოფს.

აზერბაიჯანის დახურული დაწესებულებებისგან განსხვავებით, **საქართველოში** სერვისები ხასიათდება რეაბილიტაციაზე და რეინტეგრაციაზე ფოკუსირებით. პირველი, **სახელმწიფო სექტორის** მოთამაშეებს შორის, საქართველოში შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში, არსებობს ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის და რეინტეგრაციის ქვეპროგრამა 18 წელზე უმცროსი მოწყვლადი ბავშვებისთვის. ქვეპროგრამა მოიცავს სამი სახის საქმიანობას:

(1) მობილური გუნდები რეაგირებენ მათთვის მიწოდებულ ინფორმაციაზე შესაბამის ადგილებზე ვიზიტით. სოციალური მომსახურების მობილური გუნდების საქმიანობის კოორდინირებას სააგენტოს უფლებამოსილი სოციალური მუშაკები აწარმოებენ.

(2) დღის ცენტრები უზრუნველყოფენ სხვადასხვა სერვისს, როგორებიცაა საკვები, ინდივიდუალური მოვლა და სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარება ბიოლოგიურ ოჯახებთან კავშირების შენარჩუნების მცდელობასთან ერთად.

(3) 24 საათიანი თავშესაფრები ითვალისწინებს ღამით დარჩენას და დამატებით საკვებს დღის ცენტრების მიერ შეთავაზებულ სერვისებთან ერთად.

აღსანიშნავია, რომ ამ პროგრამის ფარგლებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აქვს პროგრამები მოწყვლადი ბავშვებისთვის, საჯარო სკოლებში მშობლებისთვის სტიგმის საწინააღმდეგო ინფორმირებულობის ამაღლების პარალელურად. პროგრამას სკოლის გარეთ მყოფი ბავშვებისთვის უზრუნველყოფს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო „განათლების ხელმეორე შანსის“ შეთავაზებით სკოლიდან გარიცხულთათვის, დღის ცენტრების სერვისების დაკავშირებით ტრადიციულ სკოლებთან. ამ გარდამავალი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მასწავლებლებს და სკოლის დირექტორებს უტარდებათ პროფესიული მომზადება. გარდა ამისა, ყოფილ ქუჩის ბავშვებს უტარდებათ ტრენინგი სასიცოცხლო უნარებში სწავლის ხელშესაწყობად.

სახელმწიფო პროგრამები ნაწილობრივ განვითარდა გაეროს ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. 2011 წლიდან 2014 წლამდე „იუნისეფი“ და ევროკავშირი ხელს უწყობდნენ მობილური გუნდების, თავშესაფრების, დღის ცენტრების და სხვა სერვისების შექმნას. ეს საქმიანობა მოიცავდა მინდობით აღზრდის მექანიზმებს და მცირე ჯგუფურ სახლებსაც. „იუნისეფს“ ამჟამად არ აქვს პროგრამა ქუჩაში მცხოვრები/მომუშავე ბავშვების პირდაპირ დასახმარებლად.

რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციებს, „ვორლდვიჟენი“ და „საქართველოს კარიტასი“ უზრუნველყოფენ სერვისებს დღის ცენტრებში და 24 საათიან თავშესაფრებში. მათ ასევე წვლილი შეაქვთ მობილური გუნდის სერვისში. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ფინანსურად უწყობს ხელს ამ სერვისების განხორციელებას, მაგრამ სათანადო ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ორგანიზაციებმა უნდა გაიღონ დაახლოებით იგივე თანხა, რაც სახელმწიფომ. ამასთან ერთად, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სერვისების გაწევას.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველომ განახორციელა ზოგადი დეინსტიტუციონალიზაციის პოლიტიკა და ამალა საბჭოთა პერიოდის უპატრონობა ბავშვთა სახლები. თუმცა ბავშვებისთვის განკუთვნილ მსხვილ დაწესებულებებს ჯერ კიდევ მართავს მართლმადიდებლური ეკლესია საქართველოში. ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია აღნიშნულ დაწესებულებებში არსებული პირობების შესახებ.

საიდენტიფიკაციო დოკუმენტები, სერვისებზე წვდომა

საიდენტიფიკაციო დოკუმენტების არსებობა სავალდებულოა როგორც საქართველოში, ისე აზერბაიჯანში საგანმანათლებლო და ჯანდაცვის სერვისებზე წვდომისთვის, მიზნობრივი სოციალური დახმარების მიღებისა და პასპორტის აღებისთვის. სკოლაში სიარულთან დაკავშირებული პრობლემების განხილვისას ბავშვების მიერ არაერთხელ აღინიშნა საიდენტიფიკაციო დოკუმენტების არარსებობა. საქართველოში შექმნილია მექანიზმები ისეთი ფორმით, რომელიც სოციალური მომსახურების სააგენტოს მუშაკებს საშუალებას აძლევს, უზრუნველყონ დროებითი საიდენტიფიკაციო დოკუმენტების გაცემა იმ შემთხვევაშიც კი, როცა დაბადების მოწმობა არ არსებობს. აზერბაიჯანში ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები (აზერბაიჯანის ბავშვთა კავშირი და „იმედის ადგილი“) და საჯარო ინტერნატები ბავშვებს დახმარებას უწევენ საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მიღებაში სასამართლოს გადაწყვეტილებით მზრუნველებად მათი ოფიციალური აღიარების შემდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი სკოლა საქართველოში ბავშვებს აძლევს საიდენტიფიკაციო დოკუმენტების გარეშე დასწრების საშუალებას, ბავშვები სირთულეებს აწყდებიან გამოცდების ჩაბარების დროს. მაგალითად, 17 წლის ქართველმა გოგონა ლიზიმ განმარტა, რომ ის საქართველოში დაიბადა და მისი მშობლები არ იყვნენ

დაქორწინებულნი. დედა ქართველი იყო, ხოლო მამა დაღესტნელი და მას ის არასოდეს უნახავს. დედამ სახლში იმშობიარა, ლიზის თქმით, ის „არასასურველი ბავშვი“ იყო და მისი დაბადება სოციალურად უკანონოდ იქნა მიჩნეული. რეალურად მას არასოდეს აუღია დაბადების მოწმობა და პირადობის მოწმობა (ID ბარათი). დოკუმენტების არარსებობამ მას შეუქმნა პრობლემები განათლებასთან დაკავშირებით. ის დადიოდა ორ სხვადასხვა სკოლაში 10 წლის განმავლობაში: „ჩემი აზრით, დოკუმენტი არ იყო აუცილებელი იმ დროს, როდესაც დედამ სკოლაში მიმიყვანა“. თუმცა მან ვერ შეძლო მე-11 კლასში სიარული, რადგან სკოლის პერსონალმა ფულის გადახდა მოსთხოვა (უკანონო გადასახადი), იმის მიუხედავად, რომ სკოლა საჯარო იყო: „ფული უნდა გადამეხადა დოკუმენტების უქონლობის გამო“. ასევე, მან აღნიშნა, რომ არსებობდა გამოცდის ჩაბარების მოთხოვნა მე-11 კლასში გადასასვლელად, რაც მას არ შეეძლო საიდენტიფიკაციო დოკუმენტების უქონლობის გამო.

ბოშების ბევრ ოჯახს საქართველოში არ აქვს საიდენტიფიკაციო დოკუმენტები და, ამგვარად, ისინი ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნებს მიზნობრივი სოციალური დახმარების მისაღებად. აზერბაიჯანში საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მიღება აზერბაიჯანის ქურთი მოსახლეობისთვის გართულებულია მთელი რიგი ფაქტორების გამო. ბევრი ოჯახი ადგილობრივ დასახლებებში პრეტენზიას გამოთქვამს სახელმწიფოს წარმომადგენლებთან - რომელთა დანიშნულება პროცესის ხელშეწყობაა - რთული ურთიერთობების გამო. თუმცა აზერბაიჯანელი ქურთების რამდენიმე ოჯახმა აღნიშნა, რომ ისინი არ ელოდნენ სერვისებს სახელმწიფოსგან და კონტაქტი სახელმწიფო და პროვინციის ორგანოებთან უშედეგო აღმოჩნდა: მოითხოვდა ხანგრძლივ დროს და ძვირადღირებული იყო. რეალურად საკმაოდ ბევრი სისტემატურად უარს ამბობს სახელმწიფო სერვისებზე - თავს არიდებს დაბადების რეგისტრაციას, არ ცდილობს საიდენტიფიკაციო დოკუმენტების აღებას და არ ითხოვს სოციალურ მხარდაჭერას. ზოგიერთი ასევე მალავს საიდენტიფიკაციო და სხვა დოკუმენტებს იმისათვის, რომ თავი აარიდოს სახელმწიფო მოხელეებს. ზოგიერთმა სახელმწიფო ჩინოვნიკმა, რომელსაც კვლევის მიზნებისთვის გავესაუბრეთ, მოახდინა ამ ოჯახების სკეპტიციზმის ლეგიტიმაცია - აზერბაიჯანელი ქურთების ოჯახები აღწერა როგორც ნარკოტიკების მომხმარებლები და მათი ბავშვები სკოლისთვის შეუფერებლად მიიჩნია.

მშობლები და ოჯახები

რა ფაქტორები უწყობს ხელს ბავშვების ახალი ჯგუფების გადაადგილებას სოფლებიდან და გარეუბნებიდან საქართველოს ქალაქებისკენ ქუჩაში ცხოვრების მიზნით? აზერბაიჯანელი ბავშვების შემთხვევაში მათ უმრავლესობას თან ახლავს უფროსი ან მეურვე და, ამდენად, გადამწყვეტ ფაქტორს უფროსების პერსპექტივები წარმოადგენს. როგორც შესავალში აღინიშნა, ჩვენ შეზღუდული ინფორმაცია გვაქვს არააზერბაიჯანელი ქურთი მიგრანტების შესახებ საქართველოში. აზერბაიჯანის შემთხვევაში მხოლოდ ეთნიკური უმცირესობები გამოიკითხნენ. მასალა მიკერძოებულია ქუჩაში ბავშვების თანმხლები მშობლების პერსპექტივებთან დაკავშირებით და არ არის ფოკუსირებული უსახლკარო და/ან მიტოვებული და გაქცეული ბავშვების მშობლებზე. რაც შეეხება საქართველოს, რამდენიმე ინტერვიუ ჩატარდა მშობლებთან და აქაც მასალა შეიცავს მიკერძოებას ქუჩის ოჯახების მშობლების სასარგებლოდ. მიმდინარე კვლევის ფარგლებში შეუძლებელი იყო იმ ქართველ მშობლებთან გასაუბრება რომელთა შვილებიც ცხოვრობენ და/ან მუშაობენ ქუჩაში სახლში კონფლიქტის და ალკოჰოლისა და ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების გამო.

მობილობის კულტურა: წარსული წარმატება და ამჟამინდელი გაუარესება

როგორც მე-3 თავში აღინიშნა, მიგრაცია საქართველოს სოფლებსა და ქალაქებს შორის და აზერბაიჯანის სოფლებიდან საქართველოში ნაწილობრივ იღებს მიგრაციის ისეთ ფორმას, რომელიც უკავშირდება სეზონურ ვაჭრობას, იმპორტს წვრილმანი ვაჭრობისთვის, მათხოვრობას და ქუჩაში შრომის სხვა ფორმებს და სოფლის მეურნეობას. მიუხედავად მოგზაურობასთან აზერბაიჯანელი ქურთების ოჯახების, ხოლო ტრადიციულ ხელობასთან და ლითონის დამუშავების საქმიანობებთან საქართველოში დამკვიდრებული ბოშების ტრადიციული ადაპტაციის შესახებ შეხედულებებისა, უფროსმა თაობამ გამოავლინა ცვალებადი ეკონომიკური დროის და დაკარგული შესაძლებლობების სიღრმისეული გაგება. ეს ასახავს მათ საკუთარ პერსპექტივას იმ სირთულეებისა და გამოწვევების შესახებ, რომლის წინაშეც დგანან მათი შვილები და შვილიშვილები. ერთმა შედარებით ასაკოვანმა მამაკაცმა აზერბაიჯანელი ქურთების თემიდან შემდეგი მოსაზრება გამოთქვა:

მურადი

მამაკაცი, რომელსაც აქ მურადს ვუწოდებთ, ახლა სამოცწელს გადაცილებულია და ცხრა ზრდასრული შვილი ჰყავს, რომელთაგან ყველა (ერთი ქალიშვილის გარდა, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა) შემოსავალს იღებს ისეთი გზით, რომელიც გულისხმობს ბევრ მოგზაურობას და სეზონურ მიგრაციას, ძირითადად საქართველოსკენ და უკან: „ცხოვრების მიგრაციული წესი ჩვენი ტრადიციაა“, - ამბობს მურადი. თუმცა მისი შთამომავლები გაცილებით დიდი ხნით რჩებიან საქართველოში. ამის მკაფიო დასტურია მისი ერთ-ერთი ვაჟი, რომელიც თავიდან აზერბაიჯანის ქალაქ ევლახში დამკვიდრდა. მურადის ვაჟს ცხრა შვილი ჰყავს, მაგრამ არ აქვს რეგულარული სამუშაო: „მასაც არაფერი გააჩნია. ის არის „მამაკაცი ტანსაცმლის გარეშე“. ის ყიდის სხვადასხვა საქონელს საქართველოში. საქართველო არის ადგილი ობლებისთვის“, - ამბობს მურადი და დასძენს, რომ მის ვაჟს არ გააჩნია სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი. ახლა მისი ვაჟი თითქმის მუდმივად რჩება საქართველოში, მოგზაურობს თავის რამდენიმე შვილთან ერთად ქუთაისს, ბათუმს, სოხუმს, ვარკეთილს, რუსთაველსა და სამგორს შორის. როგორც მურადი აღნიშნავს, ისინი თითქმის არ ჩამოდიან, ქორწილებისა და დაკრძალვისთვისაც კი.

როდესაც ჰკითხეს, ოდესმე თუ ჰქონია მუდმივი სამუშაო, მურადმა უპასუხა:

„დიახ, საბჭოთა პერიოდში ვმუშაობდი და კარგი ხელფასიც მქონდა. მაგრამ შემდეგ ქვეყანა შეიცვალა, დაინგრა და მასთან ერთად ადამიანების ცხოვრებაც გაუარესდა. ახლა გვყავს ჩინოვნიკები, რომლებსაც წერა-კითხვა არ შეუძლიათ, მაგრამ ადამიანებმა ქედი უნდა მოიდრიკონ მათ წინაშე. ასეთი ამბები ხდება ...“

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მურადმა დაიწყო გადაადგილება საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის: „იმ დროს ბავშვები პატარები იყვნენ, დაახლოებით 5 ან 6 წლის. მას შემდეგ ისინი ძირითადად აქ, საქართველოში ცხოვრობენ. მაგრამ 20 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მე აქეთ-იქით ვმოგზაურობდი.“

მურადმა გვითხრა, რომ მისი შვილები საქართველოში მოგზაურობენ თავიანთ ბავშვებთან ერთად და არ ქირაობენ ჩვეულებრივ სახლებს: „იცით, „ყარაჩებივით“. ჩვენ არ შეგვიძლია იმის უარყოფა, რომ „ყარაჩები“ ვართ.

ოჯახი დაიფანტა იმისათვის რომ ლუკმა-პური გვეშოვნა. რთულია ასეთი ცხოვრების წესის შენარჩუნება“, - აღნიშნა მან, და დასძინა, რომ მისი კონტაქტი შვილებთან და შვილიშვილებთან სულ უფრო ნაკლებად ხშირი ხდება:

„უფრო კონკრეტულად, ამჟამად ტექნოლოგიების საუკუნეა... მათ აღარ აქვთ ჩემთან კონტაქტი, აღარაფერს მეუბნებიან. მყავს რძალი, რომელიც ჩამოვიდა და უკვე ერთი თუ ორი თვეა აქ არის, მაგრამ ჩემს სანახავად არ მოსულა და ჭიქა ჩაიც არ შემოუთავაზებია. როდესაც ჩემი ბიჭები ფულს მიგზავნიან, ცოტას მას ვუნაწილებ. მას პატარა ბავშვები ჰყავს და უფრო სჭირდება დახმარება, ვიდრე მე. არც ისე რთულია ერთ ადამიანზე ზრუნვა.“

ინტერვიუერმა მურადთან განათლების საკითხიც განიხილა:

ინტერვიუერი: *მიეცით თუ არა განათლება თქვენს შვილებს იმ დროს, როდესაც საქართველოში იყავით?*

მურადი: *არა, მათ არ სურდათ სკოლაში სიარული. ბავშვს უნდა ჰქონდეს სწავლის სურვილი.*

ინტერვიუერი: *რას გვეტყვით თქვენი შვილიშვილების შესახებ? აქვთ მათ სკოლაში სიარულის სურვილი?*

მურადი: *არა, არც მათ გააჩნიათ სწავლის სურვილი.*

ინტერვიუერი: *გიცდიათ თუ არა მათი [თქვენი შვილების] ჩარიცხვა სკოლაში?*

მურადი: *სხვა ბავშვები მათ „ყარაჩებს“ ეძახდნენ, ამიტომ ბავშვებს არ უნდოდათ სკოლაში სიარული.*

ინტერვიუერი: *თქვენი აზრით, ეს იყო იმის მიზეზი, რის გამოც მათ არ სურდათ სკოლაში სიარული?*

მურადი: *მათ სურვილიც არ ჰქონდათ. მეორე მხრივ, იმდენად მიჩვეულები არიან იქ ცხოვრებას [საქართველოში], რომ აქ არაფერი აკავებთ. მათი შეჩერება შეგიძლიათ პერიფერიულ ადგილებში, რაიონებში, ქალაქებში, ინტერნატებში განთავსებით. სხვა შემთხვევაში ეს სასოფლო სკოლები უსარგებლოა განათლების პროცესში მათ ჩასართავად.*

ინტერვიუერი: *გსურთ, რომ თქვენმა შვილიშვილებმა ისწავლონ?*

მურადი: *რა თქმა უნდა, მსურს. მინდა, რომ მათ განათლება მიიღონ. საწყენია გაუნათლებლად ცხოვრება და სიკვდილი, განსაკუთრებით დღევანდელ დროს.*

ინტერვიუერი: *სცადეთ მათი ჩარიცხვა სკოლაში.*

მურადი: *არ მგონია, რამე გამოვიდეს.*

ინტერვიუერი: *თქვენ ადრე აღნიშნეთ, რომ გსურდათ ბავშვების ჩარიცხვა სკოლაში, მაგრამ არ გააკეთეთ ეს, რადგან სხვა ბავშვები მათ „ყარაჩებს“ უწოდებდნენ. კიდევ რა ბარიერები შეგხვდათ ბავშვების სკოლაში სიარულთან დაკავშირებით?*

> მურადი: *„ყარაჩი“ გარკვეულწილად იმის მსგავსია, შავი საღებავი რომ გქონდეთ წასმული. „ყარაჩობა“ ყველაფერს ამბობს. თუ ვინმე გიწოდებთ „ყარაჩს,“ სხვებიც ასე დაიწყებენ თქვენდამი მომართვას. ერთი ადამიანი 15-ად გადაიქცევა. როგორ შეიძლება ბავშვი წავიდეს სკოლაში ასეთ გარემოებებში?*

მანათის გაუფასურებამ 2015 წელს აზერბაიჯანში რთული ეკონომიკური გარემოებები შექმნა. რამდენიმე ხანდაზმული ადამიანი საზღვარზე საუბრობდა ამ სირთულეების როგორც იმ ფაქტორების შესახებ, რომლებიც ზრდის სხვაგან ცხოვრების საჭიროებას. კიდევ ერთი ფართოდ გავრცელებული შეხედულება აზერბაიჯანელ ქურთებს შორის არის ის, რომ როგორც ახალგაზრდა, ისე ხანშიშესული ადამიანები ფულს უფრო იოლად აძლევენ უცხოებს საქართველოში, ვიდრე აზერბაიჯანში.

„ჩვენ ვიცით, თქვენ რაც გინდათ“: ბავშვების დაცვა ბავშვთა დაცვისგან

მურადის მიერ ნახსენები გამოცდილება სტიგმასთან დაკავშირებით, რის გამოც მისმა შვილებმა ვერ მიიღეს სასკოლო განათლება, გამოხატავს ღრმად ფესვგადგმულ დისკრიმინაციას. ეს მურადთან საუბარშიც წარმოჩინდა, როდესაც მას სოციალური დახმარების თაობაზე ჰკითხეს.

> ინტერვიუერი: *შეგიტანიათ თუ არა ოდესმე განაცხადი სოციალური დახმარების მისაღებად?*
>
> მურადი: *ჩვენ მას არავინ გვაძლევს.*
>
> ინტერვიუერი: *მიმართეთ თუ არა სოციალური დაცვის დეპარტამენტს?*
>
> მურადი: *მათ გვითხრეს, რომ ჩვენ არ ვაკმაყოფილებთ შესაბამის მოთხოვნებს.*
>
> ინტერვიუერი: *ოდესმე თუ შეგივსიათ განაცხადი? რა გითხრეს?*
>
> მურადი: *სხვადასხვა მიზეზი დაგვისახელეს. როდესაც ჩემი მეუღლე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მან ბევრი ფული გადაიხადა დოკუმენტების მოსამზადებლად, მაგრამ ესეც უშედეგო აღმოჩნდა. ისინი არ გვაძლევენ დახმარებას.*
>
> ინტერვიუერი: *იღებთ თუ არა რაიმე დახმარებას თქვენი ქალიშვილისთვის, რომელიც ავადაა [შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა] და თქვენთან ცხოვრობს?*
>
> მურადი: *ჩვენ ვიღებთ მხოლოდ 55 მანათს. ეს თანხა ძლივს ფარავს ელექტროენერგიის, გაზის, ქორწილის და დაკრძალვის ფულს. უფრო სწორად კი, რა თქმა უნდა, არ ყოფნის ასეთ ხარჯებს. ამიტომ გვიწევს სესხება და როცა ვიღებთ პენსიას, ეს ფული ვალის დაფარვას ხმარდება.*
>
> ინტერვიუერი: *თქვენი რომელიმე შვილი, რომელსაც ბევრი ბავშვი ჰყავს, იღებს თუ არა დახმარებას ბავშვებთან დაკავშირებით?*
>
> მურადი: *როდესაც ჩემი უფროსი ვაჟის მეუღლე გარდაიცვალა, ის იღებდა დახმარებას ბავშვებისთვის. ახლა იღებს მხოლოდ თავისი ვაჟისთვის და ეს დახმარება მალე შეწყდება.*

ინტერვიუერი: *თქვენს შვილებს პატარა ბავშვები ჰყავთ. სავარაუდოდ, მათ არ შეუვსიათ განაცხადი დახმარების მისაღებად. თქვენ ადრე აღნიშნეთ, რომ ისინი მუდმივად ცხოვრობენ საქართველოში. მათ უნდა შეავსონ საჭირო დოკუმენტები და შეიტანონ განაცხადი. ყველას, ვისაც ხუთ შვილზე მეტი ჰყავს, ეკუთვნის დახმარების მიღება.*

მურადი: *ჩვენ შევიტანეთ განაცხადი დახმარების მისაღებად, მაგრამ არ მოგვცეს.*

მურადის უარყოფითი დამოკიდებულება დახმარების მიმართ შეიძლება არ წარმოაჩენდეს იმ რეალურ სარგებელს, რომელსაც მისი შვილები საქართველოში იღებენ. და ასეთ შემთხვევაშიც კი გრძნობები, რომლებსაც ის გამოხატავს, გადმოსცემს სტიგმის და მოსალოდნელი სტერეოტიპული შეხედულების გაცილებით ზოგად შეგრძნებას, რომელსაც ფართოდ იზიარებს ამ ჯგუფის მოსახლეობა. მსგავსი შეხედულებები გამოითქვა, როდესაც დავუკავშირდით ახალგაზრდა ქურთ მშობლებს სასაზღვრო რეგიონებში მათი შვილების სასკოლო განათლების შესახებ სასაუბროდ. სტანდარტული პასუხი საველე მუშაკების თავდაპირველ კითხვაზე იყო „ჩვენ ვიცით, თქვენც რაც გინდათ!“ მშობლებს სჯეროდათ, რომ საველე მუშაკების რეალური განზრახვა იყო ბავშვების მიტოვების (უგულებელყოფის) დოკუმენტური ასახვა და მათ გამოხატეს შიში და სიბრაზე საქართველოს შესაბამისი ორგანოების მიმართ, რომლებიც ცდილობდნენ აზერბაიჯანელ ბავშვებზე მზრუნველობის განხორციელებას.

დედები, რომლებმაც გამოხატეს ასეთი მოსაზრებები, ახსენებდნენ აზერბაიჯანელი ქურთი მშობლების გამოცდილებას საკუთარი შვილების დაკარგვასთან დაკავშირებით, რომლებზე მზრუნველობასაც საქართველოს სოციალური მომსახურების სამსახურები ახორციელებენ. საქართველოში 2016 წლის ივნისის საკანონმდებლო ცვლილების ამოქმედების შემდეგ ამ შიშს მშობლების აღქმიდან გამომდინარე ახალი საფუძველი მიეცა. „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონში შეტანილი ამ ცვლილებით სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკის უფლებამოსილება გაფართოვდა და მოიცვა ბავშვის დაშორება ოჯახისგან ან სხვა პასუხისმგებელი პირისგან ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევაში. ბავშვების განცალკევება მშობლებისგან არის უკანასკნელი ზომა, როცა ბავშვის დაცვის სხვა მექანიზმები არაეფექტური აღმოჩნდება (იხ. დანართი 1). მიუხედავად ამისა, ის ამბები, რომლებსაც მშობლები ერთმანეთს უზიარებენ, შეიძლება ხელს უწყობდეს ბავშვებისთვის განკუთვნილ სამსახურებთან კონტაქტზე უარის თქმას. ამგვარად, კომუნიკაცია სოციალური სერვისების პრაქტიკის შესახებ მშობლების ამ ჯგუფთან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ჩანს.

კავშირი სერვისებს, მზრუნველებს, ოჯახებსა და ბავშვებს შორის

როგორც ადრე აღინიშნა, სტიგმა, რომელსაც უმცირესობათა თემი განიცდის როგორც აზერბაიჯანში, ისე საქართველოში, ნაწილობრივ გამოხატულია მომსახურების მომწოდებელთა მიერ ბენეფიციარების ეთნიკურ წარმოშობასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით აზერბაიჯანელი ქურთების მიმართ. აზერბაიჯანში გავრცელებულია საერთო მოსაზრება, რომ აზერბაიჯანელი ქურთები იტყუებიან თავიანთი წარმოშობის შესახებ: „ისინი არ არიან იმ წარმომავლობის, როგორადაც თავს ასაღებენ.“ ეს არის გავრცელებული განცხადება რაიონებში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, პოლიციის ოფიცრებს, მასწავლებლებს და ჯანდაცვის მუშაკებს შორის. ბაქოს ბავშვთა თავშესაფარშიც კი იგივე შეხედულება იყო ფაქტიურად გამოთქმული.

ძირითადი დაშვება სერვისების წარმატების შესახებ მათი გაწევის ზოგიერთ კონტექსტში ჩანს. ის ეხება „ქუჩის ცხოვრების შემდგომ ცხოვრებაზე“ გადასვლას, განსაკუთრებით მინდობით აღზრდის მექანიზმებთან დაკავშირებით, რომლებიც ამკვიდრებს მკაცრი დისციპლინის იდეალებს. ზოგიერთი პროგრამა, როგორც ბავშვების გამოცდილება მიუთითებს, გამოხატავს იდეას, რომ მოხდეს მათი განცალკევება და იზოლირება ყოფილი ცხოვრებიდან იმისათვის, რომ შემცირდეს ცუდი ზეგავლენა და ამაღლდეს მათი, როგორც ახალი სოციალური პირების, მომავალში რეინტეგრაციის შესაძლებლობები. ერთი მაგალითი იქნა მოყვანილი ირინას მონათხრობში (მე-2 თავი), რომელიც გაიქცა მინდობით აღმზრდელი ოჯახიდან. მეორე ბავშვი, მისი მეგობარი, ასევე მინდობით იყო განთავსებული იმავე ოჯახში, მაგრამ გოგონები გაიქცნენ, რადგან არ შეეძლოთ ოჯახის მკაცრი პირობების მიღება. ირინას თქმით, ოჯახმა მას არ მისცა ახალ მეგობრებთან სოციალიზაციის საშუალება. ამგვარად, ირინამ დატოვა ოჯახი ქუჩაში ცხოვრების მიზნით.

მსგავსი წინააღმდეგობა მკაცრი წესების მიმართ აღწერილია ჯაბას მიერ (ასევე მე-2 თავში), რომელიც ბავშვობაში სამტრედიაში არასრულწლოვან დამნაშავეთათვის განკუთვნილ სპეციალურ სკოლაში მოათავსეს. როგორც ის ამბობს, გაიქცა იმიტომ, რომ სკოლა წარმოადგენდა „ძალზე ჩაკეტილ სისტემას“ და მას ენატრებოდა ის დრო, როცა მისი ასაკის მოსწავლეები მეზობლად მდებარე საჯარო სკოლიდან მოდიოდნენ ვიზიტით.

უფრო მეტიც, მოზარდების ნაამბობიდან ჩანს, რომ ისინი მოქცეულნი იყვნენ მკაცრი დისციპლინის ფარგლებში მათი სოციალური სამყაროს ისეთი ფორმით შეზღუდვის მიზნით, რომლის ატანაც მათ არ შეეძლოთ. ცხადია, რომ მინდობით აღმზრდელი ოჯახები ნაწილობრივ ცდილობენ მოზარდების იზოლირებას კრიმინალური საქმიანობისა და ურთიერთობებისგან, რომლებშიც ისინი წარსულში იყვნენ ჩართულნი. ეს განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა გაკეთდეს, რადგან პირად ქსელთან კონტაქტის კატეგორიულმა გაწყვეტამ შეიძლება სოციალური იზოლაცია გამოიწვიოს.

აზერბაიჯანში ბავშვობის კატეგორიულად განსხვავებულ ეტაპებს შორის გადასვლას ეთნიკური ასპექტებიც აქვს. ბაქოში ვიზიტის დროს, რთულ ცხოვრებისეულ სიტუაციებში მყოფი ბავშვების თავშესაფარში, ერთმა თანამშრომელმა გაიხსენა, რომ შეამჩნია უდიდესი პროგრესი ერთ-ერთ ბენეფიციართან დაკავშირებით. ეს იყო გოგონა „ყარაჩების“ ოჯახიდან. იმისათვის, რომ ეჩვენებინა პროგრამის წარმატება, თანამშრომელმა განაცხადა: „როგორც ხედავთ, თუ ამ გოგონას მოათავსებთ სხვა ბავშვების მწკრივში, ვერავინ მიხვდება, რომ ის ერთ დროს „ყარაჩი“ იყო!“ და ასეთ კონტექსტში რეაბილიტაცია უკავშირდება მითითებების კარგად შესრულების ასპექტს. მიიჩნევა, რომ ახალ სოციალურ მდგომარეობაში გადასვლა დამოკიდებულია ადამიანის კულტურულ წარმომავლობასთან კავშირის გაწყვეტაზე.

ხანგრძლივი დისკრიმინაცია, რომ არაფერი ვთქვათ მშობლების შიშზე თავიანთ შვილებზე მეურვეობის დაკარგვასთან მიმართებით, ხელს უწყობს კონკრეტულ სირთულეებს, რაც აღინიშნა საქართველოში აზერბაიჯანელი ქურთების თემთან კომუნიკაციაში. პრობლემას წარმოადგენს ენობრივი ბარიერებიც და არა მარტო იმიტომ, რომ ისინი ხელს უშლის კომუნიკაციას, არამედ იმიტომაც, რომ ენობრივი განსხვავებები საფუძვლად უდევს აზერბაიჯანელი ქურთების იდენტობას და სტიგმას მათ წინააღმდეგ.

5. დასკვნები და რეკომენდაციები

ამ კვლევის მიზანია ინფორმაციის შეგროვება ქუჩაში მცხოვრები ბავშვების პრობლემის პრევენციისა და აღმოფხვრის სტრატეგიების უკეთ შემუშავების მიზნით. კვლევამ გვიჩვენა, რომ როგორც საქართველოში, ასევე აზერბაიჯანში ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების პოპულაცია ძალიან მრავალფეროვანია. ქუჩაში ცხოვრების წესისა და ქუჩის ბავშვთა თავისებურებების მრავალფეროვნების მიუხედავად, მათ გარკვეული მსგავსი კანონზომიერებები ახასიათებთ. ბავშვების წინაშე მდგომ გამოწვევებზე რეაგირების შეფასება ამ კანონზომიერებების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. ამ თავში შეჯამებულია ის ძირითადი ელემენტები, რომლებიც ბავშვების ქვეკატეგორიებისა და ჯგუფების მახასიათებლების, საჭიროებების და გამოწვევების შესახებ გამოვლინდა და მათ საფუძველზე წარმოდგენილია რეკომენდაციები პოლიტიკის სფეროში.

მიღებული გაკვეთილები

წინამდებარე ანგარიშში კვლევის შედეგად გამოვლენილი ძირითადი ფაქტები პირველ თავში დასმულ შვიდ კითხვაზე გაცემული პასუხების სახით არის წარმოდგენილი.

ბავშვების დიფერენცირება: მშობლების თანხლებით მყოფი ბავშვები და ეთნიკური წარმომავლობა

> **კითხვა 1:**
> *როგორ შეიძლება აღვწეროთ ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების შიდა დიფერენცირება და გარემოებები იმ თვალსაზრისით, ახლავთ თუ არა მათ უფროსები, ოჯახის წევრები ან ნათესავები, ასევე ეთნიკური და/ან გეოგრაფიული ან ეროვნული კუთვნილების გათვალისწინებით? როგორ შეიძლება აღვწეროთ ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვები მათი ქვეჯგუფების მიხედვით, ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების, აგრეთვე ასაკის, გენდერის და სხვა შესაბამისი პარამეტრების გათვალისწინებით?*

საქართველოში ბავშვების ქუჩასთან კავშირი შეიძლება აღიწეროს იმის მიხედვით, არის თუ არა ბავშვი მშობლების თანხლებით და მათთან კონტაქტში: რამდენად არის ბავშვი მშობლების ან ზრდასრული ნათესავების ზრუნვის, კონტროლის და მეთვალყურეობის ქვეშ. ამ განზომილების საფუძველზე საქართველოში მოპოვებული მონაცემების მიხედვით, ქუჩის ბავშვების პოპულაცია შეიძლება შემდეგნაირად დაიყოს:

- უსახლკარო (ქუჩის) ბავშვები და მოზარდები: მოზარდები/ბავშვები, რომლებიც ქუჩაში ცხოვრობენ და მუშაობენ, ქუჩაში ყოფნისას არ ახლავთ მშობელი და არ არიან მშობლის დაცვისა და მზრუნველობის ქვეშ. ამ ბავშვების უმეტესობას დროდადრო აქვს კონტაქტი მშობლებთან.
- ქუჩაში უფროსის თანხლების გარეშე მყოფი ბავშვები, რომლებიც დასაძინებლად სახლში მიდიან: ბავშვები, რომლებიც დღის უდიდეს ნაწილს მუშაობენ ან სხვა სახის ეკონომიკური აქტივობით არიან დაკავებულნი ქუჩაში უფროსის თანხლების გარეშე, მაგრამ მშობლები რეგულარულად უზრუნველყოფენ მათ საკვებით და/ან რესურსებით, ხოლო ბავშვებს თავიანთი წვლილი შეაქვთ ოჯახის შემოსავალში.

- ქუჩის მობილური ოჯახების ბავშვები: ბავშვები, რომლებიც ქუჩაში მომუშავე უფროსის თანხლებით არიან, ქუჩაში მუშაობენ, მაგრამ იქ არ სძინავთ.
- უსახლკარო ოჯახების ბავშვები: უსახლკარო ოჯახების ბავშვების სიტუაცია ქუჩის მობილური ოჯახების ბავშვების სიტუაციის მსგავსია, მაგრამ ისინი ღამით სახლში არ ბრუნდებიან.

ქუჩის ბავშვთა ყველა ჯგუფში გვხვდებიან როგორც ბიჭები, ასევე გოგონები.

ქუჩის ბავშვების პოპულაცია მრავალფეროვანია ლინგვისტური და ეთნიკური პარამეტრებითაც: საქართველოში ამ ჯგუფში ჭარბობენ ეთნიკური ქართველები, ბოშათა ენაზე მოსაუბრე ორი ჯგუფი, აზერბაიჯანელი ქურთები, სომეხი ლტოლვილების შვილები და სამხრეთ ოსეთიდან და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა შვილები.

მშობელთა თანხლებით და მათ გარეშე ქუჩაში მცხოვრები/მომუშავე ბავშვების ჯგუფები ერთმანეთისგან ეთნიკური შემადგენლობითაც განსხვავდებიან, თუმცა მათ შორის არსებულ განსხვავებებს მხოლოდ ეთნიკური მახასიათებლებით ვერ ავხსნით: აქ აღწერილ ქვეკატეგორიებს შორის არსებული განსხვავებები გარკვეულწილად ეთნიკურ განსხვავებებს ასახავს. ჯგუფში *„უსახლკარო ახალგაზრდები/ქუჩის ბავშვები“* ყველა ეროვნების ბავშვებს ვხვდებით, თუმცა ამ ჯგუფის უმცროს ასაკობრივ კატეგორიაში იშვიათად არიან წარმოდგენილები აზერბაიჯანელი ქურთები და შედარებით უფროს ასაკშიც კი ისინი ნათესავებთან არარეგულარულ კონტაქტებს ინარჩუნებენ. თუმცა საველე სამუშაოების დროს ჩვენ ამ ქვეკატეგორიაში აზერბაიჯანელი ქურთი გოგონები არ შეგვხვედრიან. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ამ უსახლკარო ბავშვებს შორის ბოშა მოზარდებიც არიან, რაც არღვევს ზოგადად გავრცელებულ სტერეოტიპს, თითქოს ყველა ბოშა ბავშვი მჭიდროდ დაკავშირებულ ოჯახურ სტრუქტურას ეკუთვნის. ჯგუფში *„ქუჩაში უფროსის თანხლების გარეშე მყოფი ბავშვები/მოზარდები, რომლებსაც სახლში სძინავთ“*, აგრეთვე ყველა წარმომავლობის ბავშვები შედიან და ბევრმა მათგანმა (ბიჭმა და გოგონამ) განაცხადა, რომ ეროვნებით ქართველია. ამავე დროს, *„ქუჩის მობილური ოჯახების ბავშვთა“* დიდ უმრავლესობას მოლდაველი ბოშები და აზერბაიჯანელი ქურთები შეადგენენ. მათ შორის გოგონებიც არიან და ბიჭებიც. იგივე შეიძლება ითქვას უსახლკარო ოჯახებზეც.

ამავე დროს, ეთნიკურ წარმომავლობასთან დაკავშირებით დასკვნების გამოტანას დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, რადგანაც ბავშვობის სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები ქუჩაში ცხოვრების ტიპების მთელ სპექტრში არიან წარმოდგენილნი. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ ქუჩის ბავშვების პოპულაციას გარკვეული ეთნიკური მახასიათებლები აქვს, ქუჩის ბავშვების ფენომენი მხოლოდ კულტურულ ფენომენად ან „მენტალიტეტის“ საკითხად არ უნდა ჩავთვალოთ.

ქუჩის ბავშვთა რომელიმე ქვეჯგუფისადმი ბავშვის კუთვნილებას განაპირობებს როგორც მისი ასაკი და ცხოვრების ციკლი, ასევე წარმომავლობა. ზოგი ბავშვი, ასაკის მატებასთან ერთად, „უფროსის თანხლებით მყოფი ქუჩის ბავშვების“ ჯგუფიდან „უფროსის თანხლების გარეშე მყოფი ქუჩის ბავშვების“ ჯგუფში გადადის. ამ შემთხვევაშიც ეთნიკურ სტერეოტიპებთან დაკავშირებით სიფრთხილის გამოჩენა გვმართებს: უმცირესობების (მაგალითად, აზერბაიჯანელი ქურთების ან ბოშების) ბავშვები უფროსის გარეშე მყოფი ქუჩის ბავშვების და უსახლკარო მოზარდების *ჯგუფებშიც გვხვდებიან*, რაც არღვევს ზოგადად გავრცელებულ სტერეოტიპს, თითქოს ყველა ბოშა ბავშვი მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებულ ოჯახურ სტრუქტურას ეკუთვნის.

ქუჩაში ბავშვების ცხოვრების სოციალური ორგანიზება

> **კითხვა 2:**
> *როგორ შეიძლება აღვწეროთ ბავშვთა სოციალური ორგანიზება – ქვეჯგუფების შიგნით და სხვადასხვა ჯგუფებს შორის – განსაკუთრებით ისეთ საკითხებში, როგორებიცაა საარსებო წყაროებთან დაკავშირებული თანამშრომლობა, იერარქია და ერთმანეთზე დამოკიდებულების სტრუქტურები, ვალები და დავალიანების რაოდენობა? რამდენად ემთხვევა ეს ნარკოტიკების მოხმარების და ძალადობის ტენდენციებს ან ძალადობის საფრთხეს? რამდენად უწყობს ეს ხელს სხვადასხვა გზით, სხვადასხვა ქვეჯგუფში, ქუჩაში ცხოვრების წესის ხანგრძლივად შენარჩუნებას?*

უფროსი ასაკის ბავშვები ქცევის განსაკუთრებულ კოდექსს იმუშავებენ და შიდა ურთიერთდამოკიდებულების კავშირებს ქმნიან: ეს თავდაცვის არაოფიციალური სტრატეგიის ნაწილია, რომელსაც ბავშვები თვითონვე ქმნიან, მაგრამ რომელმაც შეიძლება ბავშვის ცხოვრება სამუდამოდ ქუჩას დაუკავშიროს, რადგანაც ეს ხშირად ბავშვის კრიმინალურ საქმიანობაში ჩაბმას ან ძალადობრივ ქცევას იწვევს.

მრავალფეროვნებას აგრეთვე ქმნის ის განსხვავებები, რომლებიც ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების დაჯგუფებებს, ბანდებს და გაერთიანებებს შორის არსებობს. ამ დაჯგუფებების შიდა ორგანიზება ნაწილობრივ ურთიერთდახმარებისა და გაზიარების პრაქტიკას გულისხმობს: ბავშვები შეიძლება ჯგუფად შეიკრიბონ და ერთად იმოძრაონ იმისთვის, რომ ერთმანეთი დაიცვან, ღამის გასათევი ადგილი იპოვონ, დასვენებისა და გართობის სივრცეები შეიქმნან, დაამყარონ მეგობრული ურთიერთობები და ითანამშრომლონ ეკონომიკურ აქტივობებში, მაგალითად, წვრილმან ვაჭრობასა და ქუჩაში მათხოვრობაში, ასევე წვრილმან დანაშაულში.

ჯგუფის შიდა სტრუქტურა ხშირად ისეთია, რომ ბავშვებს ერთმანეთის ან გარეშე პირების მიმართ ვალები უგროვდებათ, რის გამოც ისინი დიდი ხნის მანძილზე ვერ აღწევენ თავს ქუჩას: ბავშვის მიერ დაგროვებული ვალის გამო ის შეიძლება დიდხანს იყოს იძულებული, საარსებო საშუალებები ქუჩაში მოიპოვოს.

ბავშვთა ზოგიერთ ჯგუფს ისეთი შიდა სტრუქტურა აქვს, რომელიც ბავშვებს ხელმძღვანელი/უპირატესი სტატუსის მქონე ბავშვებად და დაქვემდებარებულ ბავშვებად ყოფს: ურთიერთდაცვის და დახმარების პროცესში ბავშვები სუბორდინაციის სტრუქტურებს ქმნიან. ბავშვებისა და მოზარდების მონაყოლის მიხედვით ამის მეორე მხარე ისაა, რომ მაღალი სტატუსის მქონე ბავშვები დაქვემდებარებულ ბავშვებს „ფარად“ იყენებენ - დანაშაულის ჩადენას აიძულებენ და ამ გზით მიღებულ შემოსავალს ართმევენ. ხშირად ეს საქმიანობა ისეა ორგანიზებული, რომ დანაშაულს (როგორიცაა, მაგალითად, მაღაზიაში ქურდობა, მანქანების გატეხვა და იქიდან ნივთების მოპარვა) უმცროსი ასაკის ბავშვები ჩადიან, ხოლო უფროსი ბავშვები სადარაჯოზე დგანან და უმცროსებს მათთვის ნაძარცვი მოაქვთ. ასეთი პრაქტიკა იმ გარემოებას უკავშირდება, რომ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად 14 წლამდე ასაკის ბავშვთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ გამოიყენება. შესაბამისად, უფროსი ბავშვები დანაშაულებრივი ქმედებებისთვის უმცროს ბავშვებს იყენებენ სისხლისსამართლებრივი დევნის თავიდან აცილების მიზნით.

როგორც ჩანს, პოლიცია აქტიურად იყენებს სამართლებრივი დევნისთვის დადგენილ მინიმალურ ასაკს (14 წელს), რაც ქუჩის ბავშვთა ჯგუფში „უპირატესი სტატუსის“ მქონე ბავშვებს სტიმულს უქმნის, კრიმინალური მიზნებისთვის უმცროსი ასაკის ბავშვები გამოიყენონ: ბავშვების მონაყოლის მიხედვით, ქურდობასთან ან რაიმე სხვა დანაშაულთან დაკავშირებით ბავშვების ჯგუფის დაპატიმრების შემთხვევაში პოლიციის

ოფიცრები ხშირად ასკვნიან, რომ დანაშაული 14 წლამდე ასაკის ბავშვმა ჩაიდინა ან აქტიურად არწმუნებენ ამ ბავშვებს, დანაშაული თავის თავზე აიღონ. ბავშვების აზრით, ამ გზით პოლიციელები დოკუმენტაციის გაფორმებას და ბავშვების პასუხისგებაში მიცემასთან დაკავშირებულ შემდგომ სამუშაოს იცილებენ თავიდან.

ქუჩის ბავშვებისა და ახალგაზრდების ზოგიერთი ქვეჯგუფი ბანდის ტიპის სტრუქტურას ქმნის. ასეთი ჯგუფები შეიძლება დიდიც იყოს და პატარაც. მათი საორგანიზაციო სტრუქტურა ტერიტორიული დაყოფის პრინციპს ემყარება, ანუ ისინი ცდილობენ, ქალაქის გარკვეული უბნები აკონტროლონ იმისთვის, რომ იქ ეკონომიკური აქტივობების (წვრილმანი ვაჭრობის, მათხოვრობის და ა.შ.) შესაძლებლობა ჰქონდეთ. პერიოდულად ასეთ დაჯგუფებებს შორის ჩხუბი იწყება უბანზე კონტროლის მოსაპოვებლად. როგორც აღინიშნა, ქცევის შიდა კოდექსმა და ერთმანეთზე დამოკიდებულებამ შეიძლება დროთა განმავლობაში ხელი შეუწყოს იმას, რომ ბავშვმა ქუჩას თავი ვეღარ დააღწიოს და კრიმინალურ ან ძალადობრივ საქმიანობაში იქნეს ჩათრეული.

ფაქტორები, რომლებიც ბავშვებს ქუჩაში ცხოვრებისკენ უბიძგებს და ქუჩებში ახალი ბავშვების გამოჩენას უწყობს ხელს

> **კითხვა 3:**
> *რა ფაქტორები უბიძგებს ახალ ბავშვებს ქუჩისკენ? რა აქეზებს ახალ ჯგუფებს უცხოეთიდან, სოფლებიდან და გარეუბნებიდან საქართველოს ქალაქების ქუჩებში საცხოვრებლად და სამუშაოდ გადმოსვლისკენ?*

ახალი ბავშვების ქუჩებში საცხოვრებლად და სამუშაოდ გასვლის ხელშემწყობი ძირითადი ფაქტორებია:

- მშობლების სიღარიბე და ბავშვების ჩართვა საქმიანობაში მშობლების დახმარების მიზნით, რის შედეგადაც იქმნება ისეთი სიტუაციები, როცა ბავშვი შრომობს ან მშობლის მიმართ მოვალეობის დიდი გრძნობის გამო, ან იმიტომ, რომ ბავშვის შრომას ნათესავები მოითხოვენ;
- მშობლების იძულებითი მიგრაცია და აქედან გამომდინარე ცხოვრების გამოწვევები, რასაც შედეგად მოაქვს სირთულეები ბავშვების რჩენაში;
- მშობლის გარდაცვალება, დაპატიმრება, ავადმყოფობა და/ან მავნე ნივთიერებების ბოროტად გამოყენება, რასაც მოჰყვება ბავშვის მიტოვება ან უგულებელყოფა და ბავშვის მიერ საკუთარ თავზე ზრუნვის საჭიროება;
- ოჯახში ძალადობა – ფიზიკური ან ფსიქოლოგიური – რის გამოც ბავშვი სახლის გარეთ ცხოვრებას ამჯობინებს;
- მკაცრი დისციპლინა – ანუ ბავშვთა სოციალური კავშირების კატეგორიული შეზღუდვა და ზედმეტად მკაცრი წესები – სარეაბილიტაციო ან მომსახურების დაწესებულებებში, მინდობით აღმზრდელ ოჯახებში ან არასრულწლოვანთა დახურულ სკოლებში, რის გამოც ბავშვებს და მოზარდებს წესების დამორჩილებას ქუჩაში ცხოვრება ურჩევნიათ და მზრუნველობის დაწესებულებებიდან არაერთგზის იპარებიან;
- ურთიერთობა ბავშვებსა და მოზარდებს შორის, რის გამოც ბავშვები (თანდათანობით) სულ უფრო ნაკლებ დროს ატარებენ სახლში და სულ უფრო მეტ დროს უთმობენ ქუჩაში მცხოვრებ და/ან მომუშავე ახალგაზრდებთან ურთიერთობას.

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც, როგორც ჩანს, უბიძგებს ბავშვებს ქუჩაში ცხოვრებისკენ, დაკავშირებულია შავი ზღვის ტურისტულ კურორტებზე საარსებო საშუალებათა მოპოვების შესაძლებლობებთან: ქუჩაში მცხოვრებ და/ან მომუშავე ბავშვთა ცხოვრება ნაწილობრივ სეზონური მიგრაციის ფორმას ატარებს. ეს ეხება როგორც ქუჩის მობილური ოჯახების ბავშვებს, ასევე ქუჩაში მშობლის გარეშე მყოფ ბევრ ბავშვს. სეზონური მიგრაციის ნაწილი დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო სეზონებთან, ვინაიდან აზერბაიჯანში ზოგიერთი მობილური ოჯახი მონაწილეობას იღებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში. თუმცა მიგრანტები უმეტესწილად კვალდაკვალ მიჰყვებიან ტურისტების ნაკადებს, რომლებსაც ტურისტულ სეზონზე ბათუმში, ქობულეთში, ურეკსა და შავი ზღვის სხვა კურორტებზე „მოჰყავთ" არამარტო აზერბაიჯანული ოჯახები, არამედ საქართველოს ქუჩის ოჯახები და ქუჩაში მშობლების გარეშე მყოფი ბავშვები და ახალგაზრდები.

განსხვავებები საქართველოს და აზერბაიჯანის სოციალური დახმარების პროგრამებს შორის და განსხვავებული სამართლებრივი ჩარჩოები იწვევს ბევრი აზერბაიჯანული ოჯახის მიგრაციას საქართველოში: საქართველოში მიგრანტი აზერბაიჯანელი ზრდასრული ადამიანებისა და ბავშვების ახალ ჯგუფებთან დაკავშირებით მათთან კონტაქტში მყოფი პირები აღნიშნავენ შემდეგ ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობს მიგრაციის გაზრდას:

- აზერბაიჯანის ეკონომიკური პირობების გაუარესება, რაც მოჰყვა ვალუტის გაუფასურებას, და უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არსებული, უმუშევრობასთან და საარსებო საშუალებების ტრადიციული წესით მოპოვების გაგრძელებასთან დაკავშირებული გამოწვევები;
- ქუჩაში მუშაობისა და მათხოვრობის სამართლებრივი აკრძალვის უფრო მკაცრად აღსრულება აზერბაიჯანში, ხოლო საქართველოში უფრო მეტი თანაგრძნობა (ფულის ჩუქება ქველმოქმედების მიზნით) ქუჩაში მომუშავე ადამიანების და მათხოვრებისათვის; და
- ეკონომიკური მოგება, რომელიც შეიძლება მიღებული იქნეს საქართველოდან აზერბაიჯანში რეალიზების მიზნით გარკვეული საქონლის იმპორტის შედეგად.

ძირითადი უფლებების დარღვევა

> **კითხვა 4:**
> *რომელია ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების ის ძირითადი უფლებები, რომლებიც ირღვევა, მათ შორის ჯანმრთელობის დაცვის და განათლების მიღების, ძალადობისგან დაცვის უფლებები და ა.შ.?*

ძალადობა, განათლება და ჯანმრთელობა: ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები განსაკუთრებით დაუცველნი არიან ძალადობისგან როგორც მათზე მზრუნველების, ასევე ქუჩაში მცხოვრები/მომუშავე ახალგაზრდების მხრიდან. ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების აბსოლუტურ უმრავლესობას ხელი არ მიუწვდება არც განათლებაზე და არც სამედიცინო მომსახურებაზე, თუ არ ჩავთვლით სასწრაფო დახმარებას.

ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ჯგუფის შიდა დინამიკისთვის შეიძლება დამახასიათებელი იყოს სექსუალური „დაჯილდოების" სისტემა, რაც გოგონებს ძალადობის რისკის წინაშე აყენებს: მაგალითად, თბილისის ერთ-ერთი ჯგუფის ყოფილი წევრების მონაყოლით, გოგონები ვალდებულნი იყვნენ, სექსუალური მომსახურება გაეწიათ ბანდის (ან სექტის) უფროსი წევრებისთვის. სხვა ჯგუფების ყოფილი წევრები ყვებიან, რომ

ისინი თავიანთი შემოსავლის ნაწილს იყენებენ სექსუალური მომსახურების საფასურის გადასახდელად. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ, სავარაუდოდ, ქუჩის ბავშვები სექსუალური ძალადობის შედეგად ტრავმირებულნი უნდა იყვნენ. ეს არაერთხელ აღნიშნეს კვლევის ფარგლებში გამოკითხულმა ფსიქოლოგებმა. ბავშვებისა და სოციალური მუშაკების მიერ დასახელებული იყო სხვა სახის, ძალადობით და მავნე ნივთიერებების გამოყენებით გამოწვეული, ფსიქოლოგიური ტრავმებიც.

ძნელად მისაწვდომი აზერბაიჯანელი ბავშვები საქართველოში

> **კითხვა 5:**
> *სერვისების მიმწოდებელთა გამოცდილებით, ბავშვები, რომლებიც საკუთარ თავს აზერბაიჯანელად მიიჩნევენ (და აზერბაიჯანულად ლაპარაკობენ), ყველაზე ძნელად მისაწვდომი არიან საქართველოში. რა ფაქტორები განაპირობებს ამგვარ შედარებით იზოლაციას ან ძნელად მისაწვდომობას? რასთან არის ეს დაკავშირებული: ენობრივ ბარიერებთან, სოციალურ მოწყობასთან (მაგალითად, ბავშვების განსხვავებულ კავშირთან მშობლებთან, დამსაქმებლებთან თუ სხვებთან), დისციპლინასთან თუ რაიმე სხვა ფაქტორებთან?*

საქართველოში აზერბაიჯანელი ქურთების თემთან ურთიერთობაში არსებულ კონკრეტულ სირთულეებს ხელს უწყობს სხვადასხვა სახის დისკრიმინაცია და ბავშვებზე კონტროლის დაკარგვის შიში. მშობლები სერვისებს ბავშვებზე მეურვეობის დაკარგვის შიშით ტოვებენ. მნიშვნელოვანია ენობრივი საკითხიც: მომსახურების მომწოდებლებს შორის აზერბაიჯანული ქურთული ენის ცოდნის ნაკლებობა ხელს უშლის სათანადო კომუნიკაციას და ზრდის აზერბაიჯანელ ქურთებს შორის გრძნობას, რომ მათ ადანაშაულებენ ტყუილებში მათი წარმოშობის შესახებ.

უფრო პატარა აზერბაიჯანელი ქურთი ბავშვები მონაწილეობენ შინამეურნეობის შემოსავლის მოსაპოვებელ საქმიანობებში და ბევრი მშობელი დამოკიდებულია მათ მუშაობაზე. აზერბაიჯანელი ქურთული წარმოშობის ბავშვებს შორის უფრო პატარა ბავშვებს ახლავთ მშობლები, რომლებიც ეხმარებიან მათ ოჯახისთვის შემოსავლის შოვნაში.

სერვისების მხრივ არსებული საჭიროებები

> **კითხვა 6:**
> როგორია სხვადასხვა სერვისის საჭიროება ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების სხვადასხვა ჯგუფისთვის?

ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების უმრავლესობისთვის ხელმიუწვდომელია განათლება, სამედიცინო მომსახურება (სასწრაფო დახმარების გარდა) და ის მომსახურებები, რომლებიც დაიცავდნენ მათ ძალადობისა და შეურაცხყოფისგან, მათ შორის ბავშვთა შრომისაგან.

ბავშვები, რომლებიც ქუჩაში მშობლების გარეშე არიან, მაგრამ დასაძინებლად სახლში მიდიან: ბავშვების განათლების და სამედიცინო მომსახურების უფლებების დაცვის მიზნით მომსახურებები, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უნდა ვრცელდებოდეს მშობლებზე ან ამჟამინდელ მეურვეებზე. ბევრი ბავშვი, რომელიც ქუჩაში მშობლების გარეშეა, მაგრამ დასაძინებლად სახლში მიდის, თავს მორალურად ან სხვაგვარად ვალდებულად მიიჩნევს,

შეინახოს თავისი მშობლები თუ მეურვეები; ანდა მშობლების თუ ოჯახის სხვა წევრების მხრიდან იძულების სხვადასხვა ფორმა აიძულებს ბავშვებს შრომაში ჩაბმას. შესაბამისად, მშობლების დამატებითი ეკონომიკური მხარდაჭერა და მათი დახმარება სამუშაოს პოვნაში განხილული უნდა იქნეს როგორც შემოსავლის მომტან საქმიანობებში ბავშვების ჩართვის თავიდან აცილებისა და მშობლების მზრუნველობის უნარის განმტკიცების სტრატეგია. მშობლები და მეურვეები ასევე ჩართულები უნდა იქნენ თანამშრომლობაში მათი შვილების მიერ განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად.

ამავე დროს, იმ ბავშვებისთვის, რომლებიც ქუჩაში მშობლების გარეშე არიან, მაგრამ დასაძინებლად სახლში მიდიან, განკუთვნილი სერვისების პირველი ეტაპი უნდა იყოს ბავშვების პირობების შეფასება მათ ამჟამინდელ საცხოვრებელ სახლებში. მათი მშობლების/მეურვეების მხრიდან მავნე ნივთიერებების ბოროტად მოხმარების, სახლში არსებული ძალადობის და/ან ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების შემთხვევაში მშობლებთან თანამშრომლობის შესაძლებლობები შეიძლება შეზღუდული იყოს. უნდა შეფასდეს მეურვეების მხრიდან ძალადობისა და შეურაცხყოფისგან ბავშვების დაცვის საჭიროებაც და, ზოგიერთ შემთხვევაში, განხილული უნდა იქნეს ბავშვების მშობლებისგან ჩამოცილების აუცილებლობა სამართლებრივი ნორმების დაცვით.

ქუჩის მობილური ოჯახების ბავშვები: ისევე, როგორც იმ ბავშვების შემთხვევაში, რომლებიც ქუჩაში მშობლების გარეშე არიან, მაგრამ დასაძინებლად სახლში მიდიან, მომსახურებები ქუჩის მობილური ოჯახების ბავშვებისთვის უნდა მოიცავდეს ოჯახებს. ყველა მომსახურება მიზნად უნდა ისახავდეს თანამშრომლობას ოჯახებთან, თუ ძალადობის და/ან სხვა შეურაცხყოფის ისტორიები არ მიგვითითებს იმაზე, რომ უფრო მნიშვნელოვანია ბავშვების დაცვა მისივე მშობლებისგან.

როგორცაღინიშნა, ქუჩისმობილურიოჯახებისდიდუმრავლესობასბოშებიდააზერბაიჯანელი ქურთები წარმოადგენენ. აქედან გამომდინარე, მომსახურებები უნდა ითვალისწინებდეს ამ ეთნიკურ ჯგუფებთან დაკავშირებით არსებულ სოციალურ და კულტურულ სტიგმას. ამასთანავე, ბოშების და აზერბაიჯანელი ქურთების ოჯახების წევრთათვის სამსახურის პოვნის მცდელობების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მათ მიმართ არსებული არაოფიციალური დისკრიმინაცია შრომის ბაზარზე. და ამ შემთხვევაშიც საერთო მიზანს წარმოადგენს ოჯახებისთვის დახმარების გაწევა ისეთი რეგულარული და გრძელვადიანი სამუშაოს შოვნაში, როცა საჭირო აღარ იქნება ბავშვების შრომა.

ქუჩის ოჯახების სეზონური მიგრაცია წარმოშობს კონკრეტულ სირთულეებს ბავშვების განათლების საქმეში. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ისეთ დახმარებას, რომ შესაძლებელი გახდეს ბავშვების სკოლაში დატოვება იმ პერიოდში, როდესაც მათზე მზრუნველებს გადაადგილება უწევთ. ალტერნატიულად, უნდა წახალისდეს ბავშვების მიერ საცხოვრებლის შეცვლისას საგანმანათლებლო დაწესებულებების შეცვლის შესაძლებლობაც. ამ უკანასკნელ შემთხვევაში შეიძლება შეიქმნას კონკრეტული სეზონური სასწავლო დაწესებულებები, მაგალითად, შავი ზღვის სანაპიროზე, და უნდა წახალისდეს მშობლებთან პარტნიორობა ამ დაწესებულებებში ბავშვების დასწრების უზრუნველსაყოფად.

უფრო ზოგადად, უნდა გააქტიურდეს სოციალური მუშაკების არსებული კონტაქტები მობილურ ოჯახებთან. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ოჯახებისთვის მომსახურების გაწევას მათ მშობლიურ ენაზე. სამსახურის თანამშრომლების დაქირავება ამ ენობრივი თემიდან გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს.

მშობლების გარეშე მყოფი ბავშვებისთვის (განხილულია ზემოთ) გაწეული მომსახურებების მსგავსად, მობილური ოჯახების ბავშვებისთვის გაწეული მომსახურებები უნდა მოიცავდეს ამჟამინდელი მზრუნველისგან ბავშვების დაცვის საჭიროების შეფასებას. ამ კონტექსტში უმთავრესია ბავშვის შრომის პრობლემა.

უსახლკარო ოჯახების ბავშვები: უსახლკარო ოჯახების ბავშვებისთვის გასაწევი მომსახურებები ძალიან ჰგავს ქუჩის მობილური ოჯახის ბავშვებისთვის გასაწევ მომსახურებებს; თუმცა პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ასეთი ოჯახებისთვის თავშესაფრის გამონახვას, რაც ბავშვების სკოლაში ჩარიცხვის წინაპირობაა. ძალზე სავარაუდოა, რომ ბავშვებს ამ კატეგორიაში აქვთ სამედიცინო დახმარების კონკრეტული საჭიროებები, თუ გავითვალისწინებთ მათ რთულ ჰიგიენურ პირობებს და საკვების მომზადების საშუალებათა არარსებობას. თუ ასევე გავითვალისწინებთ, რომ ასეთი ბავშვების დიდი რაოდენობა პატარაა, საჭიროა მათი ვაქცინაციის მდგომარეობის მონიტორინგი.

უსახლკარო ბავშვები და ახალგაზრდები: უსახლკარო ბავშვების უმრავლესობა მიტოვებულია ან საკუთარი სურვილით მიატოვა სახლი რაიმე მიზეზით. შესაბამისად, ურთიერთობა მშობლებთან განსაკუთრებით რთულია და მომსახურებების საჭიროება ძალიან ხშირად შემოიფარგლება მშობლებისა თუ მეურვეებისგან ბავშვების დაცვით. ეს ყოველთვის უმთავრესი საფიქრალი უნდა იყოს ბავშვების და მშობლების ხელახლა გაერთიანების მცდელობისას, ხოლო ბევრ შემთხვევაში გაერთიანება თავიდან უნდა იქნეს აცილებული.

მომსახურებებს უსახლკარო ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის საფუძვლად უნდა დაედოს მათი ურთიერთდახმარების არსებული სოციალური კავშირები. ეს გათვალისწინებული უნდა იქნეს საგანმანათლებლო პროგრამებშიც და ხელი უნდა შეეწყოს, მაგალითად, ისეთი ჩვევებისა და უნარების განვითარებას, რომლებიც მომავალში ბავშვებს შეაძლებინებს მათთვის საინტერესო კომერციულ საქმიანობაში და შემოსავლის მომტან მდგრად საქმიანობაში *სხვა ახალგაზრდებთან თანამშრომლობით* მონაწილეობის მიღებას (ან ჩამოყალიბებას). ამგვარ იდეებს განეკუთვნება მექანიკის, მანქანების და მოტოციკლეტების ტექნიკური მომსახურება, საკვების მომზადება და მიწოდება, ბავშვებზე ზრუნვა და მუშაობა ახალგაზრდებთან, სხეულის მოხატვა და სილამაზის ინდუსტრიაში მომსახურებები და ა.შ. ბავშვების მომზადების გეგმები უნდა ჩამოყალიბდეს ამგვარი მიმართულებების გათვალისწინებით.

საგანმანათლებლო პროგრამები, მათ შორის ხელობის შესასწავლი პროფესიული მომზადების პროგრამები, და ამგვარი ქსელების ჩამოყალიბება უნდა მოიცავდეს თანატოლებს შორის გამოცდილების გაზიარების მექანიზმებსაც, მაგალითად, რეგულარული შეხვედრების, სოციალურ მედიაში პორტალების შექმნის და ა.შ. მეშვეობით.

უსახლკარო ბავშვებსა და ახალგაზრდებს ხშირად აქვთ რეაბილიტაციის კონკრეტული საჭიროებები, რაც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მათი უგულებელყოფის შედეგია. უნდა გაძლიერდეს ფსიქოლოგიური დახმარება მათ მიერ განცდილი ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობის, მათ შორის სექსუალური ძალადობის, გამოცდილების შესაბამისად. ასევე უნდა აღნიშნოს, რომ რეაბილიტაციის დაწყებამდე საჭიროა ამ ბავშვებისა და ახალგაზრდების ეკონომიკური დავალიანების შეფასება. ზოგიერთები შეიძლება მეორე მხარესაც აღმოჩნდნენ, ანუ იყვნენ გამსესხებლები, რომელთა მიმართაც სხვა ბავშვებს აქვთ ფულადი ან რაიმე სახის მომსახურების ვალი. რეაბილიტაციის დაწყებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ამგვარი კავშირები. სათანადო ინფორმაციის მიღება საჭიროებს ნდობას სოციალურ მუშაკებსა და ბავშვებს შორის.

არსებული სერვისები

> **კითხვა 7:**
> *როგორ რეაგირებს არსებული სერვისები ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების ქვეჯგუფების საჭიროებებზე?*

საქართველოში ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვებისთვის არსებული სერვისები ამჟამად მოიცავს დღის ცენტრებს, 24 საათიან თავშესაფრებსა და მობილური გუნდების საქმიანობას. აზერბაიჯანში არ არსებობს რაიმე მობილური ჯგუფები, ხოლო დაწესებულებები ბავშვებისთვის მომსახურების გასაწევად მცირე რაოდენობისაა.

ორივე ქვეყანაში სერვისები ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების მშობლებისა და ოჯახებისთვის შეზღუდული რაოდენობისაა. საქართველოში არსებობს სოციალური დახმარება ოჯახებისთვის, მაგრამ ეს დახმარება ნაკლებადაა განვითარებული აზერბაიჯანში. საჭიროა ამ სახის დახმარების შეფასება ორივე ქვეყანაში ბავშვების ცხოვრების პირობებზე ზემოქმედების თვალსაზრისით. ასევე უნდა გაძლიერდეს დახმარება მშობლებისთვის დასაქმებაში, რადგან რეგულარული სამუშაოს უქონლობა და სამუშაოს მოულოდნელად დაკარგვა სწორედ ის ფაქტორია, რაც იწვევს ბავშვების ჩაბმას შინამეურნეობის შემოსავლის მოპოვებაში და ქუჩაში ცხოვრებაში. უფრო მეტიც, მთავარი მიზანი უნდა იყოს იმგვარი საერთო მიდგომის დამკვიდრება, რომელიც აქცენტს გააკეთებს ოჯახებთან თანამშრომლობაზე და არა მშობლებისთვის სანქციების დაკისრებაზე. განსაკუთრებით მობილური ოჯახების შემთხვევაში, მობილური გუნდების პოტენციური ჩარევა ხშირად დაკავშირებულია ბავშვებზე მეურვეობის დაკარგვასთან (იხ. თავი 4). ოჯახებისგან ბავშვების დაშორება უნდა იყოს უკანასკნელი საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში სერვისები შეიძლება გაგებული იქნეს როგორც მობილურ ოჯახებთან დაკავშირებული სტიგმის გამაღრმავებელი საშუალება. გარდა ამისა, უნდა გაფართოვდეს ინსტრუმენტები ოჯახების დასახმარებლად.

სერვისები როგორც ბავშვების, ასევე ოჯახებისთვის მოითხოვს დაფინანსების გაზრდას. ბავშვების მომსახურება დღის ცენტრებში და 24საათიან თავშესაფრებში, მთავრობის მიერ გამოყოფილ სახსრებთან ერთად, ამჟამად საჭიროებს დაფინანსებას არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან.

როგორც აღინიშნა, სოციალურ სამსახურებში უნდა აისახოს ქუჩის ბავშვების პოპულაციის ეთნიკური მრავალფეროვნება. სამსახურებში უნდა აისახოს ის ფაქტიც, რომ სხვადასხვა ბავშვს სხვადასხვა მომსახურება სჭირდება, გამომდინარე ქუჩაში ცხოვრებისა თუ მუშაობის სხვადასხვა ტენდენციიდან.

რეკომენდაციები

რეკომენდებული ღონისძიებები ორ ჯგუფად - პრევენციულ და რეაგირების ღონისძიებებად - არის დაყოფილი. თითოეული ასეთი კატეგორიის შიგნით რეკომენდაციები პრიორიტეტების მიხედვით დავალაგეთ, თუმცა იმის გამო, რომ რეკომენდაციები მიმართულია სხვადასხვა უწყებისა და სამიზნე ჯგუფისადმი, აღნიშნული პრიორიტეტები შესაძლოა გადაისინჯოს.

პრევენციული ზომები

ზოგადად, ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვებისთვის ამჟამად არსებული სერვისები მიჩნეული უნდა იყოს პრევენციულ ინიციატივებად და გაუმჯობესებისკენ მიმართულ ზომებად, ვინაიდან ისინი ეხმარება შედარებით უმცროსი ასაკის ბავშვებს, რომ ისინი არ გადავიდნენ ქუჩის ცხოვრების ახალ ეტაპზე.

სამთავრობო უწყებები

პრევენციულ ღონისძიებებში უნდა შევიდეს:

1. **სკრინინგის ინსტრუმენტები**: თუ იმ ფაქტორებს გავითვალისწინებთ, რომლებიც ახალ ბავშვებს ქუჩის ცხოვრებაში ჩართვისკენ უბიძგებს (ჩამოთვლილია ზემოთ), პირველადი პრევენცია უპირველეს ყოვლისა რისკის ქვეშ მყოფი ბავშვებისა და მათი ოჯახების საჭიროებებზე მორგებულ სკრინინგის ინსტრუმენტს უნდა მოიცავდეს, რომელსაც რისკის ქვეშ მყოფ მშობლებთან მომუშავე სამთავრობო სამსახურები გამოიყენებენ. სკრინინგის ინსტრუმენტი ზრდასრული ადამიანების მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვების ცხოვრების პირობების შეფასებას უნდა ითვალისწინებდეს და გამოყენებული იქნეს:

   - ციხეებში - როდესაც მშობელს პატიმრობა აქვს მისჯილი;
   - ჯანდაცვის სამსახურებში - როდესაც მშობელს ფიზიკური თუ ფსიქიკური ჯანმრთელობის უეცარი პრობლემა შეექმნება;
   - პოლიციის და/ან სოციალურ სამსახურებში - მშობლის გარდაცვალების შემდეგ, აგრეთვე იმ შემთხვევებში, როდესაც მშობლები ნარკოტიკულ ნივთიერებებს მოიხმარენ, და ოჯახში ძალადობის შემთხვევებში;
   - სოციალურ სამსახურებში - მშობლების ხანგრძლივი უმუშევრობის ან მათ მიერ სამსახურის უეცარი დაკარგვის შემთხვევაში.

2. **პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები**: ქუჩაში მცხოვრები/მომუშავე მობილური აზერბაიჯანელი ოჯახები ხშირად ჩივიან, რომ საქართველოში ჯანდაცვის დაწესებულებების გარეთ დაბადებულ ბავშვებს პირადობის დამადასტურებელი საბუთები არ აქვთ. საქართველოში, ისევე, როგორც აზერბაიჯანში მცხოვრები ოჯახებისადმი მიმართული საინფორმაციო კამპანიების მთავარი მიზანი უნდა იყოს მოსახლეობის ინფორმირება, რომ ყველა ბავშვმა დაბადებისას პირადობის დამადასტურებელი საბუთები უნდა მიიღოს, მიუხედავად იმისა, თუ სად დაიბადა ბავშვი - ჯანდაცვის დაწესებულებაში თუ მის გარეთ.

3. **უმცირესობებთან დაკავშირებული პოლიტიკა და სტიგმის შემცირებისკენ მიმართული ძალისხმევა:** უმცირესობების საკითხებისა და ინტეგრაციის პოლიტიკა ბავშვების კონკრეტულ საჭიროებებსა და მათ წინაშე მდგომ რისკებს უნდა შეესაბამებოდეს.

როგორც აზერბაიჯანში, ისე საქართველოში ხელი უნდა შეეწყოს კვლევას უმცირესობებს შორის ენობრივი მრავალფეროვნების საკითხებზე. მნიშვნელოვანია, რომ ხდებოდეს აღნიშნული კვლევის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის სისტემატური მიწოდება პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღები პირებისთვის, სხვადასხვა სამსახურისა და დახმარების სერვისების თანამშრომლებისთვის, ასევე ფართო საზოგადოებისთვის. საჭიროა ზომების მიღება ორივე ქვეყანაში მოსახლეობის უმცირესობათა ჯგუფების მიმართ არსებული სტიგმის შემცირების და საჯარო სამსახურების თანამშრომელთა კომპეტენციის გაზრდის მიზნით, რომელიც დღეს ძალზე დაბალია და ემყარება ვარაუდებსა და იდენტობის შესახებ არასწორ იარლიყებს, რომლებიც ძალზე აღაშფოთებს თავად უმცირესობებს.

4. **საქართველოსა და აზერბაიჯანის თანამშრომლობა წესების დაცვისა და კანონის აღსრულების სფეროში:** აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის ქუჩის ოჯახების ბავშვთა მიგრაცია განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს, რომლის გადაჭრა ორი ქვეყნის მთავრობებს შორის თანამშრომლობას მოითხოვს. ქუჩაში ეკონომიკურ აქტივობებთან დაკავშირებული წესების ჰარმონიზება და კანონის აღსრულება მიზნად უნდა ისახავდეს ქვეყნებს შორის ქუჩის მობილური ოჯახების/პირების რეგულარული მიმოსვლის სტიმულის შემცირებას.

5. **სოციალური სამსახურები:** საქართველოსა და აზერბაიჯანის სოციალურ სამსახურებს შორის თანამშრომლობა რთულია აზერბაიჯანის ადგილობრივ თემებში მობილური ჯგუფებისა და სოციალური სამსახურების ნაკლებობის გამო. უნდა გაძლიერდეს აზერბაიჯანის სოციალური სამსახურები იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს ქუჩის ცხოვრებაში ბავშვების ჩართვის პრევენცია და ასევე იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობა მიმართვიანობის ერთობლივი მექანიზმების შექმნის თვალსაზრისით. ამ პროცესში კომპეტენციების გაძლიერების ხელშეწყობის მხრივ დახმარების გაწევა შეუძლიათ საერთაშორისო დონორებს.

სერვისის მიმწოდებლები, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციები

მეორადი პრევენცია უნდა მოიცავდეს:

1. **მინდობით აღმზრდელი ოჯახების განათლებას**, მინდობით აღსაზრდელი ბავშვებისათვის ალტერნატიული და ნაკლებად მკაცრი წესების არსებობის ხელშეწყობის მიზნით;

2. **სარეაბილიტაციო და მომსახურების გამწევი დაწესებულებების წესების ხელახლა დადგენას**, მაგალითად, არასრულწლოვანთა დახურულ სკოლებში, ვინაიდან ზედმეტად მკაცრი წესებისა და ბავშვების მეგობრულ ურთიერთობებში ჩარევის შედეგად ბავშვები და ახალგაზრდები დაწესებულებებიდან გარბიან და ქუჩის ცხოვრებაში ერთვებიან.

3. **სკრინინგის ინსტრუმენტის შემუშავებას**, რომელიც გამოყენებული იქნება დღის ცენტრებში და 24 საათიან თავშესაფრებში, იმისათვის, რომ მომსახურება გავრცელდეს ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების რისკის ქვეშ მყოფ და-ძმასა და ახლო ნათესავებზე;

4. **დამატებით ეკონომიკურ მხარდაჭერას რისკის ქვეშ მყოფი მშობლებისათვის**: ოჯახების დახმარებამ უნდა მოიცვას სამსახურის შოვნის მეთვალყურეობის გაუმჯობესება და დახმარება შემოსავლის მომტანი საქმიანობის დაწყებაში. ისევ და ისევ, ძირითადი მიზანია ოჯახების რეგულარული და გრძელვადიანი დასაქმების ხელშეწყობა, რომელიც არ საჭიროებს ბავშვების ჩართვას. მომსახურების გაწევისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ბოშა და აზერბაიჯანელი ქურთი ეთნიკური წარმომავლობის ადამიანების

მიმართ არსებული სოციალური და კულტურული სტიგმა, ასევე ამ პოპულაციების არაოფიციალური დისკრიმინაცია შრომის ბაზარზე;

5. **ფსიქოლოგიური კონსულტაციების გაწევა მშობლებისთვის:** მშობლებთან დაკავშირებით განსახორციელებელი პრევენციული სტრატეგიები მათ ფსიქოლოგიურ კონსულტაციებს უნდა მოიცავდეს ისეთ შემთხვევაში, როდესაც ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან, მავნე ნივთიერებების მოხმარებასთან ან ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული პრობლემები ბავშვებს ქუჩაში ცხოვრების რისკს უქმნის.

რეაგირების ზომები

სამთავრობო უწყებები და საერთაშორისო დონორები

1. **სერვისების ხელმისაწვდომობა**: სერვისების მიმწოდებელმა ცენტრებმა თვალყური უნდა ადევნონ საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის მიგრაციულ ნაკადებს, უფრო კონკრეტულად კი შავი ზღვის სანაპიროზე ტურისტულ სეზონზე ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების გაზრდილ რაოდენობას. ხელისუფლებამ უნდა გამოყოს დაფინანსება შავი ზღვის სანაპიროზე სერვისებისათვის, სადაც ეს სერვისები არ არსებობს. ამ ტერიტორიაზე ბავშვები მშობელთა თანხლებით და მათ გარეშე მონაწილეობენ ეკონომიკურ აქტივობებში და, შესაბამისად, როგორც დღის ცენტრების, ისე 24 საათიანი თავშესაფრების მომსახურებაზე წვდომა უნდა გაფართოვდეს. ამასთან ერთად, არ არსებობს სპეციალიზებული სერვისები აზერბაიჯანის მხრიდან სასაზღვრო ტერიტორიებზე და საჭიროა მათი განვითარება.

2. **სოციალური დაცვის ქსელების შექმნა ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვებისთვის:** სოციალური დაცვის ქსელების შექმნა და გაძლიერება არა მარტო პრევენციული ზომაა, არამედ რეაგირების მექანიზმების ნაწილიც. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ოჯახებისთვის სოციალური სერვისების გაწევასთან დაკავშირებული კვალიფიკაციის ამაღლება - და დაფინანსება - სამთავრობო უწყებებისა და საერთაშორისო დონორების პრიორიტეტი უნდა იყოს.

3. **არასამთავრობო ორგანიზაციების სერვისების დაფინანსება ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვებისთვის:** ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისთვის სერვისების დაფინანსება საქართველოს მთავრობის მიერ არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით არ ფარავს მათ ხარჯებს. ბავშვებზე ზრუნვის მდგრადი და ხარისხიანი სერვისების უზრუნველსაყოფად დაფინანსება უნდა გაიზარდოს და დე ფაქტო ხარჯები დაფაროს.

4. **სამართლებრივი რეფორმა: ბავშვთა ექსპლუატაცია როგორც ცალკე დანაშაული:** საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ბავშვთა ექსპლუატაცია არ არის შესული ცალკე დანაშაულის სახით (ეს საკითხი მხოლოდ ადამიანებით ვაჭრობასთან მიმართებაშია რეგულირებული). ბავშვთა სამართლებრივი დაცვის გასაძლიერებლად ეს საკანონმდებლო ხარვეზი უნდა გამოსწორდეს.

5. **ქალაქის მთავრობისა და პოლიციის რეაგირება კრიმინალურ აქტივობებზე:** როგორც ჩანს, ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვების სისხლისსამართლებრივ ქმედებებთან და ძალადობასთან დაკავშირებით პოლიცია თუ ქალაქის მთავრობა კოორდინირებულ ღონისძიებებს არ ახორციელებენ. შესაბამისად, ქალაქის მთავრობამ და პოლიციამ რეაგირება უნდა მოახდინონ შემდეგ საკითხებზე:

   - ცნობილია, რომ ზოგიერთ ადგილას საქართველოს ქალაქებში, განსაკუთრებით თბილისში, ხშირია კრიმინალური აქტივობა, რომელშიც ბავშვები არიან ჩართულები

(მაგალითად, ე.წ. „მორგის“ ტერიტორიაზე), მაგრამ პოლიცია და ქალაქის მთავრობა მათ ყურადღებას არ აქცევენ. აუცილებელია ამ კრიმინალური აქტივობის შესახებ მოწოდებული ინფორმაციის გამოძიება;

- ძალზე სამწუხაროა, რომ არსებობს ინფორმაცია პოლიციის თანამშრომლების მიერ 14 წელზე უმცროსი ბავშვებისთვის დანაშაულის ჩადენის თავის თავზე აღების შეთავაზების (ან ბრალდების) ფაქტების შესახებ, რაც მიზნად ისახავს იმას, რომ 14 წელზე უფროს ბავშვებს აარიდონ სამართლებრივი შედეგები დანაშაულის ჩადენისთვის: ეს ართულებს 14 წელზე უმცროსი ბავშვების გადაცემას დახმარების სერვისებისთვის და ხელს უწყობს ბავშვებს შორის კრიმინალურ აქტივობას. ეს ასევე ხელს უშლის კრიმინალურ აქტივობაში ჩართული 14 წელზე უფროსი ბავშვების მიმართ სამართლებრივი ქმედებების განხორციელებასაც.

კრიმინალურ აქტივობაში ჩართული ბავშვებისა და ახალგაზრდების მიმართ ქმედება მრავალდარგობრივი და დარგთაშორისი მიდგომის გამოყენებას საჭიროებს.

სერვისის მიმწოდებლები, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციები

რეაგირების ზომებთან დაკავშირებით საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ საკითხებს:

1. **მონაწილეობის პრინციპზე დაფუძნებული პროგრამების შემუშავება:** ზოგადად, ბავშვებისა და მოზარდებისთვის განკუთვნილ ყველა პროგრამაში შესაძლებლობის ფარგლებში მონაწილეობის მაქსიმალური დონე უნდა იყოს უზრუნველყოფილი. მათში დაბალანსებული უნდა იყოს ბავშვების რეაბილიტაციისა და დაცვის საჭიროება და მათი პირადი ხელშეუხებლობისა და სოციალური მდგრადობის უზრუნველყოფის საჭიროება.

2. **ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების ოჯახებთან კომუნიკაციას** და მათ ინფორმირებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვების ქვეჯგუფების შესახებ ამ ანგარიშში ზემოთ განხილული გამოვლენილი ფაქტებისა და მახასიათებლების შესაბამისად. დახმარება უნდა მოიცავდეს:

   - **გაზრდილ ეკონომიკურ დახმარებას**, ეკონომიკურ საკითხებში კონსულტაციებს, სამსახურის ძებნაში დახმარებას (მათ შორის, რისკის ქვეშ მყოფი ოჯახების შემთხვევაში) პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს.

   - **გადაუდებელი დახმარების სპეციალურ ფონდს მშობლებისთვის**: ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვების მშობლებისთვის უნდა არსებობდეს გადაუდებელი დახმარების სპეციალური ფონდი, რომელიც ამჟამად არსებულ ფონდზე ნაკლებად ბიუროკრატიული იქნება; ეს ფონდი ფინანსურად უნდა ეხმარებოდეს ოჯახებსა და ბავშვებს და აკმაყოფილებდეს მათ წინაშე უეცრად წამოჭრილ საჭიროებებს ჯანდაცვის სფეროში, საცხოვრებლის დაქირავებასთან დაკავშირებით და ა.შ.

3. **პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკე პირთა აყვანას** ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისათვის განკუთვნილ სამსახურებში. ამ ბავშვების ოჯახებთან ყველა სახის მუშაობის დროს ენობრივ სენსიტიურობას მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს.

4. **ქუჩის ოჯახებთან დაკავშირებული კომპეტენციების განვითარება:** ზოგიერთ წრეში გავრცელებულია სტიგმა ბოშურ („რომა“) ენაზე მოლაპარაკე ადამიანების, და კიდევ უფრო მეტად, აზერბაიჯანელი ქურთების მიმართ, რაც ხელს უწყობს იმას, რომ ეს უკანასკნელნი სოციალურ მომსახურებას ვერ იღებენ. ეს ინფორმაცია საფუძვლად

უნდა დაედოს სოციალურ სამსახურებსა და ზრუნვის დაწესებულებებში კვალიფიკაციის ამაღლებას; განათლების პროგრამების პრიორიტეტი უნდა იყოს უმცირესობათა ენების შესწავლაც.

5. **ტრენინგის პროგრამები ბავშვებისთვის, კომერციული კოოპერატივები და შეგირდთა სისტემა:** საგანმანათლებლო, მათ შორის პროფესიული განათლების, პროგრამებს საფუძვლად უნდა დაედოს ბავშვების ინტერესები და მომავალ საარსებო წყაროებთან დაკავშირებული მათი სურვილები. პროფესიულ სწავლებას საფუძვლად უნდა დაედოს ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების კავშირების ქსელების ძლიერი მხარეები და უნდა წახალისდეს ცხოვრების შემდგომ ეტაპებზე უნარ-ჩვევების გადატანა ბიზნესის ან სამუშაოს შესაძლებლობებში. ამ თვალსაზრისით დასაფიქრებელი იდეებია კომერციული კოოპერატივები კაფეების და ავტოშემკეთებელი სერვისების შესაქმნელად. უნდა ჩამოყალიბდეს შეგირდთა მომზადების ტიპის სასწავლო პროგრამები, რომლებშიც მენტორების სახით ადრე ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე წარმატებული ბავშვები მიიღებენ მონაწილეობას.

6. **ბავშვების კონსულტირება ეკონომიკურ საკითხებში**: სერვისების პროგრამაში ბავშვის ჩართვის შემდეგ, მისი საჭიროებების შესახებ მონაცემების დოკუმენტურად ასახვისას, ბავშვის ვალიც უნდა იქნეს გათვალისწინებული. ბავშვისთვის კონსულტაციის გაწევის დროს განხილული უნდა იყოს გეგმები, რომლებიც მას ეკონომიკური და სხვა ვალდებულებებისგან განთავისუფლებაში დაეხმარება.

7. **დახმარების გაწევა 18 წლის ასაკის შემდეგ**: ეს ყველაფერი ასევე გულისხმობს, რომ ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის განკუთვნილი სერვისები და დახმარება უნდა გაგრძელდეს ამჟამად არსებული 18 წლის ასაკობრივი ზღვრის შემდეგაც.

8. **გამოცდილების გაზიარება თანატოლებს შორის**: ქსელის შექმნას თან უნდა ახლდეს თანატოლებს შორის გამოცდილების გაზიარების მექანიზმების ჩამოყალიბება, მაგალითად, რეგულარული შეხვედრების, სოციალური მედიის პორტალების შექმნისა და ა.შ. მეშვეობით.

9. **ფსიქოლოგიური კონსულტაცია და შემდგომი თერაპიული დახმარება**: ფსიქოლოგიური კონსულტაციისა და შემდგომი თერაპიული დახმარების გაწევის უნარები უნდა გაძლიერდეს და ამ სერვისებში გათვალისწინებული უნდა იქნეს სექსუალური ძალადობითა და ოჯახში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არსებული ძალადობით გამოწვეულ ტრავმასთან დაკავშირებული სპეციალიზებული კომპეტენცია.

გამოყენებული ლიტერატურა

Aptekar, Lewis & Daniel Stoecklin (2014). *Street children and homeless youth: A cross-cultural perspective*. Dordrecht: Springer.

Engebrigtsen, Ada (2007). *Exploring Gypsiness: Power, exchange and interdependence in a Transylvanian village*. New York: Berghahn Books.

Heinonen, Paula (2011). *Youth Gangs and Street Children: Culture, Nurture and Masculinity in Ethiopia*. Oxford: Berghahn Books.

Lucchini, R. (2007). "Street children": Deconstruction of a category. In I. Rizzini, U. Mandel Butler, & D. Stoecklin (Eds.), *Life on the streets. Children and adolescents on the streets: Inevitable trajectories?* (pp. 49–75). Sion: Institut International des Droits de l'enfant.

Matras, Yaron (2000). "Two Domari legends about the origin of the Doms". *Romani Studies 5*, 10(1): 49-75.

Sommerfelt, Tone, ed. (2015). *Child fosterage and child domestic work in Haiti in 2014: Analytical Report*. Fafo-report 2015:54. http://www.fafo.no/images/pub/2015/20559-web.pdf

Stewart, Michael (1997). *The time of the Gypsies*. Boulder, Colorado: Westview Press.

Stewart, Michael, ed. (2012). *The Gypsy 'menace': Populism and the new anti-Gypsy politics*. London: Hurst & Co.

Stoecklin, Daniel (2007). Children in street situations: A rights-based approach. In I. Rizzini, U. M. Butler, & D. Stoecklin (Eds.), *Life on the streets. Children and adolescents on the streets: Inevitable trajectories?* (pp. 77–97). Sion: Institut International des Droits de l'enfant.

Tevzadze, Gigi (n.d.). "Thieves in law: New facts for the history of social control". Manuscript available at: https://www.researchgate.net/publication/280068320_Thieves_in_Law_New_Facts_for_the_History_of_Social_Control.

UNOHCHR [2012]. *Protection and promotion of the rights of children working and/or living in the street*. Geneva: UNOHCR. Available at: http://www.ohchr.org/Documents/Issues/Children/Study/OHCHRBrochureStreetChildren.pdf

Wargan, K. & L. Dershem, L. (2009). *Don't call me a street child: Estimation and characteristics of urban street children in Georgia*. Save the Children, ACT, USAID & Unicef. Available at: http://pdf.usaid.gov/pdf_docs/Pnado657.pdf

დანართები

დანართი 1.

გაეროს ბავშვთა ფონდი საქართველოს მიერ ჩატარებული **ინსტიტუციური კვლევა საქართველოში**

სამართლებრივი ბაზა

არსებული ვითარების მიმოხილვა

2009 წელს გამოქვეყნებული კვლევის თანახმად, თბილისში, ქუთაისში, რუსთავსა და ბათუმში 2007 წლის მდგომარეობით, ქუჩაში საშუალოდ 1,049 ბავშვი ცხოვრობდა და/ან მუშაობდა.[1] ბავშვთა დაცვის რეფერირების პროცედურების დამტკიცების შესახებ მთავრობის განკარგულების მიხედვით, ქუჩაში მცხოვრებ ან/და მომუშავე ბავშვს სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკი შესაბამისი კითხვარის საფუძველზე გამოავლენს.

სოციალური მომსახურების სააგენტოს თანახმად, 2013 წლიდან 2015 წლის დასასრულამდე, თბილისსა და ქუთაისში გამოვლენილი ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე 634 ბავშვის 60% საქართველოს მოქალაქეა (ბავშვების დაახლოებით ნახევარი აზერბაიჯანიდან იყო ან ბოშათა თემს განეკუთვნებოდა)[2].

სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, 2014 წლის დეკემბერში, დღის ცენტრის მომსახურებით დაახლოებით 300-მდე ქუჩაში მცხოვრებმა და/ან მომუშავე ბავშვმა ისარგებლა. მათგან 140 ბავშვს არ აღმოაჩნდა პირადობის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტაცია, რამაც გაართულა მათ მიერ განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური მომსახურებებით სარგებლობის შესაძლებლობა. 2017 წლის მარტის მდგომარეობით, სოციალური მომსახურების სააგენტომ ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე 813 ბავშვი გამოავლინა, მათგან იმ დროისთვის დღის ცენტრის მომსახურებით 140 ბავშვი სარგებლობდა (39 ბავშვი 24-საათიან ბავშვთა ზრუნვის თავშესაფარში იმყოფებოდა)[3].

გარდა ამისა, სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიშში[4] მოყვანილია შემდეგი ძირითადი დასკვნები:

- მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ბენეფიციარები ძალადობის მსხვერპლები არიან. ბენეფიციართა უმრავლესობას ფსიქოლოგიური/ფსიქიკური პრობლემები აქვს და პროფესიული დახმარება ესაჭიროება. რთული ქცევისა და ემოციური დარღვევების

1 იხილეთ: „კატარჟინა ვარგანი და ლარი დერშემი ბავშვების გადარჩენისთვის“, „აღარ დამიძახო ქუჩის ბავშვი: საქართველოში ქუჩაში მცხოვრები ბავშვების შეფასება და თვისებები“ (2009 წლის მარტი).

2 იუსტიციის სამინისტროს სხდომის ოქმი, 2015 წლის 23 დეკემბერი.

3 სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

4 იხილეთ: საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, „საქართველოში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა“ (2015).

მქონე ბავშვებს სირთულეები აქვთ მზრუნველებთან ურთიერთობაში. მაგალითად, ერთ-ერთი ბენეფიციარი ცენტრის თანამშრომელს ფიზიკურად დაესხა თავს და საქმეში საპატრულო პოლიციის ჩართვა გახდა საჭირო. ბენეფიციარის მიმართ კი რაიმე კონკრეტული პრევენციული ღონისძიება არ გატარებულა. აღსანიშნავია, რომ ბენეფიციართა უმრავლესობა თავშესაფარში ცხოვრების შემდეგაც განაგრძობს ქუჩებში მათხოვრობას, რადგან მათ ამის გაკეთებას საკუთარი ოჯახის წევრები აიძულებენ.

- გამოვლინდა ბენეფიციარების თავშესაფრიდან გაქცევის ფაქტები, რომელთა შესახებაც ინფორმაცია მიეწოდება პოლიციას. თუმცა, უმეტეს შემთხვევებში, ბავშვები თავად ბრუნდებიან თავშესაფარში ან მათ მობილური ჯგუფები პოულობენ. ზოგჯერ, ბენეფიციარები, რომლებსაც ჯანმრთელობის პრობლემები აქვთ, რამდენიმე დღით ბრუნდებიან თავშესაფარში დასაძინებლად და მკურნალობისა და საკვების მისაღებად და შემდგომ, ჩვეული საქმიანობის გასაგრძელებლად, კვლავ ქუჩაში ბრუნდებიან.
- მობილური ჯგუფის წევრების ინფორმაციით, ქუჩაში მცხოვრებ და/ან მომუშავე ბავშვებს ჰყავთ ერთი ზედამხედველი, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, მათი ოჯახის წევრია. ეს განსაკუთრებით თვალში საცემია თბილისის მეტროში, სადაც აღნიშნული ზედამხედველები მობილური ჯგუფის წევრებს ბავშვებთან მუშაობის შესაძლებლობას არ აძლებენ.

სპეციალურმა მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა ქუჩაში მცხოვრებ და/ან მომუშავე ბავშვების ფენომენთან დაკავშირებით არსებულ უამრავ გამოწვევაზე. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს უახლესი და სანდო მონაცემების, ანდა ყოვლისმომცველი კვლევისა და არსებული მდგომარეობის ანალიზის არარსებობა, მათ შორის, ბავშვთა დაკომპლექტებისა და ექსპლუატაციის შესახებ ეფექტიანი პოლიტიკის შესამუშავებლად. პრობლემაა ინფორმაციისა და ფაქტების თანხვედრა, არ ხდება მოვლენის გაანალიზება და გააზრება, გარკვეულწილად, არსებული მცდარი შეხედულებების გამო. გარდა ამისა, რეაგირებას არ მოჰყოლია ძირეული მიზეზების გამოვლენა და, შესაბამისად, მათი პრევენცია. სისტემური მიდგომა ნაკლოვანია, ინტერვენციები კი - შემთხვევითი[5].

ბავშვთა ძალადობისაგან დაცვის სამართლებრივი ბაზა

მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები, ბავშვის უფლებების საკითხებზე, მიღებულია 2014-2016 წლებში, გაეროს ბავშვთა ფონდის ტექნიკური მხარდაჭერით. 2014 წელს მიღებული საკანონმდებლო პაკეტი შემდეგ ძირითად დებულებებს მოიცავდა:

- **საქართველოს სამოქალაქო კოდექსი:** ბავშვის აღზრდის იმ მეთოდების აკრძალვა, რომლებმაც ბავშვში შეიძლება ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზიანი გამოიწვიოს[6];
- **საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი:** ბავშვის მიმართ ქორწინების იძულება (მშობლების და/ან სხვა პირთა მიერ) ისჯება 2-4 წლამდე თავისუფლების აღკვეთით[7];
- **საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“: „**უგულებელყოფა“ განიმარტება, როგორც „მშობლის მოვალეობების უგულებელყოფა, თუ მშობელს ან/და კანონიერ წარმომადგენელს შეუძლია უზრუნველყოს და აქვს კიდეც წვდომა შესაბამის ინფორმაციასა და სერვისებზე ბავშვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური მხარდაჭერის, საბაზისო განათლების მიცემის, დაცვის, დაბადების შესახებ რეგისტრაციის მოწმობის

5 იხილეთ: პუნქტი. 26

6 მუხლი t. 1198[1]

7 მუხლი. 150[1]

აღების, ფსიქიკური და სხვა სახის ზრუნვის შესახებ“[8]; უცხო ქვეყნის მოქალაქეს, ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც არის ძალადობის მსხვერპლი, შეუძლია ისარგებლოს დროებითი ბინადრობით საქართველოში[9];

- **ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი:** მშობლებს ან მათ მონაცვლეებს უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა მათ მიერ ბავშვის აღზრდის მოვალეობების შეუსრულებლობისათვის (თუ მშობელი ვერ უზრუნველყოფს ბავშვს სათანადო ზრუნვით, განათლების შესაძლებლობით, საცხოვრებლით, საკვებით და მისი ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელი სხვა პირობებით; ბავშვის მიერ ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მოხმარების, ხულიგნური ქცევის, დანის ტარების, სექსუალური მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებების შემთხვევაში)[10]. ბავშვის დაცვის რეფერირების პროცედურებში ჩართული პროფესიონალი ან ორგანიზაცია დაჯარიმდება ბავშვის წინააღმდეგ მიმართული ძალადობის სავალდებულო გამოვლენისა და შეტყობინებისგან თავის შეკავების შემთხვევაში[11];
- **კანონი პაციენტის უფლებების შესახებ:** დაუშვებელია ოჯახისა და პაციენტის პირად ცხოვრებაში ჩარევა, გარდა ოჯახში ძალადობის შემთხვევებისა, ასევე, როდესაც ადგილი აქვს პაციენტის წინააღმდეგ ოჯახური ძალადობის არაერთ შემთხვევას და როდესაც ჩარევა აუცილებელია პაციენტის უფლებებისა და ინტერესების დასაცავად (მუხ. 29);

2014 წლის ნოემბერში, იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში, საკითხის შესაძლო საკანონმდებლო გზით გადასაწყვეტად, შეიქმნა ქუჩაში მყოფი ბავშვების საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი (გაეროს ბავშვთა ფონდის, მათ შორის, სხვა სახელმწიფო, არასახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით). სამუშაო ჯგუფმა გამოავლინა ორი ძირითადი პრობლემა (სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოპოვებული მონაცემების საფუძველზე): 1. ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების მნიშვნელოვანი ნაწილი არ ფლობს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას, რაც აბრკოლებდა მათ საგანმანათლებლო, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურებების პროგრამებში ჩართვას; 2. კანონით არ ყოფილა გარანტირებული ეფექტიანი რეფერირების მექანიზმები ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევებში[12]. სამუშაო პროცესის შედეგად, 2016 წლის ივნისში მიიღეს შემდეგი საკანონმდებლო ცვლილებები:

- **კანონი სოციალური დახმარების შესახებ:** „მიუსაფარი ბავშვი“ შევიდა იმ კატეგორიის პირებში, რომელთაც სპეციალური ზრუნვა ესაჭიროებათ. მიუსაფარი ბავშვი არის სოციალური მუშაკის მიერ გამოვლენილი ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვი[13].

საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“: სოციალური მუშაკი უფლებამოსილია ბავშვის სახელით მიმართოს სამოქალაქო მომსახურების სააგენტოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის თაობაზე, განათლების, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობისათვის[14].

8 მუხლი. 4. e

9 მუხლი. 17. t

10 მუხლი. 172, დამატებული 2014 წელს.

11 მუხლი. 172^6 დამატებული 2014 წელს.

12 იუსტიციის სამინისტროს განცხადება საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ, 2016 წლის 22 ივნისი http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=5204

13 მუხლი. 4. o.e

14 მუხლი. 3, 5

- **საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“:** გაიზარდოს სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკის უფლებამოსილება, ჩამოაშოროს ბავშვი ოჯახს ან სხვა პასუხისმგებელ პირს ბავშვის მიმართ გამოვლენილი ძალადობის შემთხვევაში. ოჯახისაგან ბავშვის ჩამოშორება უნდა იყოს უკიდურესი ზომა, როდესაც ბავშვის დაცვის სხვა ზომები უშედეგოა.
- **ბავშვთა დაცვის რეფერირების პროცედურების შესახებ მთავრობის განკარგულება 2016 წლის სექტემბერში გამოიცა:** ბავშვთა საკითხებზე მომუშავე ყველა პროფესიონალი, ინსტიტუტები და ორგანიზაციები (მათ შორის, მუნიციპალიტეტები) ვალდებულები არიან გამოავლინონ ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევები და განახორციელონ შესაბამისი შეტყობინება. აღნიშნულის შეუსრულებლობა უნდა დაექვემდებაროს ადმინისტრაციულ სანქციებს[15].

თუმცა, სამართლებრივი ბაზის, პოლიტიკისა და პრაქტიკის კუთხით, ბავშვის ეფექტიანად დაცვისა და ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობისათვის, ჯერაც მრავალი გამოწვევა რჩება. გაეროს ბავშვთა ფონდი მხარს უჭერს სახელმწიფოს, გადახედოს ბავშვისათვის ხელმისაწვდომ მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ პოლიტიკას და კანონმდებლობას. ძირითადი გამოწვევებია: ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების სამართლებრივი რეგულაციების (ლიცენზირების, მონიტორინგის, ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების) ნაკლებობა (განსაკუთრებით, ფართომასშტაბიანი რელიგიური დაწესებულებები, მოწყვლადი ბავშვების სკოლა-პანსიონატები); ბავშვის მიმართ გამოვლენილი ძალადობის შემთხვევებში ბავშვზე მორგებული (ასაკის შესაფერისი და განსაკუთრებულ საჭიროებებზე მორგებული) გასაჩივრების მექანიზმისა და პროცედურების არარსებობა; შესაბამისი კრიტერიუმებისა და პროცედურების ნაკლებობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსასაზღვრავად და მათ საჭიროებებზე დამყარებული რეაბილიტაციის მისაწოდებლად და ძალადობის მსხვერპლ ბავშვებზე საზრუნავად.

მათხოვრობა და არაფორმალური ეკონომიკა

საქართველოში მათხოვრობა არ არის აკრძალული, თუმცა არასრულწლოვნის ჩაბმა მათხოვრობაში ან სხვა ანტისოციალურ ქმედებაში (ნარკოტიკების არასამკურნალო მოხმარება, პროსტიტუცია) აკრძალულია და ისჯება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით[16].

არალეგალური სამეწარმეო საქმიანობა (არარეგისტრირებული, არალიცენზირებული და/ან სალიცენზიო პირობების დარღვევით), რომელსაც მოაქვს არსებითი ზიანი ან მნიშვნელოვანი მოგება, სისხლის სამართალდარღვევას წარმოადგენს[17]. თუმცა მასში ქუჩაში ვაჭრობა არ მოიაზრება. ქუჩაში ვაჭრობის, გამოფენებისა და ქუჩის ბაზრობების საკითხის რეგულირება ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დამოუკიდებელი და ექსკლუზიური უფლებამოსილებაა[18]. მუნიციპალიტეტების ინსპექტირების სამსახურები პასუხისმგებელნი არიან რეგულაციების[19] აღსრულებაზე და პოლიცია, საზოგადოებრივი თავშეყრის ზოგიერთ ადგილას გარე ვაჭრობის აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებაში, მხოლოდ

15 მთავრობის განკარგულება ბავშვთა დაცვის რეფერირების პროცედურების დამტკიცების შესახებ, 16.09. 2016, გთხოვთ, იხილეთ განკარგულების ინგლისური თარგმანი.

16 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი. 171

17 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი. 192

18 ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მიღებული 19.02.2014. მუხლი. 16.2. i

19 ყველა მუნიციპალიტეტს აქვს სტანდარტული რეგულაციები, მათ შორის, ქუჩაში ვაჭრობის შესახებ.

მუნიციპალური სამსახურის თხოვნის საფუძველზე შეიძლება ჩაერიოს[20]. ქუჩაში ვაჭრობა შესაბამისი ნებართვის გარეშე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევაა და 20-50 ლარით ჯარიმდება. ქუჩაში ვაჭრობის შეწყვეტის შესახებ პოლიციის ბრძანების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი 50-100 ლარით დაჯარიმდება, ან შვიდ (7) დღემდე ადმინისტრაციულ პატიმრობას დაექვემდებარება[21].

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის კოდექსი კრძალავს ბავშვით ვაჭრობას ან ბავშვის ინტერესების წინააღმდეგ დადებულ უკანონო შეთანხებას, ბავშვის დაქირავებას, ტრანსპორტირებას, გადამალვას, თავშესაფრის მიცემას ან მის აყვანას ექსპლუატაციის მიზნით (რაც ისჯება 8-დან 12 წლამდე პატიმრობით); იგივე დანაშაული ჩადენილი: ეკონომიურად დამოკიდებული ბავშვის ან ორი ან მეტი ბავშვის წინააღმდეგ; ან ბავშვის ან ბავშვების გადაყვანა საზღვარგარეთ, რაც საფრთხეს უქმნის მის/მათ ჯანმრთელობას ან სიცოცხლეს (ისჯება 11-დან 15 წლამდე პატიმრობით); იგივე დანაშაული ჩადენილი ჯგუფურად (ისჯება 17-დან 20 წლამდე პატიმრობით)[22].

კანონი „არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისაგან დაცვის შესახებ“[23] მიზნად ისახავს დაიცვას ბავშვები ალკოჰოლის, თამბაქოს და აზარტული თამაშების მავნე ზემოქმედებისაგან. **შრომის კოდექსით** დასაქმების მინიმალურ ასაკად დადგენილია 16 წელი. 16 წლამდე ასაკის ბავშვის დასაქმებაზე თანხმობა უნდა განაცხადოს მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა და/ან მეურვემ ან სამზრუნველო დაწესებულებამ, თუ ასეთი დასაქმება არ ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. 14 წლამდე ასაკის ბავშვები შეიძლება დასაქმდნენ მხოლოდ სპორტის, ხელოვნების, კულტურისა და სარეკლამო საქმიანობის სფეროში. თუმცა, ამ მხრივ, არსებობს ბავშვთა დაცვის უფრო დეტალური რეგულაციები და გარანტიები.

სავალდებულო სასკოლო განათლება

კანონით, „ზოგადი განათლების შესახებ“, უზრუნველყოფილია სავალდებულო სასკოლო ცხრა (9) წლიანი განათლება. მშობლები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ საკუთარ შვილებს სავალდებულო სასკოლო განათლებით, დაჯარიმდებიან (300 ლარამდე) თანხის ოდენობით (ბავშვის ძირითადი საჭიროებების უგულებელყოფისათვის).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადგენს, რომ დაუშვებელია მშობლის უფლებების განხორციელება იმგვარად, რომ ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს[24]. ბავშვს აქვს უფლება დაიცვას საკუთარი თავი ოჯახურ საკითხებში (მშობლის უუნარობა ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული პასუხისმგელობების შესასრულებლად, მშობლის უფლებების ბოროტად გამოყენება და ა.შ.) მეურვის ან სამზრუნველო დაწესებულებისადმი ან/და სასამართლოსადმი მიმართვის გზით, 14 წლის ასაკიდან[25].

სამოქალაქო კოდექსი ადგენს, რომ მშობლის უფლებების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს, როგორც უკიდურეს ზომას მეურვის ან სამზრუნველო დაწესებულების ან 14 წელს მიღწეული ბავშვის თხოვნის საფუძველზე. მშობლის უფლებების ჩამორთმევა ხდება ისეთ შემთხვევებში, როდესაც აშკარაა მშობლის

20 პოლიციის განყოფილებების სტანდარტული წესები მოიცავს ქუჩაში ვაჭრობის აკრძალვასაც.

21 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი. 153^3

22 მუხლი. 143^2

23 ქართული ვერსია იხილეთ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/15652

24 მუხლი. 1999

25 მუხლი.1198^1

უფლებების ბოროტად გამოყენება, ადგილი აქვს ბავშვზე ნეგატიური ზეგავლენის მოხდენას ამორალური საქციელის გამო ან ბავშვს ითრევენ ანტისოციალურ ქცევაში (მათ შორის, მათხოვრობასა ან/და მაწანწალობაში), ანდა ადგილი აქვს ბავშვის მიტოვებას[26].

სააღმზრდელო საქმიანობის რეგულირება

კანონი „სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“[27] აწესებს სალიცენზიო რეგულაციებს ყველა 24-საათიანი სააღმზრდელო დაწესებულებისათვის, გარდა სკოლა-პანსიონატების, სამედიცინო საცხოვრებელი და მინდობით აღზრდის დაწესებულებებისა. ყოველი სააღმზრდელო დაწესებულება უნდა აკმაყოფილებდეს კრიტერიუმებს პერსონალის რაოდენობის და კვალიფიკაციის, ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების თვალსაზრისით, აგრეთვე, ბავშვზე ზრუნვის შესახებ მთავრობის განკარგულების მოთხოვნებს.

კანონი ითვალისწინებს ფართომასშტაბიანი დაწესებულებების ლიცენზირებას (მათ შორის, მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ დაარსებული დაწესებულების) (ხსენებულ სტანდარტებთან მათი შესაბამისობის გადაუმოწმებლად)). ამასთანავე, ბავშვზე ზრუნვის შესახებ მთავრობის განკარგულებით, ფართომასშტაბიანმა დაწესებულებებმა აღნიშნული სტანდარტები (დეინსტიტუციონალიზაციის სამოქმედო გეგმის მოუხსენიებლად) 2020 წლის 1 იანვრამდე უნდა დააკმაყოფილონ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აღნიშნულ ინსტიტუტებს ლიცენზირება ანალოგიურად 2009 წლის მარტშიც უნდა გაევლოთ. თუმცა მათი სტანდარტებთან შესაბამისობა არ გადაუმოწმებიათ.

სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა მოიცავს მიუსაფარი ბავშვების თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამას. პროგრამა, ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად, იყენებს გამოკითხვის ფორმას და ბავშვის თანხმობის შემთხვევაში, მას სხვადასხვა სერვისებით (განათლებისა და ჯანმრთელობის და დღის ცენტრის მომსახურებების ხელმისაწვდომობა და ა.შ.) უზრუნველყოფს. კითხვარი მოიცავს შემდეგ კითხვებს:

- **ზოგადი ინფორმაცია:** ბავშვთან კონტაქტის დამყარება (თარიღი და ადგილი), ან კონტაქტის დამყარების შეუძლებლობა; ბავშვის სახელი, გვარი და დაბადების თარიღი (პირადობის მოწმობის მიხედვით, ანდა პირობითი სახელი (ზედმეტი სახელი) ან ბავშვის დაბადების თარიღი პირადობის მოწმობის არარსებობისას); ეროვნება; ადგილ(ებ)ი, სადაც ბავშვი ატარებს დღისა და ღამის უმეტეს ნაწილს; ქუჩაში ცხოვრების/ყოფნის სიხშირე და მიზეზები; ბავშვის ქმედებები ქუჩაში; გარეგნობა (სიმაღლე, წონა, თვალის ფერი და ა.შ).
- **ჯანმრთელობის მდგომარეობა:** გარეგანი სიმპტომები; ძალადობის რაიმე ნიშანი; რომელიმე ქრონიკული დაავადება; ნარკოტიკული საშუალებებისადმი დამოკიდებულება (ალკოჰოლი, წებო, თამბაქო და ა.შ); ნებისმიერი ჯანმრთელობის გადაუდებელი საკითხი;
- **განათლება:** სასკოლო განათლება; წერა-კითხვის ცოდნა (ენა, წერა-კითხვის უნარები, სირთულეები და ა.შ.)
- **დაწესებულებებში ყოფნის გამოცდილება:** დაწესებულებებში ცხოვრების გამოცდილება; ბავშვის კანონთან კონფლიქტში ყოფნის ნებისმიერი შემთხვევა.

26 მუხლი. 1206

27 ქართული ვერსია იხილეთ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3307127

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ არასაჯარო ინსტიტუტებში დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის მეორე ეტაპი წამოიწყო. არარეგულირებად კერძო სააღმზრდელო დაწესებულებებს მართავენ მესამე პირები - რელიგიური ინსტიტუტები, ადგილობრივი მთავრობა და კერძო პირები. ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის თანახმად, არსებობს 36 არასაჯარო საცხოვრებელი დაწესებულება. ისინი აღმზრდელობით მომსახურებას უწევს 1,146 ბავშვს, რომელთა უმრავლესობა დაუცველი ოჯახებიდანაა. აღნიშნულ დაწესებულებათა უმეტესობა დაარსებულია 2000 წლის შემდგომ და მთავრობის ხელმძღვანელობით, კერძო საცხოვრებელი დაწესებულებების დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის პარალელულად განვითარდა[28].

დასკვნისსახითუნდააღინიშნოს,რომსამართლებრივიბაზავერახერხებსფართომასშტაბიანი ინსტიტუტების ადეკვატურ რეგულირებას და ვერც მონიტორინგის ეფექტიან სტანდარტებს უზრუნველყოფს. ამავე დროს, სახელმწიფო პროგრამით მოპოვებული სტატისტიკური ინფორმაცია, ქუჩაში მყოფი ბავშვების მდგომარეობის შესაფასებლად, საკმარისი არ არის.

მართლმსაჯულების სისტემაში მყოფი ბავშვები

მართლმსაჯულების სისტემაში პრობაციის სააგენტოს სოციალური მუშაკები ახდენენ კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების წინასასამართლო ინდივიდუალურ შეფასებას, რომელშიც შედის დეტალური ინფორმაცია მათი პირადი გარემოებების, ოჯახური და სკოლის მდგომარეობის შესახებ. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშების გაზიარება ხდება პროკურატურასთან და სასამართლოსთან განრიდების პროცესში, სისხლისსამართლებრივი დევნის, სასამართლო პროცესისა და მსჯავრის შეფარდების დროს. ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ან მშობლის მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვის (ანდა სხვა განსაკუთრებული დაცვის საჭიროების მქონე ბავშვის) გამოვლენის შემთხვევაში, პრობაციის სააგენტო განახორციელებს რეფერირებას სოციალური მომსახურების სააგენტოსთან, რომელიც, მსგავსი შემთხვევების შემდგომი დაკვირვების კუთხით, უპირველესი პასუხისმგებელი ორგანოა. პრობაციის სააგენტო არ განახორციელებს რეფერირებას, თუ ბავშვი, რომელსაც ესაჭიროება მხარდაჭერა სოციალური მომსახურების სააგენტოსგან, უკვე იმყოფება წინასწარ პატიმრობაში, მაშინ როცა სოციალური მომსახურების სააგენტოს არ აქვს საკმარისი უფლებამოსილება და კომპეტენცია, შევიდეს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და მოახდინოს შემთხვევის შემდგომი დაკვირვება. 2016 წლის განმავლობაში პრობაციის სააგენტომ მოახდინა ოთხი (4) შემთხვევის რეფერირება და დამატებით კიდევ ოთხი შემთხვევისა - 2017 წლის მარტში. დღეის მონაცემებით, არასრულწლოვანთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში 17 არასრულწლოვანი მსჯავრდებული იმყოფება.

სხვაგვარად, პრობაციის სააგენტო, პროკურატურა და სასამართლო არ ეწევა ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვებთან დაკავშირებული მონაცემების დეტალურ დამუშავებას და გაანალიზებას.

არსებულ საკითხთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია მეტი მსჯელობა როგორც ხსენებულ სააგენტოსთან, ისე დანაშაულის პრევენციის ცენტრთან (მუშაობა პრევენციაზე, ასევე, გათავისუფლების პროგრამების მომზადება).

გარდა ამისა, საინტერესოა აღინიშნოს მულტიდისციპლინური შეხვედრები, რომლებზეც განიხილებოდა 2015 წლის ივნისში მიღებული და 2016 წლის იანვარში ამოქმედებული

28 იხილეთ 2016 წლის 21 დეკემბერს სპეციალური მომხსენებლის მიერ გამოქვეყნებული ანგარიში. პუნქტი. 69

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის აღსრულების საკითხები, სადაც გამოიკვეთა მთელი რიგი მნიშვნელოვანი გამოწვევები, მათ შორის, ქუჩაში მყოფი ბავშვების მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხები. კერძოდ, მოსამართლეებმა დააყენეს არასაპატიმრო სასჯელის გამოყენების საკითხი იმ არასრულწლოვნების მიმართ, რომლებსაც არ ჰქონდათ მუდმივი საცხოვრებელი. მაგალითად, ქუჩაში მცხოვრებ ბავშვებთან დაკავშირებით (მიუხედავად სტატისტიკის არარსებობისა). არასაპატიმრო სასჯელის აღსრულება მოითხოვს მუდმივ საცხოვრებელსა და ბავშვზე პასუხისმგებელი აღმზრდელის არსებობას, წინაამდეგ შემთხვევაში, პრობაციის სააგენტო უუნაროა მოახდინოს ასეთი სასჯელების შესაბამისი აღსრულება[29].

კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“[30] ადგენს ზოგადი განათლების მიღების პრინციპებსა და პირობებს, სკოლების დაარსების, მუშაობის, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის წესებს. კანონი ითვალისწინებს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის ინკლუზიური განათლების ღონისძიებების პრინციპს (მათთვის, ვისაც სირთულეები აქვს სწავლაში). აღნიშნული კანონი აგრეთვე ადგენს რეფერირების პროცედურებს ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვებისათვის, მათ შორის, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველი 14 წლამდე არასრულწლოვნებისათვის, რომელთაც ჩაიდინეს დანაშაული. რეფერირების ზომები მოიცავს სხვა სკოლაში გადაყვანას, მოზარდის ჩართვას საგანმანათლებლო და/ან სამზრუნველო პროგრამებში, ანდა მათ გაგზავნას სკოლა-პანსიონატში (რომელიც მდებარეობს სამტრედიაში, იმერეთის რეგიონში). გადაწყვეტილებას ბავშვის სკოლა-პანსიონატში გაგზავნის შესახებ იღებს განათლებისა და მეცნიერების სამინიტროს ექსპერტთა ჯგუფი და ამტკიცებს სასამართლო. მშობლის თანხმობის შემთხვევაში სასამართლოს დამტკიცება არ არის აუცილებელი.

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი[31] ადგენს არასრულწლოვანთა ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, აგრეთვე, ადმინისტრაციული და სისხლის სამართალწარმოებისა და სანქციების განხორციელების სპეციალურ წესებს. კოდექსი ითვალისწინებს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის სამართლებრივ გარანტიებს, დაზარალებული და მოწმე ბავშვების უფლებების დაცვას და მეორადი დანაშაულის, რევიქტიმიზაციისა და განმეორებითი დანაშაულის პრევენციას.

საზღვრის კვეთის ღონისძიებები

საქართველოში შემოსასვლელად უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ესაჭიროებათ ვიზა, ან, კონკრეტული ქვეყნების მოქალაქეობის შემთხვევაში, უვიზო რეჟიმით უნდა სარგებლობდნენ. გარკვეული ქვეყნების (მათ შორის, აზერბაიჯანის) მოქალაქეებს საქართველოს მთავრობის მიერ მინიჭებული აქვთ უფლება, საქართველოს საზღვარი გადაკვეთონ უვიზოდ და ქვეყანაში დარჩნენ 1 წლის ვადით[32].

29 გაეროს ბავშვთა ფონდის ანგარიში მულტიდისციპლინური შეხვედრების შესახებ, 2016 წლის დეკემბერი. პუნქტი. 3.3.3

30 მიღებულია 08.04.2005/ ქართული ვერსია იხილეთ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248

31 მიღებულია 12.06.2015/ ინგლისური ვერსია იხილეთ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?impose=translateEn&publication=2

32 საქართველოს მთავრობის განკარგულება იმ ქვეყნების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელთა მოქალაქეებსაც შეუძლიათ საქართველოში უვიზოდ შემოსვლა, გამოცემულია 05.06.2015

კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ ადგენს, რომ პირს შეიძლება უერი ეთქვას საქართველოში შემოსვლაზე, თუ მან ქვეყანაში შემოსასვლელად წარმოადგინა ყალბი დოკუმენტები ან ყალბი მონაცემები. უარი ქვეყანაში შემოსვლაზე არ საბუთდება.[33]

საქართველოს საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა სისხლისსამართლებრივი დანაშაულია (ითვალისწინებს ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას). თუმცა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდებიან შემდეგი პირები: უცხო ქვეყნის მოქალაქეები ან მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც საქართველოში შემოვიდნენ იმ ქვეყნებიდან, სადაც მათ სიცოცხლეს ან/და თავისუფლებას ექმნებოდა საფრთხე ან/და იყვნენ ტრეფიკინგის მსხვერპლნი[34]. თუმცა კოდექსი კრძალავს მიგრანტთა არალეგალურ გადაყვანას ან/და არალეგალური დარჩენის ხელშეწყობას საქართველოში (ხუთ წლამდე ვადით). დამამძიმებელ გარემოებებს განეკუთვნება, მათ შორის, გაყალბებული დოკუმენტების გამოყენება, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა მიგრანტების მიმართ და ა.შ.[35]

ქუჩაში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებით არსებული სუბიექტები, აღნიშნული სუბიექტების პროგრამები და აქტივობები:

სამინისტროს პროგრამები:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, ფართომასშტაბიანი სახელმწიფო (ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის და დაცვის) პროგრამის ფარგლებში ჩამოაყალიბა ქვეპროგრამა, რომლითაც ხდება დაუცველი ბავშვების თავშესაფრით უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის მიზანია დაუცველი ბავშვების ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია.

ქვეპროგრამის აქტივობები მოიცავს შემდეგს:

- მობილური ჯგუფის (ფსიქოლოგის, მძღოლის, აღმზრდელის) მომსახურება. მობილური ჯგუფი მუშაობს ყოველდღე, შაბათ-კვირისა და ოფიციალური დასვენების დღეების გარდა, იმ ადგილებში, სადაც მუშაობენ ან ცხოვრობენ დაუცველი ბავშვები. მობილური ჯგუფი რეაგირებას ახდენს რეფერირებაზე მითითებულ ლოკაციებზე გასვლით. ჯგუფის წევრები ბავშვებთან ამყარებენ კონტაქტს, განსაზღვრავენ მათ საჭიროებებს და უზრუნველყოფენ მათ საკონსულტაციო და სოციალური მომსახურებით. მობილური ჯგუფის წევრები, საჭიროების შემთხვევაში, ბავშვებს ასევე უწევენ სამედიცინო და ფსიქოლოგიურ დახმარებას. ჯგუფის წევრები ბავშვებს უზრუნველყოფენ პირადი ჰიგიენის ნივთებით და ხელს უწყობენ მათ დაცვას. მობილური ჯგუფის წევრები ასევე აგვარებენ ბავშვების პირადობის დამადასტურებელი მოწმობის აღებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ჯგუფი საჭიროების შემთხვევაში ახდენს ბავშვის ბიოლოგიური ოჯახის იდენტიფიცირებას და ოჯახის პირველად შეფასებას. მობილური ჯგუფების მუშაობას კოორდინირებას უწევენ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ უფლებამოსილი სოციალური მუშაკები. თბილისში, ქუთაისსა და რუსთავში მთავარი მოქმედი მობილური ჯგუფებია „ვოლდ ვიჟენი“ და „კარიტასი“.
- დღის ცენტრების მომსახურებაში შედის: დღის მომსახურება ორჯერადი კვებით (რომელთაგანაც ერთ-ერთი უნდა იყოს სამკომპონენტიანი სადილი); ინდივიდუალური

33 მუხლი. 11

34 მუხლი.344

35 მუხლი. 344[1]

მოვლა; სამედიცინო ან/და ფსიქოლოგიური დახმარების გაწევა; არაფორმალური და ფორმალური უნარების სწავლება; ზოგად განათლებაში გადასვლის მხარდაჭერა; ბენეფიციართა ჩართვა კულტურულ და სპორტულ აქტივობებში; ბიოლოგიურ ოჯახებთან კავშირების შენარჩუნება.

- 24-საათიან თავშესაფარში, სხვასთან ერთად, შედის ღამით დარჩენა და დამატებითი სადილი ბენეფიციარებისათვის.

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფში შედიან 18 წლამდე ასაკის ბავშვები, რომლებსაც უფლებამოსილი სოციალური მუშაკი დაუცველებად მიიჩნევს. ქვეპროგრამის ბიუჯეტი 2017 წელს შეადგენს 620,000 ლარს. დაფინანსება ვაუჩერის სახით გაიცა რეგისტრირებულ ადგილობრივ პროვაიდერ არასამთავრობო ორგანიზაციებზე. დღის მომსახურების ბიუჯეტი შეადგენს 9 ლარს ერთ ბავშვზე და 20 ლარს 24-საათიანი თავშესაფრით უზრუნველყოფისას.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ახორციელებს **კრიზისში მყოფი ბავშვების ოჯახების გადაუდებელი დახმარების ქვეპროგრამას**. გადაუდებელი დახმარების მიღების აუცილებელი კრიტერიუმებია: რეინტეგრირებული ბავშვების ოჯახები; ოჯახები, რომელთაც ჰყავთ სულ მცირე ერთი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი; 3 ან სამზე მეტ შვილიანი ოჯახები; ბავშვები სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, რომელთა სოციალური სარეიტინგო ქულა 65,001-ზე დაბალია.

ქვეპროგრამა მოიცავს საქონლისა და მომსახურებების მიწოდებას შესაბამისი ოჯახებისათვის. პროექტს ახორციელებს სოციალური მომსახურების სააგენტო. 2017 წლის ბიუჯეტი შეადგენს 1,514,000 ლარს.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სოციალური მომსახურების სააგენტოსთან ერთად ახორციელებს **სამიზნე სოციალური დახმარების პროგრამის** ადმინისტრირებას. ფულადი დახმარების მიღების კრიტერიუმები და ფორმა განსაზღვრულია მთავრობის განკარგულებით[36]. სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური აგენტი მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით აკეთებს შეფასებას და განსაზღვრავს სარეიტინგო ქულას.

57,001-ზე დაბალი ქულის მქონე ოჯახები იღებენ ფულად დახმარებას შემდეგი სახით:

- 30,001-ზე დაბალი ქულის მქონე ოჯახები თვიურად იღებენ 60 ლარს ოჯახის ერთ წევრზე.
- ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა მერყეობს 30,001-დან 57,001-მდე, თვიურად იღებენ 50 ლარს ოჯახის ერთ წევრზე.
- ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა მერყეობს 57,001-დან 60,001-მდე, თვიურად იღებენ 40 ლარს ოჯახის ერთ წევრზე.
- ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა მერყეობს 60,001-დან 65,001-მდე, თვიურად იღებენ 30 ლარს ოჯახის ერთ წევრზე.
- ყველა ოჯახი, რომელთა სარეიტინგო ქულა 100,001-ზე დაბალია, დამატებით იღებს 10 ლარს 16 წლამდე ასაკის ბავშვებზე.

36 მთავრობის 2010 წლის 30 მარტის N93 განკარგულება და 2014 წლის 31 დეკემბრის N758 განკარგულება.

ოჯახებისთვის დახმარება სარეიტინგო ქულის განსაზღვრიდან ორი თვის შემდეგ გაიცემა. სადღეღამისო სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირები სამიზნე სოციალურ დახმარებას არ ექვემდებარებიან.

2015 წელს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაიწყო საპილოტე პროგრამის, „ტრანზიტული განათლების პროგრამა დაუცველი ბავშვებისათვის“, განხორციელება. პროგრამის ბენეფიციარები არიან დღის ცენტრში მყოფი ბავშვები და თბილისის, რუსთავის და ქუთასის ქუჩებში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები, რომლებიც 24-საათიან თავშესაფარში იმყოფებიან. 2015-2017 წლებში, პროგრამის შედეგად დახმარება გაეწია 100-მდე ბავშვს, რომელთაგანაც 24 ჩაირიცხა საჯარო სკოლებში, ხოლო ექვსი კი, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ჩაერთო. ცნობიერების ამაღლების მიზნით, სამინისტრომ სატრენინგო კურსები ჩაატარა იმ სკოლების ადმინისტრაციისა და მასწავლებლებისათვის, სადაც ჩაირიცხნენ დაუცველი ბავშვები. სატრენინგო კურსები ჩაუტარდა 46 სკოლის 200 მასწავლებელს. სტიგმის წინააღმდეგ მიმართული ცნობიერების ამაღლების აქტივობები, აგრეთვე მოიცავდა სამუშაო შეხვედრებს 26 საჯარო სკოლის 1,150 მშობლისათვის.

იურიდიული დახმარების სამსახური სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იურიდიული დახმარების გამწევი დაწესებულებაა, რომელიც უფასო იურიდიულ დახმარებას უწევს მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურად დაუცველ ჯგუფს გამოძახების სქემით და იმ შემთხვევებში, როდესაც ამას მართლმსაჯულება მოითხოვს. სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იურიდიული დახმარების სისტემა მოქმედებს „იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს სპეციალური სამართლებრივი დაცვის გარანტიებს ბავშვებისათვის, ჰქონდეთ შესაძლებლობა, მოითხოვონ იურიდიული დახმარება. უფასო იურიდიული დახმარების უფლება უზრუნველყოფილია სოციალურად დაუცველი ოჯახების მქონე ზრდასრულებისა და ბავშვებისათვის და სხვა კონკრეტული მოწყვლადი ჯგუფებისათვის (იძულებით გადაადგილებული პირების, მიუსაფარი ბავშვების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის). დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ ბავშვებს უფლება აქვთ მოითხოვონ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იურიდიული დახმარება, მიუხედავად მათი ფინანსური მდგომარეობისა. დანაშაულის შედეგად დაზარალებული ბავშვებისათვის უზრუნველყოფილია უფასო იურიდიული დახმარების გაწევა, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა მათ ამის ფინანსური შესაძლებლობა, მაშინ, როდესაც დანაშაულის მოწმე ბავშვებს უფასო იურიდიული მომსახურებით სარგებლობა მხოლოდ გადახდის უუნარობის შემთხვევაში შეუძლიათ. იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ შემუშავებული სპეციალური პროგრამები ან სტატისტიკური მონაცემები ქუჩაში მცხოვრები/ მომუშავე ბავშვების შესახებ, არ არსებობს.

გაერის პროგრამები (გაეროს ბავშვთა ფონდის მიმდინარე საქმიანობა და პროგრამები):

2011-2014 წლებში, გაეროს ბავშვთა ფონდის/ევროკავშირის მხარდაჭერით შეიქმნა მობილური ჯგუფები და სხვა სამსახურები, თავშესაფრები და დღის ცენტრები. იუნისეფს არ აქვს მიმდინარე პროექტი, რომელიც უშუალოდ გაუწევდა დახმარებას ქუჩებში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებს.

არასამთავრობო ორგანიზაციები და მათი პროგრამები

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების, „ვოლდვიჟენისა“ და „კარიტას საქართველოს“ ნაციონალური ოფისები წარმოადგენენ თბილისის, რუსთავისა და ქუთაისის დღის ცენტრებისა და 24-საათიანი თავშესაფრების სერვისის პროვაიდერებს ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისათვის. აღნიშნული ორი არასამთავრობო ორგანიზაცია ასევე ეწევა ზემოთ აღწერილი მობილური ჯგუფის მომსახურებასაც. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია „ბავშვი და გარემო“ აგრეთვე უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული მომსახურების გაწევას თბილისში.

დანართი 2.

გაეროს ბავშვთა ფონდი საქართველოს მიერ ჩატარებული **ინსტიტუციური კვლევა აზერბაიჯანში**

სამართლებრივი ბაზა

აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-17 მუხლის თანახმად[37], მშობელთა მოვალეობაა იზრუნონ და აღზარდონ თავიანთი შვილები. სახელმწიფო ახორციელებს კონტროლს აღნიშნული მოვალეობების შესრულებასა და ბავშვთა უფლებებზე. დაუშვებელია ბავშვების ჩართვა ისეთ აქტივობებში, რომლებიც უარყოფითად აისახება მათ ცხოვრებაზე, ჯანმრთელობასა და ზნეობაზე.

კონვენციის ***მე-20 მუხლის*** თანახმად[38], ბავშვი, რომელიც დროებით ან მუდმივადაა ჩამოშორებული ოჯახურ გარემოს, ან თუ ასეთი გარემოსაგან ჩამოშორება შედის მის საუკეთესო ინტერესებში, ექვემდებარება სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ დაცვასა და დახმარებას.

საოჯახო კოდექსის **მე-60 მუხლის** თანახმად, მშობლები პასუხს აგებენ ბავშვის განათლებასა და განვითარებაზე. ისინი პასუხისმგებელნი არიან ბავშვის ჯანმრთელობაზე და მათ ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ და ზნეობრივ განვითარებაზე. დადგენილი წესის შესაბამისად, მშობელი რომელიც მშობლის უფლებას ბავშვის უფლებებისა და ინტერესების საზიანოდ იყენებს, პასუხს აგებს კანონის წინაშე.

საოჯახო კოდექსის 64-ე მუხლის შესაბამისად, მშობლებს შესაძლოა ჩამოერთვათ მშობლის პასუხისმგებლობა, თუ ისინი არღვევენ მშობლის უფლებებს, სასტიკად ეპყრობიან ბავშვებს (აღნიშნული მოიცავს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზეწოლას), ან ლახავენ მათ სექსუალურ ხელშეუხებლობას.

ბავშვების ქუჩაში ცხოვრების ერთ-ერთი მიზეზი ოჯახური ძალადობა და მშობლის უფლებების შელახვაა.

საოჯახო კოდექსის **115-ე მუხლის** თანახმად, სიღარიბის გამო მშობლის უფლებების ჩამორთმევის შემთხვევებში, განათლებისა და ჯანმრთელობის სამინისტროები, საოჯახო საქმეებისა და ქალთა და ბავშვთა სახელმწიფო კომიტეტისთვის წარდგენამდე, რომელიც უნდა დაეხმაროს მათ ასეთი ბავშვების სხვა ოჯახებში გაშვილების საქმეში, უნდა ახორციელებდნენ მონაცემთა ცენტრალიზებულ რეგისტრაციას.

მათხოვრობის აკრძალვა

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი[39] (აღნიშნული კოდექსი დამტკიცებულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობის

37 აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუცია, მე-17 მუხლი, იხილეთ: http://www.wipo.int/edocs/lexdocs/laws/en/az/az057en.pdf

38 ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი. 20, იხილეთ: https://www.ohchr.org/en/professionalinterest /pages/crc.aspx

39 აზერბაიჯანის რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი იხილეთ: http://www.ombudsman.gov.az/upload/editor/files/Azerbaijan_Code%20on%20Administrative%20offences_2000_eng.pdf

შესაბამისად 2000 წლის 11 ივლისს, №906 - IG) და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ახალი კოდექსი („ახალი კოდექსი“) 2016 წლის 1 მარტს შევიდა ძალაში. იგი შემდგომში მოხსენიებული იქნება, როგორც ახალი კოდექსი, რადგან მასში ცვლილებები 2016 წელს შევიდა.

307-ე მუხლი-1 მაწანწალობა 307-1.1. მაწანწალობის შემთხვევაში ხდება დამრღვევი პირის გაფრთხილება, ან თუ გარემოებებიდან და პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, აღნიშნული ღონისძიება არასაკმარისად ჩაითვლება, მაშინ 10 დღის ვადით ადმინისტრაციული პატიმრობა გამოიყენება. უცხო ქვეყნის მოქალაქეები ან მოქალაქეობის არმქონე პირები ადმინისტრაციული წესრიგის დარღვევისათვის გაფრთხილდებიან ან გამოიდევნებიან აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან 20-25 მანათიანი ჯარიმის დაკისრებით ან ჯარიმის გარეშე. 307-1.2. **არასრულწლოვანთა ჩართვა მაწანწალობაში მშობლების ან სხვა პირების მიერ** - ითვალისწინებს ჯარიმის დაკისრებას 10-15 აზერბაიჯანული მანათის ოდენობით (რომელიც 2016 წელს 523.2-ე მუხლში შეიცვალა 50-90 აზერბაიჯანული მანათით), ან თუ გარემოებებიდან და პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, აღნიშნული ღონისძიება არასაკმარისად ჩაითვლება, მაშინ გამოიყენება ადმინისტრაციული პატიმრობა 15 დღემდე ვადით (რომელიც 2016 წელს 523.2 მუხლში შეიცვალა 5-დან 15 დღემდე). შენიშვნა: მუდმივი საცხოვრებლის, ანდა საარსებო მინიმუმის გარეშე დარჩენილი პირები, რომელნიც არ არიან დაკავებულნი საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმით ან პროფესიული საქმიანობით (გარდა იმ პირებისა, რომლებსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით აქვთ მინიჭებული უმუშევრის სტატუსი), მუდმივად მონაწილეობენ წვრილმან ქურდობასა/ მოპარვაში ან საარსებო შემოსავალს ქუჩაში მათხოვრობით მოიპოვებენ, წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული მაწანწალობით დაკავებულ ინდივიდებად მოიაზრებიან.

აზარტული თამაშების აკრძალვა

309-ე მუხლი აზარტული თამაშები. აზარტულ თამაშებში მონაწილეობა ფულის, ნივთების ან სხვა ფასეულობების მოსაპოვებლად, აგრეთვე, კერძო პირების მიერ ფსონის დადება სპორტზე და სხვა - ითვალისწინებს ჯარიმის დაკისრებას 15-20 აზერბაიჯანულ მანათამდე ოდენობით, თამაშის აქსესუარების, აგრეთვე, ფსონზე დადებული ფულის, საგნების და სხვა ფასეულობების ჩამორთმევით, ან ჩამოურთმევლად.

*2016 წელს გამოყენებული ცვლილება**:***

525-ე მუხლი

აზარტული თამაშებით დაკავებული პირებისათვის დაკისრებული ჯარიმის ოდენობა, გაიზარდა 400-600 აზერბაიჯანული მანათით, მოგებული თანხისა ან/და ფასეულობების ჩამორთმევასთან ერთად. შენიშვნა: 1. თამაში იმ შემთხვევაში ჩაითვლება აზარტულად, როდესაც ხდება ფულის, მატერიალური ან სხვა სიკეთის (ჯილდოს) მოგება გაურკვეველ ვითარებაში ან შემთხვევით. 2. აღნიშნული არ ეხება ლატარეებს/გათამაშებებს და სპორტულ თამაშებს, რომლებზე ფსონის დადებაც კანონმდებლობით ნებადართულია.

სავალდებულო განათლება

აზერბაიჯანში განათლება სავალდებულოა ყველა 6-დან 15 წლამდე ბავშვისათვის. აზერბაიჯანის სასკოლო სისტემა შედგება დაწყებითი (1-4 კლასები), საბაზისო (5-9 კლასები) და საშუალო (10-11 კლასები) განათლების ეტაპებისაგან. განათლების შესახებ კანონის თანახმად, სწავლა სავალდებულოა მე-9 კლასამდე.

51-ე მუხლი. მშობლების ან მათი კანონიერი მონაცვლეების (მშვილებლები, მეურვეები) მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, უზრუნველყოს არასრულწლოვანი ბავშვი შესაბამისი აღზრდით და განათლებით, ითვალისწინებს ჯარიმის დაკისრებას 20-40 აზერბაიჯანული მანათის ოდენობით.

2016 წელს გამოყენებული ცვლილება:

189-ე მუხლი

189.1 მშობლების ან მათი კანონიერი მონაცვლეების (მშვილებლების, მეურვეების) მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, უზრუნველყოს არასრულწლოვანი ბავშვი შესაბამისი აღზრდით და განათლებით, ითვალისწინებს გაფრთხილებას ან ჯარიმას 40-60 აზერბაიჯანული მანათის ოდენობით. 189.3 ისეთ შემთხვევებში, 189.1 როდესაც მოზარდები ზრუნვის გარეშე რჩებიან - ჯარიმის ოდენობა 60-დან 100 მანათამდე იზრდება. ისეთი შემთხვევები, 189.4 რომელიც იწვევს მოზარდებში ალკოჰოლის მოხმარებას, არალეგალური და ფსიქოტროპული ნარკოტიკების მოხმარებას, მაწანწალობაში ჩაბმას, ანდა რაიმე სახის ქმედებას, რომელიც მოზარდს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აკისრებს, ან თუ 14-16 წლის მოზარდების მიერ ჩადენილ ქმედებას მოსდევს ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, 100 აზერბაიჯანული მანათით ჯარიმდება.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მიუხედავად სკოლის გაცდენასთან დაკავშირებული სახელმწიფო რეგულაციებისა და განათლების სავალდებულოობისა, როგორც ეს განმტკიცებულია კანონმდებლობასა და რეგულაციებში, ქუჩაში მყოფი ბავშვების რიცხვი მაინც მზარდია და პრაქტიკაში არ არსებობს რაიმე საშუალება ან ღონისძიება, რომელიც მშობლებს მკაცრად დაავალდებულებდა, უზრუნველეყოთ ბავშვების სკოლაში დასწრება, რაც სკოლიდან გამოსვლის შემთხვევებს შეამცირებდა.

საზღვრის კვეთის წესები არასრულწლოვანთათვის

2013 წლის აგვისტოდან, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ორმხრივი უვიზო რეჟიმი მოქმედებს, რაც ორივე ქვეყანაში უვიზოდ 90 დღით დარჩენის შესაძლებლობას იძლევა. 2015 წელს, აღნიშნული ერთი წლის გაჩერების უფლებით შეიცვალა.

მუხლი 11[40]

მოზარდს ქვეყნის დატოვება 11.1. გარდა ამ კოდექსის 11.2 მუხლში მითითებული შემთხვევებისა, შეუძლია მხოლოდ თავის მშობელთან, მშვილებელთან, მეურვესთან ან მზრუნველთან ერთად. 11.2. არასრულწლოვანი მოქალაქის მიერ ქვეყნის მშობელთან ერთად დატოვების შემთხვევაში, აუცილებელია მეორე მშობლის მიერ ნოტარიალური წესით დამოწმებული ნებართვა. მოზარდის მიერ ქვეყნის მარტო დატოვების შემთხვევაში, აუცილებელია მისი მშობლების მიერ ნოტარიალური წესით დამოწმებული ნებართვა, ხოლო თუ მოზარდს არ ჰყავს მშობლები, მაშინ აუცილებელია მისი მშვილებლის, მეურვის ან მზრუნველის ნებართვა, რომელიც ასევე უნდა იყოს დამოწმებული ნოტარიალური წესით. თუ ხსენებული ინდივიდები ვერ უზრუნველყოფენ შესაბამისი ნებართვის გაცემას, მაშინ მოზარდის მიერ ქვეყნის დატოვების საკითხს წყვეტს სასამართლო. 11.3. მოზარდის მშობლის გარდაცვალების მოწმობის, სასამართლოს გადაწყვეტილების არსებობისას, ერთ-ერთი მშობლის გარდაცვლილად ან უგზოუკვლოდ დაკარგულად გამოცხადების

40 აზერბაიჯანის რესპუბლიკის მიგრაციის კოდექსი, იხილეთ: http://www.unesco.org/education/edurights/media/docs/78e8125a20ac5c5f1e66760d7e328a398b3ed5b5.pdf

შესახებ, ან მშობლის უფლების ჩამორთმევის შემთხვევებში, ანდა ჩანაწერის არსებობისას, რომელიც ადასტურებს, რომ დაბადების მოწმობაში მითითებული მონაცემები მამის შესახებ ჩაწერილია დედის მიერ მიწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, რომელიც გაცემულია შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ, ასეთ დროს ორივე მშობლის ნებართვა აღარ არის აუცილებელი. მოზარდი, სხვა ხსენებულ დოკუმენტებთან ერთად, წარადგენს ნოტარიალური წესით დამოწმებულ (ერთადერთი) მშობლის თანხმობას, რის შემდეგაც შეუძლია დატოვოს აზერბაიჯანის რესპუბლიკა.

11.4. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე არასრულწლოვანს, რომლის მშვილებელიც უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირია, ქვეყნის დატოვება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეუძლია. აღნიშნული შესაძლებელია მხოლოდ შვილად აყვანის შესახებ (ძალაში შესული) სასამართლო ორდერის და შვილად აყვანის ცნობის წარდგენის შემთხვევაში.

11.5. აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე მოზარდის მშობლები, მშვილებლები, მეურვეები და მზრუნველები პასუხს აგებენ მოზარდის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე, და საზღვარგარეთ არასრულწლოვნის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაზე.

11.6. როდესაც მოზარდი ჯგუფთან ერთად ტოვებს ქვეყანას, მშობლის, მშვილებლის, მეურვის ან მზრუნველის თანხლების გარეშე, მაშინ ჯგუფის ხელმძღვანელმა უნდა შეასრულოს იურიდიული წარმომადგენლის ვალდებულებები (აზერბაიჯანის რესპუბლიკის მიგრაციის კოდექსი აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონმდებლობით 2013 წლის 17 აპრილს დამტკიცდა, № 1/144).

399-ე მუხლი. ადმინისტრაციული დაკავების ვადები

399.2. პირები, რომლებიც არღვევენ სახელმწიფო საზღვრის საკონტროლო რეჟიმს, სასაზღვრო საპატრულო რაზმების ბრძანებას ან აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის წესებს, ან იმყოფებიან უქმად, უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე იმყოფებიან რეგისტრაციის გარეშე ან ცხოვრობენ არალეგალურად, შეიძლება დაექვემდებარონ 24 საათამდე პატიმრობას, რათა გაირკვეს ადმინისტრაციული დარღვევის დროს არსებული გარემოებები და მოხდეს მათი ამოცნობა, ან მოსამართლის გადაწყვეტილებით დააკავონ 3 დღემდე ვადით პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის არარსებობისას.

აზერბაიჯანის ძირითად საემიგრაციო გამოწვევებში მოიაზრება აზერბაიჯანში რეგიონებიდან მიგრანტთა დიდი ნაკადების ჩამოსვლა ცენტრალურ უბნებში და საზღვრის კვეთის სიხშირე სამუშაო ადგილების ძიებაში.

2015 წლის ოქტომბერში, მინისტრთა კაბინეტმა მიიღო გადაწყვეტილება მიგრანტთათვის სოციალური მომსახურების გაზრდის შესახებ, მათ შორის, ბავშვებისა, რომლებიც დაუცველნი არიან ადამიანით ვაჭრობის შემთხვევებში; გადაწყვეტილება ასევე ითვალისწინებს უწყვეტი ტრენინგების ჩატარებას საემიგრაციო, საბაჟო და სასაზღვრო ოფიციალური პირებისათვის, რაც მათ დაეხმარება მიგრანტთა, როგორც ტრეფიკინგის პოტენციურ მსხვერპლთა გამოვლენაში.

ტრეფიკინგი და სექსუალური ექსპლუატაცია

ქუჩაში მყოფი ბავშვები, ხელმოკლე ან მარგინალიზებული ოჯახებიდან გამოსული ბავშვები და საცხოვრებლებში მყოფი ბავშვები მოხსენიებულნი არიან, როგორც ტრეფიკინგის მიმართ განსაკუთრებულად დაუცველი კატეგორია.

ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის 2014-2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის მიზანია აზერბაიჯანში ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა და მის მიმართ დაუცველი პირების გამოვლენა. აღნიშნული გეგმა ასევე ითვალისწინებს ტრეფიკინგის მსხვერპლთა გამოვლენისა და დაცვის სერვისების მიწოდების გაუმჯობესებას და იმ სოციალური პირობების გამოსწორებას, რაც მათ ადამიანით ვაჭრობისადმი დაუცველებად აქცევთ.

სისხლის სამართლის კოდექსის ***144.1 და 144.2 მუხლებით***, არასრულწლოვნის გატაცება ან გაუფრთხილებლობა, რამაც გამოიწვია მსხვერპლის გარდაცვალება ან სხვა მძიმე გარემოება, ისჯება ათიდან თხუთმეტ წლამდე პატიმრობით. სისხლის სამართლის კოდექსის 171-ე მუხლი კრძალავს არასრულწლოვანთა ჩაბმას პროსტიტუციაში.

ქუჩაში ვაჭრობა

(აზერბაიჯანის რესპუბლიკის ახალ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში 2016 წლის 1 მარტს შევიდა)

2016 წლის მარტით დათარიღებული „ლიცენზირებისა და ოფიციალური ნებართვების შესახებ“ კანონის თანახმად, პირებს უნდა ჰქონდეთ მიღებული ოფიციალური ნებართვა ნებისმიერი სავაჭრო საქმიანობის განსახორციელებლად, მათ შორის, ქუჩაში ვაჭრობისათვის.

454-ე მუხლი

უკანონო ვაჭრობა ქუჩაში

უკანონო ვაჭრობა ქუჩაში, საქონლით ვაჭრობა ან მომსახურებების გაწევა, ადგილობრივი უფლებამოსილი ორგანოების შესაბამისი ოფიციალური ნებართვის გარეშე, ჯარიმდება 80 აზერბაიჯანული მანათით.

ხულიგნობა

297-ე მუხლი

მშობლებისა და მათი მონაცვლე პირების პასუხისმგებლობა არასრულწლოვანთა ხულიგნობაზე, რომელსაც ჩაიდენს 14-16 წლამდე მოზარდი, განისაზღვრება 30-40 აზერბაიჯანული მანათის ოდენობით ჯარიმის დაწესებით ასეთი მშობლებისა და მათი მონაცვლე პირებისათვის.

2016 წელს შესული ცვლილება:

512-ე მუხლი. ჯარიმა 60-დან 100 მანათამდე გაიზარდა.

ბავშვთა შრომა

აზერბაიჯანმა 1992 წელს მოახდინა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მინიმალური ასაკის შესახებ კონვენციისა (138) და 2004 წელს ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების შესახებ კონვენციის რატიფიცირება. 2009 წელს კონსტიტუციაში შესული შესწორების თანახმად, დაუშვებელია 15 წლამდე ასაკის პირების დასაქმება. შრომის კოდექსის ***46.4-ე მუხლის*** შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულების დადება 15-დან 18 წლამდე ასაკის პირებთან შესაძლებელია მხოლოდ მათი მშობლების, მშვილებელი პირების (მეურვეების) ან კანონის მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლების წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

მინისტრთა კაბინეტის 2000 წლის 24 მარტის 58-ე გადაწყვეტილებით, აიკრძალა 18 წლამდე ასაკის პირთა მძიმე შრომა, მუშაობა სახიფათო სამუშაო ადგილებში, მიწისქვეშა გვირაბებში, მაღაროებსა და სხვა მიწისქვეშა ობიექტებში, აგრეთვე ისეთ ადგილებში, სადაც ყოფნა „უარყოფითად აისახება მათ ზნეობაზე“ (ღამის კლუბები, ბარები და კაზინოები, და ალკოჰოლური სასმელების, ნარკოტიკებისა და ტოქსიკური ნივთიერებების მწარმოებელი, გადამზიდი და შემნახველი დაწესებულებები). გარდა ამისა, აიკრძალა 18 წლამდე ასაკის პირთა დასაქმება ისეთ სამუშაოებზე, რომლებიც მოითხოვს მძიმე ნივთების ტარებას და გადაადგილებას. შეზღუდვები ასევე დაწესებულია სამედიცინო კვლევის საჭიროების არსებობისას, დამატებით სამუშაო საათებში ან ღამის ცვლასა და დასვენების დღეებში მუშაობის პრევენციასთან დაკავშირებით.

2014 წელს მთავრობამ დააწესა როგორც ადმინისტრაციული, ისე სისხლისსამართლებრივი ჯარიმები იმ პირების წინააღმდეგ, რომლებიც პირებს ასაქმებენ არაეფექტიანი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. ბავშვთა არალეგალურ საქმიანობაში დასაქმების შემთხვევაში, დამსაქმებელი და კომპანიის მეპატრონე დაჯარიმდებიან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად - (1,000-დან 1,500-მდე აზერბაიჯანული მანათით 15 წლამდე ბავშვების დასაქმებისათვის და 3,000-და 4,000-მდე აზერბაიჯანული მანათით იმ გარემოებათა გამო, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ბავშვის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ფსიქოლოგიურ მდგომარეობას).

არასრულწლოვანთა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა

მე-15 მუხლი. ფიზიკური პირების ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. 15.1. პირები, რომელთაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას შეუსრულდათ 16 წელი, პასუხს აგებენ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის. 15.2. 16-დან 18 წლამდე პირები, რომლებმაც ჩაიდინეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, შეიძლება გათავისუფლდნენ პასუხისმგებლობისაგან ბავშვის უფლებათა დაცვისა და არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის მიერ საქმის განსაკუთრებულ გარემოებათა, მათი ფიზიკური განვითარების, საცხოვრებელი პირობების, ჯანმრთელობისა და განათლების მხედველობაში მიღებით, და მათ მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს არასრულწლოვანთა უფლებების დაცვისა და მსგავს შემთხვევათა შესახებ არსებული რეგულაციებით გათვალისწინებული ზემოქმედების ღონისძიებები.

არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

აზერბაიჯანში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი 16 წელია, ან 14 - განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებრივი ქმედების შემთხვევებში (აზერბაიჯანის სისხლის სამართლის კოდექსი ძალაში შევიდა[41] 2000 წელს). მუხლი 20. 20.2. პირები,

41 აზერბაიჯანის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი იხილეთ: at http://www.refworld.org/docid/4417f82d4.html

რომლებსაც დანაშაულის ჩადენისას შეუსრულდათ 14 წელი, დაექვემდებარებიან სისხლის სამართლებრივ პასუხისგებლობას განზრახი მკვლელობისათვის, ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებისათვის, გატაცებისათვის, გაუპატიურებისათვის, სექსუალური ხასიათის ძალადობრივი ქმედებებისათვის, ქურდობისათვის, ძარცვისათვის, გამოძალვისათვის, ავტომანქანის ან სხვა სატრანსპორტო საშუალების გატაცებისათვის დანაშაულებრივი გზით ქონების მითვისების განზრახვის გარეშე, დამამძიმებელ გარემოებებში ქონების განზრახ დაზიანებისა ან განადგურებისათვის, ტერორიზმისთვის, ტყვედ აყვანისთვის, ხულიგნობისთვის, ცეცხლსასროლი იარაღის, შეიარაღების, ასაფეთქებლების დანაშაულებრივი გზით მითვისებისა ან გამოძალვისთვის, ნარკოტიკების ან ფსიქოტროპული საშუალებების მითვისებისა ან გამოძალვისთვის, საკომუნიკაციო და სატრანსპორტო საშუალებების დაზიანებისათვის.

18 წლამდე პირებს თავისუფლება შეიძლება 10 წლამდე ვადით აღეკვეთოთ.

ეროვნული ვალუტის გაუფასურება

2015 წლის თებერვალში ეროვნული ვალუტის გაუფასურებას, 2016 წლის იანვარში მცურავი გაცვლითი კურსის წესის შემოღება მოჰყვა, რამაც აზერბაიჯანული მანათის ღირებულება ამერიკული დოლარის მიმართ უმნიშვნელოდ გაზარდა.

ქუჩაში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებით არსებული სუბიექტები, აღნიშნული სუბიექტების პროგრამები და აქტივობები:

მთავრობა:

სამინისტროს პროგრამები (მაგ.: განათლების სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საქმეთა სამინისტრო). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, აღნიშნულ პროგრამებში შევიდეს სოციალური შეღავათებით სარგებლობის კრიტერიუმები (მაგ.: მინიმალური ხელფასი/სიღარიბის ზღვარი, მოქალაქეობა, პირადობის დამადასტურებელი საბუთები და ა.შ.), აგრეთვე, ბავშვთა კომპენსაცია (ოდენობა და წესები).

სახელმწიფო მიზნობრივი სოციალური დახმარება

მიზნობრივი სოციალური დახმარება დაბალი შემოსავლების მქონე ოჯახებისათვის მათი ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით გაიცემა. მიზნობრივი სოციალური დახმარება 2006 წელს დაინერგა. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ნებისმიერ მკვიდრს, რომლის საშუალო თვიური შემოსავალიც, ოჯახის ერთ წევრზე, დადგენილი კრიტერიუმის წლიურ ოდენობაზე ნაკლებია, უფლება აქვს მოითხოვოს საჭირო თანხასა და საშუალო თვიურ შემოსავალს შორის არსებული სხვაობის შესაბამისი ოდენობის მიღება.

მიზეზები:

ოჯახის რომელიმე წევრის მიერ შრომის უნარიანობის დაკარგვა; შეზღუდული შესაძლებლობა; 8 წლამდე ასაკის ყველა ბავშვი და 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები; 23 წლამდე ბაკალავრიატის პროგრამის დაუმთავრებლობა; პირი, რომელიც სახელმწიფო დასაქმების სააგენტოში კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად არის რეგისტრირებული, როგორც უმუშევარი; ოჯახის წევრის გარდაცვალება; უგზოუკვლოდ დაკარგული ოჯახის წევრი, ან ოჯახის წევრი, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით მიჩნეულია გარდაცვლილად; პატიმრობაში მყოფი ოჯახის წევრი.

მიზნობრივი სოციალური დახმარების მისაღებად საჭიროა პირადობის დამდასტურებელი მოწმობა. მიზნობრივი სოციალური დახმარება შეიძლება გაიცეს ორ წლამდე ვადით შემდგომი გაგრძელების პერსპექტივით. მიზნობრივი სოციალური დახმარების გამოანგარიშებისას, ის პირები, რომლებიც ამჟამად არ იმყოფებიან ქვეყანაში, აგრეთვე ისინი, რომლებიც ცხოვრობენ სახელმწიფო სუბსიდიებით (სამხედრო დაწესებულებებში, ხანდაზმულთა საზოგადო დაწესებულებებში, ჩვილები, ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ან პატიმრები), ოჯახის წევრებად ვერ ჩაითვლებიან, აღნიშნული კონკრეტული ფინანსური დახმარების მიღების თვალსაზრისით. აუცილებელი კრიტერიუმის რაოდენობა დადგენილია კანონით fin 2017, 116 AZN (რომელიც 2016 წელს 105 აზერბაიჯანულ მანათს შეადგენდა).

ოჯახები, რომლებიც იღებენ ორი ტიპის დახმარებას სოციალური დაზღვევის ან სოციალური დახმარების პროგრამებიდან: მშობიარობის გრანტები (ერთჯერადი ფულადი დახმარება 99 აზერბაიჯანული მანათის ოდენობით) და ბავშვთა მოვლის შეღავათები (დაზღვეული ოჯახების 3 წლამდე ასაკის ბავშვები და დაზღვევის გარეშე მყოფი/დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახების 1 წლამდე ასაკის ბავშვები). ინფორმაცია საშეღავათო დახმარებების, აგრეთვე, მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღები ოჯახების შესახებ, კომპიუტერულადაა დამუშავებული და დროში მუდმივად ახლდება. შრომის და სოციალური დაცვის სამინისტრო წარმოადგენს პასუხისმგებელ ორგანოს სოციალური შეღავათების გაცემის სფეროში. საშუალო შეღავათი 2016 წელს 35.49 აზერბაიჯანული მანათი იყო.

განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში ფუნქციონირებს დახურული ტიპის დაწესებულება, სადაც განთავსებულები არიან არასრულწლოვნები, რომელთაც დანაშაული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის მიღწევამდე ჩაიდინეს, აგრეთვე, სხვა მიზეზით დაკავებული ბავშვები. მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვების შემთხვევები კვლავაც აისახება მონაცემთა ბაზაში, რომელიც განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი დეინსტიტუციონალიზაციისა და ბავშვთა დაცვის განყოფილების მიერ მუდმივად ახლდება.

ზრუნვა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ევალებათ შემდეგ სახელმწიფო უწყებებს - ჯანდაცვის სამინისტროს (სამ წლამდე ასაკის ბავშვებისათვის), შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (სამ წელზე უფროსი ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა, პანსიონატებში მყოფი ბავშვებისათვის) და განათლების სამინისტროს (სამ წელზე უფროსი ასაკის

ყველა ბავშვი და პანსიონატებში მყოფი ბავშვები) და ადგილობრივ აღმასრულებელ უწყებებს (სამ წელზე უფროსები და ბავშვთა სახლებში მყოფი ბავშვები).

აზერბაიჯანის სოციალურ სამსახურში არსებული ნაკლოვანება რაიონებში სოციალური სამსახურის სისტემისა და კვალიფიციური და გადამზადებული სოციალური მუშაკებისგან შემდგარი კადრების არარსებობაში მდგომარეობს. მართალია, თითოეული რაიონის გამგეობის დაქვემდებარებაში არის ბავშვის უფლებათა დაცვისა და არასრულწლოვანთა საკითხების განმხილველი კომისია, რომელიც ვალდებულია გასწიოს პრევენციული მუშაობა რისკის ქვეშ მყოფი და სოციალური მომსახურების საჭიროების მქონე ოჯახებისა და ბავშვებისათვის, მაგალითად, აღნიშნული კომისია იღებს გადაწყვეტილებას ბავშვების დაწესებულებაში განთავსებაზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის განათლების სერვისების ხელმისაწვდომობაზე; ახორციელებს ბავშვთა შვილად აყვანისა და მშვილებელი პირების რეგისტრაციას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, აღნიშნულ კომისიაში არ არსებობს საკმარისი კადრები, რაც უკიდურესად ართულებს მათ მიერ აღნიშნული მომსახურებების ადეკვატურ მიწოდებას. გარდა ამისა, ხსენებულ კომისიაში არ არიან დასაქმებული სოციალური მუშაკები და არც საკმარისი ფინანსური რესურსებია საკითხების

მართვისა და მოწყვლადი და სოციალური მომსახურების საჭიროების მქონე ოჯახებში ვიზიტების განსახორციელებლად.

საოჯახო, ქალთა და ბავშვთა საკითხების სახელმწიფო კომიტეტის ზედამხედველობით და ფინანსური მხარდაჭერით, ფუნქციონირებს ოჯახების მხარდაჭერის 11 ცენტრი (შუვალანი, გოიგოლო, გორანბოი, აქდამი, საათლი, საბირაბადი, ჰაიქაბული, ზარდაბი, ოაბალა, ისმაილი, ზაქათალა). ცენტრებში მიმდინარეობს მუშაობა ყველა იმ ბავშვთან, ქალთან თუ ოჯახთან დაკავშირებულ საკითებზე, რომლებიც მათ დახმარებისათვის მიმართავენ. ოჯახების მხარდაჭერის ცენტრები ძირითადად ორიენტირებულია ღარიბ ოჯახებზე, მრავალშვილიან ოჯახებზე, მარტოხელა მშობელთა ოჯახებზე, იმ ოჯახებზე, სადაც ჰყავთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ოჯახის წევრ(ებ)ი და ა.შ. ცენტრში ასევე ხელმისაწვდომია სასწავლო აქტივობები ცოდნისა და ისეთი უნარების შეძენისათვის, როგორიც გახლავთ კომპიუტერისა და ენის კურსები და ხელოვნების გაკვეთილები. მრავალწლიანი მუშაობის შედეგად ცენტრებში ჩამოყალიბდა საჭიროების შემთხვევაში სხვა სამთავრობო უწყებების მომსახურებებთან მიერთების კარგად გამართული რეფერირების სისტემა.

სამთავრობო უწყებებს, რომელთა მიზანია ქვეყანაში ბავშვთა უფლებების დაცვა და პოპულარიზაცია, განეკუთვნება მინისტრთა კაბინეტის დაქვემდებარებაში არსებული არასრულწლოვანთა საკითხების კომისია და საოლქო (აღმასრულებელი კომიტეტი), საოჯახო, ქალთა და ბავშვთა სახელმწიფო კომიტეტი, სახალხო დამცველის აპარატი და მასთან არსებული ეროვნული პრევენციის ჯგუფი.

პოლიცია:

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს შინაგან საქმეთა სამინისტრო. ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე განაწილებული რამდენიმე პოლიციის განყოფილება კოორდინაციას უწევს საპოლიციო დანაყოფების მიერ ტერიტორიის პატრულირებას. მათ ხშირად უწევთ ურთიერთობა ბავშვთა ჯგუფებთან, მოზარდებთან, რომელთა მიმართაც ირღვევა კანონი, მიტოვებულ ბავშვებთან, ქუჩაში მყოფ ბავშვებთან და ტრეფიკინგისა და ძალადობის მსხვერპლ არასრულწლოვნებთან. ხშირად თავად პოლიცია ახორციელებს ბავშვთა სამზრუნველო დაწესებულებებში რეფერირებას.

პოლიციის განყოფილებებში არის დროებითი მოთავსების იზოლატორები (რომლებიც ცნობილია რუსული აკრონიმით KPZ). ეჭვმიტანილებს - მათ შორის არასრულწლოვნებს - გამოძიების საწყის ეტაპზე განმარტოებით ათავსებენ ასეთ იზოლატორებში; პატიმრობის მაქსიმალური პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 48 საათს. პოლიციის განყოფილებაში (KPZ) დროებით დაკავებისა და რამდენიმე დღეში გათავისუფლების შემთხვევათა რაოდენობის ამსახველი სტატისტიკა უცნობია - როგორც ქუჩაში მყოფი ბავშვები თავად აცხადებენ, ინფორმაცია მოპყრობის შესახებ დაფარულია. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად, და „გაუფრთხილებლობისა და არასრულწლოვანთა უფლებათა დარღვევის შესახებ კანონის“ მე-5 მუხლის შესაბამისად, ასეთი ბავშვები, პრევენციული მიზნებისათვის, პოლიციის მიერ რეგისტრირებულნი არიან როგორც „გაფრთხილებულები“ ან კონტროლის ქვეშ მყოფები. 5.1.2. პუნქტი ეხებათ პირებს, რომლებიც საჭიროებენ ინდივიდუალურ პრევენციულ მუშაობას, მათ შორის მოიაზრებიან მათხოვრები, ბავშვები, რომლებიც განზრახ არიდებენ თავს სწავლას, მავნე ან რთული ყოფაქცევების ბავშვები.

თითოეულ რაიონს ჰყავს პოლიციის ინსპექტორი, რომელიც პრევენციულ მუშაობას ეწევა არასრულწლოვნებთან. თუმცა ისინი „ბრალმდებელს“ უფრო ჰგვანან, ვიდრე „დამცველს“, რადგან მინიჭებული უფლებამოსილებით მავნე და რთული ყოფაქცევის ბავშვებთან უწევთ მუშაობა.

პოლიციის ინსპექტორები ანგარიშს წარუდგენენ საზოგადოებრივი უსაფრთხოების დეპარტამენტთან არსებულ არასრულწლოვანთა პრევენციისა და პროფილაქტიკის განყოფილებას, ზედამხედველობას უწევენ პოლიციის ქვედანაყოფების მუშაობას, აგროვებენ ინფორმაციას იმ არასრულწლოვანთა საქმეებზე, რომლებიც სამართალდარღვევაში არიან ბრალდებულნი (ერთი ტიპის დანაშაულის დარღვევაში) და მსჯავრი აქვთ შეფარდებული წლის განმავლობაში.

დეპარტამენტი კოორდინაციას უწევს ერთ-ერთი სატრანზიტო ცენტრის/თავშესაფრის საქმიანობასაც ბაქოში, სადაც მოთავსებულები არიან პოლიციის მიერ რეფერირებული მშობლის მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვები, ვიდრე მათი მშობლები/მეურვეები გამოჩნდებოდნენ, ანდა სახელმწიფო ზრუნვას დაექვემდებარებოდნენ. შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში 2005 წლიდან ფუნქციონირებს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრი.

სასამართლო სისტემა

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ზოგადად, არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა რიცხვი ბოლო რვა წლის განმავლობაში არ შეცვლილა. არასრულწლოვანი მსჯავრდებულების რაოდენობა არსებითად მცირეა და უცვლელია ბოლო პერიოდის განმავლობაში.

ამავე დროს, 2012-2015 წლებში ოდნავ იმატა 14-დან 18 წლამდე არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რიცხვმა.

ცხრილი 1. 14-18 წლამდე ასაკის ბავშვები

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
ჩადენილი დანაშაული	498	453	439	475	490	514	418	477
მსჯავრდებულები	267	222	238	241	235	272	280	286
დაპატიმრებულები	61	51	46	45	76	68	72	95

ცხრილი 2. 14-18 წლამდე ბავშვების განაწილება სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლებით ჩადენილი დანაშაულის მიხედვით

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის რაოდენობა - ჯგუფურად, ინდივიდუალურად	498	453	439	475	490	514	418	477
სქესის მიხედვით								
ბიჭები	482	425	414	460	472	504	465	466
გოგოები	16	28	25	15	18	10	16	11
ასაკის მიხედვით								
14-16	76	70	79	102	80	112	127	112

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
16-18	422	383	360	373	410	402	354	362
ჩადენილი დანაშაული								
ჯგუფურად	301	253	259	289	293	357	338	328
ნასვამ მდგომარეობაში	11	6	4	5	7	12	9	12

ცხრილის თანახმად, დანაშაულებრივი ქმედებები 14-დან 18 წლამდე არასრულწლოვანი ბიჭების მიერ ძირითადად ჯგუფურად არის ჩადენილი.

ცნობები არასრულწლოვანი დამნაშავეებისა და მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ, აზერბაიჯანის რესპუბლიკის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის ოფიციალურ გვერდზე განთავსებულ მონაცემებს ეყრდნობა. აღნიშნული ცნობები შემაჯამებელი ფორმით არის წარმოდგენილი და, შესაბამისად, შეუძლებელია კონკრეტული არასრულწლოვნის კვალზე გასვლა მათი ცალკეული სოციოეკონომიკური ნიშნების, ჩადენილი დანაშაულისა (დანაშაულებრივი ქმედებების) და ინდივიდუალური სასჯელის, განრიდებისა თუ რეაბილიტაციის პროგრამებში ჩართულობის მიხედვით.

გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ 2016 წელს ჩატარებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კვლევის თანახმად, სამართალდამრღვევი არასრულწლოვნების უმეტესობა დანგრეულ და გახლეჩილ ოჯახებში, ღარიბ ოჯახებში ცხოვრობს, არიან ბავშვები, რომლებიც არ დადიან, ან ხშირად აცდენენ სკოლას, არიან უმუშევარი ოჯახების წევრები. არიან ისეთებიც, რომლებიც ცხოვრობენ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ოჯახებში, ან ოჯახებში, სადაც არ ჰყავთ ან დაკარგული ჰყავთ მამა.

გრაფიკი 1. 14-17 წლამდე არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის სიხშირე აზერბაიჯანში (10,000 არასრულწლოვანი)



წყარო: ეყრდნობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის მონაცემებს.

ზემოთ მოცემული დიაგრამა გვიჩვენებს, რომ 2011-2013 წლებში დანაშაულებრივ ქმედებაში ბრალდებულ არასრულწლოვანთა მზარდი მაჩვენებელი (რის შედეგადაც მსჯავრდებულთა რაოდენობის ზრდა, გარკვეული ხარვეზით, გამოწვეულია სასამართლო პროცესის ხანგრძლივობით) ბოლო რამდენიმე წელიწადში აღარ გაზრდილა.

თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა საკმარისად არ განიხილება და გამოიყენება. აღნიშნული განრიდების საპილოტო პროექტია. მას საფუძველი ჩაეყარა 2007 წელს და მოჰყვა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის დაარსება ბაქოში (არასამთავრობო ორგანიზაცია „საიმედო მომავალი“), რომელსაც მიმართავს პოლიცია და არასრულწლოვანთა კომისია ბაქოდან და სხვა მიმდებარე რაიონებიდან. არასრულწლოვანთა კომისიამ და პოლიციის ინსპექტორებმა ცენტრში 2015 წელს 96, 2016 წელს კი - 58 ბავშვი განარიდეს. ყოველი განრიდებული ბავშვი ჩართული იყო განრიდების სპეციალურ ოთხიდან ექვს თვემდე ხანგრძლივობის პროგრამაში. ცენტრში ასევეა განთავსებული ბავშვის უფლებების იურიდიული ცენტრი და ცხელი ხაზი. ცხელი ხაზი მუშაობს განჯაშიც. ცენტრი დაარსდა და საქმიანობდა შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, სოციალური ხელშეკრულების საფუძველზე, 2013 წლის „სოციალური მომსახურების შესახებ“ კანონის შესაბამისად და 2014-2015 წლებში გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით. ამჟამად ცენტრი დახურვის პირზეა.

გაეროს პროგრამები

(გაეროს ბავშვთა ფონდის მიმდინარე ჩართულობა და პროგრამები)

ქვეყანაში ამჟამად მოქმედი სააგენტოებიდან, მათ შორის, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციას (FAO), სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდს (IFAD), შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას (ILO), მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას (IOM), გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP), გაეროს ეკონომიკურ კომისიას ევროპისათვის (UNECE), გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციას (UNESCO), გაეროს მოსახლეობის ფონდს (UNFPA), გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატს (UNHCR), გაეროს ბავშვთა ფონდს (UNICEF), გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს (UNODC) - ხელმისაწვდომი პროგრამა ქუჩაში მყოფი ბავშვისათვის არ აქვთ. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია და გაეროს ბავშვთა ფონდი შემდეგ საქმიანობას ეწევიან: მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია აზერბაიჯანის ბავშვთა კავშირს ფინანსურად ეხმარება თავშესაფარში დასაქმებული მომსახურე პერსონალის სახელფასო დავალიანების დაფარვაში მიგრანტებისათვის სოციალური სერვისების გაზრდის მიზნით, მათ შორის, ბავშვებისათვის, რომლებიც დაუცველნი არიან ტრეფიკინგის წინაშე; ხოლო გაეროს ბავშვთა ფონდი მხარს უჭერს მთავრობას პროგრამებისა და სერვისების შემუშავებაში, იმისათვის რათა, ფაქტებზე დამყარებული მონაცემების შეგროვების გზით, როგორიც გახლავთ წინამდებარე კვლევაც, უკეთ იქნეს უზრუნველყოფილი ქუჩაში მყოფი ბავშვების, ბოშა ბავშვებისა და ტრეფიკინგის შედეგად დაზარალებული ბავშვების საჭიროებები. გაეროს სხვა სააგენტოები - გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR), მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაცია (WHO) და გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA) - თავიანთი უფლებამოსილების შესაბამისად, გარკვეულწილად ჩართულები არიან ბავშვებთან დაკავშირებულ საქმეებში.

გაეროს მიერ დაფინანსებული პროექტის, „მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ბავშვებისათვის“, ფარგლებში გაეროს ბავშვთა ფონდი თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან აზერბაიჯანის ხუთ რეგიონში (გებალაში, აგიაბედში, შამკირში, შირვანსა და მინგეჩევირში). გაეროს ბავშვთა ფონდმა, დაქირავებული იურისტებისა და ადგილობრივი

პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით, უფასო იურიდიული დახმარების სერვისები ხელმისაწვდომი გახადა მოსახლეობის დაუცველი ფენებიდან გამოსული 1,000-ზე მეტი ბავშვისა და მათი ოჯახებისთვის. პროექტის ხანგრძლივობა 2017 წლის აგვისტოთი შემოიფარგლება.

არასამთავრობო ორგანიზაციები და მათი პროგრამები

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები და მათი ადგილობრივი ოფისები

ქვეყანაში ამჟამად არ ფუნქციონირებს ქუჩაში მყოფი ბავშვების საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაცია და ფილიალი. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების უმეტესობამ („ვოლდვიჟენმა“, „გადავარჩინოთ ბავშვები“, „ფონდი ღია საზოგადოების“ ინსტიტუტმა (სოროსის ფონდმა) და ა.შ.) 2013 წლიდან დაიწყო ქვეყნის დატოვება და არსებული საკუთრების უფლებისა და მომავალი სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის, მთელი საქმიანობა სახელმწიფო სტრუქტურებს გადააბარა. მაგალითად, ორგანიზაციის, „გადავარჩინოთ ბავშვები“, დაფუძნებული ოჯახების მხარდაჭერის 11 ცენტრი (შუვალანი, გოიგოლი, გორანბოი, აქდამი, საათლი, საბირაბადი, ჰაიქაბული, ზარდაბი, ოაბალა, ისმაილი, ზაქათალა) გარკვეული დროით გადაეცა ოჯახის, ქალთა და ბავშვთა საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს. რეგიონული სამსახურები, რომლებიც განაგრძობენ სოციალურად და ეკონომიკურად განსაკუთრებით დაუცველი ოჯახების მხარდაჭერას, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ იმ ბავშვებსა და ქალებზე, რომლებიც მთლიანად მთავრობის ფინანსურ დახმარებაზე მყოფ რეგიონებში ცხოვრობენ. 2007 წლის დეკემბერში დაარსებულმა არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდამჭერმა სახელმწიფო საბჭომ, მცირე გრანტების გამოყოფის გზით, თავის თავზე აიღო დამფინანსებელი ორგანიზაციების ფუნქცია (2012 წლამდე, ამ საქმიანობას უმეტესწილად სოროსის ფონდი ეწეოდა), ხელი შეუწყოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამთავრობო უწყებებს შორის თანამშრომლობას, არასამთავრობო ორგანიზაციების სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობას, კვლევის წარმოებას, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიების გამართვას, და არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობების გაზრდას (8 000 აზერბაიჯანულ მანათამდე). არასამთავრობო ორგანიზაციების უმეტესობა მიიჩნევს, რომ აღნიშნული გრანტები საკმარისი არ არის საჭირო სერვისების მიწოდების მხრივ განსაკუთრებით ფართომასშტაბიან და ვრცელ გეოგრაფიულ ზონებში. 2012 წელს მიღებულ კანონს „სოციალური მომსახურების შესახებ“, მოჰყვა „წესი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომსახურებათა გაწევის სოციალური წესრიგის შესახებ“, რომელმაც სამინისტროებს მისცა არასამთავრობო ორგანიზაციების პირდაპირი დაფინანსებისა ან/და დავალდებულების საშუალება, უზრუნველყონ მომსახურების მიწოდება. შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2017 წლიდან, სოციალურ ხელშეკრულებათა საფუძველზე, სოციალურ დახმარებას უწევს 7 ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციას სერვისების მიწოდების სფეროში, რაც გულისხმობს დღის ცენტრებში ბავშვების ინსტიტუციონალიზაციის პრევენციასა და ხელმოკლე ოჯახებიდან გამოსული ბავშვებისათვის სოციალურ მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას. შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ერთადერთია სამინისტროებს შორის, რომელიც 2013 წლიდან წელიწადში ერთხელ კონკურსს აცხადებს. თუმცა უკანასკნელ წლებში, მრავალი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ თანხების გახარჯვისა და ფორმალური სახელმწიფო აღიარებისა და თანადაფინანსების სერვისების არარსებობის გამო, მომსახურებების მიწოდება არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან შემცირებულია.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, მაგალითად, იურიდიული დახმარების მომსახურება

ბავშვის საჭიროებათა უზრუნველმყოფი საზოგადოებრივი სერვისების მოუქნელობის გამო, ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ინიცირება გაუკეთეს რამდენიმე აქტივობას.

პირდაპირი კონტაქტი ქუჩაში მყოფ ბავშვებთან***:***

- 1 არასამთავრობო ორგანიზაცია ბაქოში (აზერბაიჯანის ბავშვთა კავშირი) ქუჩაში მყოფ ბავშვებს თავშესაფრით უზრუნველყოფს. ბოლო ვიზიტის დროს, დაწესებულებაში იმყოფებოდა 21 ბავშვი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან. თავშესაფარი სატრანზიტო ცენტრის ფუნქციას ასრულებს და პოლიცია მას დაკავებული არასრულწლოვნების დროებითი განთავსებისთვის იყენებს. აქ ბავშვები უზრუნველყოფილნი არიან ცხელი სადილით, ცხელი შხაპით, არაერთი რეკრეაციული აქტივობით დღის განმავლობაში, და ღამის გასათევით. აღნიშნული ცენტრი ამჟამად, ძირითადად, პირადი შემოწირულობებით ფინანსდება; მომსახურე პერსონალის ნაწილს IMO აფინანსებს.
- 1 საოჯახო სახლი ბაქოში (იმედის სახლი) უზრუნველყოფს ბავშვებს თავშესაფრით და ეხმარება მათ სკოლაში ხელმეორედ მიღებაში; აქ ერთდროულად სულ 40 ბავშვის განთავსებაა შესაძლებელი. აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაცია უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ფინანსდება შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან, სოციალური წესრიგის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში.

თავშესაფრები, რომლებსაც არასამთავრობო ორგანიზაციები კურირებენ, მთავრობისგან არ იღებენ თანმიმდევრულ დაფინანსებას. არაპროგნოზირებადი ხასიათის დაფინანსება კი, ხელს უშლის თავშესაფრების გრძელვადიან დაგეგმვასა და შესაძლებლობების განვითარებას. „აზერბაიჯანის ბავშვთა კავშირის“ თავშესაფარში აღნიშნავდნენ, რომ დასაქმებული პერსონალის უმრავლესობა, მთავრობის დაფინანსების არარსებობისა და მათი უუნარობის გამო, დახმარება მიეღოთ უცხოეთიდან, რაც ბოლო ორ წელიწადში მთავრობის მიერ არასამთავრობო ორგანიზაციებზე შეზღუდვების დაწესებამ დააბრკოლა, დაწესებულებას უსასყიდლოდ ემსახურებოდა.

„გრანტების შესახებ“ კანონში ცვლილებები და „სამთავრობო ორგანიზაციების შესახებ“ კანონი 2014 წლის ოქტომბერში ამოქმედდა. 2015 წელს მიღებულ კანონებს არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების ახალის წესების განხორციელება უნდა უზრუნველეყო: ა) 2015 წლის 5 ივნისს მინისტრთა კაბინეტმა მიიღო ახალი წესები საგრანტო შეთანხმებების რეგისტრაციის შესახებ; ბ) 2015 წლის 21 ოქტომბერს, მინისტრთა კაბინეტმა მიიღო განკარგულება „უცხოური ფინანსური წყაროების ხარჯზე მომსახურებების გაწევისა და სამუშაოების შესრულების ხელშეკრულებათა რეგისტრაციის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაციების და უცხოური არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლობითი ოფისებისა და ფილიალების მიერ“; და გ) 2015 წლის 22 ოქტომბერს მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა „აზერბაიჯანის ტეროტორიაზე უცხოელი დონორების მიერ გრანტის გაცემის უფლების მოპოვების წესი“. კანონმდებლობაში შესულ ყველა ხსენებულ რეგულაციას და შესწორებას შედეგად მოჰყვა მკაცრი საკანონმდებლო ბაზის შექმნა არასამთავრობო სექტორთან მიმართებით.

არაპირდაპირი კავშირი ქუჩაში მყოფ ბავშვებთან

(მუშაობა მარგინალიზებული და ხელმოკლე ოჯახებიდან გამოსულ ბავშვებთან, კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან, ძალადობის შედეგად დაზარალებულებთან და ა.შ.)

- 1 არასამთავრობო ორგანიზაცია ბაქოში NGO (სუფთა სამყარო) დახმარებას უწევს ტრეფიკინგის შედეგად დაზარალებულ პირებს, უზრუნველყოფს მათ თავშესაფრით, მხარდაჭერით და ინიციატივით, საზოგადოებასთან ინტეგრაციის ხელშესაწყობად.
- 1 არასამთავრობო ორგანიზაცია ბაქოში (ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრი) ფსიქოლოგიურ დახმარებას უწევს ძალადობის და შევიწროების შედეგად დაზარალებულ ბავშვებს. ცენტრში ბავშვები ან სხვა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს მიჰყავთ, ან თავად მშობლებს;
- 1 არასამთავრობო ორგანიზაცია ბაქოში (კანონის სამყარო) მუშაობს იზოლატორში მოთავსებულ ახალგაზრდა სამართალდამრღვევებთან;
- 5 არასამთავრობო ორგანიზაცია, გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, უზრუნველყოფს უფასო იურიდიული დახმარების სერვისებს ხუთ რეგიონში;
- 9 დღის სამზრუნველო ცენტრი (7 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია) მოწყვლადი ბავშვებისა და ხელმოკლე ოჯახებისათვის; აფინანსებს შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სოციალური მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე;

„SOS ბავშვთა სოფლებში“, 2000 წლიდან მოყოლებული, ეწევიან საოჯახო ტიპის ზრუნვას მიტოვებული, უპოვარი და ობოლი ბავშვებისათვის. საერთო სივრცე გათვლილია 200 ბავშვზე.

გამოყენებული მიდგომები: რეზიუმე (ზემოთ მოყვანილი ინფორმაციის საფუძველზე), რომელიც ეხება მიმდინარე პროგრამების ძირითად მეთოდებს/მიდგომებს, მაგალითად,

ბაქოს ქუჩებში ბავშვები ყველგან არიან მიმოფანტულები, სადაც ადვილად პოულობენ სამუშაოს არაფორმალურ სექტორში, მათხოვრობენ და ემალებიან ხელისუფლებას, ამიტომ სერვისების უმეტესობაც, თავმოყრილია და ხელმისაწვდომია დედაქალაქში. ქუჩაში მყოფი (უსახლკარო) ბავშვები უმცირესობაში იმყოფებიან აზერბაიჯანში, რადგან მათი უმრავლესობა უმეტეს დროს ქუჩაში ატარებს და თავად გამოიმუშავებს სარჩოს საკუთარი თავისა და ოჯახებისათვის. შესაბამისად, მათი მოთავსება სარეზიდენტო სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ, ხშირად შეუძლებელია, თუ მშობლის მზრუნველობის ჩამორთმევას ოფიციალურად არ აღიარებს ადგილობრივი ხელისუფლება. მსგავსი შემთხვევები ხშირად მეორდება - ბავშვები რამდენჯერმე ბრუნდებიან თავშესაფარში გარკვეული პერიოდით. „აზერბაიჯანის ბავშვთა კავშირის“ ხელმძღვანელის თქმით, ბაქოს ქუჩებში მათხოვარი ბავშვების უმრავლესობა ბოშათა თემის წევრია.

ქუჩაში მყოფ ბავშვებს ყველაზე მეტად ემუქრებათ ძალადობა და შევიწროება - მათ შორის, ქუჩაში ყოფნისას და საზოგადოებრივ სისტემასთან კონტაქტისას. ქუჩაში მყოფ ბავშვებს, სახელმწიფოსთან მიმართებით, უპირველესი, და შესაძლოა, მთავარი ინსტიტუციური კონტაქტი აქვთ პოლიციასთან. თავშესაფარში მიყვანილი ბავშვები იქ რჩებიან, ვიდრე ვინმე არ მიაკითხავს წასაყვანად (პოლიციის მიერ ნაპოვნი მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი (მენტორი)). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ მაშინაც კი აკავებენ, როდესაც არანაირი დანაშაულის ჩადენაში არ არიან ეჭვმიტანილები. ყოველწლიურად ბაქოში ბავშვების დაკავების 500/600 შემთხვევა აღინუსხება (მათ შორის, ერთი და იგივე

ბავშვების რამდენჯერმე მიყვანის ფაქტები). 2016 წელს პოლიციის მიერ ჩატარებულმა რეიდებმა ქუჩაში მათხოვარი 450 ბავშვი გამოავლინა; 272 საქმე გადაეგზავნა შესაბამის სტრუქტურებს, მეურვეობისა და მზრუნველობის მინიჭების საკითხებზე; 200-ზე მეტ შემთხვევაში მშობლების მიმართ გამოყენებული იქნა ადმინისტრაციული ღონისძიებები.

კანონმდებლობის თანახმად, არასრულწლოვანთა კომისია ჩართული უნდა იყოს ბავშვებთან დაკავშირებული საქმეების მოგვარებაში. ბავშვები, რომლებსაც არ ჰყავთ ოჯახები, სარეზიდენტო დაწესებულებებში იგზავნებიან. მინდობით აღზრდა მუშაობს როგორც კანონით დადგენილი სერვისი - საოჯახო კოდექსის 142-ე მუხლის შესაბამისად - თუმცა პრაქტიკაში ჯერჯერობით არ არსებობს მინდობით აღმზრდელ ოჯახებთან დაკავშირებული რეგულაციები. მთავრობა 2013 წლის ნოემბრიდან მხარს უჭერს და აფინანსებს მცირე საოჯახო ტიპის სახლებს.

ბაქოში ხელმისაწვდომი ერთადერთი ალტერნატივა წარმოდგენილია ორი ცენტრის სახით, რომელიც სპონტანურად დააარსეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა: ზემოთ მოხსენიებული თავშესაფრისა და საოჯახო ტიპის „იმედის სახლის“ სახით, რომელიც თავშესაფრით უზრუნველყოფს ქუჩაში მყოფ ბავშვებს და ეხმარება მათ სკოლაში ხელმეორედ მიღებაში. სახლი დაახლოებით 40-მდე ბავშვს მასპინძლობს და ყურადღებას იმსახურებს მოხალისეთა დადებითი დამოკიდებულებისა და მათი ღიაობისათვის, მოიძიონ ალტერნატიული გზები ბავშვებისათვის და აამაღლონ ცნობიერება იმის შესახებ, რომ დაწესებულებებში ბავშვების გაჩერება შესაფერისი გზა არ არის.

დანართი 3.

სარეგისტრაციო ფორმები

სარეგისტრაციო ფორმა:

ფოკუს ჯგუფები (მოიპოვეთ თანხმობა. რესპონდენტის ასაკი 7 წელზე მეტია)

სარეგისტრაციო ფორმის ნომერი	ინტერვიუერის ინიციალები |__|__ | ჯგუფის ნომერი |__|__|	
ჯგუფის ხელმძღვანელი / ფასილიტატორი	სახელები ……	
თარიღი	|__|__|-|__|__|-|1|7|	
სესიის ხანგრძლივობა	(დაწყების – დასრულების დრო) დაწყება: |__|__|სთ|__|__|წთ დასრულება: |__|__|სთ|__|__|წთ	
ფოკუს ჯგუფის ადგილმდებარეობა	1=თბილისი; 2=რუსთავი; 3=ქუთაისი; 4=ბათუმი; 5=ბაქო; 6=სხვა(მიუთითეთ)	|___|……
რა ენაზე ჩატარდა გამოკითხვა?	……	
მონაწილეობდა თუ არა გამოკითხვაში თარჯიმანი?	1=დიახ, მთელი სესია; 2=დიახ, მაგრამ სესიის ნაწილი; 3=არა	|___|

ბავშვის No	**სახელი (მხოლოდ ურთიერთობისთვის)**	**ასაკი**	**სქესი** მმ/მდ	**ინდივიდუალური გამოკითხვა?** დიახ/არა	**თუ კი, სარეგისტრაციო ნომერი**
1					ჯგუფი |__| ბავშვის no|__|__|__| ან უფროსის no |__|__|__|__|
2					ჯგუფი |__| ბავშვის no|__|__|__| ან უფროსის no |__|__|__|__|
3					ჯგუფი |__| ბავშვის no|__|__|__| ან უფროსის no |__|__|__|__|
4					ჯგუფი |__| ბავშვის no|__|__|__| ან უფროსის no |__|__|__|__|
5					ჯგუფი |__| ბავშვის no|__|__|__| ან უფროსის no |__|__|__|__|
6					ჯგუფი |__| ბავშვის no|__|__|__| ან უფროსის no |__|__|__|__|
7					ჯგუფი |__| ბავშვის no|__|__|__| ან უფროსის no |__|__|__|__|
8					ჯგუფი |__| ბავშვის no|__|__|__| ან უფროსის no |__|__|__|__|
9					ჯგუფი |__| ბავშვის no|__|__|__| ან უფროსის no |__|__|__|__|
10					ჯგუფი |__| ბავშვის no|__|__|__| ან უფროსის no |__|__|__|__|

სხვა პირები ესწრებოდნენ ჯგუფურ სესიას? საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ ხაზები	სახელი ……	თანამდებობა ……
	სახელი ……	თანამდებობა ……
	სახელი ……	თანამდებობა ……
ჯგუფის რაიმე სპეციალური მახასიათებელი?	……	
რაიმე კონკრეტული დაკვირვება ჯგუფური სესიიდან?	……	

სარეგისტრაციო ფორმა:			
ზრდასრულის ინდივიდუალური გამოკითხვა			
მოიპოვეთ ინფორმირებული თანხმობა			
AD01	**კითხვარის ნომერი**	**ინტერვიუერის ინიციალები |__|__ | უფროსის ნომერი|__|__|__|__|**	
AD02	**გამოკითხვა ჩაატარა**	**საველე მუშაკები:.....**	
AD03	**გამოკითხვის თარიღი**	|__|__|-|__|__|-|1|7|	
AD04	**გამოკითხვის ადგილი**	**1=თბილისი** **2=რუსთავი** **3=ქუთაისი** **4=ბათუმი** **5=ქუთაისი** **6=სხვა (მიუთითეთ)**	**|___|** **ქალაქი/სოფელი: .....** **ქვეყანა: .....**
AD05	**რა ენაზე ჩატარდა გამოკითხვა?**	**.....**	
AD06	**მონაწილეობდა თუ არა გამოკითხვაში თარჯიმანი?**	1=დიახ, ყველა კითხვაში 2=დიახ, ზოგიერთ კითხვაში 3=არა	|___|
AD07	**რესპონდენტის სტატუსი**	1=მშობელი 2=სხვა ნათესავი 3 სხვა (მიუთითეთ)	|___|..... ....
AD08	**თქვენი სახელი?**	**მხოლოდ საუბარში გამოსაყენებლად. არ შეიყვანოთ საბოლოო გასაგზავნ ფორმაში** **.....**	
AD09	**რამდენი წლის ხართ**	სრული წლები; 99=არ უპასუხა	|___|___|
AD10	**სქესი**	1=მამრობითი; 2=მდედრობითი	|___|
AD11	**გაქვთ რამე კავშირი რომელიმე გამოკითხულ ბავშვთან?**	1=დიახ 2=არა	|___|
AD12	**თუ კი:**	მიუთითეთ სარეგისტრაციო ნომერი ბავშვის ფორმიდან. აღწერეთ კავშირი:	**ჯგუფი |__| ბავშვის no|__|__|__|** **.....** **.....**
AD13	**გამოკითხვისას გაკეთებული დაკვირვებები:** საუბრის სურვილი, ქცევის მახასიათებლები, რამე მნიშვნელოვანი გამოკითხვის სიტუციის შესახებ	**.....** **.....** **.....** **.....** **.....** **.....** **.....** **.....**	

სარეგისტრაციო ფორმა: **ბავშვის ინდივიდუალური გამოკითხვა.** მოიპოვეთ თანხმობა			
ID01	**კითხვარის ნომერი**	**ინტერვიუერის ინიციალები |__|__ | ბავშვის no|__|__|__|**	
ID02	**გამოკითხვა ჩაატარა**	**საველე მუშაკები: .....**	
ID03	**გამოკითხვის თარიღი**	|__|__|-|__|__|-|1|7|	
ID04	**გამოკითხვის ადგილი**	**1=თბილისი** **2=რუსთავი** **3=ქუთაისი** **4=ბათუმი** **5=ქუთაისი** **6=სხვა (მიუთითეთ)**	**|___|** **ქალაქი/სოფელი: .....** **ქვეყანა: .....**
ID05	**რა ენაზე ჩატარდა გამოკითხვა?**	**.....**	
ID06	**მონაწილეობდა თუ არა გამოკითხვაში თარჯიმანი?**	1=დიახ, ყველა კითხვაში 2=დიახ, ზოგიერთ კითხვაში 3=არა	|___|
ID07	**შენი სახელი?**	**მხოლოდ საუბარში გამოსაყენებლად. არ შეიყვანოთ საბოლოო გასაგზავნ ფორმაში** **.....**	
ID08	**რამდენი წლის ხარ**	სრული წლები; 99=არ უპასუხა 7 წელზე ნაკლები: დაასრულეთ გამოკითხვა	|___|___|
ID09	**სქესი**	1=ბიჭი=1; 2=გოგო	|___|
ID10	**სად დაიბადე?**	**1=თბილისი** **2=რუსთავი** **3=ქუთაისი** **4=ბათუმი** **5=ბაქო** **6=სხვა (მიუთითეთ)**	|___| **ქალაქი/სოფელი:** **.....** **.....** **.....** **ქვეყანა:** **.....**
ID11	**რომელი ქვეყნის მოქალაქე ხარ?**	1=საქართველო 2=აზერბაიჯანი 3=არ მაქვს 4=სხვა (მიუთითეთ) 5=არ უპასუხა	|___|..... .....
ID12	**რომელ ეთნიკურ ჯგუფს ეკუთვნი?**	1=ქართველი 2=ბოშა (მიუთითეთ) 3=აზერბაიჯანელი-ქურთი 4=სხვა (მიუთითეთ) 5=არ უპასუხა	|___|..... .....
ID13	**გუშინ ღამე სად გეძინა?**	1=სახლი/ბინა 2=ქუჩაში 3=თავშესაფარში 4=სხვა (მიუთითეთ) **5=არ უპასუხა**	|___|..... .....
ID14	**მშობლები ცოცხალი გყავს?**	1=ორივე გარდაცვლილი 2=დედა ცოცხალი 3=მამა ცოცხალი 4=ორივე ცოცხალი 5=არ ვიცი 6=არ უპასუხა	|___|
ID15	თუ ერთი ან ორივე მშობელი ცოცხალია: **მშობლებთან კონტაქტი გაქვს?**	1=დიახ, ყოველდღე 2=დიახ, მაგრამ არა ყოველდღე 3=არა 4=არ უპასუხა	|___|
ID16	თუ ერთი ან ორივე მშობელი ცოცხალია: **ამჟამად ერთ ან ორივე მშობელთან ერთად ცხოვრობ?**	1=დიახ, ორივესთან 2=დიახ, მხოლოდ დედასთან 3=დიახ, მხოლოდ მამასთან 4=არა 5=არ უპასუხა	|___|
ID17	**სკოლაში ოდესმე გივლია?**	1=დიახ; 2=არა; 3=არ უპასუხა	|___|
ID18	**ამჟამად დადიხარ სკოლაში?**	1=დიახ; 2=არა; 3=არ უპასუხა	|___|

ID19	**რამდენი წელი იარე სკოლაში?**	სრული წლები; 99=არ უპასუხა	|___|___|
ID20	**წერა კითხვა იცი?**	1=დიახ, კარგად 2=დიახ, გაჭირვებით 3=არა 4=არ უპასუხა	|___|
ID21	**ამჟამად ქუჩაში მარტო ცხოვრობ/მუშაობ თუ სხვებთან ერთად?**	1=მარტო 2=სხვებთან ერთად **3=არ უპასუხა**	|___|
ID22	**გამოკითხვისას გაკეთებული დაკვირვებები:** კავშირი უფროსის გამოკითხვასთან, საუბრის სურვილი, ქცევის მახასიათებლები, რამე მნიშვნელოვანი გამოკითხვის სიტუციის შესახებ	....	